136
1940.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

8

ა ბ ვ ი ს ტ ო

თბილისი
1940

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
ჯავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეჩვიდმეტე

F 430

8

19 აგვისტო / სახელგამი 40

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

სარედაქციო კოლეგია:

ასათიანი ლევან,
გოგიაშვილი ალექსანდრე,
კალაძე კარლო,
ლოლთქიფანიძე კონსტანტინე,
მაშაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი),
მოსაშვილი ილო,
ქუთათელი ალექსანდრე.

რედაქცია: თბილისი, მაჩაბლის 13, მწერალთა სასახლე, ტელ. 3-71-84.
კანტორა: თბილისი, კამოს 40, სახელგამი, პერიოდსექტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ახალი ხმელეთი

ნაწილი მეორე

თავი პირველი

მზის ჩასვლისას უეცრად აცივდა.

„განთიადის“ წინ ჯერ კიდევ ჩოჩქოლობდნენ სოფლელები. არტელის თავმჯდომარის დაბრუნებას უცდიდნენ. თავმჯდომარე იგვიანებდა. ბევრს მობეზრდა ლოდინი და სახლკარს მიაშურა. ზოგიერთი უკვე მეათეჯერ ბეკნიდა ყალიონს, განუწყვეტლივ აბოლებდა და ცალი თვალით თემშარას სდარაჯობდა — თუ გამოჩნდებაო.

სალამოხანის თოში ყველამ იგრძნო. მარტში ასეთი ტაროსი ბევრს არ მოსწრებია, მაგრამ წელს გაზაფხულმაც გუნება იცვალა და ცივ ზამთარს თოვლითა და ყინვით შემოეგება.

— უსინდისო მარტის თვეი! — ყვედრებით წამოიძახა ვიღაცამ...

ზოგმა ყაბალახით შეიხვია თავპირი, ზოგმა ფარაჯის საყელო წამოიწია შეწითლებული ყურების შესაფუთავად.

— ყინავს თუ რა უბედურებაა! — აბუზღუნდა როსტომი. ნიჩბისოდენა ხელები ჯიბეში ჩაიწყო და ცისკიდურს გაჰხედა — ღრუბელი თუ სადმე სჩანსო. სარდიონ გოგოლაძემ სახლის სახურავებისკენ გაიშვირა ხელი და ნეკის ოდენა ჩურჩხელებზე მიუთითა როსტომს.

— აჰა! უყურე, ამ მართლა უნამუსოს! — წამოიძახა როსტომმა ყინვა-ჩურჩხელების დანახვაზე.

კიბეზე ჩუტა კარსანიძე ამორბოდა.

როსტომს თავზარი დაეცა: ჩუტამ თავისთავზე არ მიიღოს ჩემი წამოძახილიო. გაწითლდა და გაუგებრობის გასაფანტავად, დაბეჯითებით მიაჩერდა თოვლის თხელი ფენით შეფიფქულ სახურავს.

ჩუტამ დაელვებაში ამოირბინა კიბე. სირბილისაგან სახე წამოფაკლოდა. ხშირ სუნთქვას მკერდის ბორცვების თვალსაჩინო მოძრაობაც ადასტურებდა.

როსტომმა სწორედ მკერდზე შეხედა ჩუტას და სანამ ათახთახებული გოგონა რასმეს იტყოდა, მასაც ენა გაუქვავდა.

— ბარომეტრი დაბლა იწევს, ამხანაგო როსტომ... ძლიერი ყინვებია მოსალოდნელი... — სხაპასხუპით მიაყარა ჩუტამ.

— ყინვები? ჰო, მართალია... — ერთბაშად გამოერკვა როსტომი. მას ეხლა მოაგონდა, რომ ჩუტა კარსანიძე ამინდის მეთვალყურედაა დანიშნული არტელის გამგეობის მიერ.

---

*) რომანის „ახალი ხმელეთი“-ს პირველი ნაწილი იბეჭდებოდა ჟურ. „მნათობში“. ვბეჭდავთ მეორე ნაწილის ნაწყვეტს, რომელიც ავტორს დაუმთავრებელი დარჩა.

ჩუტა წელს ამთავრებს ათწლედს... სასკოლო საგნებს გარდა, მეტეოროლოგიურ საკითხსაც სწავლობს, მასალებს აგროვებს და ყოველდღიურ ცნობებს აწვდის დედაქალაქს. ჩუტა არტელსაც აფრთხილებს ამინდის ცვალებადობის შესახებ. ამხანაგებმა ჩუტას „ხვალდარია" დაარქვეს ზედმეტსახელად, ხვალდარეა ჭია-მაიასაც ჰქვია გურიაში, ამრიგად ჩუტას ზედმეტსახელს ორმაგი მნიშვნელობა აქვს: ოდნავ დამცინავი და მოფერებითიც, ჩუტა სიცილს ვერ იმაგრებს, როცა მას „ხვალდარიას" ეძახიან ამხანაგები.

როსტომსაც მოაგონდა მისი ზედმეტი სახელი... უნდოდა გახუმრებოდა კიდეც, მაგრამ ერთხელ კიდევ შეხედა გულმკერდზე ხარბი თვალებით და ენას კბილი დაადგა.

მაჯის სიმსხო ნაწნავები ორწყებად შემოეხვია ჩუტას ყელზე, თითქო თმები ყელსახვევის მაგიერობას სწევენო... როსტომმა ნაწნავებსაც უცნაურის თვალით შეხედა.

ჩუტამ მკერდზე დაიხედა. კაბის საგულმკერდე შეისწორა და როსტომს როყიოდ შეეკითხა, ბონდო სად არისო.

— ბონდო?! — გამოერკვა ბურუსში გახვეული როსტომი. — ბონდო... რაიონშია წასული... სარდიონ! — მიუბრუნდა გამგეობის ოთახისაკენ როსტომი, — სანერგე უნდა გავათბოთ... რას იტყვი?!

— გავათბოთ, „ხვალდარია"? სიცილით ჰკითხა სარდიონმა ჩუტას და გამგეობის ოთახიდან პარმაღზე გამოვიდა.

სანამ ჩუტა უპასუხებდა, პარმაღის კუთხეში მიყუჟულმა არტელის წევრებმა წამოჰყვეს თავი და სარდიონს გაეხმაურენ:

— მარტი რომ წინ გედგასო, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აგინებო, ხომ გაგიგონია?.. — ნიშნისმოგებით სთქვა კოსტაია ჩაჩუამ. — უნდა გავათბოთ მეტი რა გზა გვაქვსო, — დასძინა მტკიცე ხმით.

— რაღა გაგონილს იძახი, შე დალოცვილო, — ჩამოართვა სიტყვა კოსტაიას გაბრიელ მეხუზლამ, — მე თვითონ ვარ მომსწრე, გიორგობა დღეს რომ ბახლი დავთოვლეთ... გაგონებით, ბაბუაჩემისაგან ისიც კი გამიგონია, ქრისტეს ამაღლებას ერთი ციდა თოვლი დაჰყარაო.

— ბიძია გაბრიელ, ამაღლება რომელ თვეშია? — დაინტერესდა ჩუტა.

— მაისში, ხან ივანობისთვეშიც გადავა, შვილო!

— რავა, ასე ღოლავს?!

— აბა, გრძელი მუსაიფი საღამოსათვის გადავდოთ, — უხელთა დრო როსტომმა და არტელის წევრებს მიმართა: სანერგეში წავიდეთო.

პარმაღზე სიჩუმე ჩამოვარდა.

სარდიონ გოგოლაძე და როსტომი ეზოში ჩავიდნენ. ჩუტა პარმაღზე დარჩენილ არტელის წევრებს მისჩერებოდა: რატომ ადგილიდან არ იძვრიანო.

სარდიონმა ხელი ჩაიქნია და სანერგესაკენ გაეჩქარა. როსტომიც მას მიჰყვა.

— დაიცა, როსტომ! მეც მოვდივარ... — დაადევნა ჩუტამ მიმავალ როსტომს და სანამ ის სანერგის ჭიშკარს შეაღებდა, თვითონაც გვერდით ამოუდგა.

პარმაღზე ისევ სიჩუმე იყო.

გაბრიელ მეხუზლამ ნიშანდობლივად გადახედა კოსტაია ჩაჩუას, წარბი შეათამაშა და ხმაამოუღებლივ წამოდგა ფეხზე. კრუსუნით აჰყვა მას კოსტაიაც. ორსამჯერ წაიკოჭლა და მარცხენა თეძოზე ხელდაყრდნობილი დაეშვა კიბეზე.

— სად მიხვალთ, კაცო! — ვითომ არ იცისო, განგებ იკითხა ძიკი ვაგუამ და პასუხიც არ მიუღია, — თვითონაც კვალდაკვალ გაჰყვა მეზობლებს სანერგესაკენ.

— ერთი წლის ნაკვდავი რომ ერთ ღამეს გაოხრდეს, თავი სადღა გამოვყოთ... — აბუტბუტდა თავისთვის მეხუზლა.

— კაცის ნახელავი მენანება, თვარა... — თითქო ერთმანეთს წინააღმეფეს იმართლებენო, წამოეშველა მეხუზლას კოსტაია.

გაგუა ორივეს მიუხვდა ეშმაკობას და შორიდან შეუცაცხანა: რას იფუყებით, თავმჯდომარე ჯერაც არ დაბრუნებულა და რა იცით, როგორს ამბავს მოიტანსო.

— ნაკალანდევსაც ასე არ იყო, — განაგრძობდა გაგუა: — შეწერით მაშინაც ქე შეგვაწერეს, მაგრამ ხომ უყურებდით, ნახევარი ჩამოაჭრევია ოჩიგავამ... ვინ იცის დღესაც გამარჯვებული დაბრუნდეს...

ისევ დაჩუმდნენ. გულში სათითაოდ ასე გაიფიქრეს: თუ კი დამზადების გეგმა გაგვინახევრეს, „შემხვედრი“ იქნება მართლა მოგვიხსნანო.

ხშირბინდის ჩამოწოლისას „განთიადის“ სანერგეში ყველგან ცეცხლი იყო გაჩაღებული. ჩუტას იღლიამდე წაემკლავებინა და თერმომეტრს მიჩერებოდა: სითბო სადამდის აიწიაო.

როსტომი მოჯადოვებულივით დასდევდა ჩუტას კვალდაკვალ, შველოდა ცეცხლის გაჩაღებაში, ღუმელების გაწმენდასა და ადგილების გადანაცვლებაში... მაგრამ ზოგჯერ ისე შეუბრკოლდებოდა ხელი, ისე შეეშლებოდა საცნაური, რომ შეშის მაგიერ ნავთის ბიდონს აწვდიდა ჩუტას, ასანთის ნაცვლად პაპიროსის კოლოფს.

ჩუტა გულიანად კისკისებდა. ზოგჯერ მეტისმეტის სითამამით თავშიც ჩაჰკრავდა ხოლმე როსტომს, ჩაიმუხლებდა და ატეხილ სიცილს ისტერიული ხითხითით ამთავრებდა... სულს რომ მოიბრუნებდა გულმავიწყსა და ბატი-ტვინას ეძახდა როსტომს.

როსტომი ნაკვერცხალივით ენთებოდა ჩუტას დაცინვაზე. თავს ძალას ატანდა კვლავ აღარაფერი შემცდესო, მაგრამ თითქო ჯიბრზე მოსდისო, წამით გადაავიწყდებოდა · ყველაფერი და თავგზააბნეული განაგრძობდა მუშაობას.

ჩუტა ისევ ისე ხითხითებდა გულუბრყვილოდ და მეამიტად... თოვლის ფანტელასავით ჯერ კიდევ სპეტაკი გოგონა რას იფიქრებდა თუ როსტომის აფორიაქების მიზეზი თვითონ იყო... მისი როსტომთან სიახლოვე, სისხლხორცით სავსე ქალიშვილის ტანის სურნელი, ჰინდურ ნელსაცხებელივით აღიზიანებდა როსტომის ყნოსვას და ზოგჯერ ბანგივით ათრობდა და აბრუებდა...

მოგვიანებით შენიშნა ჩუტამ, რომ როსტომი ამღვრეული თვალებით მიჩერებოდა მის მოღეღილ გულმკერდს, წამით წაუყურადა, თუ როგორ გამალებით სუნთქავდა ამსისხო ვაჟკაცი, თითქო ცათაბჯენის ათასი კიბე ამოურბენიაო და სიცილ-კისკისი ერთბაშად შესწყვიტა. უეცრად მოიწყინა და... მოწყენილმა როსტომზე ფიქრი ველარ მოიშორა თავიდან.

სამუშაო მოათავეს.

ის იყო სანერგედან გადმოსვლას აპირებდნენ, რომ სათბურის წინა კარი გაიღო და ბონდო ოჩიგავა შემოვიდა სანერგეში. მას მიხა კარსანიძეც შემოყვა.

ჩუტა გაწითლდა მამის დანახვაზე. როსტომსაც დაელვებაში აუყვავილდა ყურის ბიბილო. უმალ გაეცალა ჩუტას და სარდიონ გოგოლაძესთან გააბა უსულგულო საუბარი ნერგების დროულად გადარგვის თაობაზე. ჩუტასაკენ მაინც ხშირხშირად იხედებოდა როსტომი. ზოგჯერ თავისდაუნებურად მიიბრუნებდა პირს იქითკენ, სადაც ჩუტა ეგულებოდა, ქურდულად შეავლებდა თვალს მის კენარ ტანადობას და სარდიონს შეხედავდა, ხომ არაფერს მამჩნევსო. სარდიონი აინუნშიც არ იგდებდა როსტომის თავგზააბნეულობას და როსტომს ესეც აბრაზებდა: ასეთი მიუხვედრელი რატომ არის სარდიონიო.

ყველაზე მეტად თავისთავს უწყრებოდა: ეს რა მომივიდა, ამ 16 წლის გომბიომ ასე როგორ ამიფორიაქა სული და გული.

წინათაც ხომ ხვდებოდა როსტომი ჩუტას... ხვდებოდა კი არ, ერთად ... „კუკუმალობია“ უთამაშნიათ სამწყესავში... სანერგეშიც რამდენიმე დღე დაუღამებიათ ერთად... მაშინ ჩვეულებრივი სოფლის გოგონა იყო ჩუტა... ამბანაგი, ახლო ნაცნობი და სხვა არაფერი... დღეს რა მაცდური „შეუჯდა მხარში“?! დღეს რანაირი თვალით შეხედა მას, რომ უცქერს და ცქერით ველარ გამძღარა?!.

როსტომმა მძიმედ ამოიოხრა.

— შენი „ობსერვატორია“, რასა იქმს, ხვალდარია? — სიცილით შემოხვდა ბონდო დაკარწახებულ ჩუტას. ხელი ჩამოართვა და გამომწვევის ყურადღებით დააკვირდა სამუშაო კაბაზე.

ჩუტა შეკრთა.

ბონდომ სიცილითვე განაგრძო:

— გახსოვს, ხვალდარია, შარშან რომ კრებდეშინის კაბით გამოხვედი სამუშაოზე?!

ახლა ჩუტასაც გაეცინა, მაგრამ შეფაკლული ლოყები კიდევ უფრო აუკაშკაშდნენ. ველარც თვალი გაუმაგრა ბონდოს და თავი ჩალუნა. გაოცდა კიდეც: ეს ჩუმჩუმელა ოჩიგავა ასე რამ აამეტყველა... მთვრალი ხომ არ არისო.

ბონდოს სიფხიზლე ეჭვს არ იწვევდა და ჩუტა კიდევ უფრო გააკვირვა ოჩიგავას სითამამემ.

— მშვენიერი ქალი მოგესწრო, მიხა! ბედნიერი კაცი ხარ! — მიუბრუნდა ბონდო მიხა კარსანიძეს.

— მომესწრო თუ არა... დამასახლებს კიდეც.. — იხუმრა ვითომ კარსანიძემ, მაგრამ დაკვირვებული ყური მაშინვე იგრძნობდა: ეს ნამდვილად საჯაოხური ხუმრობაა... გლეხკაცი ქალიშვილის გაჩენას ოჯახის უბედურებად თვლის ჩვენში და სამწუხაროდ მიხაც მათ რიცხვს ეკუთვნოდა.

— რატომაც ვერ დაგასახლებს... — არ დასტოვა ბონდომ უშენიშვნოდ კარსანიძის ქარაგმა, — ხვალდარიას შენ ნუ ეხუმრები... ალმასივით გოგონაა... — კვლავ ამოიდგა ენა მუდამ ჩუმმა და მორცხვმა ოჩიგავამ..

— იმას უხაროდეს ვის ოჯახშიაც შევა, თორემ მე რა... — ეშმაკურად შეაპარა მიხამ, რომელსაც ბონდო ოჩიგავა კარგა ხანია სასიძოდ ყავდა შეთვალთვალებული და თუ როდისმე სიტყვა ჩამოვარდებოდა ბონდოსა და ჩუტას ურთიერთ-დამოკიდებულებაზე, მიხა მზად იყო უყოყმანოდ დაელოცნა სიძე-ქალიშვილი.

— ე, რა კარგი ჭუჭუნ-მუსაიფის გუნებაზეა ჩვენი თავმჯდომარე. — წასჩურჩულა მეხუზლამ კოსტაია ჩაჩუას. — ვითომ კაი ამბავი მოგვიტანა?

— რა ვიცი... აგერ ვკითხოთ სარდიონს. — ჩამოართვა სიტყვა კოსტაიამ და სარდიონს ხელი დაუქნია, — მოგვიახლოვდიო.

სარდიონ როსტომს ჩამოშორდა და ხანშესულ მეზობლებთან გაჩნდა.

— კაი გუნებაზეა ჩვენი თავმჯდომარე, ალბათ კაი ამბავიც მოგვიტანა, — დაასწრო კოსტაიას გაბრიელ მეხუზლამ.

— მეც ასე მგონია... — ღიმილით მიუგო სარდიონმა და კოსტაიას თვალი ჩაუკრა: შეხე, ბონდო ჩუტას როგორ „ეთამაშებაო“.

— „შოკოლადივით“ გოგოა, რატომ არ წაეთამაშება, წავხთი! — აინერწყვა მსუნაგივით ქალებში მუდამ სახელგატეხილი მეხუზლა. ერთხელ კიდევ გულხარბად შეავლო თვალი მაქოსავით სწრაფსა და მოუსვენარ ჩუტას, ზრდადას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებულ თეძოებზე დააკვირდა და: „თფუი ეშმაკსო“ — გადაიწერა პირჯვარი ანაზდად.

— ქალი მაცდურია, გაბრიელ, მაცდური... ადამი ქალმა შეაცდინა... ურთო კოსტაიამ და თვითონაც ეშმაკურად დაჭყიტა ლობიოს მარცვალივით წვრილ-წვრილი თვალები.

— შეცდები, აბა რა ჯანდაბა მოგივა, როცა ამისთანა ახტაჯი ხელწამოსაკრავზე გეყოლება. მორიდება მაინც იცოდნენ... მეიღლეტენ გულზე და... თფუი, „ჯვარი აქაურობას“... სხვა რამეზე ილაპარაკეთ, თუ კაცი ხართ! — მიიბრუნა პირი მეხუზლამ და ტანაყოლილ ლიმონის ნერგს შეავლო ხელი ფოთლებზე, თითქო ქალის ხუჭუჭ თმებს ეალერსებაო.

— მე მაინც ის მადარდებს, რა ამბავი მოგვიტანა თავმჯდომარემ-მეთქი!

— ვაი თუ განგებ გვეჩვენება ასე მხიარულ გუნებაზე და გულში ვინ იცის... იქნება დანა პირს არ უხსნის. — აიღერღა მეხუზლა.

— გული მეუბნება: თქვენი თავმჯდომარე გაწბილებულიაო.

— გაწბილებული?! — შეიცვალა კილო მეხუზლამ. — რავა, ნაკალანდევს რომ განცხადება დავწერე, არტელიდან გავალ თუ დამზადების გეგმა არ მოგვიხსნეს-მეთქი, კი არ დამიხევია იგი განცხადება... აგერ მიდევს ჯიბეში... მივაჩეჩებ ხელში და ის იქნება...

— მეც, მეც... მეც მივაჩეჩებ... — წამოეშველა კოსტაია და გულისჯიბეს მოუფათურა, ვითომ განცხადების ქაღალდს ეძებსო.

— არტელიდან გასვლა საქმეს არ უშველის, ბიძია კოსტა! — შემოუერთდა მოწუწუნეებს როსტომი და ჩუმი საუბარი მიტინგს დაამგვანა.

მოგვიანებით ბონდო და მიხა კარსანიძეც ამათ ჯგუფს შემოუერთდნენ და გაჩაღდა გულდაგული საუბარი.

მიხამ კოსტაია მოიკითხა: სიბერე ხომ არ შემოგეპარაო. შინაური მასლაათიდან ისევ „შემხვედრ გეგმას“ დაუბრუნდნენ.

— სოიას გეგმა ჩამოგვაწერეს, ამხანაგებო! — დაიწყო ბონდომ. — სიმინდისა — ასი ცენტნერი — ოთხმოცზე ჩამოიყვანეს...

— ოთხმოცზეო...

— სადა გვაქვს ოთხმოცი, ან თუ გინდა ოცი ცენტნერი...

— დაიცათ ამხანაგებო. — ასწია ხელი ბონდომ დაშოშმანების ნიშნად. — მე არ დავთანხმდი... სულ უნდა ჩამოგვაწეროთ, ვერ გადავიხდით-მეთქი, გავიდგი ფეხი კალისტრატეს ჯორივით...

— ო, გიშველა ღმერთმა.

— ჰო და... დღესდღეობით აიღეს და საქმე შეაჩერეს. საბოლოოდ ყველაფერი ერთ კვირაში გადაწყდება... დარწმუნებული ვარ მთლიანად ჩამოგვაწერენ.

გაბრიელ მეხუზლამ და კოსტაიამ დავლური დაუარეს...

— გაგვაკეთე შენი ხელით და ის არის, — აჭყლოპინდა სიხარულისაგან კოსტაია. — რავა, კაცო, არტელიდან გასვლას როგორ ვიფიქრებ, მაგრამ აი, წლის მოსავალი თუ დამზადებაში წეიღეს, რაღას მოუცადოს მაშინ კაცმა-მეთქი... ისე, მართალი მოგახსენო, ძალიან ქე მიმძიმდა შეჩვეული ხალხის მიტოვება... ხუმრობა ხომ არაა, ერთი წელიწადი ერთად გვიმუშავია, სადილი და საუზმე ერთად გვიჭამია... ერთად ყოფნას რა ჯობია....

ბონდოს მოწყენილობის იერმა გადაჰკრა კოსტაიასა და მეხუზლას დავლურის ჩამოვლაზე. კოსტაიას სიტყვამ გული აუფორიაქა, მაგრამ... ქვას გავხეთქავ და ჩემსას გავიტანო, — დაუმოწმა ბონდომ თავისთავს...

დღესაც გააფთრებით იბრძოდა ბონდო რაიალმასკომში. მოსავლის ცხრილები ათვზის გასინჯა. მიწერ-მოწერა და საკანცელარიო წიგნები გადააქოთა,

საღვამიჩაოდან წარდგენილი ცნობები მოსძებნა, რაიონულს შეადარა... შეცდომა იპოვნა და მიწგანის გამგეს დაეტაკა — ეს რა გიქნიაო...

კვლავ გადაჩხრიკეს მოსავლის ამრიცხველი ცნობარები, „ერთ-ერთ-ერთ-

როსტომი მარტოდმარტო იდგა უკაცრიელ ბაქანზე და ქვალინისკენ იყურებოდა: ხან ჩუტა ელანდებოდა, ხან თბილისს მიმავალი ბონდო ოჩიგავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

* *

მეორე დღეს მთელი საღვამიჩაო ბონდოს თბილისში უეცრად გამგზავრებაზე ლაპარაკობდა. ბევრს უხაროდა: ყოჩაღი თავმჯდომარე გვყავს, ხელცარიელი არ დაბრუნდებაო. ზოგი თვითონაც უიმედობით იყო შეპყრობილი და სხვებსაც გულს უტეხდა: ვერაფერს გახდება, მთავრობის დადგენილებას ბონდო ოჩიგავა კი არა, ვერავინ ვერ შეცვლისო.

მთელი დღე ისხდნენ არტელის გამგეობის წინ, მზეს ეფიცხებოდნენ და განუწყვეტლივ ლაზღანდარობდნენ.

პაჭუ ხორავაც გაჩნდა განთიადელთა შორის. ჯერ გამგეობაში შევიდა, სესხად წაღებული მავთულის შესახებ ელაპარაკა გამგეობის წევრებს.... ძალიან გვჭირდება, თორემ არ შეგაწუხებდითო, — მოიბოდიშა განგებ ხორავამ და ერთი თვის ვადა დაუნიშნა არტელს ვალის გადასახდელად.

გამგეობიდან გამოსული არტელის წევრებში შეერია. ზოგზოგიერთი განზე გაიხმო და საიდუმლოდ გააფრთხილა: ხვალ-ზეგ ჩემს კანტორაში შემოიარე, საჭირო საქმე მაქვსო...

ბევრს ეუცხოვა ხორავას მიპატიჟება, ბევრი გაკვირვებულიც დარჩა. კიდევ უფრო განცვიფრდნენ გამგეობის წევრები, როცა შეიტყვეს, ხორავამ არტელის რამდენიმე წევრი თავის კანტორაში დაიბარაო. მაგრამ არ გასულა სამი-ოთხი დღეც და ყველაფერი ნათელი გახდა: გამგეობის სახელზე ნიაღვარივით წამოვიდა განცხადებები არტელიდან გასვლის შესახებ. მიზეზს არავინ ასახელებდა...

როსტომი და სარდიონ გოგოლაძე ერთმანეთს უსამძიმრებდნენ: ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს, ბონდოს რა პირით შევხედოთო.

არტელიდან გაქცეულნი კოლხიდმშენში მოეწყვნენ სამუშაოზე. ხორავამ ხელი გაშალა: ზოგს სანარდო მიუჩინა, ზოგს თვიური ხელფასი. ცოლშვილიანებს პურის ფქვილი გაუხერხა „რომელიღაც" ფონდიდან და ფართალიც შეპირდა, თუ... (ეს „თუ" იყო ყოველის განმსაზღვრელი) თუ გადმობირებული ერთ წელიწადს მაინც იმუშავებდა ჭაობში.

გაიგეს თუ არა გლეხებმა კოლხიდმშენში პურის ფქვილსა და ფართალს იძლევიანო, იხუვლა და მოსკდა მუშახელი მახლობელ სოფლებიდან. „შემხვედრი გეგმით" დამფრთხალმა არტელის წევრებმა უყოყმანოდ მიატოვეს ჯერ კიდევ ფეხაუდგმელი კოლმეურნეობები და ჭაობს მიაშურეს.

— რა გინდათ, მეზობლებო, — ჩუმჩუმად აქეზებდა ხორავა არტელებიდან გამოქცეულთ, — კოლმეურნეობაში ჯამაგირს არავინ გაძლევთ, წლის მოსავალი თუ რამე გაგაჩნიათ, სახელმწიფო დამზადებებსა და „შემხვედრ გეგმებს" არ ჰყოფნის... შიმშილით ხომ არ ამოწყვეტთ ოჯახებს. მოდით ჩემთან. ჯამაგირსაც კარგს მოგცემთ და სურსათ-სანოვაგესაც არ მოგაკლებთ.. კი არსად გამამხილოთ და... თუ ხელი არ შემეშალა, მანუფაქტურა და სამრეწველო საქონელიც „თავსაყრელი" გვექნება. თუ მუშა ხელი მაძღარი არ გვყავს, ამ ჭაობში ვინ იმუშავებს. გარდა ამისა, კაცი ოჯახს რომ სტოვებს და ქირაზე მიდის, ხეირსაც უნდა ხედავდეს სამუშაოში. იმასაც ქე წამოგაყვედრის, „არტელი მივატოვე და ჭაობს მოვაშურეო"... ჭაობში მუშაობა უფრო ძნელია, რაღა თქმა უნდა.... ისე, მეზობლებო, არტელისა და ჭაობის ამოშრობის საქმე რამ გაარიგა... ორივე საბჭოთა ქვეყანაში ხდება... ორივეს საბჭოთა მთავრობა უდგას სათავეში. მე თუ მკითხავ, ჭაობის ამოშრობის საქმეს უპირატესობაც აქვს.... არ-

ტელების გასაძლიერებლად ხომ მიწაა საჭირო... მიწას ჭაობის ამოშრობის შედეგად მივიღებთ... ასე, მეზობლებო! თუ ვინმე წაგედავათ, არტელს რატომ გაექეცითო, თქვენც უპასუხეთ: ორივე სახალხო საქმეა, საცა გვინდა, ჭ-ამოუშავებთ-თქო!

გასჭრა ხორავას ოინმა. არტელებიდან გამოქცეულნი საფუძვლიანად დამკვიდრდნენ კოლხიდმშენში. უმუშახელობით შეჩერებული სამუშაოები გამოცოცხლდა. ბევრი ახალი უბანიც შემოემატა მთავარ მაგისტრალს. ხორავა მკვეხარა მოხსენებებს გზავნიდა ცენტრში: მუშაობა გამოცოცხლდა.. მუშახელი საკმაო გვყავსო! არტელები კი საჩივრებს გზავნიდნენ ხორავას მიმართ იმავე კოლხიდმშენის ცენტრში: არტელის წევრები გადაიბირა, მუშახელი მოგვტაცა, არტელები დაშლის პირას არიან მისულიო.

საჩივრებს მთავრობაშიც გზავნიდნენ, მაგრამ კოლხიდმშენში ჯერჯერობით ჩვეულებრივი სიწყნარე იყო.

ხორავაც ჩვეულებრივ ცხვირაწეული დადიოდა.

ბონდოს ქალაქში გამგზავრების შემდეგ ტაროსი ერთბაშად შეიცვალა, მოულოდნელად დათბა. ორსამ დღეში თოვლი მთის კალთებზე აიკრიფა და ნამდვილი გაზაფხულის მათრობელი სუნი დატრიალდა ჰაერში. სამზეურსა და მიფარებულ ადგილებში ატმები გაიფურჩქნა, და ტყემალს ნუჟრი დაასკდა.

სოფლელებმა ამჯერად უყოყმანოდ გაიზაფხულეს. ხელმარჯვედ დატრიალდნენ ბაღჩა-ბოსტნებში. ვისაც ვენახი გაუსხლავი დარჩენოდა, მაკრატლები მოსძებნეს, მყნობის ოსტატებმა — დანა და კანაფი. ზოგმა თესლიც გაიტანა კარმიდამოს ყანებში.

— აწი სათესური აღარ ჩალპება მიწაში, მზეს სითბო მოემატაო, — გულდაგულ აიმედებდნენ ერთმანეთს ადრე მთესველნი.

იორდანემაც, სხვების მიბაძვით, ცუგულის დაძახებამდე დათესა ეზო-მიდამო, საღამოს პირად უკანასკნელი სვრელი გამოათავა და „დასამუხლებლად“ ბაღჩაში შევიდა. რიონის პირად უყვარდა იორდანეს დასვენება. ბახჩის სურნელი ორმაგ სიამოვნებას გვრიდა. დღესაც, შევიდა თუ არა ბაღჩაში, მზესავით შემოსცინა აყვავებულმა კეჟერამ. იორდანემ თვალები მოისრისა. დაქანცულ სახეზე სიხარულის კუნთები შეირხენ და შეთამაშდნენ. იორდანესაც გაბადრული ყვავილივით გაეღიმა. გადაზნექილი ტოტი გაუსწორა და ჩხირი დაუსო.

აქეთ-იქით მიიხედა: ნაძველა ბოლოკსა და მდოგვს შოლტებად აეტყორცნათ მსუქანი, საყვავილე ღეროები. კამასა და ცერეცოს იაპონური ქოლგებივით გაეშალათ მოყვითალო ქუჩუჩები.

იორდანემ ბავშვივით ააცმაცუნა ტუჩები, გეგონებოდათ ლოცულობსო, ისეთი აღზნებული სახით მიჩერებოდა სიცოცხლემოჭარბებული მცენარეების უკანასკნელ აზურმუხტებას.

— ჰაი გიდი! მცენარეულობაც რომ ჩამომავლობა-მემკვიდრეობისთვის იკლავს თავს! — წამოიძახა აღტაცებით.

იორდანე რიონის პირას გადადგა და ხავერდივით რბილსა და ფაფუკ მოლზე მოიკეცა. ჩიბუხი გააჩაღა და მოხეტიალე თვალები რიონის პირას ჩამწკრივებულ კვირტებდასუქებულ ალვებს გააყოლა. ალვებს შუა რიონს დააკვირდა... მღვრიე ტალღებს მოათამაშებდა დღეს ეს ონავარი.

იორდანე შეიჭმუხნა.

— ლანქერი წამოსულა! რა ადრე დათბა! — წამოისროლა ნაწყენი ხმით და ბახჩის კიდეზე გარღვეულ მიწას გადახედა. შარშანდელი წყალდიდობა მოაგონდა და უნებლიედ გააჟრჟოლა.

— რა ნაშენი მიწა წამართვა ამ გასაოხრებელმა! — ამოიგმინა ხმამაღლა, ნაშვავებს თვალი მოარიდა და ფაცხისკენ იბრუნა პირი. აგერ, მანდარინს წაეპოტინა იორდანე... ახალი ყლორტები ნაზად გადაუწია. ყლორტების ფაბლა თეთრი პეპლების ჯარი შენიშნა და თვალები გაუფართოვდა. სამწლიანი ბუჩქი აყვავებულიყო. დაიხარა, მოლიმარ პეპელას დაჰყნოსა.

— ყვავილსაც რომ საამო სუნი უდის... რა ქვეყანა გვაქვს! — წამოიძახა ხმამაღლა და მანდარინის ბუჩქის მახლობლად მოიფთხნა მოლზე. ნარინჯის ბუჩქებიდან ჭილობისოდენა კვალებად დატიხრულ ბოსტანზე გადაიტანა ყურადღება.

აგერ, მიწა შეირხა. გასკდა თოვლის შემდეგ წაბიცებული მიწის კანი და ნაკელის ფხვიერი ამოძრავდა. იორდანე ქვას წაეპოტინა. იფიქრა, ბოსტანს თხუნელა შემოჩვევია, აქაურობას გაოხრებსო და ქვა მოიმარჯვა.

მიწა კვლავ შეირხა. ქვამომარჯვებული იორდანე გაიტრუნა. ნაკელის ფხვიერიც კვლავ ამოძრავდა და ის იყო იორდანეს ქვა უნდა დაეხეთქებინა მიმიზნებულ ადგილას, რომ ოდაში ლიმონისფერი ლობიოს მარცვალი ამოძვრა მიწიდან, მხრები გაიქნია და ჩენჩო ჩერქეზულ ნაბადივით გადაიგდო ზურგიდან.

იორდანემ ხელი დაუშვა. ლობიოს ღერო წელში გაიმართა და მოყვითალო ლებნებმა პირველად შეხედეს გაზაფხულის კრიალა ცას, პირველად იბანავეს ჩამავალი მზის სხივთა არილში. ერთი სიცოცხლეც შეემატა ქვეყანას იორდანეს თვალწინ და გაოგნებულმა გლეხმა პირჯვარი გამოისახა. ცნობილი თუ ქვეცნობიერი ერთთავად ამეტყველდნენ ღვამიჩავას ტვინსა თუ გონებაში, ცხოვრების კანონის ახსნა-განმარტება მოითხოვეს, მაგრამ ხანგრძლივი დუმილის შემდეგ იორდანემ სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა: რა გაუგებარი რამ ყოფილა ცხოვრების კანონებიო....

დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული. დიდხანს ჩასცქეროდა სპილოს კანივით დაფრუშნულ მიწის ზედაპირს და მისი წიაღიდან აღმოცენებულ ცოცხალ არსებას.

— იორდანეს გაუმარჯოს! — შემოესმა ანაზდად.

თავი ასწია. პაჭუ ხორავა მოსდგომოდა ბაღჩის ღობეს.

— იცოცხლე, ჩემო ბატონო! — შემკრთალი ხმით დაუბრუნა სალამი იორდანემ, ფეხზე წამოდგა და მდაბლად დაუკრა თავი სტუმარს.

— რა გიჭირს, ჩემო ძმაო! — ღიმილით შემოაგება ხორავამ, — ამ ხაერდივით მოლზე მოგირთხამს ფეხი ახალციხის ფაშასავით, გარინდულხარ და უსმენ შაშვების საალამოს ლოცვას.

შაშვი მართლაც გალობდა მუხის კენწეროზე და იორდანემ ულიმღამოდ ჩაილაპარაკა: ლოცვა კი არა... ათასი დარდი მაწუხებსო. მოგვიანებით პაჭუს შეეხვეწა: ეზოში ჩამობრძანდი, პაჭუ ბატონო, ღარიბად კი ვარ, მაგრამ... „შუაღვინოს“ მაინც კი ვიშოვნი სამწყურვალოდო.

პაჭუმ მადლობა გადაუხადა და მეჩქარებაო, დაატანა თავაზიანად.

— ისე შენთან ცოტა საჩხუბარიც ქე მაქვს, ჩემო იორდანე! — შეაპარა ხორავამ მოთაფლული ხმით და იორდანეს მოჭუტული თვალით შეხედა.

— დამნაშავე ვარ, პაჭუ ბატონო, მაგრამ....

— მაგრამ რაღას უშველის, შე დალოცვილო... ერთი თვეა ფირალად ხარ გავარდნილი... კაცო, მთელი ზამთარი ჩემთან იმუშავე და რო გამოზაფხულდა ახლა გამექეცი?!. იქნება კოლექტივში ჩაეწერე?

— კოლექტივში კი არა... — შემკრთალი ხმით უპასუხა იორდანემ, თითქო სინამდვილის გამჟღავნების ეშინიაო.

— არა, თუ ჩაეწერე, დანაშაული შეგიმსუბუქდება... ბერულავას ნამოსახლზე მიწის ნაკვეთს შეგპირდენო, მართალია?

— ?!

— რას გაჩუმებულხარ, შე კაცო! ე რიონი რომ მოგდგომია ფაცხის ლაფარეზე, ვერ ხედავ ამას? ერთი რომ კიდევ შემოუტიოს რიონმა თავისებურად, ხომ შავ ზღვაში ამოგაყოფინებს თავს შენ და შენს ფაცხასაც... თუ გაძლევენ, ჩააფრინდი... ორივე ხელით ჩააფრინდი, შვიდობით იყავი!

შარა გადაყელა და საცალფეხო გზით გასწია საღვამიჩაოსკენ.

იორდანე ჯერაც ვერ მოსულიყო გონს... „წინათ მეუბნებოდა არ ჩაეწერო, კოლექტივი რა შენისთანა მუშაკაცის საქმეაო... ეხლა — სამოსახლოს ორივე ხელით ჩააფრინდიო... ღმერთო, ნუ გადამრევ! რომ ვფიქრობდი, გაწყრება და ქვეყანას დაანგრევს-მეთქი! ახლა კოლექტივში ჩაეწერე... სამოსახლოს ორივე ხელით ჩააფრინდიო“...

ჩაფიქრდა. ცხელ შუბლზე რამდენჯერმე გადისვა ხელი. „არა, რაღაც ამბავი კი არის ჩემს თავს... ვიღაცა, სადღაც ხაფანგს მიგებს, თორემ... ხორავასა და იორდანე ღვამიჩავას ასეთ ჭუჭუნ-მუსაიფი?! იმ დღეს სიკვდილს მიპირებდა — მალანიას სიტყვა როგორ შეუბრუნე, გაიძვერას დაძახება როგორ აკადრეო.“

კვლავ ჩაფიქრდა. რიონის ტალღებს გააყოლა თვალი.

— ფრთხილად იორდანე, — გასაგონი ხმით წამოიძახა ღვამიჩავამ, — შუა ხნის კაცი იოლად არ მოგატყუოს მოთაფლულმა სიტყვებმა...

ღობეზე მოყრილი გამხმარი ძეძვი აკრიფა და ფაცხისკენ წავიდა. ბახჩის კარი რომ მიხურა, გუგუნი შემოესმა. მიიხედ-მოიხედა. ცასაც შეავლო თვალი... მიყრუებული გუგუნი გაავებულ ზუზუნად იქცა და რიონის პირიდან ცხელი ნიავი შემოიჭრა იორდანეს ეზოში უცებ, გამხმარი ფოთლები და ჩალის ფურცლები დატრიალდა ჰაერში და იორდანემ ჩაბალახზე იტაცა ხელი, ხორშაკმა არ მომტაცოსო. დასავლეთისაკენ გაიხედა და ამტუტებულ სივრცეში ნათლად დაინახა იორდანემ, თუ როგორის სისწრაფით მოიგრაგნებოდა ათბალიანი ქვენა-ქარი.

იორდანემ ფაცხას მიაშურა: საჯორგი ლანდურები წამოუმატა ისლის სახურავს. საქათმეზე ორი-სამი ჯალანგარი შეაწყო და დაწყნარებული შევიდა ფაცხაში. ცეცხლს რომ მიუჯდა, მაშინ მოაგონდა ამ საღამოს მიხა ღვამიჩავასა უნდა წავიდეო დ მარინეს შეეხვეწა, ახალი წინდები მომიძებნეო.

ქვენა ელვის სისწრაფით მოედო რიონის სანაპიროებს და მთელი სოფლები ფეხზე დააყენა.

საღვამიჩაოს არტელის წინ ჯგროდ იდგნენ არტელის წევრები და ხმამაღლა ოხრავდნენ: სახურავი მაინც გადაგვეძრო იმოდენა სახლისთვისო.

— ვისი სახლია, მეზობლებო? — შეერია არტელის წევრებს უბნიდან დაბრუნებული პაჭუ ხორავა.

ზოგმა პირი მოარიდა ხორავას. ზოგი პარმაღზე ავიდა, ვითომ არ გაუგონიაო ხორავას შეკითხვა.

ბოკუჩა ჯალალანიას ძმას ენამ წაუსწრო და დაწვრილებით უამბო ხორავას, ბერულავას სახლს სახურავი გადავხადეთ, კრამიტი იქვე ეზოში აწყვია, სახლის დარღვევას ხვალისთვის ვფიქრობდით და ეტყობა ავდარი აღარ დაგვანებებსო.

— წაბლის მასალაა, ნუ გეშინიათ, არ დალპება ორი დღის წვიმით! — ანუგეშა ხორავამ განთიადელები და ამის მეტი კრინტიც აღარ დაუძრავს, პირდაპირ ჭალადიდის სადგურისაკენ გაექანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

— ჯონდო ხარ?

— მე ვარ.

— რათ არ დამელოდე?

— გულმა აღარ მომითმინა, ბიძია პაჭუ! ცუდი სიზმარი ვნახე და თურმე... ცხადი ყოფილა.

ჯონდომ ისე ამოიხვნეშა, წამით ქარშეთის მოძალებული ზუზუნი დაფარა და გმინვა ქუხილად ჩაიძირა აქოთქოთებულ მიდამოებში.

— დაურღვევიათ? — თითქო კიდევ არ სჯერაო ჰკითხა ჯონდომ.

— დღეს სახურავის ახდა მოუსწრიათ მხოლოდ.

— უჰჰ! — ვეშაპივით დაიქშიტინა ჯონდომ.

— ღვამიჩავასთვის ბოსტნის ქვედა ნაკვეთი მოუჭრიათ.

— აკი არ ჩავსახლდებიო... ჩახუნდარამ...

— ეჰ, ერთი შენც! ჯერ არაფერი უთხრა. თვალზეც ნუ ეჩვენები... დაგაბეზღებს და დევნას დაგიწყებენ. ხომ იცი, რომ შენ შუაზიაში გაქცეულად გთვლიან... არავის დაენდო...

— ვიცი... მშვიდობით იყავი, ბიძია პაჭუ!

— ჭკუით...

ესლა გაიგონა ჯონდომ პასუხად პირქარში დარჩენილ ხორავასაგან, მაგრამ აღარ მობრუნებულა, მგელივით წაძუნძულდა საღვამიჩაოსკენ.

მაღალ ვახშმობისას შევიდა ჯონდო მამისეულ კარმიდამოში. ოდას შეხედა პირველად... შემდეგ წვრილ ნადგამობას მოავლო თვალი. ყველაფერი თავის ადგილას იდგა. ოდის წინ კრამიტი ელაგა მწკრივ-მწკრივად.

ჯონდო ეზოს მიუახლოვდა. შეჩერდა. ქარს თავი მოარიდა კვიპაროსს მოეფარა და იქიდან შეხედა ნაოჯახევს. არავითარი ჩქამი, არც სინათლის ჭიატი. სადღაც ხის ტოტებში გაჩხირული ჩალისფერი ბზრიალებდა გულშემზარავად. დროგამოშვებით სახურავაცლილი ოდის კედლები ჭრიალებდნენ ქარის ძლიერ წამოქროლებაზე. სიცოცხლის ნიშანი აღარაფერს ეტყობოდა. ოდის კიბესთან ჩალის ნაკვრეხი ეყარა. ეზოში ნეხვის ზვინები იდგა.

— ბოსელად გამიხადეთ ოჯახი? — აბურდღუნდა ჯონდო.

სამზადის წინ რაღაც შეირხა. წინა ფეხებზე წამოდგა და გასავათებული ბოხი ხმით დაიღლოფინა.

„ქელეშა ცოცხალი ყოფილა“! — გაეხარდა ჯონდოს.

თანაც გაუკვირდა, თუ ქელეშაა რატომ არ ანჩხლობსო.

ჯონდომ ჩაახველა.

ქელეშამ მხოლოდ ხმაურობაზე აიღო წელი, გაჭირვებით ორსამჯერ დაიყეფა და ლახლახით გამოექანა ხეივანისაკენ. შიმშილით ილაჯგაწყვეტილი პირუტყვი შეჩვეულ კარმიდამოს არ სტოვებდა. განთიადელებმა სათითაოდ სცადეს ქელეშას გადაბირება. შინ მიიყვანეს, აჭამეს, საწოლი მიუჩინეს, მაგრამ დანაყრდებოდა თუ არა, ქელეშა ბერულავას ეზომიდამოსკენ მიიჩქაროდა. იწვა ეზოში თვალმინაბული და მხოლოდ მაშინ ამოიდგამდა ენას, თუ ღიად დარჩენილ ჭიშკარში ვისმეს საქონელი შემოიპარებოდა.

ეს ერთი ხანია განთიადელებმა ბერულავას სამზადში ბოსელი გამართეს. საჯინიბოში ცხენები შერეკეს და ქელეშაც გამოცოცხლდა: ადამიანისა და საქონლის ხმა გაისმა დაყრუებულ კარმიდამოში, გაუქმებულ სამზადსა და საჯი-

ნიბოში კვლავ სიცოცხლე ჩადგა და ქელეშას საზრუნავი გაუჩნდა — როგორც ლამის გუშაგს.

ეს ერთი ხანია ლამით ფხიზლობას გადაჩვეულს, პირველად ეუბნა ... ლამისთევა. მაგრამ თანდათან გაბეჯითდა, ერთგულობას უბატა — ... ...

აქედან სამზადის უკან გავიდა ჯონდო. იქ ზვინი ეგულებოდა. განთიადელებს ზვინზე კიბე მიედგათ. ხუთასი კონა ჩალა გაენახევრებინათ.

ჯონდომ სასწრაფოდ გადმოთვალა ორმოციოდე კონა ჩალა, სამზადის წინ გამოიტანა და ბოსელსა და საჯინიბოს კუთხეებში მიაწყო, ამდენივე ოდის სუკანა ლაფარეში მიიტანა გაფიცხებული ჩალა და ოდის წინ გამოვიდა.

ქარი საკმაოდ შესუსტებულიყო. შავბნელი ღრუბლები ტროპიკულ თქეშით იმუქრებოდნენ.

ჯონდომ თვალი მოავლო დალუსკუმებულ ეზომიდამოს. ჩქამი არსაიდან ისმოდა, არც ვინმე გულღვიძლობდა ამოდენა სოფელში. სინათლე ყველგან ჩამქრალი იყო.

— ეხლა კი დროა! — გაიფიქრა ჯონდომ და ჯიბეში ასანთი მოაფათურა.

დანაყრებულ ქელეშას იქვე ჩასძინებოდა. ძილშიაც ალერსიანი ხმით კრუსუნებდა ღამის გუშაგი.

ჯონდო სამზადის წინ გაჩნდა. დაიხარა და ასანთს გაჰკრა. ჩაუქრა ასანთი. მეორეჯერ სცადა. მესამეჯერაც. ბოლოს, ფუჩეჩი მოძებნა, კუთხეში მიიყუჟა და თვალის დაფახურებაში მეწამული ალი დაიგრიხა სამზადის კედელზე. ანთებული ფუჩეჩი ოდის უკან შეწყობილ ჩალასაც შეუკეთა ჯონდომ, საჯინიბოც გააჩირაღდნა და ცალგვერდა სიარულით ეზოდან გაიძურწა. ცეცხლს თვალს არ აშორებდა — არ ჩაჰქრესო.

ჩქარა ხარების გულშემზარავმა ბღავილმა გააპო სივრცე და გაცოფებული ცხენების სასოწარკვეთილმა ჭიხვინმა ქვეყანა დააყრუა, მაგრამ...

ქელეშამ თვალი გაახილა. მოსწყდა და სამზადისკენ გაექანა. მისი საწოლი ცეცხლს ჩაენთქა. ეხლა ალი სახურავზე იკლაკნებოდა. პირუტყვთა წრიალი და შშფოთვარე ზმუილი ესმის ქელეშას, ცხენების ჭიხვინიც სასიკეთოდ არ ეჩვენება, მაგრამ რა უნდა ილონოს?

კვალს დაყნოსა და ფინდიხივით გავარდა. შუა ხეივანში ერთბაშად მოტრიალდა. თავი ველარ შეიმაგრა და წინა ფეხებით ჩაიკეცა, მაგრამ სწრაფად წამოდგა და ახლა საბოსტნესკენ გაექანა იმავე ძალღონით. მესერთან ჯონდოს მიუსწრო და პალტოს კალთაში ჩააფრინდა, უკან გამომყეო.

ჯონდომ იაზრა თუ საით მიეპატიჟებოდა მას ქელეშა, ისიც იფიქრა, — სინათლესა და საქონლის ხმაურობაზე იქნებ ვინმე გამოჩნდეს საშველად და დავილუპებიო. ძაღლს გაუწყრა და მესერს წაეპოტინა გასაქცევად.

ქელეშამ კვლავ ჩაავლო კბილი... ახლა უფრო მაგრად და უფრო მეტის თავგანწირვით... თანაც წკმუტუნსა და წკავ-წკავს უმატა, თითქო რაღაცას ემუდარებაო. პასუხად ჯონდომ წიხლი ჩააბალა და მესერზე ორივე ფეხი შედგა.

ქელეშა აინთო. სწვდა მესერზე აპოტინებულ ჯონდოს შარვლის უბეში. მოსწია და ამ ილაჯგაწყვეტილმა პირუტყვმა ეს ვეება ყაზახი ჭუჭულივით ჩამოიღო მესერიდან. ჯონდომ შეატყო, ეს ჭიდილი საკეთილოდ არ გათავდებაო, ჯერ მაუზერზე წაივლო ხელი... ხმა გამცემსო — გაუელვა და ბებუთი იძრო...

როცა ქელეშამ უკანასკნელად გაიზმორა ლობის ძირში, ჯონდო მესერს გადაახტა და დაუსრულებელ ტყეს მისცა თავი.

*

* *

მიხა ღვამიჩავას ოჯახში კარგა ხანს დარჩა იორდანე. ვადასიმ ვახშამი გამზადა; ასეთი იჩქითი სტუმრისათვის საგანგებოდ გადამალული ერთი დოქი დაბლარიც გამოაჩინა და საშინაო დაბალ სუფრაზე მიიპატიჟა იორდანე.

— ულვინო კაი ვახშამს, ქესატი ვახშამი მირჩევნია ღვინითო, — იტყოდა ცხონებული მამაჩემი და მართალი მოგახსენო, მეც მაგ აზრის ვარ. — სთქვა მიხამ.

— ჩვენ, ვეჟო, ვახშამიც კარგი გვაქვს და ღვინოც... — ჩაურთო იორდანემ, როცა შეატყო რომ მიხას ქარაგმა ბოდიშსაც გულისხმობდა: სამარხვო ვახშამზე ნუ დამემდურებიო.

მოდგნენ წვრილწვრილი ჭინჭილებით და სანამ დოქს გამოსცლიდნენ, არ დარჩენიათ მკვდარი და არც ცოცხალი უდღეგრძელებელი.

შეზარხოშებული იორდანე შუაღამისას გამოეთხოვა მხიარულ მასპინძელ'ს და ღიღინით დაეშვა სოფლის ორღობეში. თემშარაზე რომ გამოვიდა, ძლიერი შუქი ეძგერა თვალებზე. უთუოდ ავტომანქანა მოდისო გაუელვა იორდანეს და შარის კიდეს გამოყვა ფრთხილად.

ხელმეორედ მოანათა კაშკაშა სინათლემ. იორდანემ თვალები მოისრისა. შარას თვალი გააყოლა, მაგრამ პირი ჩქარა იბრუნა იქითკენ, საიდანაც სინათლე მოდიოდა.

იორდანემ ახლა გარკვევით დაინახა ხანძარი. ერთბაშად გამოფხიზლდა. გზა გადაყელა და პირდაპირ ბერულავას ეზოში გაჩნდა, გზადაგზა ხმამაღლა გაჰკიოდა, მომეშველეთო.

ეზოს მიახლოვებისთანავე საქონლის გულშემზარავი ზმუილი და ცხენების ჭიხვინი შემოესმა იორდანეს. არ დაიბნა. გარედან საგულდაგულოდ გამოკეტილ კარებს კოჭყურები დააგლიჯა. გაცოფებულსა და ნახევრად შეტრუსულ პირუტყვს გასაქცევი გზა მისცა.

ამასობაში სოფლელებიც მოგროვდნენ. ქალი თუ კაცი, არტელის წევრი თუ კერძო მეურნე ყველა აქ გაჩნდა. ზოგი ჩაფით, ზოგი კარდლებითა და ვედროებით მოარბენინებს წყალს, ერთი ჭის თავზე დგას და გამუდმებით ამოაქვს წყალი. წვიმამაც იმატა, ბოლოს თქეშიც წამოვიდა, მაგრამ წვრილნადგამობათაგან ერთი ფიცარიც არ გადარჩენილა. ოდის უკანა ნახევარი მთლიანად დაიწვა, წინა კედლებიდან გადარჩა რამდენიმე ქილიში, სარტყელ-საძირკველი და შერუჯული ფიცრები. პარმაღი უვნებლად გადაარჩინეს.

გათენებისას ბერულავას ეზო-მიდამოზე მუსლიმანურ მინარეთებივით იდგა გაჭვარტლული და გაკვამლული ქვის ორი ბუხარი. აქაიქ უწესრიგოდ ეყარა დანახშირებული წაბლის როკები და ბოლქვა-ბოლქვად დაჩინჩხვარებული ნახშირი. ტანწერწეტი კვიპაროსები საოცრად დაემახინჯებია საზარელ სტიქიას.

იორდანე მეზობლებს შორის იდგა და უკვე მეათეჯერ ყვებოდა თავიდან პირველად ცეცხლის დანახვისა და პირუტყვის გადარჩენის ამბავს.

სახელმწიფო პოლიტსამმართველოს რწმუნებულმა დაწვრილებით ჩასწერა იორდანე ღვამიჩავას ჩვენება. რწმუნებულმა იცნო იორდანე და ოფიციალური დაკითხვა მახლობლურ საუბრად იქცა.

— ვინ წაუკიდებდა ცეცხლს შენი აზრით? — ჰკითხა რწმუნებულმა იორდანეს.

იორდანემ თავი ასწია. წვერულვაში ჩამოისწორა, ამ მოკლე პაუზის დროს თვალი მოავლო იქაურობას, ხომ არავინ მიყურებსო და დამაჯერებელი კილოთი უპასუხა: ვინ იქნება, თუ არა ბერულავას ვაჟიშვილიო.

— ამბობენ, თითქო გაქცეულაო?!

— არა მგონია გაქცეული იყვეს.

— კეთილი! — დაამთავრა რწმუნებულმა იორდანესთან საუბარიც და რაღაც შორეული ასოციაციით ბოკუჩა ჯალალანიას უეცარი სიკვდილი მოაგონდა (ეს საქმე ჯერ კიდევ კვლევა-ძიებაში იყო).

არტელის წევრები თავგზააბნეული ეზიდებოდნენ ურმებზე გამურულ ფიცრებსა და ლანდურებს.

როსტომი და სარდიონ გოგოლაძე ჭკუას კარგავდნენ: ეს კიდევ რა უბედურება გვეწია, ბონდოს რა პირით დავუხვდეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

ბონდომ დაიგვიანა.

წერილიც არ მოუწერია ამხანაგებისთვის. არც დედისთვის უცნობებია რაიმე. საბრალო მოხუცი ლოყებს იპოტნიდა: ცუდი რამ არაფერი შეემთხვეს ჩემს თვალისჩინსო.

F 430.

არანაკლებ სწუხდნენ არტელის წევრებიც. უდედო წიწილებივით დაბნეულნი დადიოდნენ, მოძალებულ საგაზაფხულო სამუშაოების დროს რომ თავმჯდომარეს თავის ადგილას ვერ ხედავდნენ. ბონდოსთან წინასწარ შეუთანხმებლად გაკეთებულ საქმეს ეჭვის თვალით უყურებდნენ.

არტელში ისეთებიც იყვნენ, რომ აინუნშიაც არ იგდებდნენ გაზაფხულის დადგომისა, და გადაუდებელი სამუშაოების ადრე მოთავებას, მაგრამ ასეთები თითო-ოროლა თუ დარჩა კიდევ არტელში; გასაქცევი ვინც იყო, ბონდოს ქალაქში გამგზავრებისთანავე გაიქცა და ხორავას შეეკედლა.

სარდიონ გოგოლაძე და როსტომი თან სწუხდნენ და თანაც ბრაზობდნენ ბონდოს შეყოვნების გამო. სწუხდნენ: ვაი თუ ფათერაკი რამ შეემთხვაო, ბრაზობდნენ კიდევ იმიტომ, რომ თუ კარგად არის, რატომ არაფერს იწერება, ასეთ ცეცხლისკიდების დროს როგორ მიგვატოვაო.

ბერულავასეულ სახლკარის დაწვის შემდეგ სულ იმას ეკითხებოდნენ ერთმანეთს, ბონდო რომ აქ ყოფილყო, ნეტა ეს უბედურება თუ გვეწვეოდაო. რატომღაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბონდოს შინ ყოფნა სახლს დაწვას გადაარჩენდა და არც ის შვიდი-რვა კაცი გაიქცეოდა არტელიდან, ხორავამ რომ გადიბირა ბონდოს ქალაქში გამგზავრებისთანავე.

არტელი მუშახელის ნაკლებობას განიცდიდა. სამუშაოები კი ერთიმეორეს უსწრებდნენ.

როსტომმა ნარინჯის გადარგვასა და მყნობას დაუთმო მთელი ყურადღება და შუამარტამდე მთლიანად მოათავა გადარგვისა და მყნობის საქმე.

მყნობაში ჩუტაც შველოდა არტელს. სკოლიდან დაბრუნებული ის თითქმის ყოველდღე სანერგეში მიიჩქაროდა და დღეღამის გაყრამდე თავაუღებლივ ჩაკირკიტებდა სათუთსა და თანაც ძარღვებისმომშლელ სამუშაოს.

ჩუტას სიახლოვის გამო როსტომი ადგილს ვეღარ პოულობდა მოსასვენებლად და თავისთავს ხშირად აყვედრიდა. ეს რა მემართება, სად ვაჟკაცობა და სად „რაღაც სიყვარულობია"-ო, მაგრამ რაც დღე მიდიოდა, როსტომი თავშეკავებისათვის ძალასა და ნებისყოფას ვეღარ პოულობდა. მიყვებოდა ქვეცნობიერ მორევს ყმაწვილკაცურ გატაცებას და მისდაუნებურად ღამეებს თეთრად ათენებდა...

ამხანაგებთან დამოკიდებულებაშიც ცვლილება დაეტყო როსტომს. ფიცხი ის მუდამ იყო. პირდაპირობაც ყოველთვის ახასიათებდა, მაგრამ ამ უკანასკნელად, სიფიცხეს ავადმყოფური მიზეზიანობაც ზედ დაერთო. ქარიანობაც ... ბაც. სრულიად უსაბაბოდ მყნობელებს ნამუშევარს უწუნებდა და უმნიშვნელო რამეზე ერთ ორომტრიალს ასტეხდა. ან კიდევ მთელი დღე მოღუშული იჯდა და დანა პირს არ უხსნიდა. ზოგჯერ ისე ღრმად შესტოპავდა ფიქრებში, რომ ხელში აღებული სამყნობი ნერგი ავიწყდებოდა და მანამ იდგა ასე გალენჩებული, სანამ ვინმე სიცილს აიტეხდა როსტომის საქციელის გამო.

როსტომი ასეთ დროს წითლდებოდა ხოლმე. დამცინავებსა და ლაზღანდარებს შენიშვნასაც არ მისცემდა. ვითომ არ შეუმჩნევიაო. ერთ დღეს ფიქრებში გადაკარგულს სამყნობი დანა გადაავიწყდა და გონს მოსვლისას დანა მომარჯვებული ხელი ისე მძლავრად გაიქნია უცაბედად, რომ მარცხენა ხელზე საჩვენებელი თითი ძვლამდე გადიბასრა.

— რა მოგდის, როსტომ; — მკვახედ შენიშნა ჭრილობის დანახვით გულშეწუხებულმა ჩუტამ.

— არაფერია! — მორცხვად მიუგო როსტომმა. — ჭრილობას თუთუნი დააყარა და ცხვირსახოცით შეიხვია.

ჩუტა გასწყრა: როგორ იქნება ჭრილობისადმი ასე გათამამებაო, ეხლავე გავიქცევი — იოდსა და მარმაშს მოვარბენინებო, მაგრამ როსტომმა არ გაუშვა. მოხერხებულ დროს ყურში ესლა წასჩურჩულა ჩუტას: შენმა შემხედვარემ რატომ ყელი არ გამოვიჭერიო.

ჩუტა დაიბნა.

მას მოაგონდა როსტომთან ამასწინანდელი შეხვედრა არტელის სანერგეში... მოაგონდა როსტომის დაბნეულობა და ამღვრეული თვალები... შეადარა როსტომის დღევანდელი საქციელი იმ სალამოსას და გადაჭრით სთქვა: როსტომი „კარგის“ თვალით არ მიყურებსო.

ჩუტამ მოიწყინა. მოწყენას დაბნეულობაც ზედ დაერთო და თუ აქამდე როსტომის საქციელი იწვევდა სიცილს ტოლამხანაგებში, ეხლა როსტომს ჩუტაც წამოემატა.

დღეს სამუშაო ნორმაც ვერ შეასრულა კარსანიძის ქალმა. ნამყენები სამგზის გადასთვალა, მაგრამ ოთხასს ვერ გაშორდა. (ჩვეულებრივ კი ხუთასს ნარინჯს ამყნობდა ჩუტა ნახევარი დღის განმავლობაში).

ჩუტამ კიდევ უფრო მოიწყინა.

ბრიგადის ხელმძღვანელმა განგებ არ მისცა შენიშვნა ჩუტას, რადგან შეატყო, რომ აქამდე ყოველთვის ხელმარჯვე გოგონა ისედაც მწვავედ განიცდიდა დღევანდელ მარცხსა და ჩამორჩენას.

დაბინდდა.

განთიადელებმა სამუშაოზე ხელი აიღეს და აქეთიქით დაიფანტნენ. ჩუტა ჯერ კიდევ გამალებით მუშაობს სანერგეში. ფიქრობს იქნება როგორმე ნორმა ავინაზღაუროო, მაგრამ უკანასკნელად რომ დასთვალა გარდამეტი ნამყნობი, ოცდაათი ძირი მაინც დააკლდა.

უხალისოდ გასწია ჩუტამ შინისაკენ. თავჩაღუნული გამოვიდა სანერგედან და განზედ არ მიუხედავს, პირდაპირ სოფლის ორღობეში გაჩნდა გზის შესამოკლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომი, თითქო ამას ელოდაო, ფეხდაფეხ გამოუდგა ჩუტას. ორლობის პირველსავე მოსახვევში წამოეწია და როყიოდ ჩაილაპარაკა, ეს ოხერი რა ადრე დაღამდაო.

დიდხანს იარეს გამგუნებულებივით. ურთიერთის სუნთქვასღა უგდებდნენ ყურს ხმაგაკმენდილი თანამგზავრები.

მოგვიანებით, როსტომმა დიდის წვალებით გაბედა ხმის ამოღება და ჩუტას ტლანქად შეეკითხა, ჩუტა, რატომ ხარ მოწყენილიო.

— არ ვარ მოწყენილი.

ისევ დადუმდნენ.

ასეთმა თავბოლომოკვეთილმა პასუხმა როსტომს დიდიხნით წაართვა მეტყველების უნარი. თითქო გონებაც შეეკრაო, უბრალო წინადადებას ვერ მოუყარა თავი საუბრის აღსადგენად.

როსტომმა თემშარისკენ მიუხვია. იფიქრა, მოდი ვნახო, ჩუტაც ამ გზით წამოვა თუ არაო.

ჩუტას შეეძლო ორლობე გადაეყელა და ორიოდ წუთის შემდეგ შინ ყოფილიყო, მაგრამ არც კი დაფიქრებულა, როსტომს მხარდამხარ გაჰყვა.

როსტომს სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა. კარგი ნიშანიაო, — გაუელვა და ეხლა იმასღა ნანობდა, ორლობეში რომ თხრილებზე გადმოვდიოდით, რატომ ხელი არ ვახლე ჩუტას, რატომ ხელიხელგაყრილი არ გამოვყევიო.

ღმერთს ბავშვივით შეევედრა: ღმერთო, ერთი ტალახიანი ცუდი გზა შემახვედრე შინ მისვლამდეო, მაგრამ მოკენჭილ შარაზე ტალახს რა დააყენებდა.

შემდეგ ასე გადასწყვიტა: მოდი, გამოვდებ ხელს, თუ გასწყრება, ისევ გავუშვებ, თუ არა, გავკეთდები და ის იქნებაო.

გადასწყვიტა და მიახლოებაც დააპირა, მაგრამ გამბედაობა ბოლომდე აღარ შერჩა. აფათურებული ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიწყო, თითქო სიცივეს ერიდებაო.

— ჩუტა, რატომ მტანჯავ?! — აღმოსკდა როსტომს ერთბაშად და ცოტა ხანს უკან თვითონ გააკვირვა, ეგ რა წამოვროშეო. ჩუტას მაინც შეატყდა თვალში, — რანაირ პასუხს მომცემსო.

— რა გტანჯავს, როსტომ? — გულუბრყვილოდ გაიკვირვა ჩუტამ.

— „რა“ კი არა... შენ მტანჯავ.

— მე? არაფერი არ მესმის.

— გული რომ გქონდეს.... გაიგონებდი...

— განა გულითაც უსმენენ?

— არა, მაგრამ გული გულს იცნობსო, — გამიგონია... შენ უგულო მეჩვენები.

ისევ დადუმდნენ.

გზადაგზა როსტომმა უკანასკნელი გამბედაობა მოიშველა და ჩუტას მოკრძალებულად შეახო ხელი მკლავზე.

ჩუტა გაირინდა.

როსტომი კიდევ უფრო წათამამდა და ქალის მკლავი ნიჩბისოდენა თათში ამოიმწყვდია. ხელის მოჭერას მოერიდა, კოჟიჟებმა ნაზი კანი არ ატკინოსო, მა-

გრამ როსტომისთვის სრულიად მოულოდნელად ჩუტამ თავისი მკლავი ტანზე მიიკრა და როსტომს ჟრუანტელმა დაჰკრა თხემიდან ფეხის ფრჩხილებამდე.

კიდევ კარგა ხანს იარეს ხმაამოუღებლივ. როსტომი ეხლა სულ ინანებ-ნატრობდა, გზა გამიგრძელდეს და ჩუტა ხელიდან არ გამისხლტესო.

მთვარე გადმოადგა აჭარის ქედს.

ლიმონისფერი შუქი რძესავით ჩაიღვარა კოლხეთის მიდამოებში.

როსტომმა და ჩუტამ ერთდაიმავ დროს შეხედეს გაბადრულ მთვარეს.

— ამბობენ, მთვარე შეყვარებულთა მფარველიაო. — დაარღვია სიჩუმე როსტომმა.

— არ ვიცი... შეყვარებული რომ ვიყო, იქნებ მეც მეგრძნო მისი მფარველობა.

— არავინ გიყვარს ჩუტა? — უხელთა დრო როსტომმა..

— ჯერ არავინ.

— არც არავის შეიყვარებ?

— სანამ სწავლას არ მოვრჩები... არა.

— აკი, წელს ამთავრებ საშუალოს.

— უმაღლესი?

— ერთი შენც. ქალი და უმაღლესი. უმაღლესს შემდეგაც მოესწრები. — გამოასწორა შეცდომა როსტომმა.

ჩუტამ ირიბად ახედა როსტომს. კომკავშირელს დამიხედეო, დაუქნია თითი მუქარის ნიშნად. და მანამ არ მოეშვა, სანამ როსტომს ბოდიში არ მოახდევინა. როსტომმა მობოდიშებაში დრო უხელთა. ჩუტას ხელი ჯერ გულში ჩაიკრა და გათამამებულმა ტუჩების შეხებაც განიზრახა, მაგრამ უცებ შეკრთა და ხელზე საკოცნელად დახრილი თავი მაღლა ასწია.

კიდევ კარგა ხანს იარეს ხმაამოუღებლივ. როსტომი ხანდახან არწივისებურად დახედავდა ჩუტას ზევიდან, ხან თავს დახრიდა — თითქო ჩუტას რაღაც უნდა წასჩურჩულოსო, მაგრამ დრო შეუმჩნევლად გარბოდა, გზა მოკლდებოდა... სადაც იყო, ჩუტა შინ შეუხვევდა, როსტომს კი ჯერაც ვერაფერი ეთქვა მისთვის. ტყუილუბრალოდ ატარა დაქანცული გოგონა ამსიშორე გზით, ხვაშიადი მაინც ვერ გაუმხილა.

— ჩუტა! — თითქო რაღაც უნდა შეემუდაროსო, ერთბაშად აღმოხდა როსტომს.

— რა გინდა?

როსტომი შედგა. შეყოყმანდა ერთი წამით და ძლივს მოხვეჭილი გამბედაობა სადღაც გაქრა.

— რატომ არაფერს იტყვი, როსტომ!

— იცი რა, ჩუტა! ვთქვათ გამოჩნდა ვინმე თავხედი... — შებორძიკდა როსტომი, მაგრამ ეძალა და ისევ რიხით განაგრძო: — მოვიდა შენთან და უმაღლესში მოწყობამდე.. სიყვარული გამოგიცხადა. მაშინ?

— უარით გავისტუმრებ.

— რომ არ იყაბულოს?!

— ნეტა ვინ იქნება მართლაც ისეთი თავხედი, რომ სწავლაზე ხელი ამაღებინოს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუნდაც... შენი კარგი ნაცნობი და ამხანაგი... როსტომი.

ჩუტა შეკრთა. ირიბად შემოხედა როსტომს მთვარის შუქზე და ღიმილით უთხრა:

— მე როსტომზე ასეთი ცუდი წარმოდგენა არა მაქვს.

— რა არის აქ ცუდი?

— ძალდატანებაზე ცუდი და გასაკიცხავი რაღა არის ამ ქვეყანაზე.

— რა? მწუნობ თუ? — გაფიცხდა როსტომი.

— დაწუნება არაფერ შუაშია... მოვრჩები სწავლას და არჩევანსაც მაშინ გავაკეთებ.

— მე ეხლავე მოველი პასუხს, ჩუტა!

როსტომი შეჩერდა. ოდნავ უხეში ჟესტით ჩუტაც თავისკენ შემოაბრუნა და თვალებში შეატყდა.

— რამ გაგაგიჟა, როსტომ!

— სიყვარულს სიგიჟეც თან ხლებია... ნუ გაგიკვირდება.

— მე ვერაფერ პასუხს ვერ გაგცემ...

— არ მოგწონვარ? — ამოიდგა ენა როსტომმა და თავგზააბნეულ გოგონას სული ალარ მოათქმევინა, ისე სხაპასხუპით წაუშინა შეკითხვები.

— მოწონება სიყვარულს როდი ნიშნავს...

— მწუნობ? — კვლავ გაიმეორა როსტომმა.

— არ გწუნობ და არც... ჩემი პასუხი ვგონებ გასაგები იყო.... ისე არც ძალიან მოსაწონია, რომ კომკავშირელი ვაჟი შვიდწლედის ამარად აპირებ დარჩენას. მაგ ცოდნით შორს ვერ წახვალ.

როსტომი ჩაფიქრდა.

— უსწავლელობით მწუნობ! — მოგვიანებით ამოღერღა როსტომმა.—რომ ვისწავლო?

— ისე მელაპარაკები, როგორც ჩვენი თანამედროვე რომანისტების შეყვარებული გმირები ეუბნებიან ერთმანეთს, სანამ დამკვრელი არ გახდები არ გამოგყვები, სანამ ტრაქტორისტი არ იქნები არ შეგირთავო... მეც ის-ღა დამრჩენია გითხრა, ისწავლე, ჩემო როსტომ, გახდი აგრონომი, ან ინჟინერი და გამოგყვები-მეთქი.

— მოგიკვდეს როსტომი! — ჩაურთო ფიქრებში წასულმა როსტომმა. ჩუტას სიცილი აუტყდა... ქარაგმას ვერ მიმიხვდაო.

როსტომი კვლავ შეეკითხა: რომ ვისწავლო?

ჩუტამ ხელი მისცა და გამოთხოვების ცერემონიის დროს უსიტყვოდ აგრძნობინა, თუ ისწავლი, თანახმა ვარო. უკანასკნელად ერთხელ კიდევ მოუჭირა ხელი ხელზე და წასვლა დააპირა, მაგრამ როსტომმა მთელის არსებით თავისკენ მოიზიდა, ჯერ მკერდზე მიიკრა, მოულოდნელად თავი გადაუწია და გაოგნებულ ჩუტას ყურის მახლობლად აკოცა. ჩამოშლილმა კულულებმა ხელი შეუშალეს როსტომს ნაღდ კოცნაზე, მაგრამ ჩუტას მაინც ნაკვერცხლებივით მოხვდა როსტომის ტუჩები და როსტომს კი ასე მოეჩვენა, თითქო ანთებულ თაფლის სანთელს დააკრა ტუჩები.

— როსტომ! — ჩურჩულით აღმოხდა განცვიფრებულ ჩუტას. მას მოეჩვენა მთელის ხმით დავიწივლეო, მაგრამ სინამდვილეში როსტომმა ძლივსძლივობით გაიგონა ნაზად წარმოთქმული სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუტა კალმახივით გასხლტა და ეზოში შეირბინა.

ის ღამე თეთრად გაათენა ჩუტამაც. ეს იყო პირველი თავისდაუნებური ღამისთევა ჩუტასი.

იმ ღამით თვალი არ მოუხუჭავს როსტომს. ჯერ დაწოლა არ აშველა. იჯდა პარმაღზე და მთვარეს შესცქეროდა გაშტერებული. ნაშუალამევს, როგორც იქნა, ჩაწვა ლოგინში, მაგრამ თვალს რული არ მიეკარა. სულ შამფურივით ტრიალებდა, სანამ მაგრა არ მოიქანცა და გვერდები არ დაებეგვა მოუსვენარ წრიალისაგან. ბოლოს, გულღმა გაიშოტა და აბეზარ ფიქრთა ჯგროს მიანდო გულისყური. ხან საით მიაქანებენ როსტომს ეს ფიქრები და ხან საით:

„... შეყვარებული როსტომი რაყიფს შეეყარა. ბუღებივით შეუბღვირეს ერთმანეთს. დასაჯახებლად აიქოჩრენ. როსტომმა უგვერდა გამოქანებულ მეტოქეს და ჯირკვივით გააგორა...“

„... როსტომი ქალაქში სწავლობს. თავაუღებლივ ჩაჰკირკიტებს აგრო-ტექნიკურ დისციპლინებს. უძნელდება საგნების დაძლევა. ამ ოხერმა ქიმიამ გული გააწყალა. დღეღამეს ასწორებს როსტომი... და, სახელმწიფო გამოცდებს ფრიადებზე აბარებს...“

„... ჩუტა და როსტომი ახალ ოჯახს ქმნიან. ჩუტას ფეხმძიმეობა ემჩნევა. როსტომი ჩუმჩუმად იღიმება: მემკვიდრე გამიჩნდებაო...“

ირიჟრაჟა.

როსტომი ბურუსიდან გამოერკვა. დაბეგვილი წამოდგა ლოგინიდან, თითქო მთელი ღამე ქვა აზვიდინესო. ეზოში გამოსულს გუგულმა დააძახა თავს „თესე — კაფე“-ო და როსტომი აჩქარდა — სამუშაოზე არ დამაყოვნდესო.

ფეხებს ძლივს მიათრევდა როსტომი.... ზურგიდან რომ ვინმეს შეეხედნა, იტყოდა: ხანშიშესული ვიღაც მიღონღიალობსო.

ალრენილ გუნებაზეც იყო როსტომი. ეზოდან გადასვლისას ჭიშკარი „ღრიჭოდ“ დარჩა... მიბრუნდა და ბრაზმორეულმა ისე მაგრად მიახეთქა ჭიშკარი დედაბოძს, რომ კოჭყური მოაგლიჯა.

ბურტყუნით გაჰყვა ორღობეს. შარაზე იორდანე ღვამიჩავას შეეფეთა და ჯვარს აცვა: არტელში რატომ არ შემოდიხარო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

ჯამბული

ჩემი დროც მოვა და სიმღერებით
მეც მოვხუცდები, როგორც ჯამბული,
მკერდზე მეყრება თეთრი წვერები,
როგორც ჰკიდია კედელს ჩანგური.

ვინ დამიძრახავს მგოსანს სიბერეს,
გულში ჩავრჩები მრავალ შვილისშვილს;
ერთხელ დავტოვებ მყუდრო იმერეთს
და საგალობლად მოვალ ტფილისში.

ტოლებს ნამდვილად გემახსოვრებით,
ვინაც სიბერით დამშვენებულა;
მოდით, მოვნახოთ სწორმა სწორები
და შევიყაროთ კვლავ ჩვენებურათ.

არც თქვენ იქნებით სულზე მიმდგარი,
არც მე მექნება ხმა დაჟანგული
და ვთქვათ ბელადზე ჰანგი იმგვარი
დღეს რომ გულლიათ მღერის ჯამბული.

1/X—40.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

შენი სარკმელი

მოვიდა ღამე, ფრთა შეახო ყვავილთა ფურცლებს,
დახედა ქუჩებს უხმაუროდ და მოკრძალებით.
მოვიდა ღამე... აელვარდა თბილისი უცებ
და ვარსკვლავებად მიმოფანტა შუშის თვალები.
მაგრამ შევნიშნე, ამ ქალაქის დიდ სინათლეში,
რომ ადრინდულად არ გაბრწყინდა შენი სარკმელი...
ოცნებებიდან სინამდვილის კიბით დავეშვი,
შევხედე ჭანდრებს და შრიალი მესმა ნაკლები.
ასე ვიგრძენი შენი ბინა გამოკეტილი,
როგორც წყენა და უეცარი წვიმით სისველე.
სად გინახულო! შენ აქ არხარ, მუდამ კეთილი,
სად გესაუბრო! გუგულივით სოფლად ისვენებ.
ალბად, ერთობი, გალხენს სუნთქვა ტყის და ბალახის,
ფრინველთა ფრთებით მოხატული ზეცის თაღები...
მაგრამ თბილისიც ლამაზია, ჩვენი ქალაქი,
ჩვენი გრძნობათა დარბაზების კარის გამღები.
დავდივარ ჩუმად და განცდები მძაფრად ღვივიან.
იცინის მიწა. ღიმილია ჭმუნვის შემცვლელი.
ვხვდები შენს ტოლებს თეთრ კაბებში, შენებრ სხივიანს
და ჭიკჭიკობენ, ჭიკჭიკობენ, როგორც მერცხლები.
მღერის ცხოვრება სიჭაბუკის ვარდად გაშლილი.
რა მგზნებარე და რა ვრცელი აქვს ქალაქს ოცნება!
ხშირად ქუჩებში გამოჩნდება შენი აჩრდილიც,
გაიბადრება მთვარესავით და დამოიცხვდება.
ხარობს თბილისი. აქ ეროდეს არ გავხუნდები,
მუდამ მექნება სიმღერებში შრომის დიდება.
წავა ზაფხული, შენც ამ ქალაქს დაუბრუნდები,
შენი სარკმელიც გაიღება და გაბრწყინდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

რომანი ლექსად

საბჭოთა საქართველოს
ოცი წლის თავისთვის

კარი პირველი

I.

«მე ისევ მამის კარზე ვარ,
მსურს ჩემი მოსვლა ვახარო:
— მამა ხარ ჩემი, გარსევან,
თავადო ამილახვარო!
შვილი სისხლი და ხორცია! —
გულში ჩამიკრა ხალისით,
და მერე ხარბად მოსწია
ისევ ჩიბუხი თავისი.
ვხედავ ჩრდილივით ამართულს
დადის, დარდები აშლია, —
თამბაქოს ბოლიც თავადურ
ულვაშებივით აჩნია...
დაუჩაგრიათ განწირვით
ბერი არწივი ძლიერებს!
ბუდეც არ ხაროობს არწივით,
შემკრთალი ვათვალიერებ:
სულს ამოითქვამს კაცივით
დარბაზის სიცალიერე...

II.

მე ისევ მამის კარზე ვარ,
და ჩემი ბედიც ეს არი, —
— ვაების გარდა გარსევან,
რას გამაგონებ მკვნესარი!
მამული შუა გაიყო,
წარლვნას ამაოდ ვემალეთ, —
როგორც მეწყერმა წაილო
გადამთიელმა მევალემ.
მაგრამ ჯერ მაღლა ჰკიდია
ფარხმალი ამილახვრული,
ნოხიც არ გაუყიდიათ
აქ სადარბაზოთ აკრული,
ჯერ კიდევ წარუშლელია
დარბაისლური ჩვევანი,
ტახტს ირმის რქები შვენია,
წინ გაწოლილი მწევარი,
კედელსაც შემორჩენია
დამჭკნარი ყურძნის მტევანი...

III.

ერთი უბრალო მთა იყო,
მტკვრის დაჩრდილულის რიყითა, —
რუსთა ხელმწიფემ დაიპყრო,
სომხის ვაჭარმა იყიდა!
ბაღი ავდარმა დალეწა
მამულიც აღარ აყვავდა —
ფესვებ მოთხრილი დაეცა
ხე იგი, ამილახვართა!
ქარიშხლით გადათელილი
კვლავ გაიხარებს ვფიცავარ!
იმის ფესვებზე შთენილი
გამხმარი, შავი მიწა ვარ..
პეტერბურგიდან ლტოლვილი
დაკარგულ მამულს დავეძებ,
ნისლივით ცხრამთას მოვივლი
რომ ცრემლად მაინც დავეცე,
თქვენს მიერ გამოგლოვილი, —
თავთუხის პურის თაველზე...»

IV.

თქვა და გურამი კი არა, —
ქარცეცხლი დაიარება!
ქვეყანა აახმიანა
მუხლით გაღებულ კარებმა...
გაავებული ხელებით
მსახურს აჰგლიჯა აღვირი!
და ღამეს გაჰყვა ჭენებით
მიწის პირიდან აღგვილი...
ბნელში ათრთოლდა სანთელი
როგორც წამწამი დაღლილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვნესა გაისმა გამდელის
და მოურავის ძახილი...
აწ მილურსმული ფარხმალი
ხელთ არ აჰყვება არჩევანს, —
მოხუცი ამილახვარიც
დუმილით დაიტანჯება,
და ვით აჩრდილი მაღალი
დარბაზის კარზე დარჩება.

V.

ორი ლეკი ჰყავს დამცველად,
თავზე ადგანან თოფებით...
ღამეა უკანასკნელად
იმისი გამართობელი!
გამოვა, ხედავს: ღამითაც
ტივი მოჰყვება მდინარეს,
გადაუდგება ავი და
ხმა ჩახლეჩილი მძვინვარებს!
დაიმორჩილებს ჯერ იმათ
მედგარი განკარგულებით:
უნდა ესროლონ ჯარიმად
ნაპირზე ვერცხლის ფულები!..
ველს დაჰფენია გვიანი
შუქი და ჩრდილთა ქსოვილი,
ცა ათას ნაპერწკლიანი
თოვლივით გადმოთოვილი. —
ვერცხლიც ეცემა წკრიალით
როგორც ვარსკვლავი ცთომილი...

VI.

შორით: გურამ ამილახვარს
ველურივით ებრძვის გული, —
მამას ველარ დაინახავს
მიწის ბნელში ჩაკარგული!
ყელს გამოლრღნის თითო სიტყვა,
როგორც კლდეებს წყალთა დენა!..
სული ველარ ამოითქვა
ღამე ისე გაათენა...
სარდაფიდან ამოხედა
ალმართებზე ნაგებ თბილისს, —
შეეგება ჭადრის ხე და
მოშრიალე ბინდი ჩრდილის.
ხან ღიმილით და ხან მტრულად
აკვირდება ქალაქს მთვრალი:
აგრე მრუდეთ აგებულა,
თუ აებნა მართლა თვალი! —
ვინ დასტოვა გაბედულად
აივნების შუა მტკვარი...

VII.

დღეს ცისკარი გაულია,
ამოსულა მაღლა დილის
ღიმილივით გულმკერდ ღია,
ყვავილებით შეფოთლილი...
მხრების რხევით უნდა გავლა,
დაიმშვენა ჩოხით მკერდი, —
რომ ჩასწიხლოს რაც ისწავლა,
დაივიწყოს ჩრდილოეთი!..
ისევ ალისფერი ღვინით
ავსებულა მის წინ დილა,
და სახლებიც ლოთებივით
ქუჩის ბნელში მიწოლილან!
მთელი ღამე ხელგაშლილად
ულხენია მარტოდ გურამს,
ეხლა ღვინით გალეშილა
განთიადის ნისლი ჰბურავს, —
მაგრამ, თვისი კაეშანი
ველარც ღვინით განუკურნავს!..

VIII.

მთელი ღამე მარტო იყო,
სხვებს ესმოდათ გულის ძგერა...
ხელებს ხვევდნენ, ვერ გაეგოთ
მკერდია თუ ცეცხლის კერა!
ეხლა ბედკრულს აჰყოლიან
და ქუდებიც ჩაუკეცავთ, —
ერთხელ კიდევ დაჰკოცნიან
სალამურად გათლილ ლერწამს!
მედოლეს კი წარბი ჭროლა
უთამაშებს ქალაქურად,
შეუკერავს ჟღალი ჩოხა
და ხუჭუჭი ქუდიც ხურავს,
სიზმარივით მიწურვია
თვალი ხანჯლით გაკაწრული, —
მკლავ ქვეშ დოლი მოიმწყვდია
ყაჩაღივით გაბაწრული
რომ გოდებათ დარჩეს წყვდიადს
მათი ფიქრის დასასრული...

IX.

ნელა ღვივის გულში დარდი
და მკვნესარე სალამური,
ნელა ღვივის განთიადიც
მისი ცრემლით დანამული!
სალამურმა ამოლია
სულისთქმა და აამღერა,

დოლიც ისე აჰყოლია
როგორც მძიმე გულის ძგერა...
მზე მოადგა საყდრის გუმბათს
ამოშალა შუქით ჩერო, —
კალმის ერთი მოსმით უნდა
ძირს ლანდები გადმოწეროს.
ბევრი სხივი დაიბნევა
მოვა ერთი იმათგანი, —
ჯერ მტკვრის პირად ისევ ბნელა
ბილიკებზე არვინ არი —
რომ ნათდება შუქით ნელა
შორს, მანანას აივანი...

X.

ცას აჩნია ცრემლის ლაქად
მთვარეები ამოშლილი,
მათ გურამის თვალნი აგავთ,
წამწამების ახლავთ ჩრდილი...
შეპყრობილა ავი ვნებით,
მტკვრის ნაპირზე დადის ბნელად! —
და შემკრთალან აივნებიც
ფრთებაშლილნი ასაფრენად.
როგორც ღამის ბინადარმა
სავსემ ჩუმი მწუხარებით,
ყრუ კედელთან მარტო მდგარმა,
ყორანივით შესძრა მხრები!
სალამურის კვნესით ბნელში
შემოაღო მან ცისკარი, —
და თითებზე მდგარი თეფში
ეხლა ისევ სავსე არი —
მოტეხილი პური, თევზი
და ჭიქები მწყობრად მდგარი...

XI.

— ხედავთ? — ამბობდა გურამი, —
ვახლავარ ყარაჩოღელებს!
ნუ მიენდობა ნურავინ
ხელთ ვილაც რუსის მოხელეს...
ისევ მტკვრის პირას დავდივარ
პეტერბურგიდან ლტოლვილი,
გამოუთქმელი დარდი ვარ
უცრემლოდ გამოგლოვილი...
ამაოდ გავისარჯენით,
ბედიც მან დამაგმობინა, —
სწავლის მაგიერ სასჯელი
და სულთა ხთომა ყოფილა!..

ისმოდეს დილის საარი
ისმოდეს, გულსაც რა ტანჯავს,
თუ ეგ სამშობლო ცა არ[illegible]
ცისკრის ვარსკვლავი [illegible]
თქვას — ჩემი ხვედრი რა არი
საამილახვროდ რა დარჩა!..

XII.

სანამ თვლემდეს სალამური,
სიომ ფარდა ვერ აშალა, —
წამწამები დანამული
მისი მზერით ამომშრალან!
და ჩასჭიდეს მკლავში ხელი
ფიქრების ქვეშ მოხრილ გურამს, —
რომ საწუთრო მოსაწყენი
განუმარტონ ქალაქურად.
ყვავილები ფრთებ-აშლილი,
გულმკერდიდან მოიკრიფეს,
და ფოთლების სუნთქვა ფრთხილი
დაეფინა მაღალ კიბეს,
ვერც მოძებნონ უფრო წრთელი
ამბის მთქმელი იმათ გარდა, —
ტრფიალებით ვარდთ შეჰფერით
მოიყარონ მუხლი კართან
რომ შილიფად გამოფრენილს
დაუკოცნონ კაბის კალთა.

XIII.

და მზე დილის მოხალისე
რა გაჩაღდა ცეცხლის ფრქვევით, —
თავდახრილნი სამნი ისევ,
ჩუმად მიჰყვნენ გურამს ქვევით...
მაგრამ, თვალწინ ადგა ვილაც
ამოითქვა მძიმედ სული, —
კაცის ლანდი სჩანდა იქაც
შენობებში მომწყვდეული...
და გურამი შეაჩერდა,
ნაბიჯივით შედგა დოლიც,
მიაძახა: — მოდი ჩემთან,
გახდი ჩემი თანატოლი!
ღარიბი ვარ, საღიმილოთ
უარესი რა ითქმება!
მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო
იმედივით შინ მიმყვება
ან დალიე და ვილხინოთ
ან სისხლივით დაიღვრება!

XIV.

უცქეროდნენ, და უცნობი
მორჩილებით მხარბეჭს ჰხრიდა,
შეკრთა როგორც თანამგრძნობი,
ოაავი მათ არ მოარიდა,
შემოიხსნა ჩაბალახი
და წარმოსდგა მათ წინ მალე, —
ავთანდილის ნათელ სახით
ბრგე ვაჟკაცი მომღიმარე,
ალისფერად მთრთოლვარ ჭიქას
მიაგება ხელისგული, —
თქვა: დღეგრძელი კაცი იყავ
თუ ხარ ქვეყნად შერისხული!
გურამი კი ისევ დაობს
და აივანს სტყორცნა მზერა, —
სთხოვს: დალოცონ სათითაოდ
მისი ავი ბედისწერა, —
სადღეგრძელო არ მინდაო,
ხელი გულთან შეუჩერა.

XV.

ნიშანივით ამართულა
წინ მანანას აივანი...
და უცნობმაც თითქოს მტრულად
შეანათა უცებ თვალი!
მოერია ჯავრი გვიან,
და შეიპყრო უმალ ჟინმა, —
ჭიქა ხელში დაიმსხვრია
რისხვით წარბებ ჩამოშლილმა!
სისხლიანი ღვინო შავად
თითებშუა ჩამოსდინდა,
ჩაბალახით მოიმშრალა
და ხმა დაბლა თქვა: არ მინდა!
სურდა წასვლაც... მაგრამ: «საით!»
შეეგება გმინვა ხარბი, —
ანთებულა და სიავით
წინ გურამიც მოისწრაფის
და საზარლად კატასავით
წელს აიწევს შავი წარბი!

XVI.

მაინც ერთი წამი კმარა, —
ელვა ჩაჰქრა სატევარის!
და მარდ ნახტომს მოეფარა
იგი, ვილაც უეცარი...
როგორც თოფის ყელში ტყვია
გულში დარჩა გურამს ჯავრი,
გაშლილ მხრებზე მოეხვია
ისევ სამი თანამგზავრი...
მან მოარნა ავი თვალი
არე-მარეს ვით ალმასი! —
მდუმარებდა აივანი
და სარკმელი მანანასი...
იდგა ისევ... რომ: ნიავით
აიშალა თითქოს ფარდა!..
რომ: სარკმელში ქალის მკლავი
ნებიერად აიმართა, —
თითებს აჰყვა თმის ნაწნავი
და ბეჭდები აელვარდა...

XVII.

ვერ მოისაზრა რა იყო,
როგორ მოეპყრო, რაგვარად,
ხელთ ჭიქა ღვინო აიღო
და როგორც შხამი დალვარა, —
უმეცარ ქუსლით გათელა
უცნობი გულის ტრფიალი, —
გაჰქრა ვით ციცინათელა
შორს, ჩაბალახის ფრიალით!..
მაჯას იკბენდა გურამი,
და არ სტკიოდა ჭრილობა!
ნუ დაიჯეროს ნურავინ
გურამის გვარიშვილობა, —
თუ ამართული ჰაერში
ამაოდ შერჩა მარჯვენა,
გაქვავებულმა კაეშნით
ვერც გულის წყრომა აჩვენა —
ავ სულისთქმაში, გალეშილს
ჯავრი ჩაჰყვება მტანჯველად!..

XVIII.

გულს დაეჯახა ლახვარად,
მაგრამ უკადრისს რა სურდა!
ღვინო რატომლა დალვარა!
თუ სადღეგრძელო არ შურდა!
ვერ გამოიცნოს ვერავინ
გამოუთქმელი ქარაგმა, —
თვალთაგან დაუზვერავი
შთანთქა უეცრივ ქალაქმა.
ვინ არი, გასაგმირალი,
როგორ ამოჰყვა ბნელ ქუჩას!?
— არავინ იცის ვინ არი,
და მე დავარქმევ ელგუჯას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მხარბეჭის მნახველი,
აქ, ჩაბალახის ამარად, —
გავხდები მისი მფარველი
და თანამგზავრი მთა-ბარად,
სახე დამალა, სახელიც
მოგონილია საფარად...

XIX.

მის წინ მეტეხის ხიდია,
მიდის და მიეჩქარება
წინ ხელოსნები მიდიან
ჩრდილივით მიემგვანება...
ხიდ ქვეშ ტრიალებს მორევი,
მტკვარი დუდუნით გართულა,
შგზავრები განმეორებით
ტალღებზე გადახატულან...
გალმა ხრიალით აღებენ
მჭედლები უკვე დარაბებს, —
ღიმილით გადასძახებენ
ერთმანეთს მოსვლისთანავე...
ელგუჯაც ხიდზე გასულა
ჩაფიქრებული მიდის წინ, —
უვნებლად მტკვარი გასცურა
და გაჭრა ლანდი იმისი, —
რომ უცებ, ტყვიის გასროლამ
შეაკრთო ისევ თბილისი...

XX.

პირქუშად გადმოიხედავს
რუხი და სახე გამხდარი, —
ციდან მეტეხის ციხე და
ცად აპყრობილი საყდარი!
წამით შედრკება ელგუჯა,
ჩრდილს ეფარება სიჩქარით!
ხედავს შეიძრა ჯერ ქუჩა,
მერე მეტეხის ჭიშკარი,
ძახილმა ხალხი შეჰყარა
ხმა ჩახლეჩილად მღელვარე, —
თვალწინ გუშაგი შემდგარა
და თოფის ლულა ელვარებს!
თვალივით ამონათხარი
სჩანს სარკმელები დასჯილთა!
ელგუჯაც მიჰყვა მაგალითს
და როცა საფარს დასცილდა, —
მოვიდა ვილაც მაღალი
და ჩუმად ხელი ჩასჭიდა...

XXI.

არას ამბობენ რა მოხდა
მათი ფერმკრთალი სახეები,
მხოლოდ ელგუჯას აღმოხდა
გმინვით ვაჟკაცის სახელი!
ვერ ნახა ისევ ტუსაღის
გადახაზული სურათი;
სარკმლიდან აღარ უძახის
მომღიმარი და გულადი!..
თქვა: «ზეიმობენ დიდებით! —
სჩანს ნატყვიარი ვერაგის,
და სულთმობრძავი თითებით
მკერდს მოხეული პერანგი!..
ვაი თუ სამგლოვიაროდ
დამრჩა ეგ ჩემი ბარათი, —
ბრმასავით ბნელში ვიარე
და სამი ღამე ვმალავდი, —
სანამ არ დავაგვიანე
ვერ მოვალწიე მანამდი!»

XXII.

თქვა და ორნივ გაჰქრნენ კიდეც,
ლანდებივით ისევ სდუმან, —
ჩაირბინეს ქუჩის კიდე
და ოთახში გაჩნდნენ უმალ...
მაგიდაზე დაუჭრიათ
საზამთრო და თეთრი პური, —
შემოხედეს კარის ჭრიალს,
აიშალა სუფრა ძმური! —
დევნილივით დგას ელგუჯა
მწუხარე და არას მთქმელი,
ცალი ხელით ჩაიბღუჯა
ჩაბალახი სისხლით სველი
და აღმოხდა მხოლოდ: — ვაჰ მე! —
ხელს დასცქერის ფერმიხდილი:
— ხელი რაა თუნდაც გახმეს,
ჩვენ ვაჟკაცის სიკვდილს ვტირით —
ველარავინ გადმოგვძახებს
მეტეხიდან ყოველ დილით!

XXIII.

— კეცხოველი მოჰკლეს ძმებო! —
თქვა და ისევ შედგა უცებ.
ხმა ჩაუწყდათ გაოცებულთ,
თითქოს გულიც აღარ უცემთ...
— მწამებელი იყო მკაცრი,
კვნესა აკლდა განა მეტეხს?

რომ სარკმელთან მდგარი კაცი,
გასაგმირად გაიმეტეს!..
სდუმს არჩილი და არსენა,
ლუკმა პური გადაჰყარეს.
გზა მესამემ გაიხსენა —
ტყვიასავით გასჭრის კარებს!
მას გიორგი მიჰყვა მარდად,
სარდაფიდან გარბის ყველა!..
ერთი შედგა მაინც კართან,
შემობრუნდა ჩუმად ნელა —
და ფერმიხდილ მეგობართან
დარჩა ისევ განუყრელად!..

XXIV.

ხელს შემოხსნა ჩაბალახი
და ჭრილობა გაუსინჯა, —
შემდეგ მხოლოდ, შემკრთალ სახით,
მას ამბავი ჰკითხა დინჯად...
« — არაუშავს. გულის წყლული
მიმაჩნია უფრო მეტად,
ლვინის ჭიქით ხელისგული
გამიჭრია უცაბედათ...
ქუჩის ბნელმა ვერ დამმალა
შემეჯახა ვილაც ურჩი
სადღეგრძელო დამაძალა
მაგრამ ხანჯალს გადავურჩი!..»
თქვა ელგუჯამ, და ჩამქრალი
გულით ველარ გაელიმა...
მეგობარსაც შესაბრალი
წამწამები გაეხილა
და თევზივით ჭროლა თვალი
მწუხარებით გაეყინა.

XXV.

— მე იქ ბინად ვერ დავრჩები, —
დაიდაბლა ხმა ელგუჯამ:
« — თვითეული მისცლა ჩემი
მგონი იცის მთელმა ქუჩამ.
ამასწინად ვიწექ გაბმული
უსასთუმლოდ, როგორც ჩოლილი, —
და ქალბატონს შევებრალე
აივანზე გავლილს დილით.
ყურთბალიში გამოგზავნა
მოქარგული თავის ხელით!
და მე გავხდი გამოცანა
ყველასათვის ასახსნელი... »
ისევ თევზის ჭროლა თვალით
შემოხედავს ვაჟკაცს ვაჟი, —
ეუბნება: ნუ ვიჩქარით
როცა გშველი დამალვაში,
ქვეყნად შვიდი კაცის გვარით
ვცხოვრობ ერთი ვინმე ჯაში!..

XXVI.

სდუმს ელგუჯა, სიმწუხარით
დასჩენია ჩაფიქრება...
ჯაშის ფრთხილი საუბარი
სიჩუმეში უხმოდ ჰქრება.
და ანაზდად მაგიდაზე
მოკრძალებით დასდებს ბარათს:
— მე კი არა, — ისევ დასძენს:
ნეტავ იგი დაგეფარათ!
დამავალეს და მეც მსურდა
მივსწდომოდი სარკმელს ძალით
კეცხოველის ლია გულთან
ტყვიას ველარ მივასწარით!..
და ნიშანი იყო თითქოს,
მხნედ სარკმელთან მისი დგომა,
ეს ბარათიც ბრძოლას ითხოვს,
სურს დაამხოს ვერაგობა —
ეხლა ვინლა წაიკითხოს? —
თანამებრძოლს სწერდა კობა.

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ.

I.

კარი იღება რომანის,
გმირი მდუმარედ შემოვა, —
იცნობთ გურამი რომ არის
და რომ სიმშვიდე ვერ ჰპოვა.
იცნობთ მაშინდელ თბილისის
ღამეს და წვრილმან მნათობებს...
აი, სადგური რკინიგზის,
მგზავრები მასლაათობენ.
აქ ინასკვნება ნიადაგ
ათასი კაცის გზაკვალი...
ბნელში გასცქერის ლიანდაგს
მღელვარე ამილახვარი.
ზარიც დარეკეს... ურჩივით
ბაქანზე ხალხი მძვინვარებს!
თავის ხაბაკით, ხურჯინით
უხეშად ჩამოიარეს...
ჩუმად გასცქერის მუნჯივით
გურამი გავლილ მდინარეს...

II

მწირივით შეკედლებული
თავისი მცირე ჩრდილითა, —
სვეტებთან დარჩა, ვნებული
ამაო მოლოდინითა...
სვეტზე ანთებულ სანათის
თეთრი ყვავილი ღვიოდა! —
გულივით ძგერდა საათიც —
არავინ არ მოდიოდა...
თითქოს წუთები გვიანი
შეჩერდნენ დაისრულები
და უცებ: ეტლის გრიალით
მოფრინდნენ ბედაურები!
ილტვიან თავისებურად
ტორების ცემით ძლიერით!
მდუმარედ გაქვავებულა
მხოლოდ მეეტლე ხნიერი, —
არაბულთ მართავს მეფურად
მდუმარე ასირიელი...

III.

გურამი ხედავს: გადმოხტა
ვილაც მკერდ მოოქროვილი,
ტანად მოქნილი და კოხტა
რამ სადარბაზოდ წრთობილი!
ეტლში მჯდომარეს მიხედა
და კრძალვით მიეხალისა, —
ბაფთა მოსჩანდა იქედან
მანანას ხელთათმანისა!
გურამის თვალწინ უმალვე
გამოკრთა კაბის შრიალი, —
ლანდები აღარ უმალვენ,
შეჰყურებს კაეშნიანი:
კვალდაკვალ მისდევს მხლებელი, —
მიმრთმევი თაიგულისა,
მიჰქრის ხელშეუხებელი
ნიავი გაზაფხულისა...
იკივლებს მატარებელიც, —
ხმა აღმოხდება გულისა.

IV.

საით მიჰქრის ორთქმავალი,
სად მიჰყვება ღამე ბნელი? —
და მანანას ორი თვალი
ვარსკვლავებში ჩასათვლელი —
ჯერ სარკმელთან სჩანან, ისევ,
უძილობით დაღლილები, —
როგორ შვენით მოხალსარი
ლიმილი და ყვავილები.
მაგრამ, გურამ ამილახვარს,
ალმასივით სჭრიან ალბად, —
გულის წყრომა გადულახავს,
მოკრძალებით მიესალმა!
და თან გაჰყვა მატარებელს.
ჩუმი, სახე შეფაკლული.
უთხრა: — ბედკრულს ადარებენ
თუ მოუკლეს ვაჟკაცს გული,
ერთხელ მაინც დაანებეთ
თქვენთან დარჩეს გულმოკლული!..

V.

მან გადიწყო მკლავზე ნელა
ყვავილები მომხიბვლელი, —
და სიცილით საკოცნელად
გაუწოდა გურამს ხელი.
— ჩემის ნებით მოველ თქვენთან
და სასჯელიც ალბად მელის...
მეც ვიცოდი მოგაფრენდათ
ეტლი მთავარმართებელის!...
ვინც გაიგებს უცაბედათ
არ იქნება არ იჯავროს, —
თურმე ეტრფით მეტის-მეტად
შორით ზღვას და მახინჯაურს!..
— ჰო. ზღვისპირად უკვე პრინცის
აგარაკი აუგიათ...
და თბილისმა ამბად იცის,
სჩანს გურამსაც გაუგია...
ნეტავ ვისი ქუდი იწვის,
ვისი გულის დარდი ჰქვია!..

VI.

და მანანა მომღიმარი,
კვლავ სარკმელში იხედება, —
მცხეთის მთებში მიჰქრის «ჩქარი»
აიმაღლეს მხრები მთებმა!
ბნელს გასცქერის უვარსკვლავოს,
შუალამე გადასულა...
მკერდით არღვევს ღამის ქაოსს
ორთქმავალი ვაჟკაცურად!
ქალის თმას და აწვდილ კისერს
ანებივრებს სიო გრილი, —
და გურამიც კრძალვით ისევ
ეთხოვება თავდახრილი:

— მაშ მივდივარ. დაიძინეთ
დაიღლებით ღამის თევით, —
შორს ვიქნები როგორც წინეთ,
როგორც გითქვამთ, შავის ფრთებით
კვლავ ჩრდილივით გაგაცილებთ
და ან სადმე ჩამოვხტები!..

VII.

ორთქმავალის გული მძლავრი,
ანუ სუნთქვა მწყურვალისა, —
მიისწრაფის როგორც მგზავრი,
როგორც ჯავრი გურამისა!..
დაკარგულა ბნელში ქართლი,
მიჰქრის ფიქრი გულითადის, —
და გურამიც ტყეთ გავარდნილ
ვაგონებში უხმოდ დადის...
არის ლტოლვა უსასრულო —
მგზავრებს თავი ჩაუძირავთ,
მიწოლილან უსასთუმლოდ
და თამბაქოს ბოლში სძინავთ.
ხარბად სუნთქავს გლეხის მკერდი,
სძინავს ვიღაც თავსაფრიანს, —
სიზმარია ერთადერთი,
მინდობილი ბორბლის ტრიალს!
მათებრ მშვიდი კაცის ბედი
გურამს ბევრჯერ უნატრია...

VIII.

განშორება სურდა ძლიერ,
მარტოობაც გულით სურდა, —
მაგრამ, ბოლოს, უნებლიეთ
იმავ სარკმელს დაუბრუნდა.
რა გაართობს დაუდეგარს,
ხედავს ღამე გატეხილი:
გადაიძრობს ტანზე თექას
გაწოლილი მთაგრეხილი,
ბნელს გაჰფანტავს ქარი სწრაფი,
ქართლი მართლაც იკარგება.
ხედავს: ალისფერი ძაფით
იმერეთი იქარგება!
ჩნდება ოდაც... და სერიდან
ესალმება გადამთიელს, —
ცაცხვის ხეებს დაერიდათ
და ტოტები შეარხიეს...
აქ რუსული წარწერითაც
არ ჰკარგავენ ქართულ იერს!

IX.

მოენატრება მწუხარეს
ახალგაზრდული ხალხი,
თუმცა მარტოა, მდუმარებს, —
ესმის ბაასი თავისი:
«—გულს მოერია სურვილი
განა ვაებით ვტირი მეც, —
მსურს მივესალმო, წყურვილით,
ტალღებზე დახრილ ტირიფებს!
მსურს მივესალმო ცხოვრებას,
თუმცა მან ბედი მანანა,
ჯავრი არ მემახსოვრება
ორგულო ჩემო, მანანავ, —
ოღონდ მარგუნე მცირედი,
ნათელი ვარსკვლავ-თვალისა!..
ბნელშიაც იციმციმებდი
როგორც წამწამი წამისა
უკანასკნელი იმედი
ჩემი დღისა და ღამისა!»

X.

მანქანა მიჰქრის... გონებაც
მიჰყვება დაძრულ მთაგორებს, —
ხეების ჩამოქროლება
წართმეულ მამულს აგონებს.
«ჭრილობა არის ახალი,
ცისკარი სისხლმა შეღება»
იფიქრებს ამილახვარი,
და იგრძნობს ხელის შეხებას.
—გამიკრთა ძილი. და თანაც
ღამის გატეხვა არ ძალმიძს! —
ნებივრად ამბობს მანანა
და ეთანხმება წამწამიც...
ხელთ აიტაცებს ხელისგულს
გურამი საკოცნელადა, —
მისმიერ წამით შერისხულს
გულთან მიიტანს ნელადა
ცისკარს გასცქერის შენისლულს
შეღებილს სისხლის ფერადა!

XI.

მთას მუხა ადგას გვირგვინად,
ტოტებ გაშლილი, ზვიადი!
მთის კალთებიდან ყვირილას
წაურეცხია წყვდიადი!..
წყალი თავს იგიჟიანებს,
კლდეები თითქოს დევნიან! —
სვირის ფერდობი შრიალებს...
ეგ, აჯამეთის ტევრია! —

მოსჩანს რიონის ბაქანიც...
მაგრამ, თვალს ხვდება ტყვიათა:
რომ ერთი გამვლელთაგანი
თვალს შორით აეკვიატა!..
თითქოს უნახავს წინათაც
ეს, ვილაც ქერა თმიანი,
ეხლა ჩამოხტა ჩინართან
და მათ უცქერის ტიალი, —
განგებ არ გაუჩინარდა
კვლავ ჩაბალახის ფრიალი...

XII.

ლანდები ალარ უმალვენ,
ცალკე დგას დასაკრულავი!..
გველნაკბენივით უმალვე
შემოტრიალდა გურამი —
უცქერის ქალის წამწამებს,
უცნობი თითქოს იქ იდგა...
და რაც თვალებმა დასწამეს
თვალებში ამოიკითხა.
დადუმდა მსჯავრის მდებელი,
ძალა არ შესწევს იდავოს.
და მხოლოდ მატარებელი
ისევ მიჰკივის მიდამოს! —
სწრაფი და მიუსაფარი
წუთივით წარმავალია! —
ეხლა რიონის მთაბარიც
ორთქმავლის გზა და კვალია, —
ხიდს შავი ლომის ფაფარი
გაირბენს როგორც გალიას!..

XIII.

და ელგუჯაც შორით უკვე
მიტოვებულ ხესთან მდგარი,
მკლავს გაშლის და ჯაშის გულმკერდს
ჰფარავს მისი ცალი მხარი.
მიაჩერდა ჯაში ხარბად,
ჩუმი გული აუძგერდა:
— ახ, ვინ იყო შავთვალწარბა
და ელგუჯას რად უცქერდა!..
როგორც ვიწრო ყური ნემსის,
განაბული იცდის ჯაში —
თვითეული სიტყვა ესმის
და სულისთქმა ელგუჯასი:
— ჰო. მანანამ დამინახა
და მის ღიმილს ვუპასუხე.
თურმე იგი ლანდი ახლავს,
სულივით რომ ძრწოდა წუხელ,
არ ვიცოდი და ხელახლად
უნებლიეთ შევაწუხე...

XIV.

— თუნდ შავიზღვის ველურ ღელვად
გაზვიადდეს ღელვა მისი,
ოღონდ აგრე შეუმჩნევლად
მოვიაროთ ქუთაისი! —
თქვა ჯაშმა და ჩაიცინა,
თან ბეჭებზე დაჰკრა ხელი,
გზა წინდაწინ აირბინა
მთის ფერდობზე ასასვლელი!
ვერ ახარებს ენა მჭევრი
ხეებს ცისქვეშ გასახარელთ.
სდუმს მუხნარის დიდი ტევრი
განდგომილი ქალაქგარეთ.
სდუმს ელგუჯაც. განუყრელი
ფიქრი წაშლის წამით ხალისს...
ჩუმად მიდის ამბის მთქმელი,
სიკვდილივით მიიჩქარის, —
რომ შეალოს შემკრთალ ხელით
დასალეწი რკინის კარი!

XV.

ვის რა უთხრას, რა ახაროს,
როგორ შესძლოს მათწინ დგომა,
თავი როგორ არ დახაროს
როცა წარბებს შეჰყრის კობა!
გადაუდგენ გზად მუხებიც
რა უამბოს გულისხმიერთ?
თითქოს დგანან დამწუხრებით
დარაზმულნი კობას მიერ.
აუმართავთ სიძულვილით
კორძიანი ხელი მტკიცეთ, —
რომ მთავრობას ყოველ დილით
შეუთვალონ: გავიფიცეთ!
თავისუფლად სუნთქვა სურდათ,
სჩანს ფოთლების სულისთქმაში, —
მზე დაჰნათის დანისლულთაც
ხმა ალვიძებთ ელგუჯასი, —
— ფიქრი იქნებ აგისრულდა,
ჯარს გაუძეხ! — ამბობს ჯაში.

XVI.

— ფიქრი მართლაც გამოიცან!
ჩუმი გულის წყრომით სავსე
ეგ მუხების ჯარი, ვფიცავ,
მეც ვაჟკაცებს მივამსგავსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიცავ როგორც ჯარისკაცი:
ტყვეობიდან ვიხსნა ბრძოლით,
ფოლადივით მტკიცე, მკაცრი,
ერთად-ერთი წინამძღოლი!
მისი სუნთქვით ჩრდილნი თრთოდენ
ღიმილს ჰქონდა ელვა ხმლისა!
მას შეეძლო მარტოოდენ
ხმით აღეძრა გული ზღვისა!..
იმის თვალთა ნაპერწკალი
სურდათ ბნელში დაემწყვდიათ!
მაგრამ, იგი მეტის ძალით
წაეკიდა თვითონ წყვდიადს! —
დროშებივით აღსდგა ალი,
ჰგავდა ახალ მზის განთიადს!..

XVII.

ქარხნის ოცდათორმეტ მუშას
თავს დაესხნენ წინა ღამით.
კობას უთქვამს: — არა უშავს!..
შეიკრიბნენ იმავ წამით.
მივიდნენ და მოითხოვეს
დაისაჯონ მათთან ერთად.
ფერდაკარგულ მეციხოვნეს
ასი თვალი მიაჩერდა.
და როდესაც მან სავსებით
ეს მოთხოვნა აასრულა, —
მაშინ ჩვენი ათასები
წინ წამოდგნენ დარაზმულად!
ხალხს ციხეში ვინ ჩაჰკეტავს?
წარღვნა როგორ აიცდინოს!
არ აღეძრა იგი ნეტავ
ხმის ჩახშობას ეხლა ცდილობს,
და ლაჩრულად გაგვიმეტა
სასიკვდილომ სასიკვდილოთ!..

XVIII.

შენ ღელვა უნდა გენახა,
სიმშვიდე რომ არ იღირსა, —
გვინდოდა გადაგველახა
მაღალი ზღუდე ციხისა...
ვლეწავდით რკინის ურდულებს
ქვებით, შიშველი ხელებით! —
და გაგვირბოდნენ ქურდულებრ
ციხის ბედკრული მცველები.
ვიდოდა ხალხის ქუხილით
წინ ელვა წინამძღოლისა, —
სიხარული და წუხილი,
მმართველი მისი ღონისა...
ხმა მთელმა ციხემ გაიგო
დრო საამბოხოდ იხელთა! —
ბორკილის მტვრევის ხმა იყო,
გასტეხეს ბნელი ციხე და
გულის კარებიც გაიღო,
თვალებმა გამოიხედა!..

XIX.

მაშინ კი შურისძიებით
გაისმა განკარგულება,
და დაგვიშინეს ტყვიები
თვალთაგან დაკარგულებმა!
ყიჟინით შემოგვესია
რაზმები ყაზახებისა! —
ტყვიაზე უმკაცრესია...
ელვა ცხენოსანთ ხმლებისა..
ვიდექ ხალისით სავსე და
ხედავ? — დიმიტრი, ნატყვიარს! —
მარჯვენა ბეჭის ძვალზედაც
მგლის ნაკბენივით მატყვია...
გულის გმირული გაწირვა
უფრო აღვიძებს მტრობასა, —
ვგრძნობდი დაჭრილი კაცი ვარ,
ვერ ვახერხებდი დგომასა...
მაგრამ, ხელთ აუტაცივარ
სიკვდილზე უმალ კობასა!..

XX.

ის, ჩემი კვნესის გამგონე,
ჩემდა საშველად გარჯილა...
არ დაუშურავს ძალღონე,
გათელვას გადამარჩინა!
ჩემში მისი ხმა მკვიდრდება,
ის ჩემი ხალხის გულია! —
და ნურვის გაუკვირდება
მას ვეკუთვნოდე სრულიად...
თუმცა მოჰკვეთეს ცხოვრებას,
კარები გადაუკეტეს! —
ბნელს მაინც შეებრძოლება,
ოცნებით სწვდება უკეთესს!..
მას ციხის ვიწრო საკანით
ვერ დააბრკოლებს ვერავინ —
კვლავ ერთი სარკმელთაგანი
სჩანს შუქით ბნელის მსერავი!
ვდარაჯობ თვალის კანკალით
როგორც ვარსკვლავი მზვერავი!...

XXI.

ეთანხმებოდნენ მგზნებარედ
ელგუჯას, ჯაშის თვალები, —
წამწამნი გადმოეფარნენ
ჩაფიქრდნენ იდუმალებით...
ხმა ელგუჯამაც გაკმინდა,
მდუმარედ გაჰყვნენ შარაგზას! —
დიდი მუხნარის ნაპირთან
ქუდი უჩანდა ქალაქსაც.
გზას დაჰფენოდა ფარჩები,
ოქროსქსოვილი დილისა, —
ვიდოდნენ გრძელი ლაჯები
შორით გატყორცილ ჩრდილისა!..
შორს: მდელო სჩანდა პატარა
ფერად-ფერადი ხალებით! —
ბოლოს: სად იყო სად არა —
მივიდნენ მიმავალები —
ნახეს: მდელოზე დამსხდარან
გზისპირად სოფლის ქალები! —

XXII.

შეკრთნენ მგზავრების დანახვით,
სხედან. ხმა გაუკმენდიათ.
წყლით, ნაწვიმარი ბალახით
წვივები დაუწმენდიათ!
გადმოვლეს მინდორველები,
სწრაფვა კი ისევ გულთ არის! —
ქუსლმაღალ ფეხსაცმელებით
უნდათ ესტუმრონ ქუთაისს...
ხმა შემოესმათ დამალეს
თეთრი მუხლები კაბითა,
ერთმანეთს გადააბრალეს,
მიყუჩდნენ იმავ წამითა...
ერთი, წარბ აუმართავი
გოგონაც იჯდა ქალებთან
მგზავრებს ვით სავსე თავთავი
თავდახრით უთვალთვალებდა —
ხელთ ფუთა ჰქონდა. ქათამი
კალთაში უფართქალებდა...

XXIII.

მდუმარებით ჩაიარა
მათ წინ ჯაშმა და ელგუჯამ, —
მესრებს იქით შეიფარა
ქუთაისის ვიწრო ქუჩამ!
გზად ბალნარი ტოტებს ფლიდა
მკლავგაწვდილი აივნამდე!
თავის ქერა ულვაშითაც
სიმინდები ხშირად სჩანდნენ, —
და მგზავრებმა მიამსგავსეს
აზნაურებს, — ერთის ნახვით —
იმერულად მაღალ მხარზე
გადაგდებულ ჩაბალახით!..
მისდევს მესერს ქვაფენილი,
რუც გზად იქვე მიიჩქარის! —
ქუჩის ფანარს, მზიან დილით
სვეტზე არხევს ქროლვა ქარის —
ჩაუქრობლად დარჩენილი
იწვის როგორც დისკო მთვარის...

XXIV.

აქ ელგუჯა ერთის წამით
შედგა რიონს გადახედა.
თვალი გაჰკრა ელვასავით,
ხმით არაფერს არ ამხელდა! —
მხოლოდ ეს კი დაიბარა:
— ვაი მათი ბედის ბრალი,
ქვლავ თუ აგრე დაიფარა
ჩვენი ფეხის ნატერფალი!..
თვალი აგცდეს ქალაქისა,
გზად ლანდები გფარველობდნენ! —
მხოლოდ გვიან, მზის ჩასვლისას
ჯაჭვის ხიდთან დამელოდე.
გალმა ჩემი სოფელია
არ იქნება გასვლა ძნელი
შინ უთუოდ მომელიან,
მე ვარ შენი მასპინძელი! —
თქვა, ღიმილი მოერია
და გაუშვა მკლავში ხელი...

XXV.

«ციხის ქვა და რკინა ცივი
თითქოს ღამით გაიყინა!
და უცრემლოდ ვაჟკაცივით
მდუმარებდა ქვა და რკინა!
ძირს ეყარნენ პატიმრები
როგორც მოთხრილ კუნძთა გროვა!
მიცქეროდნენ ჩაფიქრებით,
საზარელი იყო გლოვა...
მე გელაძის გვარით მიველ,
თითქოს დედის ნათესავი, —
უნებლიედ გავალვივე
ჯავრი ჩამქრალ ნათელსავით...

წაჰყოლია შორით წყვდიადს
კეცხოველის მძიმე კვნესა! —
პატიმართაც შეუტყვიათ
თოფის ხმაზე უსწრაფესად —
მოხვედრია გულში ტყვიათ
ციხეს, მათებრ მდუმარესა...

XXVI.

მეციხოვნე მომაცქერდა
განგებ ნიშნის მოგებითა,
ყელთან სისხლის ძარღვი ძგერდა
მწუხარებით დახშულ ხმითა! —
გულს გვიკლავდა მტერი ლხენით,
მაგრამ, ადგა ჯულაშვილი, —
გადისწორა მღელვარ ხელით
თმები შუბლზე ჩამოშლილი!
ამოითქვა მხოლოდ: « არა! »
ველით, მაჯა მძიმედ გვიცემს...
მტერს შესძახა: «არ მომკვდარა,
და ისევე გაიღვიძებს!..»
მან ასწია წარბი მარდათ,
მხნე სიმღერით აჰყვა ასი,
(სასიმღეროთ აიმართა
ხელი ძუკუ ლოლუასი)
და წამოდგა პატიმართა
ნაცვლად სულით მტკიცე კლასი!..

XXVII.

გამარჯვების ძალას ვგრძნობდი,
შევხაროდი მეც გამბედავთ.
გსურდა კობას გასცნობოდი, —
დღეს გენახა იგი ნეტავ!..
— ჩემთან უფრო ახლო იყო! —
თქვა ჯაშმა და მერე უხმოდ
გულჯიბიდან ამოიღო
თან სურათი, საპასუხოდ.
მთის ბილიკზე უნებურად
უცებ შედგა ორივ ერთად.
და ელგუჯა მხოლოდ სურათს
დაჟინებით დააჩერდა:
ბოლო დახრილ შავ წარბებით
იყო მტერთა შემმუსრავი,
ლაწვებსა და ნიკაპს ქვეშ
ემჩნეოდა წვერი შავი,
სამკერდულთან ყელსახვევიც
სჩანდა როგორც ვეფხის ტყავი!..

XXVIII.

— რაო, განა კობას არ ჰგავს?
რას მდუმარებ. რას დაეჭვდი!..
ბეჭედივით, ხედავ ახლავს
მისი თითის ანაბეჭდი.
— რომელ კუნჭულს არ მიაგნებ,
გაწაფული კაცი ყოვლად!
« — ერთი ვინმე გვიზის განგებ
აქ, ჟანდარმთა თანამშრომლად, —
დავალება შემისრულა
და ბინაზე მიიტანა,
მეც დავავლე ხელი სურათს,
დავიკარგეთ ბინიდანაც. »
ჯაშს ბავშვივით უხაროდა,
ელგუჯამაც გაიცინა.
მთაზე უგზო-უკვალოდაც
მიიწევდნენ სწრაფად წინა,
ხეებს იქით სჩანდა ოდა
ბუდესავით პაწაწინა...

XXIX.

— რა სთქვა?.. რაა უმთავრესი!..
ეკითხება ისევ ჯაში.
და პასუხად მხოლოდ ესმის
ამოსუნთქვა ელგუჯასი.
— ვერ გაუმხელ გულსაც. თუნდა
უგულობად ჩამითვალონ.
ჩვენს ხელმძღვანელ სამეულთან
უხმოდ უნდა ჩავიტანო.
— აგრე იყოს. არ გაქეზებ!..
გულის ტკენით იწყებს ჯაში...
მაგრამ შედგა ალაგეზე
ელგუჯა და იმავ წამში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე ოდის ლაფარედან
გამოფრინდა კიდეც ქალი,
ქმრის მოსვლა თუ ახარებდა
ენთო როგორც ნაპერწკალი —
მიწას ფეხს არ აკარებდა
მკლავ გაშლილად მომავალი...

XXX.

დაღამდა ჩაქრა სოფელი.
ბილიკიც აღარ ხმიანებს.
მთვარე კი ჩაუქრობელი
დაჰყურებს ადამიანებს!
ჩვენმა გმირებმაც ივახშმეს
მიყუჩდა მათი გზაკვალი.
ოთახში სთვლემდა სინათლეც
არ ირწეოდა აკვანი.
მხოლოდ ელგუჯა კარგარედ
თივის ზვინს გადასწოლოდა,
უთვალთვალებდა ვარსკვლავებს
გაფანტულთ უთავბოლოთა.
ცას არ ეხატა ღრუბელი
არც ნისლი, არც ანგელოსი,
სჩანდა კეთილის მსურველი
ვარსკვლავი საქართველოსი!
წამით შეიძრა სურნელიც
აშრიალებულ მდელოსი

XXXI.

და განაბულმა თითებმა
რომ დაუხუჭეს თვალები, —
თუმცა ხმას აღარ იღებდა,
ფიქრობდა: ვენაცვალები!
მკლავებ გადაშლილს, ზემოდან
დასჩერებოდა ნათელა, —
თვითონ კი ინაზებოდა,
არ სურდა თვალის გახელა! —
დე, წამით უფრო ბნელოდეს,
წვა განგებ განაყუჩები...
რომ გაუგებრად ელოდეს
ტუჩებს მთრთოლვარე ტუჩები...
მაგრამ უეცრივ ჭიშკართან
გადატყდა წნელი ღობისა, —
და უმალ გაუჩინარდა
ლანდი კაცის და თოფისა, —
რევოლვერითვე მიმართა
მან ფეხზე წამოდგომისას!..

XXXII.

და როგორც ორბი ფრთიანი
შედგა აივნის ნაპირთან,
კაბის მსუბუქი ფრიალით
ნათელაც მასთან აფრინდა!
გზას გადახედეს და ქვევით
მოსჩანდა ჩრდილთა საფარი,
იხატებოდა გარკვევით
თითო-ოროლა ჩაფარი!
ელგუჯამ სწრაფად გააღო,
და ჩაიკეტა კარები.
ჯაშმა იკითხა: — რააო,
გაოცდა ნამძინარები.
— მოდიან. დასწვი სურათი!
— ჯაში ამ სურათს ვერ დახევს
მომყევი თუ ხარ გულადი —
სჯობს შევეფაროთ ვენახებს! —
ნათელავ, დაუყურადდი
ჩვენ კი გავექცეთ ვერაგებს!

XXXIII.

შუქი ჩააქრეს გვიანი.
გააღეს უხმოდ სარკმელი...
და ვენახს გაჰყვა შრიალი
იმათი გამომსახველი!
ბნელში იფეთქეს თოფებმა,
სახლს მოეხვივნენ ჩრდილები.
ქალი მათ ემშვიდობება —
შემზარავ შთაბეჭდილებით —
სტირის... არ იცის რა მოხდა,
დაჰკარგა მათი გზაკვალი.
უმწეო კვნესა აღმოხდა,
გულზე მიიკრა აკვანი...
უცებ: ოთხივე ფანჯარა
განათდა თავისთავადა, —
და ცეცხლის ალი აშკარა
საძირკველიდან ავარდა!

ჩიტების ბუდეც აშალა
მიკრული ოდის თავანთან...

XXXIV.

ტყეთ გავარდნილებს მედგარად
გული კვლავ აღარ უჩქარით.
შორეულ სერზე შემდგარან
დაფარულები ბუჩქნარით.
ელის ელგუჯა უარესს:
«გამცეს. ვერ დავემალები!»
შეჰყურებს ჯაში მწუხარეს,
თევზივით ჭროლა თვალებით.

ელგუჯა კვნესით ავარდა.
თითქოს წინასწარ იცოდა:
ბნელი ცისკიდე გახლეჩილ
მისი სახლკარი იწვოდა...
ხოლო გზისპირად, მინდორთან
მის მიერ შეუმჩნეველი, —
წინ ბავშვით ხელში ვიდოდა
ქალი წარბშეურხეველი —
ცხენებით ახლდეს ვითომდაც
თორმეტი ღამისმთეველი.

(გაგრძელება შემდეგ)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარმენ ლოლია

მ ე ვ ლ უ დ

ნაწყვეტი რომანიდან

I

ბუჩქებიდან ჭახჭახით ავარდა შაშვი და დაბურულ ტყეს მიაშურა.

წიფლის ქვეშ გაშლილ ნაბადზე წამოწოლილი ვაჟკაცი სწრაფად წამოხტა.

— რეჯეპ, გახედე! — გასძახა მან გაურკვეველი მიმართულებით, ნაბადი აიღო, ბეჭებზე მოისხა და გამოხმაურებამდე გალმა მთის კალთები ჩაათვალიერა.

ხეს მოფარებულმა ახალგაზრდამ ფრთხილად გამოიხედა.

— გაიგე, ვის მოუნდა სიკვდილი! — უბრძანა ნაბდიანმა ახალგაზრდას.

ახალგაზრდამ ცალი ხელით თვალები მოიჩრდილა და ხევში გადაიხედა.

— არავინ სჩანს, მევლუდ, — მოახსენა შემდეგ ნაბდიანს.

— შაშვი უმიზეზოდ არ აყეფდება.. დაზვერე! — ნაბდიანმა გაიმეორა ბრძანება.

ახალგაზრდა უსიტყვოდ მიბრუნდა, საუგლე და ჩახმახი გაუსინჯა თოფს. ფალასკა გაისწორა და ბილიკით ფერდობზე დაეშვა.

— მევლუდ ეფენდი, — ფრთხილად მიუახლოვდა პირველზე უფრო ახალგაზრდა ჭაბუკი ნაბდიანს და გვერდით გაუჩერდა.

— ეფენდი კი არა, ალა! რომელი ეფენდი მე მნახე. რა გინდა? — მკვახედ უთხრა ნაბდიანმა.

— მეტი სიფრთხილეა საჭირო-მეთქი, უნდა მეთქვა, — მოკრძალებით ჩაილაპარაკა ჭაბუკმა.

— ძველი ამბავია... რა გაიგე?

— მთავრობას ახალი წინადადება მიუცია აჭარისათვის.

— მევლუდა დამიჭირეთო, — შეაწყვეტინა სიტყვა ნაბდიანმა.

— ანდა ყველას გადაგასახლებთო.

— ჩემს დაჭერას ვერ ელირსებიან. გადასახლება კი მათი ნებაა.. წადი, ლართვალა დაზვერე.

და როცა ახალგაზრდა ბრძანების შესასრულებლად წავიდა, მევლუდმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ბევრს მოუსპე სიცოცხლე და კიდევ ბევრს გავიყოლებ.

მაღლობზე გადადგა, რომ უფრო კარგად დაენახა მთის კალთებზე თოკივით მიხვეულ-მოხვეული საცალფეხო ბილიკი, რომელიც გიჟი მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა.

ცოტა ხანს უძრავად იდგა. შემდეგ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ჯიბეში ხელი ჩაიყო, მოქსოვილი ქისა ამოიღო და მსხვილად დაჭრილი თუთუნი ქაღალდში შეახვია.

ლამაზი შესახედავი იყო ამ დროს. ლომს ან ვეფხვს მოჰგავდა. ჩაქურაში გამოწყობილს წულამესტები ეცვა. წვერმოპარსულს დიდრონი ულვაშები უმ-

შვენებდნენ სახეს. დაბალი ტანისა იყო, მაგრამ სქელი და ძვალმაგარი. თავიდან ფეხებამდე იარაღში იყო ჩამჯდარი: მოკლე თოფი, რევოლვერი, ფალასკები. ისე იცქირებოდა, თითქოს თავდასხმისათვის ემზადებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენჯერმე გააბოლა მევლუდმა. შორეულ ღრუბელს-მაგიერ ტყის თვალები, თითქო ფიქრებითაც მას შეუერთდაო.

დიდხანს უცქეროდა. თვალები აუცრემლა დასავლეთიდან მონადენმა გრილმა სიომ და მხოლოდ მაშინ იბრუნა პირი.

— ეჰ! — თითქო გული ამოაყოლა ოხვრას, მიიხედ-მოიხედა და ხის კუნძზე ჩამოჯდა.

ოხვრამ შეუმსუბუქა გული. ცეცხლით ანთებულ თვალებში რაღაც სევდიანი ბურუსი ჩაწვა და სახე შეეცვალა.

ხევში თოფი გავარდა. თითქოს მთა მოსკდაო, ისეთი გრგვინვა გაისმა, და ეს ხმა მთების მწვერვალს შესწვდა.

— თოფები! — წამოვარდა მევლუდი და თან თოფი აიყოლია.

თხუთმეტამდე ვაჟკაცი კედელივით აიმართა მის წინ.

— ვის ეშინია სიკვდილისა? — და არწივისებური თვალები მიმოავლო იქ მყოფთ.

— საკვირველ კითხვას იძლევი, მევლუდ, — წყენით მიუგო მაღალი ტანის მსხვილ-მკლავებიანმა შავგვრემანმა კაცმა. შემდეგ სხვებს გადახედა, რას იტყვიანო.

— ერმალე მართალს ამბობს, — ამაყად სთქვა ერთმა: — როდის დაგვიხევია სიკვდილის შიშით?

მევლუდმა უხერხულობა იგრძნო, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— მომყევით! — ბრძანა მან, მიბრუნდა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა. თხუთმეტი ვაჟკაცი ფეხდაფეხ გაჰყვა.

ტყიდან გავიდნენ. შემდეგ განშორდნენ ერთმანეთს და საფრები მონახეს.

მევლუდი და ერმილე დაწინაურდნენ. გადმომდგარ კლდეს გვერდი აუქციეს და ერთი ბორცვი აირჩიეს.

სროლა არ განმეორებულა. სროლის ხმა მიწყდა სადღაც შორს, მთებს იქით.

— რეჯების გაუფრთხილებლობაა, — დაარღვია სიჩუმე ერმილემ და მევლუდს შეხედა..

— უმიზეზოდ გასროლა ღალატია. როგორ გაბედავდა — სიბრაზით აენთო თვალები მევლუდს.

ერმილემ არაფერი არ უპასუხა. რევოლვერი ქამარში გაირჭო და ქვაზე ჩამოჯდა.

ქვემოდან მშვიდობის საცნობარი სტვენა მოისმა.

მევლუდმაც სამაგიერო უპასუხა და მომარჯვებული თოფი ჯოხივით გაიდგა წინ.

ჩასაფრებული ვაჟკაცები აქეთ-იქიდან გამოვიდნენ.

— სიკვდილისთვის მზად უნდა ვიყოთ, ბიჭებო, — გადახედა ამხანაგებს მევლუდმა. გულში კი ტკივილი იგრძნო. ნუთუ ტყვიით გასაგმირავად გაჩენილან ასეთი ადამიანებიო, გაიფიქრა.

— ბედს ურგუნებია, მევლუდ, ჩვენთვის ასეთი ცხოვრება.

— ჩვენამდე სხვისი გული გაიგმირება, — იმედიანად ჩაილაპარაკა მეორემ.

მევლუდმა ერმილეს შეხედა.

— ეშმაკმა წაიღოს! ასეთ ვაჟკაცებთან სიკვდილს ბევრი ვერც ინატრებს.. ასე, ბიჭებო, — სათითაოდ ჩამოუარა მევლუდმა ყველას.

— მამუდ, რადა ხარ უგუნებოდ? ეჰ, ჩემო ძმაო, შენ თუ ისევ ხახლგაბზე ფიქრობ... ბიჭებო, იცით რა, მალე, ძალიან მალე მოეღება ბოლო ჩვენს წოწიალს, რას იტყვი, ერმალე?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ბრძოლა უქმად არ ჩაივლის.

— არსენას სახელიც დიდი რამეა.

— სიკვდილი ლოგინშიც ეწვევა კაცს.

— მე კი სიკვდილს ჩვენ მტრებს გადაულოცავდი. რას მიცქერი, მამუდ? ნუ გეშინია. მევლუდმა ხომ სთქვა, მალე მოეღება ბოლო ჩვენს წოწიალსო.. აი დედასა! გურიაში წაგიყვან და იქ დაგაოჯახებ, ისეთი ძმისშვილი მყავს, რომ.. — ალბად, ცოლშვილი მოაგონდა და გული ჩაეთუთქა.

ქვემოთ რეჯები გამოჩნდა. ორი თოფი აეკიდნა. ხელში ფალასკა ეჭირა და ნელა მოაბიჯებდა. წინ ვილაც უცნობი მოუძღოდა.

— ვინ არის? — მისვლა არ დააცალა მევლუდმა.

— შენ უნდა გამოარკვიო, — ამოსძახა რეჯებმა და ნაბიჯს უმატა.

ყველას თვალები უცნობს მიაჩერდა. თავიანთთავს ეკითხებოდნენ: ვინ უნდა იყოს ეს თავხედი, ასე თამამად რომ მოდისო.

მევლუდი ამოსვლამდე შეეგება უცნობს, წინ გადაუდგა.

— სიკვდილი მოგინდა? — მკვახედ ჩახედა თვალებში.

— შერცხვენილ სიცოცხლეს ვამჯობინე, — თამამად მიუგო უცნობმა.

მევლუდმა გზა მისცა. უკან ჩამოუდგა და ამხანაგებამდე მიიყვანა.

— გამარჯობათ! — თითქო კარგ ნაცნობ ამხანაგებს მიესალმა უცნობი.

მევლუდმა ერმილეს შეხედა. შემდეგ უცნობს მიუბრუნდა.

— ვინ გახლავს? არ დამალო, თორემ... — რევოლვერი ამოსწია ბუდიდან.

— მარტოდ მოვედი, — მშვიდად უპასუხა უცნობმა.

— ვის დაეძებდი ამ ტყეში? — ახლა ერმილე მიუახლოვდა მოსულს.

— თქვენ.

— ჩვენ? — ერთად წამოიძახეს რაზმელებმა.

— დიახ, თქვენ, — ერთად მოავლო თვალი ყველას უცნობმა.

— რა შეგეხარბა ჩვენი? —

— ყველაფერი, რაცა გაქვთ.

— თოფები, ტყვიები, შიმშილი, სიცივე, ტანჯვა, წვალება, ტყე-ტყე ხეტიალი, მხეცივით სიცოცხლე და ძაღლივით სიკვდილი, — აი ჩვენი სიმდიდრე, — ჩამოუთვალა მევლუდმა და ამხანაგებს გადახედა, რას იტყვიანო.

— ჰო-და, მაგაში დამიდეთ წილი, ვაჟკაცებო, — თითქოს თხოვნის კილოთი მიმართა უცნობმა იქ მყოფთ.

მევლუდს მოსწრებული პასუხი მოეწონა. თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა და რეჯებს მიუბრუნდა:

— დაუბრუნე თოფი და ფალასკა, — ერმილეს შეხედა: — მამალაძევ, რას იტყვი?

ერმილემ გამოცდილი თვალებით გასინჯა უცნობი.

— ვაჟკაცს დაეჯერება სიტყვა... თუ ამხანაგები... — იქ მყოფთ გადააავლო თვალი.

— ვაჟკაცის ცნობაში არ მოტყუვდებით შენ და მევლუდი, — დაასწრო სხვებს ერთმა ახალგაზრდამ, ყველაზე ლამაზი სახის პატრონმა და ტანმორჩილმა.

მევლუდმა ღიმილით შეხედა ახალგაზრდას.

— შენთვის ჩამიბარებია... — ანიშნა უცნობზე მევლუდმა. ახლოს მივიდა და რაღაც ჩუმად უთხრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა გამოეყო სხვებს, უცნობთან მივიდა და წყნარი დაბალი ხმით შეეკითხა:

— ცოლშვილი გყავს?

— მყავს, — მიუგო უცნობმა.

— რად მოიძულე მერე ისინი?

უცნობმა ხელებზე დაიხედა.

— სიკვდილი უჩემოდაც მონახავს მათ.. მე კი... — მევლუდს მიუბრუნდა: — მევლუდ, მიმიღე თქვენს წრეში. ჩემს ამბავს მერე გაიგებ.. არ გიღალატებთ, ბიჭებო, — ვაჟკაცური ცეცხლი აენთო თვალებში.

— ვინ არის, გვითხრას მაინც, — წამოიძახა ვიღაცამ იქ მყოფთაგანმა.

— მართლა, — ახლა მოაგონდა მევლუდს: — რა გვარი ხარ?

— ხელაძე, — მოკლედ უპასუხა უცნობმა.

— ხელაძე?

— კი. ილიასი მქვია.

— ილიასა ხარ შენ? — მაგრა ჩამოართვა ხელი მევლუდმა და მამალაძეს წარუდგინა: — ეს არის, რომ გეუბნებოდი, გახსოვს?.. ყოჩაღ, რომ არ ჩაუვარდი იმ კაცის მჭამელებს! წავიდეთ, ბიჭებო... მამუდ შენ და ზურაბი მზვერავად წახვალთ. ერმილე, ჩვენი სტუმარი მოშიებული იქნება. არც ჩვენ გვაწყენს, ბიჭებო ზარმელი. — ცალმხარეზე მოდებული ნაბადი გაისწორა და წინ წავიდა.

დანარჩენებიც გაჰყვნენ. ილიასა ხელაძე ყველაზე ახალგაზრდა რაზმელს გაჰყვა. რაღაც უფრო კეთილი გულის მოეჩვენა ის. ხმაც წკრიალა და ნაზი ჰქონდა. უკვირდა, ხელმძღვანელმა რატომ მაინცა და მაინც ამ ახალგაზრდას მიანდო ჩემი თავი გამოსაცდელადო.

ჩუმად მიდიოდნენ ბანაკამდე. ხმა არავის ამოუღია, გარდა ხელაძისა, რომელიც ახალგაზრდა მხლებელს დაბალი ხმით შეეკითხა:

— რა გქვია, ძმაო, შენ?

ახალგაზრდამ ღიმილით უპასუხა:

— დარჩები და გაიგებ. — ბუხრის შავი ქუდი გაისწორა თავზე და ხელაძემ მას ოქროსფერი კალანი დაუნახა.

— არც გვარს მეტყვი? — ისევ ფრთხილად შეეკითხა ილიასა.

— ძალიან გაინტერესებს? წამოდი, წამოდი და მაგასაც შეიტყობ. — ნაბიჯი შეაჩერა და ყურში ჩასჩურჩულა: — აგერ რომ კაცი მიდის, ხედავ? — ერმილეზე მიუთითა ახალგაზრდამ. — მამაჩემია.

ილიასა კარგად დაუკვირდა მაგარი აგებულობის, მრისხანე სახის ვაჟკაცს. ერთხანს უცქირა და შემდეგ ისევ ახალგაზრდას მიუბრუნდა:

— გურული ხარ?

— კი, გურული. ბულარა მამალაძე გაგიგონია? იმის შთამომავალი. შთამომავალი კი არა, სულ ახლო მემკვიდრე. შენ იქნებ არც გაგიგონია ბულარა მამალაძე?

— არა, არ გამიგონია.

— ოო, ის ძლიერი ვაჟკაცი ყოფილა. მამაჩემს ახსოვს მისი ამბები. მისი შიშით ჩვენში თათრები ფეხს ვერ ადგამდნენ თურმე. ბატონი ვერავის უბედავდა შვილის მოტაცებას. მაშინ კი ძალიან ბევრ ბოროტებას სჩადიოდნენ ბატონები და თათრები.

— თათრები რა შუაშია? — იწყინა ილიასამ. — ღმერთს კაცი ერთნაირად გაუჩენია.

— მაგრამ სხვადასხვანაირად გაწვრთნილან, — შეაწყვეტინა ახალგაზრდამ. — რატომ გეწყინა? შენ თათარი არ ხარ. თუნდაც იყო. ჩვენთან მოსულ-

ხარ საამხანაგოდ. აქ კი ყველა ერთი რჯულის ვართ... ლამაზი ცოლი გყავს?— თვალებში ჩახედა ახალ გაცნობილს.

ილიასამ არაფერი არ უპასუხა. ეწყინა, რომ ასე უადგილოდ ეხსენა ცოლი. ვინ იცის, გულში რას გაივლებდაო, იფიქრა მან. მიიხედ-მოიხედა, გადავ-ჩეხავ კლდეზე ღორიშვილსო, გადასწყვიტა, მაგრამ ამ დროს ერმილე მამალაძემ მიიხედა და მის მრისხანე თვალებს რომ შეხედა, გადაწყვეტილება უარჰყო.

— ბავშვი რამდენი გყავს? — არ ასვენებდა ახალგაზრდა.

— ორი, — მოკლედ მიუგო ილიასამ და ვინ ოხერი მატრაკვეცაა,რომ არ მასვენებსო.

არ მოეწონა ასეთი მიღება. ასე ჰგონებოდა, პირს არ იზამდა აქეთკენ. ეს პირდაპირ დაცინვაა. ახალგაზრდას ჯერ პირზე რძე არ შეშრობია, ულვაშზე ხელი არ გადაუსვამს და ილიასა ხელაძეს გამოცდას უკეთებს. ცოლიც კი უხსენა. მასეთ სიტყვისათვის აჭარაში კაცს ჰკლავენ. რა საქმე აქვს ვილაც გურულ მამალაძეს ილიასა ხელაძის ცოლი იკითხოს. ლამაზი თუაო:

არა, ამასთან დარჩენა ილიასას არ შეუძლიან. როგორ მოითმენს ასეთ შეურაცყოფას! უსათუოდ მოელაპარაკება მევლუდს. ეტყვის, რომ ქართველები ძალიან გადიდგულებულან. აჭარის მიწა-წყალს შემოფარებიან და ჩვენ არაფრად გვაგდებენ.

მწყრალად შეხედა ახალგაზრდას.

ალბად, მამის იმედი აქვს, — გაიფიქრა თავისთვის. — ის კი არ იცის, რომ ორივეს ერთად... — გული აევლვრა. — ნეტავ მევლუდა როგორ ეთვისება ასეთ მატრაკვეცას? —

გულის ტკივილი იგრძნო. ყოველმხრივ იმედგაცრუებულ კაცს დაეწვება ასე გული.

რამდენი შრომა და ჯაფა დახარჯა აქ მოსვლამდე. რამდენი შიში და ფიქრი. ძლივს მოაღწია და იმედი გაუცრუვდა....

წარმოდგენილი კი სხვანაირად ჰქონდა.

მევლუდა იყო მთავარი ხელმძღვანელი. მას მოადგილეები ჰყავდა. ყველანი აჭარლები ან თურქეთიდან გადმოსულები. აბა, ქართველებს რა უნდოდათ აქ?

ყოყოჩა ხალხია ქართველები. სხვისი დაჩრდილვა უყვართ. აკი ახლა ამბობდა ეს ახალგაზრდა.

შეკრული წარბებით შეხედა ილიასამ ახალგაზრდა მამალაძეს.

ბუღარა მამალაძისა თათრებს ეშინოდაო. ის მამაჩემია და როგორ მოგწონსო. მერე კი... ლამაზი ცოლი თუ გყავსო.

ისე მივიდნენ ბანაკამდე, რომ ილიასას თავი არ აუწევია ზევით.

II

ბანაკი მთის წვეროზე იყო მოთავსებული. ირგვლივ დაბურული ტყე ერტყა. ერთი მხრივ მდინარე აჭარისწყალი ჩამოუდიოდა, მეორე მხრივ სხალთა. ორთავე გიჟი და ხმაურა. ვაგლახად ვერავინ გაბედავდა მათთან შებმას. ზოგჯერ ცხენოსანსაც გაუჭირდებოდა მეორე ნაპირს გასვლა. მეტადრე ახლა როცა მაისის მხურვალე მზის სხივები მაღალი მთების მწვერვალებზე სქლად დადებულ თოვლს გულმოდგინედ ადნობდნენ.

ბანაკიდან კარგად მოსჩანდა ქვემოთ გაშლილი მიდამო. ხულოსაკენ მიმავალი ახალგაყვანილი გზატკეცილიც ადვილი დასაზვერავი იყო აქედან. მტერი და მოყვარე შორიდან იცნობოდა.

ყველაზე საიმედო თავშესაფარი იყო დევნილებისათვის. როცა დიდი მგზავრობისა და წოწიალის შემდეგ დასვენება მოუნდებოდათ, აქ მოვიდოდნენ, მოიტანდნენ საკმაო საგზალს და შეექცეოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერაც შეიძლებოდა აქ, სროლაში ვარჯიშობაც, ცეცხლის დანთება და თბილი კერძის დამზადებაც.

ახალ შემოერთებული ამხანაგებიც აქ მოჰყავდათ გასაწვრთნელად. ასწავლიდნენ და თვითონაც სწავლობდნენ. შიკრიკებიც აქ დაუდიოდათ. მათი საშვალებით ტყობილობდნენ ახალ ამბებს, მთავრობის გადაწყვეტილებებს, ჯაშუშების საქმიანობას. აქ ადგენდნენ გეგმებს და აქედან მიდიოდნენ მათ შესასრულებლად.

— ბედნიერი იყოს შენი მოსვლა ჩვენს ოჯახში, ილიასა ხელაძევ! — უთხრა მევლუდმა ხელაძეს. — აი აქ არის ჩვენი სახლ-კარი. რას იტყვი მოგწონს?

ილიასამ მიიხედ-მოიხედა.

— ცა ქუდად გვაქვს და მიწა ქალამნად, — დაუმატა ახალგაზრდა მამალაძემ.

ერმილემ შვილს შეხედა. მის თვალებში მშობლიური სიყვარულის ნაპერწკლები ათამაშდნენ.

— თქვენთან აქ ქარვასლაა, — მევლუდის საპასუხოდ სთქვა ილიასამ. უფრო ახლო მივიდა, გვერდში ამოუდგა.

აქეთ-იქით ჩამოსხდნენ რაზმელები. ვინ ხის კუნძზე, ვინ ქვაზე, ზოგმა ნაბადი დააგო მწვანეზე და ფეხმორთხმით ჩაჯდა.

მევლუდმა ახალგაზრდა მამალაძე მიიხმო.

— ზარმელი გვაქვს? —

— გვაქვს, — მიუგო ახალგაზრდამ.

— მოიტანეთ, ახმედ გაჰყევი, მოშიებული იქნები, — მიუბრუნდა ხელაძეს.

— შიმშილზე აქამდე არც მიფიქრია, — თავი დახარა ილიასამ და ხელებზე დაიხედა.

— ბევრი იარე? — თანაგრძნობით შეეკითხა ერმილე.

— გამიძნელდა მოკვლევა. შავშეთი შემოვიარე. ახალციხეშიც ვიყავი. ჭვანაში ვიმალებოდი ერთი კვირა. ეჰ, გამიძნელდა უამხანაგოდ ხეტიალი...

კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაცა, მაგრამ საჭმელით სავსე კალათები მოიტანეს და თვალები იქითკენ გაექცა.

მჭადები, ყველი და მოხარშული ხორცი ამოალაგეს. მწვანეზე მუხის ფოთლებიანი ტოტები გაშალეს სუფრის მაგივრად და ზედ დაალაგეს.

მიუპატიჟებლად შემოუსხდნენ მწვანეზე გაშლილ სუფრას. ერმილე მევლუდის გვერდით ჩამოჯდა.

— შენ აქ დაჯექი, ძამია, — თავის გვერდით მიიწვია ახალგაზრდა მამალაძემ ხელაძე — ცოტა გვაქვს, მაგრამ ღარიბად მაინც არ ვითვლებით. და მოზრდილი ხორცის ნაჭერი დაუდო წინ.

— ნუ დაიმორცხვებ, ჭამე! რახან ჩვენი ძმობა გინდა, ჩვენი გულიც უნდა გაიზიარო. არსენას ამბავი გაგიგონია? „მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევო“, გაუღიმა და კიდევ გადმოუდო ხორცის ნაჭერი.

ხელაძეს გული გაუთბო ტკბილმა სიტყვებმა. პირდაპირ შეხედა ახალგაზრდა მამალაძეს. ეს რა ენის პატრონი ყოფილაო.

— მორცხვი ყოფილხარ, მეგობარო. ჩვენთან კი მასეთი ადამიანობა სირცხვილია, — და ახალგაზრდა მამალაძე უფრო ახლო მიუჩოჩდა ხელაძეს.

ხელაძემ არაფერი არ უთხრა. უხერხულობა იგრძნო, რამდენიმე ღუკმა შესჭამა და ხელი ფოთოლზე შეიწმინდა.

— ნუკრია, გვიამბე რამე, — მიმართა ახალგაზრდა მამალაძეს სადილის შემდეგ მევლუდმა. თამბაქო გაიწყო და ქისა ერმილეს გადასცა. — არსენას ამბავი ან კაკო ყაჩალისა. თუ გინდა, ტარიელის შესახებ მოგვიყევი.

— არსენას სჯობია, — წამოიძახა ერთმა.

— რომელიც უნდა, ის სთქვას.

ყველამ ახალგაზრდა მამალაძეს შეხედა.

„ძალიან ყვარებიათ ეს ენატანტალა, — გაიფიქრა ხელაძემ, — თუმცა არც ურიგო ბიჭი სჩანს.“ ილიასიც არ იქნებოდა გულნაკლული, მაგრამ ლამაზი ცოლი თუ გყავსო რომ ჰკითხა, ეს არ იყო რიგიანი. რა ეკითხება მაგას, ლამაზია თუ ულამაზო ეჰ, ნეტავ სულ არ შეერთო. გაცილებით ბედნიერი იქნებოდა ახლა. შეიძლება არც ის უბედურება შემთხვევოდა. ორი ბავშვის ცოდვა მაინც არ დაედებოდა.

ბავშვების მოგონებამ სულ აუმღვრია გული. ნეტავ როგორ არიან? მთავრობიდან დევნილის შვილებს ვინ შეიფარებს? ლუკმა მჭადის შოვნა მამაკაცსაც უჭირს ჩვენში. ბავშვებიანი ქალი რას გახდება?

ისე მაგრა ამოიოხრა ხელაძემ, რომ მისი გვერდით მჯდომი ახალგაზრდა მამალაძე შეკრთა.

— დარდები მოგვიტანე, ძამია? — ალერსიანად შეუხედა მან ხელაძეს. — ჩვენ კი წყალს გავატანეთ. აქ თოფის თრევაც გვეყოფა. დარდებისათვის ვის სცალია.

— მართალია, — ღიმილით უპასუხა მევლუდმა, — მაგრამ როგორც მახსოვს, კარგახანს ატარებდი შენც. რას იტყვი?

— კი, — თავი დახარა მამალაძემ. — მაშინ სხვა გული მქონდა. — იქ მყოფთ თვალი მოავლო. — ასეთი ვაჟკაცებიც არა გვყავდა. დღეს კიდევ ახალი ამხანაგი შევიძინეთ. ჩვენზე გონჯი არ გამოდგება, — ბეჭებზე ხელი დააადო.

— მოგვიყევი შენი ამბავი. რას იტყვით ,ბიჭებო? —

— გვიამბოს. მაგას რაღა სჯობს! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

ილიასამ თოფის ღვედს დაუწყო თითებით სრესა.

— გვიამბე, გვიამბე, — ახლოს მიუჩოჩდა მევლუდი ხელაძეს.

ილიასამ თვალებში შეხედა მეთაურს.

— გაგიგონიათ, მეტი რა გითხრა? — თავი ჩაღუნა და მიწას დააცქერდა.

ყურმოკრული ჰქონდათ, მაგრამ დაწვრილებით უნდოდათ გაეგოთ ახალმოსული ამხანაგის ამბავი. ეს გასაცნობადაც იყო საჭირო.

ვერც ხელაძე იტყოდა უარს და დაიწყო.

არაფერი საინტერესო არ არის მაინცა და მაინც ხელაძის ამბავი. უბრალოა, ჩვეულებრივი. წელიწადში ათი მაინც ხდება ისეთი შემთხვევა აჭარაში.

ძმა მოუკლეს და ძმის სისხლი აიღო. სხვაგვარად არც შეიძლებოდა... ამის შემდეგ ოჯახში არ დაედგომოდა. მოკლულის ნათესავებიც სდევნიდნენ, მთავრობაც. სიკვდილი ბევრად სჯობია რუსთა ციხეში ჯდომას.

გაიქცა ილიასა ტყეში. ტყეში უამხანაგოდ არ იცხოვრება. ხელაძემ კი ვერ იპოვა ამხანაგი... სახელგატეხილ ყაჩაღებთან შეერთება არ უნდოდა, მევლუდის მიგნება კი გაუჭირდა. სად არ იყო, სად არ ეძება. ექვსი თვეა ეძებს და ძლივს მიაგნო.

— ეს არის და ეს, — დაამთავრა მან.

— ერთი აღა მოჰკალი, მეტი ხომ არაფერი ჩაგიდენია? — შეეკითხა მევლუდი.

— ერთი აღა ათ უბრალო კაცს უდრისო. ასე ჰყოლია რუსის კანონს შეფასებული... ნეტავი ათი მომეკლა! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ხელაძემ.

— რა დაგიშავა ძამია? — კითხა ნუკრიამ.

— დამნაშავეს იქ ცნობილობენო, გამიგონია. რომ არ დაეშავებია, არც მოვკლავდი. შენ კი შეარჩენდი ძმის სისხლს?

— არა. ყოჩაღად მოქცეულხარ. — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მიუბრუნდა და ისევ შეეკითხა: — უცაბედად ხომ არ მოსვლია, მარცხად?

— რომელი მარცხი. მარცხს რა უნდოდა, განზრახ ესროლა, შორიდან. ეჰ, გრძელი ამბავია!

— გვიამბე, გვიამბე. —

დაინტერესდნენ რაზმელები და უფრო ახლო მიიწიეს.

ხელაძემ სათითაოდ შეხედა ყველას.

— მძიმეა, ბიჭებო, ჩემთვის იმ ამბის მოგონება, მაგრამ... — რამდენიმე წუთს სდუმდა და შემდეგ დაიწყო: ხიფათი მუდამ სდევს ადამიანს. ბედი თუა, თორემ სხვას რას შეუძლია ასე წაიყვანოს კაცის საქმე. ოთხი ძმა ხელაძე მშვენივრად ცხოვრობდა ერთად. ბევრი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ტკბილია ოჯახი და თბილი კერა. გლეხკაცს რა უნდა ამდენი, მჭადი ჰქონდეს და ჯანმრთელად იყოს. სხვას ყველაფერს აიტანს და გაუძლებს.

— ეჰ, არც თუ ისე ადვილი გასაძლებია მუქთახორების რჩენა! — თავის ჩაქნევით ჩაერია ლაპარაკში მევლუდი.

— არა, მაგრამ... მთაბარი არასოდეს არ გასწორებულა მევლუდ, — და ხელაძემ განაგრძო: ჰო, სამი ძმა იყო ცოლშვილიანი ხელაძის ოჯახში. მეოთხისა და ყველაზე უმცროსისათვის ეძებდნენ საცოლეს. ორიგიანი ოჯახისშვილი უნდოდათ. მისი ყისმათი იყო, ალბათ. რძლებმა უთხრეს და თვითონაც დათანხმდა. სხვა სოფლის გლეხის შვილი იყო. რამდენჯერმე ნახეს რძლებმა ჩუმად. ერთ დღეს მაზლიც წაიყვანეს და აჩვენეს საცოლე. ჩვენი ქალები ძალიან მოხერხებულნი არიან. ქალურად მორთეს, ჩადრი ჩააცვეს, ჩარჩაბი ჩამოაფარეს და ისე წაიყვანეს თურმე ბიჭი.

— და გოგო ვერ მიხვდა? — ვერ მოითმინა ახალგაზრდა მამალაძემ.

— ნუკრია, ადროვე! — წყენით გადახედა მამამ შვილს.

„ეს მართლა ნუკრიაა", — გაიფიქრა ხელაძემ. არ უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ მევლუდიც რომ დაინტერესდა, არ დაიზარა;

— ჯერ ვერ მიხვდა, მაგრამ როცა უთხრეს, შენი საქმროაო, გაუხარდა. ჩუმად მოინდომა თურმე გოგომ გაყოლოდა. ნეტავ მაშინ გამოყოლოდა!.. გახმაურდა სოფელში ამბავი. შეიქმნა მითქმა-მოთქმა. ქალი კარგი იყო და ბევრს ეჭირა თვალი მასზე. თუმცა მას არავინ არ უნდოდა, სეითას მეტი. პირველ ნახვიდანვე შეუყვარდა თურმე, მაგრამ...

— რა ფასი აქვს ქალის სიტყვას, სურვილსა და სიყვარულს?! ძროხას ვისზედაც გაყიდის პატრონი, სულ ერთია, — ჩაურთო ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა.

— ჰო, ხელაძეებმა დაითანხმეს ქალის მშობლებიც. კარგი საჩუქრები მიუტანეს. ოქროულობაც იყიდეს. ერთი სიტყვით, მზად იყვნენ საქორწილოდ, მაგრამ თითო უბედურება არ აცდება კაცს. ერთ დღეს ნური აღას კაცი გამოეგზავნა — ზეჭრიე ჩემი შვილისთვის მინდა და დამითმეთო. „დამითმეთო" რომ არ შემოეთვალა, მაშინ სულ სხვა იყო, მაგრამ ახლა მდგომარეობას გადახე-

დეს. ნური აღა გავლენიანი კაცია, ჭკვიანი, ხანში შესული, შეძლებული, ქონება ბევრს ნიშნავს, ყველა ქონებიანსა და შეძლებულს მორჩილობს. სულელიც რომ იყოს ბრძენად გადააქცევენ, მაგრამ ნური აღა ქონებასა-ჭკვიანიც იყო და ჭკვიანიც. სტამბოლში ჰქონდა სწავლა მიღებული. მთავრობისა და ვარსკვლავების გამოცნობაც იცოდა. შვილი ვერ ჰყავდა სასიკეთო, უქნარა და ზარმაცი იყო, მაგრამ ჩვენში კიდევ ამბობენ „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი მერე გამონახეო“

ანდაზა სწორია, მაგრამ ყოველთვის ხომ არ გამოდგება. უვარგისი იყო, მაგრამ კაი მამიშვილს, ქონებისა და სიმდიდრის პატრონს ვინ დაუკავებდა ქალს.

ცოტა ხანს შეჩერდა ხელაძე, მერე განაგრძო:

— დაღონდა საცოლე წართმეული ბიჭი. ჩამოხმა. ძმები და რძლებიც შეფიქრიანდნენ. დაუწყეს ძებნა სხვა ქალს. ბევრი კარგი ქალი აღმოაჩინეს. მაგრამ ბიჭი ვერ დაითანხმეს.

ოთხი წელი გავიდა. დრომ დარდი და ნაღველიც გაიტანა. ბიჭსაც შეეცვალა გული. თავის გასახარად ახალი ვარსკვლავი დაინახა. წართმეულ საცოლეს მეორე და წამოეზარდა. უფრო ლამაზი და მშვენიერი. რახან ბიჭსაც მოეწონა და მშობლების თანხმობაც იყო, ხელაძეებმა ისევ გამართეს მოლაპარაკება.ითათბირეს, ილაპარაკეს და შეთანხმდნენ. დღეც დანიშნეს, მისატანიც მიიტანეს და დამშვიდდნენ. ყველას უხაროდა, რომ უსისხლოდ გათავდა წინანდელი უთანხმოება და წყენა-საყვედურები. მაგრამ ბოროტად დაბადებული კაცი სიკეთეს ვერ შეითვისებს. გამოგვიგზავნა მოციქული ნური აღას შვილმა და უტიფრად შემოგვითვალა: ჩემი ცოლის და ჩემთვის მინდა და ტყუილად ნუ იწუხებთ თავსო.

— რაო? — ბრაზით წამოიძახა ერმილემ.

— ვერ დაგანებებთ ცოლის დასო, მეორე ცოლად მინდაო.

— მერე რა შეუთვალეთ? —

— დავიხოცებით და არ დაგითმობთო.

— მერე?

— გავიტანეთ ჩვენი. ნური აღა არ იყო ამდროს ცოცხალი და მისი შვილისა ვის შეეშინდებოდა.

— კარგი გიქნიათ, — მოუწონა მამალაძემ.

— კარგი მაშინ იქნებოდა, რომ კარგად დაბოლოვებულიყო. ერთ დღეს, როცა ახალ-დაქორწინებული ხელაძე და მისი ცოლი ეზოში იდგნენ, უეცრად საიდანღაც გავარდა თოფი და ტყვია შიგ გულში მოხვდა ხელაძეს. ვაიმე, ძმაო, — ამოიხვნეშა ილიასმა. — სახლში არ ვიყავი, თორემ იქვე ჩავაწვენდი ჩემი ძმის სისხლში მის მკვლელს... მთელი ოჯახი დააქცია ამ ამბავმა. სამივე ძმა შევიარაღდით. სისხლის აღება მე მხვდა წილად. გაცოცხლდა მეგონა მკვდარი ძმა, როცა მის მკვლელს ტყვიით გაგმირულ გულში ბებუთიც დაუტრიალე და ცხელი სისხლით გავიბანე ხელები. იმ დღის შემდეგ ავიდგი ფეხი... მთავრობის ხელში ჩავარდნას, ტყედ ყოფნა ვარჩიე და ტყემ კი თქვენამდე მომიყვანა.

მაინცდამაინც არავისზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ამ ამბავს. ან ვინ უნდა აეღელვებინა როცა ყოველ ამათგანს მეტი ენახა და განეცადა.

— დიდი ხანია არ გინახავს ცოლშვილი? — თანაგრძნობით შეეკითხა ნუკრია ხელაძეს.

— ოთხი თვეა... როგორ მენატრება ბავშვები. ერთხელ შევიპარე ღამით და ეძინათ. მინდოდა გამეღვიძებია, მაგრამ ცოლმა დამიშალა. ვინმესთან იტყვიანო. ჩავკოცნე და... — თვალებში ხელი ამოისვა.

მევლუდმა ახლა შენიშნა, რომ გული ჰქონია. როცა ილიასა შგილების ალერსზე ლაპარაკობდა, მასაც მოაგონდა თავისი პირმშო. მართალია მისი სიყვარული ჯერ არ განუცდია. კარგად ხელიც არ შეუვლია, მხოლოდ აკვანში ჩაკრულს მიუალერსა ერთხელ, მაგრამ გულმა მაინც გამოიყოლია მბრბლიური სიყვარულის ნაპერწკალი, რომელიც ნელნელა გაღვივდა.

— ერმალე!— მიუბრუნდა ის მამალაძეს.

მამალაძემ პირდაპირ შეხედა.

— გამიშვებ?

— სად აპირებ?

— მომენატრა ის მამაძაღლიშვილი, — გაულიმა მევლუდმა.

— ვიცი, ვიცი, გასაგებია, — და ერმილემ გახედა მზეს, რომელიც შორეულ მთას აპირებდა ამოფარებას.

— წადი.... მხოლოდ ხვალ ღამით აქ უნდა იყო.

— ერთ საათს დავრჩები მხოლოდ. შვილი, თორემ..

— ცოლი არ გენატრება? — ეშმაკურად გაულიმა მამალაძემ.

— ცოლი? — ნაღვლიანად სთქვა მევლუდმა.—საწყალი ქალი, დავტანჯე და, ვინ იცის, კიდევ რამდენი უნდა იტანჯოს. — წამოდგა, გაიარ-გამოიარა და შემდეგ ისევ ერმილესთან მივიდა.

კარგახანს ლაპარაკობდნენ მარტონი. დანარჩენები ისევ ილიასა ხელაძესთან შექუჩებულიყვნენ და ათას რამეს ეკითხებოდნენ.

ყველაფერი აინტერესებდათ დევნილებს. გლეხობის ჭირვარამი და მთავრობის ღონისძიებები. პოლიციის მოქმედება და ჯაშუშების საქციელი.

სოფლის ცხოვრებას მოკლებულთ, არ უნდოდათ კავშირის გაწყვეტა მასთან. მუდამ სოფელი და მისი ტანჯვა-წვალება აგონდებოდათ.

ამიტომ ყოველი ახალმოსული სულიერი საზრდო იყო მათთვის. ახალ ამბებს მოუტანდა ახალი ამხანაგი და ამ ამბებით იკვებებოდნენ.

ახალგაცნობილ ამხანაგებს ხელაძემ ერთი ახალი ამბავიც აცნობა.

— ხუთას მანეთს შეჰპირდა მთავრობა მევლუდას დამჭერს. ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ.

შემდეგ მევლუდას შესახებ ილაპარაკა.

— ძალიან უყვარს ხალხს. ყველა აქებს და ადიდებს. მაგრამ..

ხალხის საყვარელს უფრო მეტი მტერი ჰყავს. ოქრო ბევრს უბრმავებს თვალებს.

— დაიცადონ, — შეაწყვეტინა სიტყვა ახალგაზრდა მამალაძემ: — ისეთი ბიჭები შემოგვიერთდებიან ამ რამდენიმე დღეში, რომ მათი შიშით რისხვას დავცემთ მტრებს. — ილიასას დააცქერდა თვალებში: — შენ ხომ არვინ შეგხვედრია მთავრობის კაცი აქეთ წამოსვლისას?

ილიასა მიხვდა, მკდისო და წყენით უპასუხა.

— ახლა რა გითხრა და... — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — ძმისთვის ხელაძეს არ უღალატნია. — კიდევ მოაგონდა ის სიტყვები, ლამაზი ცოლი თუ გყავსო, და წყენა უფრო დაეტყო.

— ნუკრია. არ გინდა, ალიფაშა ვიმღეროთ? — ახლო მიუჯდა მამალაძეს ერთი ახალგაზრდა.

— ვიმღეროთ, — სწრაფად მიუგო მამალაძემ. — შენც დაგვეხმარე — მხარზე ხელი დაადო ხელაძეს. — ხომ გითხარი, უნდა გავფანტოთ დარდი და ნაღველი! და ისეთი წკრიალა ხმით წამოიწყო მაშინ ახალგაჩრელებული სიმღერა, რომ ილიასას სისხლმა დაურბინა სხეულში. ფრინველს თუ შეუძლია ასე მოქნილად ამეტყველდეს, ასე მიარხ-მოარხიოს ხმაო, გაიფიქრა.

რაზმელები აყვნენ. ილიასამაც ააყოლა ხმა, ჯერ ნელნელა, შემდეგ კი ისე აუწია, რომ სხვები დაჩდილა. კარგა ხანია არ ემღერა მას შემდეგ რაც ძმა მოუკლეს, რაც ცხოვრება აურ-დაურიეს...

ახლა წუთით ყველაფერი დაავიწყდა, ძმაც, ოჯახიც, ბილიკიც და შვილებიც:

„ალი-ყაშამ გვიღალატა,
ჩაგვიყვანა კვირიკეში,
თვითონ ფულები აიღო,
ჩვენ ჩაგვტია რუსის ხელში“.

არაკრაკებდა სიტყვებს და, თითქოს ამან ყველას გული მოუკლაო, მალე სხვა მაიყოლეს:

„არც მას კარგი დამართია,
ბაწრით ჩაითრიეს გემში.
მისი კვილი ისმოდა
სუფსას გაღმა ბაილეთში“.

მოლალატის დასჯამ დალონებული გული გახსნა და სიმღერამაც ახალ ტემპით აიწია.

მევლუდი და ერმილე ისევ მოშორებით ისხდნენ. ახლა მათთან ისმაილიც იყო. სამივეს მეტად სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა.

ასეთ დროს ვერავინ ჰბედავდა მათთან მისვლას. არავის ჰქონდა უფლება მათ ლაპარაკში ჩარეულიყო. იშვიათად თუ ახალგაზრდა მამალაძე გაბედავდა მამასთან მისვლას.

— ალბად, მალე მოგვიწევს აქედან წასვლა, — ჩაილაპარაკა ერთმა რაზმელმა და ამხანაგებს გადაჰხედა.

— მე მგონია, სულ სხვა რამეა, — სთქვა მეორემ.

— ნუკრიას ეცოდინება, — წამოიძახა მესამემ.

— ვითომ საიდან? — შეუბღვირა ნუკრიამ. — გულთმისანი ვარ თუ?

— არა, მაგრამ შაითანი ხარ, — გაეხუმრა პირველი.

ნუკრიამ გაიღიმა. მჭიდროდ ერთმანეთზე მიწყობილი ბროლივით კბილები გამოუჩნდა.

ნუკრიამ იცოდა, რაზე საუბრობდნენ მეთაურები, მაგრამ ნება არა ჰქონდა ამხანაგებისათვის ეთქვა. სხვებზე ბევრად ახალგაზრდა იყო, მაგრამ საიდუმლოს შენახვაში ყველას სჯობდა. ამიტომ იყო, რომ მევლუდი ყველაზე ადრე მას გაუმხელდა ხოლმე თავის აზრს.

გუშინ რომ წერილი მიიღეს, ისიც ნუკრიამ წაიკითხა. სხვამ არც იცოდა კითხვა. მევლუდი იყო ვითომ წერა-კითხვის მცოდნე, მაგრამ ხელნაწერის წაკითხვას მაინც ვერ ახერხებდა.

ის წერილი კი ძნელი წასაკითხი იყო. ფანქრით ნაწერი ნახევრად აჩნდა ქაღალდს.

ნუკრიამ მაინც მოახერხა წაკითხვა. მარტო მევლუდს წაუკითხა, შემდეგ კი მამასა და ისმაილს გააცნო წერილის შინაარსი.

გურული ყაჩაღი სწერდა მევლუდს. მიძმე, მიამხანაგე და შემოგიერთდებიო. ესე ჭანუყვაძე ვარ, გურიაში ცნობილი და განთქმული. ახალციხეში შეხვედროდა ერთ აჭარელ გლეხს და იმისათვის გამოეტანებინა, წერილი.

— რომ გავიგო, მევლუდას არ მიუტანე, ან სხვა ვინმეს უჩვენე, სახლკარიანად ამოგბუგავ, ცოლშვილიანად ამოგწყვეტო, დაებარებინა. საჩუქრად დამბაჩა მიეცა. შეასრულებ დავალებას, ღმერთმა მოგახმაროსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წერილზე ლაპარაკობდნენ ახლა მეთაურები.

მევლუდი თანახმა იყო ჭანუყვაძის შემოერთებისა. ახლავე შეუფვალოთ თანხმობაო, ამბობდა. მაგრამ მამალაძე ეწინააღმდეგებოდა.

— ჯერ შევამოწმოთ, ვინ იცის, რა კაცია. იქნებ...

თავის თავზედაც უნდა ეჭვობდესო ტყედ გასული. ესე ჭანუყვაძეს შორიდან იცნობს ერმილე. გაუგია, წესიერი ყაჩაღია, ღარიბ-ღატაკის მოსარჩლეო, მაგრამ მოტანილი ხმის დაჯერება არ შეიძლება.

ისმაილიც ამ აზრისა იყო.

— მოვიწვიოთ, პირისპირ შევხვდეთ ერთმანეთს, მოველაპარაკოთ, — ამბობდა ის.

— მაინც მიდიხარ, ბარემ ბათუმშიც ჩაიპარე. ქარხანაში ნაცნობ ბიჭებს ნახავ. მოელაპარაკე. იმათი საშუალებით ჭანუყვაძესაც შეგიძლია გაუგზავნო წერილი, — ურჩია ისევ მამალაძემ. ისმაილიც დაეთანხმა.

— კარგი, — სთქვა მევლუდმა, წამოდგა და რაზმელებთან მივიდა.

— ხომ არ მოგეწყინათ, ბიჭებო? ნუკრია, რად არ გაართობ ამხანაგებს? ილიასას უამბე არსენას ამბავი ან კაკო ყაჩაღის... ჰო, მართლა, ბიჭებო მე ორი დღით მივდივარ. ჩემი ყაჩაღი უნდა ვნახო ერთი და ერმილე დარჩება ჩემს მაგივრად, მამუდ, ცხენი ამომიყვანე...

სანამ მამუდი ცხენს მოუყვანდა, მევლუდმა ამხანაგებთან ერთად იმღერა. შემდეგ სათითაოდ გადაჰკოცნა ყველა და ცხენს მოაჯდა.

ასე იცოდა ყოველთვის. გულთბილად გამოეთხოვებოდა ამხანაგებს. ყაჩაღი და საძოვრად გასული ირემი ერთიაო, ამბობდა. არავინ იცის, დაბრუნდება თუ არაო ბუნაგში.

გული აუჩუყდებოდათ ამ დროს. გრძნობა და ცრემლები ამათშიაც იყო, თუმცა გარეგნულად ვერ შეამჩნევდა მათ ადამიანი.

ერმილემ ღელემდე ჩააცილა. გზაზე მამობრივ დარიგებას აძლევდა. არავის ეჩვენო, ბევრხანს ნუ დარჩებიო სოფელში. გარედ ყოფნა გერჩიოსო.

მევლუდი არ საჭიროებდა დარიგებას. მაგრამ მაინც უსმენდა უფროს ამხანაგს. უფროსი ძმის ან მამის ადგილი ეჭირა მის გულში ერმილეს. ეს პირველი კაცი იყო, რომელმაც მიიღო ის, შეიფარა და გზა ასწავლა.

ტყეში გავარდნილისთვის ყველა გზა ერთნაირია, ყველა უკულმართობისაკენ მიდისო, ფიქრობდა წინად ის. რადგან არავინ დაგინდო, შენც არავინ უნდა დაინდოო. ერმილემ სულ სხვანაირად აუხსნა.

ხალხს ხელმძღვანელი არ ჰყავს. ხალხს სწავლა არა აქვს. ხალხი უენოა. მას მოსარჩლე და დამხმარე უნდაო.. ყაჩაღი რას დაეხმარება სხვას, რას უსაშუალებს გაჭირვებულს. მაგრამ უსამართლობას რომ იარაღით შეებრძოლება, მდიდრებს რომ ომს გამოუცხადებს, ხალხს გულისყურს გაუხსნის, იმედს მისცემს. თვითონ კი სიყვარულს დაიმსახურებსო.

ასე ფიქრობდა მევლუდიც, როცა იარაღს მოავლო ხელი, როცა ტყეში გაიჩინა ბინა. მაგრამ მამალაძის სიტყვებმა უფრო დაარწმუნა თავისი აზრის ჭეშმარიტებაში.

კარგა გასცილდნენ ბანაკს, ღელეს გავიდნენ. ერმილე გაჩერდა.

— მაშ, კეთილი მგზავრობა, გასწი, ნუღარ აგვიანებ, — ცხენს გავაზე ხელი დაჰკრა.

მევლუდმა ერთი მიუხედა. შემდეგ ნაბადი გაისწორა და ცხენს დეზი ჰკრა.

მორჩილი ტანის ცხენი თითქო ამას უცდისო, მოსწყდა ადგილს და მწევარივით ჩაირბინა ფერდობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედარმა ერთხანს მიუშვა სადავე, გაჰყვა ნებაზე, მაგრამ მალე ისევ შეაჩერა, აღვირი მოსწია, მოაბრუნა და ერმილესთან მიაგდო.

— ერმილე! — და მევლუდმა მამალაძეს გადმოხედა.

— რას მეტყვი? — შეანათა დიდრონი თვალები ერმილემ.

— მოიწი აქ!

— რა გინდა? — ერმილე ახლო მივიდა.

— აი რა, — მევლუდი ცხენიდან გადმოიწია. ერმილეს გაშლილ გულმკერდს ჩაეკრა და რამდენჯერმე აკოცა. შემდეგ ისევ გაიმართა წელში, ცხენი მიაბრუნა, მათრახი დაჰკრა და ელვის სისწრაფით გაჰქრა.

გაშეშებული ერმილე დიდხანს იდგა უხმოდ. გაჰყურებდა მიმავალ ცხენს და გულში რაღაც სიმარტოვეს გრძნობდა. კარგახანს იდგა ასე. შემდეგ, თითქოს გამოერკვაო, აკრემლებულ თვალებზე ხელი მოისვა და თავისთვის წარმოსთქვა:

„გულმა რა გლახ ჰქნას უგულოდ,
თუ კაცი კაცსა ელია;
მოშორება და მოყვრისა
გაყრა კაცისა მკვლელია“.

ნელი ნაბიჯით მივიდა ბანაკამდე. რაზმელები რაღაც უხასიათოდ იყვნენ. წიწილებს რომ კრუხი მოსცილდება ან ბავშვებს დედა, ისე გრძნობდნენ თავს. მუდამ მხიარული და ცელქი ნუკრიაც კი ფიქრებით დატვირთულიყო. ქვაზე ჩამომჯდარი კენჭებს ათამაშებდა ხელში. თვალები მიწისთვის მიეჩერებინა. ფეხებს უმიზნოდ აქანებდა და დაბალი ხმით ღიღინებდა.

იქვე იჯდა ისმაილი. თვალები ნუკრიასაკენ ჰქონდა მიქცეული, გული კი სხვამხრისაკენ. მისი სახე ხან კმაყოფილი იყო, ხან ნასეტყვარივით დანისლული.

ილიასა წამოწოლილიყო. დიდიხნის ნასიარულებს ფეხები მოესვენებინა. გულისა და თავის მოსვენების საშუალება დიდი ხანია დაეკარგა და საეჭვო იყო მისი პოვნა.

ერმილე შორიდან უცქეროდა ამ სურათს. ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს. ხან ერთის გულში ჩაიხედავდა, ხან მეორესაში, თითქოს ყველას გულის გასაღები ეჭირა ხელში და სურვილისამებრ მოქმედებდა.

უკანასკნელად შვილს შეხედა, ნუკრიას გულის ყოველი ნაწილი ხომ ნაცნობი იყო მისთვის. მის მკერდზე აღზრდილი შვილი ყველაზე საყვარელი და ძვირფასი იყო.

ან რა დარჩენოდა მეტი. ერთად-ერთი ვარსკვლავი ნუკრია იყო. რომელიც მისთვის ბრწყინავდა უმანკოებით სავსე.

ძალიან ბევრს ფიქრობდა ნუკრიას ბედზე ერმილე. იცოდა, რომ ძნელი საქმე არგუნა შვილს. საკუთარი უკუმავალი ბედი გაუნაწილა. ერთი რამე უფრო მეტად აწუხებდა მას. ის მხოლოდ სამმა იცოდა ამ წრეში. მამაშვილმა და მევლუდმა. ამიტომ იყო, რომ მევლუდი ძალიან სათუთი სიყვარულით ეპყრობოდა როგორც ერმილეს ისე ნუკრიას.

ნუკრია მევლუდმა დაარქვა ახალგაზრდა მამალაძეს. ხუთი წლის წინ იყო. მაშინ, როდესაც ერმილემ შვილი მიიყვანა და გააცნო. პატარაა, მაგრამ შველია, ნამდვილი შველიო, უთხრა.

— შველი? — შველი კი არა, ნუკრია, ერმილე, მაგი, — უთხრა მევლუდმა და ბავშს თავზე ხელი გადაუსვა.

— იყოს ნუკრი, — დაეთანხმა ერმილე. — ნუკრიც იგივე შველია. წამოიზრდება და შეიძლება....

— ირემსაც აჯობოს, — ღიმილით სთქვა მევლუდმა და კიდევ მიუალერსა ბავშვს.

იმის შემდეგ ნუკრიას ეძახდნენ ახალგაზრდა მამალაძეს. უყვარდნენ და პატრონობდნენ. ნუკრიაც არ იყო უსარგებლო ამხანაგებისათვის. მართლაც შვლის ნუკრივით ეთვისებოდა ყველას. ტანად პატარა, მაგრამ ყოჩაღი და გამბედავი. ხშირად ისეთ რამეს გააკეთებდა, რომ ბევრს შეეხარბებოდა.

მოხერხებაც კარგი ჰქონდა. ისე დადიოდა ახლო-მახლო სოფლებში, რომ ვერავინ მიიტანდა ეჭვს. ხულოშიაც რამდენჯერმე ყოფილა, მაზრის უფროსიც უნახავს და მისი გეგმებიც შეუტყვია.

— ეჰ, — აღმოხდა ერმილეს შვილზე ფიქრებით გართულს. შეებრალა უბედო ადამიანი. გული დაეწვა. ხომ მისი მოვალეობა იყო შვილის აღზრდა? ცოლმაც ხომ ეს დაავალა: შენ იცი, ერმილე, ჩემს სახსოვრად თუ გამოზრდი და ხეირიან გზაზე დააყენებო. გამოზრდით ვითომ კი გამოზარდა, მაგრამ ხეირიან გზაზე კი ვერ დააყენა.

— მერე და სადაა ჩვენში ხეირიანი გზა? — შეედავა ერმილე თავის თავს — ყველაზე ხეირიანი ისევ ტყეში ცხოვრებაა. გალანძღული და დამცირებული მაინც არ იქნები, შენ ნამუსს ვერავინ შეეხება.

უფრო აემღვრა ერმილეს გული. ყველაფერი მოაგონდა რაც უნახავს და განუცდია. თავისი ახალგაზრდობა თვალწინ წარმოადგა, ნახევრად შიშველი რომ დადიოდა სურების ტყეში. დათვებსა და მგლებზე ნადირობდა. საღამოობით ცეცხლისპირს მიმჯდარი მამისაგან ბუღარას ამბებს ისმენდა.

საამაყო გამოსულიყო მამალაძეების გვარში ბუღარა მამალაძე. დიდიხანი არ იყო გასული შემდეგ, რაც ის გარდდაცვლილიყო, ამიტომ ზოგიერთები ცოცხლად სთვლიდნენ.

ბუღარას ვაჟკაცობა მოგცემოდესო, ეტყოდნენ დალოცვისას ახალგაზრდას. ბუღარასავით შეჰყვარებოდე ხალხსო.

გლეხი კაცი ყოფილიყო ბუღარა, მაგრამ მკლავმაგარი. რამდენჯერმე დათვს შეტაკებია თურმე ხელდახელ და დაუმარცხებია.

თავადებსაც კი ეშინოდათ მისიო. ბატონი მის ოჯახს ვერ მიადგებოდა ვაგლახად, ბუღარას ვერ მოსთხოვდა სამსახურსო.

ვინ იცის, რამდენი გაყიდული და მოტაცებული ყმა უხსნია ბუღარას, რამდენი ქალი გადაურჩენია შერცხვენას, რამდენი გლეხი განადგურებას!

ასე იბრძოდა ბუღარა. მაგრამ ამხანაგი არა ყოლია. მისი სიკვდილის შემდეგ ამოისუნთქეს თავისუფლად იმ კუთხის მებატონეებმა. ერთი ათად აიღეს დანაკლისი თურმე.

მამის სიტყვები გულს ხვდებოდა ერმილეს. ბუღარას აჩრდილს შეჰყურებდა და ბუღარობა ენატრებოდა მაშინ.

და ბედმა მართლაც მიიყვანა იმ გზამდე. თოფი ააღებინა და ტყედ გააგდო.

მებატონეებთან ბრძოლა ახლა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე წინად, ბუღარას დროს იყო. „განთავისუფლებული“ ყმები შიშით ძრწოდნენ ყოფილ ნაბატონების წინაშე. ვაი თუ მიწა არ მოგვცეს სანადელოდო, ვაი თუ რამე ეწყინოს და რუსის სამართალს მიგვცესო. რუსის სამართალი კი მუდამ უსამართლობა იყო. მუდამ გამარჯვებულისა და შეძლებულისაკენ იხრებოდა.

მიტომ ეშინოდათ. მეფე და მისი ჯარი ჰყავდათ დარაჯად მებატონეებს, მემამულეებს, მღვდლებსა და ვაჭრებს.

ერმილე და ათეულ ერმილეები ვერაფერს დააკლებდნენ სახელმწიფოს. ვერც სამართალს შესცვლიდნენ, ვერც კანონს.

არც ერმილე ფიქრობდა ვაჟკაცობაზე. არც იარაღი მონატრებია. ბუღარა-საც ხანდახან თუ გაიხსენებდა მაგრამ...

ვერც შეატყობ ადამიანი, ისე შემოტრიალდება თურმე ბედი. შვიდ წლის იყო მაშინ ნუკრია. დედას ახლდა სუფსის პირას საძოვარში.

აგვისტო იყო. სიმინდის ყანებს ტაროები დაესხა. ჩათავლილ ღომში მწყრები დაგოგმანობდნენ. შვილებს აჩვევდნენ საკვების შოვნასა და თავის შეფარებას.

გლეხობა გახურებულ მუშაობაში იყო. ოფლით ირწყვებოდა დასიცხული მიწის პირი.

ნუკრიამ სუფსის პირას გასართობი იპოვნა. პრტყელ კენჭებს ხეკდა და მდინარეში ისროდა აცურებით. რამდენჯერმე ახტებოდა წყალს კენჭი, გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, მეორიდან მესამეზე და ასე მიაღწევდა მეორე ნაპირამდე.

ორი ცხენოსანი მოადგა ამ დროს მდინარეს. შეაგდეს ცხენები და გამოღმა გამოვიდნენ.

კარგად მორთულნი იყვნენ. დიდკაცურად. მარცხენა მკლავზე შემომჯდარი მიმინოები აჟღარუნებდნენ ეჟვნებს. ასაფრენად მიიწევდნენ. მაგრამ წელში გამობმული თასმები გაფრენის ნებას არ აძლევდნენ.

დაინახა თუ არა, ნუკრიამ ისინი, დედისაკენ გაიქცა. უნდოდა წინასწარ გაეფრთხილებინა მშობელი, რომ დამალულიყო. ძროხა მიეფარებინა სადმე, თორემ ეს ვაჟბატონები იაფად არ დაუსვამდნენ მებატონის მიწაზე საქონლის ძოვებას.

— სად გარბი, ქეციანო? — და ერთი ცხენოსანი დაედევნა ბავშვს.

ნუკრიამ სირბილს უმატა, მაგრამ დედასთან მისვლამდე წამოეწივნენ.

დედას უნდოდა გაქცეულიყო, მოფარებოდა პირუტყვიანად. მაგრამ შვილის სიყვარულმა სძლია.

— რას ერჩით, ბატონო, ბავშვს? — მიმართა მან ცხენოსნებს.

— შენია? — ღიმილით გადმოხედა ერთმა.

— ჩემია.

— ეს ძროხაც შენი იქნება? — მიუთითა ძროხაზე, რომელიც ტაროიან სიმინდს მისწვდომოდა და წამოექცია.

— აქეთ, შე სამგლეევ! — და ქალმა თოკი მოსწია, მაგრამ ძროხას თავი ვერ მოაბრუნებინა.

ცხენოსნები ჩამოხტნენ.

— იცი, ვისია ეს მიწა? — ახლოს მივიდა ერთი იმათგანი ქალთან.

ქალმა ვერ მოახერხა პასუხის მიცემა.

— ეს მერამდენედაა? — წაავლო თოკს ხელი მეორემ.

— მაპატიეთ, ბატონო, თქვენი ჭირიმე. ნუ წამართმევთ ჩემი შვილების ლუკმას, — არ დაანება ქალმა თოკი.

— შენი შვილების ლუკმას, — დაცინვით სთქვა ერთმა. — შე უსირცხვილო, შვილების კეთება იცი და შენსას და სხვისას ვერ ამჩნევ? გაუშვი ხელი! — მოსწია ისევ თოკს, მაგრამ ქალი გაუძალიანდა.

— კოტე, გაუშვი, — შეხედა მეორემ ამხანაგს და თვალი ჩაუკრა.

კოტემ გაიღიმა, ახლოს მიიწია და ჩუმად რაღაცა უთხრა.

— არ გვაწყენს, — დაბალი ხმით მიუგო ამხანაგმა.

— ახლა რომ გაპატიოთ მეორეხელ აღარ ჩამოხვალ? — მიუბრუნდა ქალს კოტე.

— არა, ბატონო, შვილებს ვფიცავ, აღარ გამოვივლი აქეთ.

— მაშ კარგი, გაპატიებთ... მხოლოდ... — ცალი თვალი ჩაუკრა ქალს.

ქალი თითქო ვერაფერს მიხვდა. ყურადღებაც არ მიქცია.

— მადლობელი ვარ, ბატონო, — და ძროხის წაყვანა მოინდომა, მაგრამ ამ დროს ერთი მათგანი სწვდა მკლავში და შემოატრიალა.

— ასე იცი მადლობის გადახდა! — მოხვია ხელი და აკოცა.

საშინლად შეჰკივლა ქალმა, მაგრამ კივილი ველარ გაიმეორა, რადგან ძლიერმა ხელებმა დაუკეტეს პირი.

— გვიშველეთ! მამავ!—მორთო ყვირილი ნუკრიამ და რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოკურცხლა.

ორმა ვაჟკაცმა დაიმორჩილა ქალი...

— ოჰ! — ამოიგმინა ამის მოგონებაზე ერმილემ. — მთელი საგვარეულო უნდა ამომეწყვიტა მათი. — კბილები კბილებს მოუჭირა და ისე გააჭრიალა, ესაა ჩამოცვივაო.

მოზაფრულიყო ბავშვი. ოფლად დაღვრილიყო. შიშველი ფეხები ¡დასისხლიანებული ჰქონდა. ყვირილისაგან ხმა ჩასწყვეტოდა.

ასე მიალწია ერმილემდე, რომელიც კარგა მოშორებით მუშაობდა.

დაინახა თუ არა მამა, დაეცა, თითქოს გული გაუსკდაო.

ერმილემ მიირბინა. აიყვანა ხელში, გულზე მიიწვინა. იგრძნო რომ რაღაც უბედურება იყო მის თავს, მაგრამ არ იცოდა, რომელი მხრიდან მოევლინა ის.

ახლო-მახლო ყანებიდან გლეხები მოგროვდნენ.

ძლივს მოიყვანეს ბავშვი გრძნობაზე.

— დედას, დედას უშველეთ! — ამოიძახა სულის მოთქმისთანავე ბავშვმა და ისევ დაუდუმდა ენა.

არა, რა ჯანდაბამ მოაგონა ახლა ერმილეს ეს ამბავი? ათი წელი იქნება მას შემდეგ და თითქოს დღევანდელი ამბავი იყოსო. რამდენი ხანია გადაივიწყა...

ნუკრიას რომ დაინახავს ჩაფიქრებულს, სწორედ მაშინ მოაგონდება. ნუკრია მუდამ იმაზე ფიქრობს, ჰგონია, და ამიტომ.

— ჰო-და, კიდევ მე დამდეს 'ბრალი, მე დამიჭირეს და გამასამართლეს. მკვლელიაო, — თითქოს ვილაცას გამოელაპარაკა ერმილე და თავისი გულისტკივილი შესჩივლა.

აბა რა უნდა ექნა? ოჯახი დაუქციეს, ცოლი მოუკლეს... არა, სიკვდილი რომელია? აწამეს, სინდისი წაუბილწეს, გადათელეს.

— ჯალათებო! თქვენს მოდგმაზედაც უნდა ვიძიო შური! — ცეცხლი მოაწვა თვალებში მამალაძეს. გული გაუხურდა და საკინძე გაიხსნა. — საწყალი ქალი! — სიბრალულით ამოილაპარაკა.

დაავადმყოფდა, დასნეულდა და მოკვდა. ძუძუმწოვარა ბავშვიც მიჰყვა დედას. სამი წლის ბიჭიც დაეღუპა.

შეიშლება მაშ რას იზამს კაცი! ყველაფერი ერთ თვეში მოხდა.

— ჩემს სახსოვრად გამიზარდე, ერმილე, ესო, — ნუკრიაზე უანდერძა ცოლმა სიკვდილის დროს.

— მართლაც რომ დედას ჰგავს! — ცრემლმორეული თვალებით გახედა შვილს ერმილემ.

თხოვნა შეუსრულა ცოლს. ნუკრია გამოზარდა, მაგრამ ორი შვილი ზედიზედ ჩაასვენა მიწაში.

მეორე თხოვნა კი ვერ შეუსრულა. იარაღს ნუ მიმართავო, რომ დაუბარა. სასამართლომ დასაჯოს, თუ დასჯისო.

ყველაფერს, მაგრამ ამ თხოვნას ვერ შეასრულებდა ერმილე. ის კი არა, იმავე დღეს გაიქცა იარაღით, უნდა მთელი გვარი ამოვწყვიტოო. მაგრამ არ გაუშვეს. არც მთავრობამ დაანება, არც მეზობლებმა. ვნახოთ, თუ [illegible] ფერს იზამს, მაშინ ჩვენ ვიცითო, იძახდნენ გლეხები.

ბიბლიოთეკა

კანონმა გადაარჩინა სასჯელს დამნაშავენი. დამალა, მოაფარა და საფრთხე ააცილა.

თავის თავის დასასჯელ კანონს რომელი სულელი დასწერს?

არც ისინი სწერდნენ.

არც დაუწერიათ. რომ ვინმეს დაეწერა, არც შეასრულებდნენ.

ერმილემ დასწერა ერთ ღამეს მათი კანონი და განაჩენიც. მარტივი და პირდაპირი იყო:

ძაღლს ძაღლური სიკვდილი.

ეს იყო კანონიც, განაჩენიც. სისრულეში მოყვანა ესაჭიროებოდა და მოიყვანა კიდევაც.

ორ წელიწადს დასდევდა. ბოლოს, როგორც იყო, შეხვდა. დიდი ბედნიერება განიცადა მაშინ... არასოდეს არ დაავიწყდება ის წუთები. სულ არ მოელოდა. ოზურგეთიდან მოდიოდა და გზაზე შეხვდა. ლამაზი ქალი ახლდა. საცოლო ან ცოლი თუ იყო.

ვერ იცნეს ერმილე. ან რა საცნობი იყო. არც მოელოდნენ იქ მის შეხვედრას.

ერმილეს ხმა არ ამოუღია. იცოდა, რომ ხმას გულმკერდი ამოჰყვებოდა.

ახლოს რომ ჩაუარეს, მხოლოდ მაშინ ილმუვლა. ილმუვლა ისე, როგორც ლომი, როგორც დაჭრილი ვეფხვი.

ტომარასავით გადმოეშვა ძირს. გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ერმილეს მუშტები ათამაშდა მის გვერდებზე...

როგორც პირუტყვს, ისე ჩაჰკრა დანა ერმილემ მარცხენა იღლიაში. რაღაც სიბრალული იგრძნო მაშინ, ახლა კი უდიდეს სიამოვნებას გრძნობს.

პირუტყვის დაკვლა უფრო გულსატკენია, გაიფიქრა.

აწი აღარ დაჰკლავს ერმილე პირუტყვს. სანამ ქვეყნად ასეთი ადამიანები არიან, რატომ უნდა დაღვარო უდანაშაულო ცხოველის სისხლი?

ხორცი? ხორცი ამითაც იჭმება. უნდა შესჭამო, შესჭამო! გასისხლიანებულ დანას ენა მოუსვა ერმილემ და უდიდესი სიამოვნება იგრძნო.

რა ყოფილა ადამიანი! თურმე სისხლიც მოსწყურდება ხანდახან კაცს.

ერმილემ ცხენზე მჯდომ ქალს შეხედა.

ის ცოცხალს აღარ ჰგავდა. მკვდრისფერი ედო, ენა ჩავარდნოდა და ისე ირწეოდა ცხენზე, ეს არის გადმოვარდებაო.

ერთი შეკივლების მეტი ვერაფერი მოახერხა. ის შეკივლებაც მასავით უსუსური და მიბნედილი იყო.

— შენთვის კი მიჩუქებია სიცოცხლე, — უთხრა ერმილემ. — წადი, წადი და ყველას უთხარი. ერმილე მამალაძემ სამართალი დასწერა-თქო.

ეს იყო და ეს. ერმილე დაიკარგა. დაიკარგა, მაგრამ არა ყველასათვის. მან მიატოვა სოფელი. მიატოვა თვისი კუთხე და სხვაგან გაიჩინა ბინა.

ერთად-ერთი სადარდო ჰქონდა. ნუკრია უნდოდა ჰყოლოდა ახლოს, ისე რომ თვეში ერთხელ მაინც შესძლებოდა მისი ნახვა. მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა მანამდე, სანამ საკუთარი შვილი ამხანაგად არ გაიხადა და თოფ-იარაღი არ გაუზიარა.

— ჩემი შვილი, ჩემი სიცოცხლე! — გასაგონი ხმით წარმოსთქვა ერმილემ და ნუკრიასთან მივიდა, თავი გადაუწია და შუბლზე აკოცა.

— მამა! — წამოხტა ფიქრებიდან გამოსული ნუკრია, კისერზე ჩამოეკიდა, თავი მკერდზე მიაყრდნო და რამდენიმე წუთით მიესვენა.

უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

III

ოცდაათი კილომეტრი გაიარა სწრაფად პატარა ტანის ცხენმა. ახალშებინდებული იყო, ზვარეში რომ ჩავიდა და ჩხრიალა წყალს დაეწაფა. თითქოს ცხენი განაგებდა პატრონის გრძნობებს. იცოდა, სად იყო საჭირო აჩქარება, სად ნელი და ფრთხილი სიარული.

მევლუდი უბრალო მგზავრის როლს ასრულებდა. გამჭრიახი თვალებით ზვერავდა მიდამოს. ბუჩქებში მოფუსფუსე ფრინველსაც არ უშვებდა უყურადღებოდ, კლდიდან მოწყვეტილ კენჭის დაცემასაც ანგარიშს უწევდა.

ზვარეში წისქვილთან ორი კაცი შენიშნა მევლუდმა. იმდენად ბნელოდა, რომ ამ სიშორეზე კაცი კაცს ვერ იცნობდა, მაგრამ მაინც მოარიდა სახე, არ დაასრულებია ცხენს სმა, ბერი დეზი ჰკრა და ჩიქჩიქით წაიყვანა.

წისქვილთან გაჩერებულებმა ერთმანეთს ჩაულაპარაკეს:

— გულებელი მევლუდაი უნდა იყოს, — სთქვა ერთმა.

— რას ამბობ, ჭოვ, მევლუდაი აქ გამორებას რავა გაბედავს? — გაუმტყუნა მეორემ.

— ვალლჰაი და ბილლჰაი, მევლუდაია! — ფიცულობდა პირველი.

— ნუ ბეჩობ, ჭოვ, არავინ გიგიგონოს.

— გიმიგონოს, მერე?

— გიგიგონოს და დიგიჭერენ.

— რეიზა უნდა დიმიჭირონ, მევლუდაის ძმაი ვარ თუ ხისიმი?

— მაგას არც გკითხავენ. ხომ იცი, მთავრობის კანონი. ვინაც მევლუდას ნახავს და არ გვეტყვის, იმას ციხეში ამუალპობთო...

— ჩემი თქმაით რაი გუუკეთდებიან მერე?

— იგი, რუმ წევლენ და დიიჭირვენ გზას თუ ასწავლი.

— ღორის შვილი ვიქნები მაშინ! — შეიგინა პირველმა და მიიხედ-მოიხედა.

— რას ექცევით, ჭოვ, აქ? — თითქო მიწიდან ამოძვრაო, გამოელაპარაკა ღელის პირიდან ვილაცა წისქვილთან მდგომთ.

— არაფერს, ხოჯა ეფენდი, — ერთხმად მიუგო ორივემ. — საფქვავი ჩამოვიტანეთ და... საით ბრძანებულხარ, ხოჯა ეფენდი?

— ვაიოში ვიყავი, ჭოვ. მევლუდაის ამბავი მინდოდა შემეტყო. ქალი წუხს. საჭმელი არ გააჩნია და სასმელი. ანფრათ ცოლშვილის წვალება რავა შეიძლება! — ხოჯა ახლო მივიდა წისქვილთან. იქ მყოფთ სალამი მისცა და წისქვილის საძირკველზე ჩამოჯდა.

ბევრი საყვედურები სთქვა ხოჯამ. მთავრობაზე, დროებაზე, ხალხზე, ყაჩაღებსა და ავაზაკებზე.

არც ერთი არ არის მისაღები და საქებ-სადიდებელი.

მთავრობა ყაჩაღებზე უარესია, ხალხი გაირყვნა და გაჯაშუშდა, ჭირი და ავადმყოფობა უდანაშაულო ბავშვებს მოედვა და ხოცავს. რუს ხელმწიფის კანონი მუსლიმანებისათვის მიუღებელია. თუმცა არც ამის თქმა შეიძლება... ჯაშუშებით არის ქვეყანა სავსე და თუ ვინმეს რამე წამოცდება, მთავრობაში დაასმენენ, თორემ... აი დედასა. მევლუდასთანა ერთი ასი კაცი ჰყავდეს აჭარას. კარგი ბიჭია მევლუდაი, მაგრამ...

— მთავრობას უთქვამს ვინც მევლუდას დამიჭირავს, ხუთას მანეთს მივცემო, — შეაწყვეტინა ლაპარაკი ხოჯას ერთმა.

— ტყუილია ჭოვ, არ დაუჯერო, — შესწუხდა ხოჯა.

— ასე ამბობენ ხოჯა ეფენდი, — დაუდასტურა მეორემ.

— გვაბეჩებენ, — ფერი ეცვალა ხოჯას. შემდეგ განუმარტა: ატყუებენ, დააჭერინონ უნდათ ხალხისათვის საყვარელი კაცი.

მევლუდა ყაჩაღი კია. ერთხელ ხოჯასაც აწყენინა, ერთხელ კი არა რამდენჯერმე. მაგრამ ხოჯას ის მაინც უყვარს. უყვარს იმიტომ, რომ მთავრობის წინააღმდეგია. რუსის მთავრობა კი მოსასპობია..

— მერე თქვენ ვინ გითხრა, რომ ხუთას მანეთს აძლევს მთავრობა მევლუდაის დამჭერსო? — ისევ დაუბრუნდა ხოჯა ფულის საკითხს.

— ქალალდში სწერია, მუხტარმა წეგვიკითხა ქედაში.

— წეგიკითხეს?

— ელბეთ წეგვიკითხეს.

— მერე თქვენც დაიჯერეთ?

— ჩვენი რაი საქმეა. გინდა დეევიჯერით, გინდა არა. მევლუდას ჩვენისთანები რაის უზმენ... მართლა, რაი გეიგე ვაიოში, ხოჯა ეფენდი?

— არაფერი. თვალითაც არ გვინახავს ერთი ხანიარ, მითხრეს.

— მერე რათ გინდოდა მევლუდაის ამბის გაგება? — გულუბრყვილოდ შეეკითხა მეორე.

— რავა არ მინდოდა, ქალი და ბალანე ეხოცება შიმშილით, ვაცნობებდი მაინც.

— მერე რას მოაფერებდა?

— ცოლშვილთან ხომ არ მოუშვებდნენ?

ხოჯას გაუჭირდა პასუხის მიცემა. წვერი გაიქექა, განიერი თვალები უფრო გაუგანიერდა.

მაინც იპოვა საპასუხო სიტყვა:

თუ კაცი ჭკუიანია, ყველაფერს მოახერხებს. მევლუდას შეუძლიან ღამით შევიდეს სახლში. ცოლშვილი ნახოს, ფული დაუტოვოს და ისევ წავიდეს სოფელში ყველა მისი მოკეთე და ხისიმია. ვინ გასცემს? არ ენდობა, თორემ თვითონ დამალავს თავის სახლში. ხოჯას ვინ დაუწყებს ძებნას. ცნობილი კაცია და მთავრობის ნდობა აქვს.

— ვალლჰაი და ბილლჰაი შევინახავ!—ხელების აპყრობით სთქვა ხოჯამ.

მართლა და რატომ არ უნდა შეინახოს? ვისთვის რა დაუშავებია? უსამართლობას ებრძვის. ხალხს ეხმარება.

გული აუჩვილა ხოჯამ მოსაუბრეებს. ყველაფერი იფიცა, რომ უსათუოდ წავიდოდა მევლუდთან მოსალაპარაკებლად, რომ იცოდეს, სად ნახავს. მივიდოდა, ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენდა... ის კი არა, ხოჯას შეუძლიან მთავრობასთანაც მოარიგოს. ენდობიან ღვთის მსახურს. დაუჯერებენ, შეარიგებენ მევლუდას, მაგრამ... საიდან მოახერხოს მასთან შეხვედრა? რომ ვინმე ამბავს მიუტანდეს და ხოჯას განზრახვას აცნობებდეს, დარწმუნებულია, მევლუდა დაეთანხმება. თუ არ დაეთანხმება, ხოჯას მაინც კარგი თვალით დაუწყებს ცქერას.

— ძალიან ბევრი დავეხმარე ძიავ, მის ქალ-ბალანას. ალლაჰმა იცის რამდენჯერ ჩემი არჩივი მიმიტანია მათთვის.

— ღმერთი გადაგიხდის, ხოჯა ეფენდი.

— ეჰ, ძიავ, ნათქვამია, ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო. გადახდას ვინ ჩივა, მადლობასაც არ მეტყვის...

ისევ მოჰყვა თავისებურად. აქო და ადიდა მევლუდი, ცამდე აიყვანა. გამრავლებულიყოს ისეთი ვაჟკაცები აჭარაშიო, დიდი დღე და ხანი ჰქონდეს მევლუდასო. შემდეგ გლეხები დაარიგა: თუ რამე შეიტყოთ მევლუდის შესახებ,

არავის უთხრათო. მთავრობის კაცთან დაახლოვებას ერიდეთო. პატარა ხანს შემდეგ შეაპარა: წელან რომ ცხენოსანმა ჩაიარა .მგონია მევლუდი იყოვო.

— მეც ისე შევიცანი, ხოჯა ეფენდი, — წამოიძახა ერთმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ელბეთ გულებში მიდიოდა?

— მაგი არ ვიცი, — თავის გაქნევით მიუგო პირველმა.

ხოჯას ამის შემდეგ არაფერი აღარ უთქვამს. თავის დაქნევით გამოეთხოვა იქ მყოფთ და ახალმოკენჭილი გზით ქედისაკენ დაუყვა.

— კი, მარა, ჭოვ, საიდან მოდიოდა ხოჯა? — გაკვირვებით ჰკითხა ამხანაგს წისქვილთან მყოფმა გლეხმა.

— ვაიოდანო, ხომ სთქვა.

— ვაიოდან რაფრა წამოვიდა ასე? — გაიკვირვა პირველმა.

— ელბეთ ზეითა ხიდზე გამოვიდა.

გლეხმა ურწმუნოდ თავი გაიქნია.

სიბნელე მატულობდა. ფრინველების გალობა ნელდებოდა. ხმა ემატებოდა აჭარისწყალს და ხევს არ აძინებდა.

მოსახვევთან ვიწრო ბილიკი რომ მიჰყვებოდა სერს, მევლუდმა იქ შეუხვია, გაიწელა პატარა ტანის ცხენი. წინა ფეხებზე გადაიტანა მთელი ძალა და ჩიქჩიქით აჰყვა ზევით.

მიხვეულ-მოხვეული იყო ბილიკი.. ზოგან სწყდებოდა, ზოგან გორაკს ეფარებოდა, ასე მიიწევდა და მთის ფერდობში გაშენებულ სოფელში წყდებოდა. ნაძვისა და ფიჭვის ტყით შემოსილი მთა ერტყა სოფელს, მაგრამ ალაგ-ალაგ შიშველი ადგილები იყო, სადაც დიდი ქვები ეყარა. ოდესღაც კლდიდან მოხეთქილიყვნენ ისინი.

სოფელში ღარიბული სახლები იდგა, პატარა ვიწრო ეზოებით, მსხლისა და ვაშლის ხეებით. ნახევრად ტყეში იყო ეს სოფელი, მაგრამ ტყისა არავის არ ეშინოდა.

ცხოვრობდნენ ცისა და დედამიწის შუა და არც კი სჯეროდათ, რომ იმ სივრცის გარდა, რომელიც იქიდან მოსჩანდა, თუ სადმე ქვეყანა და სიცოცხლე იყო.

მევლუდი გორაკზე ავიდა. სოფელს მიუახლოვდა და თვალი მიავლ-მოავლო იქაურობას. ეამა სამშობლო სოფლის ნახვა. კარგა ხანს უცქირა, შემდეგ მეორე მხარეს გადახედა აჭარისწყლის პირას გაშენებული, ქალაქი იყო, სამაზრო ქალაქი. ქოხების გროვას უფრო ჰგავდა იგი, ვიდრე ქალაქს, მაგრამ მაინც ქალაქობდა.

ეს იყო ქედა.

აქ ბრძანდებოდა ბატონი მაზრის უფროსი და განაგებდა ამ მაზრაში მცხოვრებ რამდენიმე ათას ადამიანის საქმეს.

სწყვეტდა სადაო საკითხებს, აჩენდა სამართალს, იჭერდა ურჩებსა და აბრაგებს.

ბევრი, ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა მაზრის უფროსს. ამ ბოლო დროს ახალი საქმეც გაუჩინეს: მევლუდის დაჭერა...

მერე, რა იოლად ითქმება. აბა მოსინჯონ...

ხუთას მანეთს შეჰპირდნენ ჯერჯერობით. დაჭერის შემდეგ კიდევ სხვა იქნებაო, ჩინ-მენდლები ხომ აუცილებელია. დაწინაურება და სახელი.

ერთი ჩამაგდებინა ხელშიო. რამდენჯერ უნატრია მაზრის პატრონს. კაცებიც შეუსახელებია მევლუდის გზაკვალის მისაგნებად. ჯაშუშებიც ჰყავს, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არა სჩანს.

ზიზღით გაიხედა მევლუდმა იქითკენ. მხოლოდ მაღალზე ამართული მდინარე მოსჩანდა გარკვევით.

ცხენიდან ჩამოხტა. გაოფლიანებული პირუტყვი შეასვენა, არ დაგრილოსო, გაატარ-გამოატარა.

ჯერ არ უნდოდა სოფელში შესვლა. ერიდებოდა გარეშე თვალებს! ... სია არავინ იცოდეს ჩემი მისვლაო.

ამ სოფელში მტერი არ ეგულებოდა, მაგრამ მოყვარეც არ უნდოდა შეეწუხებინა.

გაიგებენ, მევლუდი სოფელშიაო, შეეშინდებათ, მთავრობა არ დაგვეცესო. ძილი დაუფრთხებათ.

კარგად იმგზავრა მევლუდმა აქამდე და კმაყოფილია. არავინ შეხვედრია გზაზე საეჭვო. მხოლოდ ხოჯა უზანდარაძე შენიშნა შორიდან. მაგრამ ხოჯას თვალიც არ მოუკრავს მისთვის. გალმიდან მოდიოდა და ვერ დაინახავდა. თუნდაც დაენახა... ერთხელ ისე დააფეთა მევლუდმა ის, რომ...

მაინც არ ესიამოვნა მევლუდას იმის დანახვა. კატა რომ გზას გადაგიჭრის ცუდიაო, გაიფიქრა. ნელი ნაბიჯით წაიყვანა ცხენი და სოფლისაკენ გასწია.

გული მომატებულად უცემდა. საკაა საკუთარ სახლის კარებს მიადგებოდა და...

ცოლი, შვილი, საკუთარი კერა უნდა მიგებებოდა.

რამდენიმე თვეა არ უნახავს შვილი. ალბად, დიდი იქნება. გაიზრდებოდა. სიარული და ტიკტიკი ეცოდინება. ბაბაი. რაი მომიტანეო ეტყვის.

მართლა, რა უნდა მისცეს ბავშვს?

ახლა მოაგონდა. ჯიბეზე გაიკრა ხელი, მაგრამ არაფერი აღმოაჩნდა.

დროზე უნდა მეფიქრაო, უსაყვედურა თავს.

ეზოს რომ მიუახლოვდა, მაშინ შენიშნა უნაგირზე უკან მიკრული ტოფრაკი. ჩვეულებად არა ჰქონდა, უნაგირზე რაიმე ნივთის გამობმა და გაუკვირდა. თასმა შეხსნა და პატარა თოფრაკი გახსნა.

კამფეტები, თეთრი პურის ნაჭერი და ორი წყვილი ქალის წინდა აღმოჩნდა შიგ.

მევლუდმა მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო და გაიღიმა.

— ვის უნდა ექნა ეს? — შეეკითხა თავის თავს.

გვიან მიხვდა: ერთხელ ნუკრიამ სთქვა, პატარა ყაჩაღს ძღვენი უნდა გაუგზავნოვო. სჩანს შეასრულა.

— საწყალი ბავშვი! — ჩაილაპარაკა მევლუდმა და ახალგაზრდა მამალაძის სიყვარული ერთი ათად გაუღვივდა გულში.

ახლა უფრო მეტად შეიგრძნო თავისი მოვალეობა. ამ მცირე ძღვენმა სათუთი გრძნობები გაუღიზიანეს მევლუდს, გული აუჩვილეს და სული აუმაღლეს.

ნუკრიამ თითქოს შვილის ადგილი დაიჭირა ყაჩაღის გულში. მეტი ყურადღება მიაქცია და მის მომავალზე ჩააფიქრა.

— ძვირფასი ადამიანია, კეთილი, საყვარელი, — ჩაილაპარაკა მევლუდმა და ახალგაზრდა მამალაძის სახე წარმოუდგა.

არა, უნდა იხსნას მევლუდმა ის. მოაშოროს ტყის ცხოვრებას...

რა დანაშაული მიუძღვის ბავშვს? ერმილეს ცოდვებისათვის ნუკრიას რას ერჩიან?

უსათუოდ უნდა იხსნას, უნდა ურჩიოს ერმილეს რომელიმე შორეულ სოფელში გადაიყვანოს და დაასახლოს.

მაგრამ... ნუკრიას მოშორებას რომ ვერ შესძლებენ! თვითონ მევლუდი წავა წინააღმდეგ, რომ ვინმემ ასეთი რამ მოინდომოს.

უნუკრიაოდ ამ რაზმის არსებობა წარმოუდგენელია.

ნუკრია სიხარულია. სიცოცხლე. სიხალისე მთელი ბანაკისა.

სხვა რა აქვთ აბა დევნილებს? ქვეყანას მოწყვეტილთ ალარც ასეთი ადამიანი ჰყავდეთ?

— არა, ნუკრიას მოცილება არ შეიძლება, — წინ აღუდგა ოთარის აზრს მევლუდი.

კარგად დაბნელდა.

ახალი მთვარე, რომელიც სალამო ხანს ხეების ტოტებში გაჩხირული გამოჩნდა და რამდენიმე წუთით შეჩერდა ცის ტატნობზე მკრთალი სხივებით, უკვე მიეფარა მთას და დაიკარგა.

სოფელში ერთხანს კიდევ ისმოდა ბავშვების ჟრიამული, პირუტყვის ბღავილი, მაგრამ მალე ყველაფერი შესწყდა და მყუდროება გამეფდა.

ადრე იცის დაძინება სოფელმა. მთელი დღის მძიმე შრომის შემდეგ ძალზე იქანცება სხეული და მოსვენებას ითხოვს.

რა ეშველებოდა საწყალ ხალხს, ღამე რომ არ გაჩენილიყო?

— გაწყდებოდა მუშაობით. მუქთახორებს კი ზედმეტი ქონი დაედებოლათ, — უპასუხა გაფიქრებულ შეკითხვას მევლუდმა.

არავინ არა ჩანდა.

ჩამობნელებულ ქოხებშიც რაღაცნაირი შიშის მომგვრელი სიჩუმე ჩამდგარიყო.

მევლუდის სახლის კარები ისევე ყრუდ იყო ჩაკეტილი, როგორც ყველასი. თითქო არასდროს არ ყოფილიყოს იქ სიცოცხლე, არასდროს არ გაღებულიყოს ის. არავინ არ გამოსულა იქიდან ძე-ხორციელი.

ახლო მივიდა მევლუდი სახლთან. ცხენი ვაშლის ხეს მიაბა. თვითონ კი ეზო დაზვერა. შემდეგ სახლს ირგვლივ შემოუარა და კარებთან მივიდა.

მაგრა იყო შიგნიდან ურდულით ჩაკეტილი.

მევლუდმა ჯერ ყური დაადო კარებს, შემდეგ ფრთხილად დააკაკუნა.

— ვინ არის? — ფრთხილი და შეშინებული ქალის ხმა მოისმა შიგნიდან.

— გამიღე, — ჩუმათვე გამოეხმაურა გარედან მევლუდი.

— მევლუდ! — და მევლუდისათვის გასაგონი გახდა ის შრიალიც კი, რომელიც ლოგინიდან წამოდგომისას ისმის ხოლმე.

— მარტო ხარ? — და ცოლი ყელზე მოეხვია ისე მაგრა, ისე ძლიერ, თითქო გადაწყვეტილი აქვს შეადუღდეს ვაჟკაცის გულმკერდსო.

— როგორ ხართ? — ძლივს გაინთავისუფლა თავი მევლუდმა.

— კარგად. — ქალმა კარები მიხურა და ისევ მაგრა ჩაკეტა ურდულით.

ძალზე ბნელოდა სახლში. ქონი ამომწვარიყო ნატეხარაში და ნახევრად გაქონილი ჭინჭის ნაჭერი ხჩოლავდა.

ფიჩხს ცეცხლი მოუკიდა ქალმა. ახლოს მიიყვანა ქმარი შუქთან და კარგად დაათვალიერა მისი ვაჟკაცური სახე.

— ჩემი ყაჩაღი რაფრაა? — მიიხედ-მოიხედა მევლუდმა სახლში.

— ვეყურბანე. სიარული ისწავლა. —

მევლუდმა ველარ მოითმინა, მძინარე ბავშვი აიყვანა ხელში, მკერდზე მიიკრა და ჩაკოცნა.

მამის ულვაშების სახეზე ღიტინმა გამოალვიძა ბავშვი. ფრთხილად გაახილა თვალები და დედის ნაცვლად რომ უცხო კაცი დაინახა, ატირდა.

ცოლმა გამოართვა. ძუძუ მიაწოდა. დაამშვიდა და შემდეგ ცეცხლის პირას ჩამოსვა.

— აბა გაიარე, შვილო, გაიარე. აი ასე, ასე. ვეყურბანე. ნახე, რა ყოჩაღი ბიჭია... მევლუდ, გიყვარს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევლუდმა თვალი ვერ მოაშორა მობაჯბაჯე ბავშვს. გაბრწყინებული სახე ჰქონდა ამ დროს, კმაყოფილი და მხიარული.

ამიტომ იყო, ცოლს რომ ვერ უპასუხა. არ იყო საჭირო ასეთი შეკითხვა, არც პასუხია საჭირო.

ყველაფერს ამბობენ მევლუდის სახე და თვალები.

ეს ცოლმაც იცის, მაგრამ მაინც კითხულობს. უნდა ქმრისაგან ქება მიიღოს. მოფერება. ალერსი. რადგან თუ შვილი უყვარს მამას, მაშინ ცოლიც ეყვარება. ეყვარება და სიყვარულს პურზე უფრო მეტად თხოულობს ცოლი ქმარისაგან.

გაძღა შვილის ალერსით მევლუდი. თითქო დაკმაყოფილდა. მაგრამ არა, თურმე ალერსით გაძღომა არ შეიძლება. შვილის ალერსი არა ყოფილა ისეთი, როგორც...

თუნდაც სატრფოსი. აქ თითქოს გაძღომაც შეიძლება, დამშვიდებაც და დაკმაყოფილებაც. მაგრამ შვილის ფუნთულა ხელები მიმზიდველი და საყვარელია. მუდამ გინდა შვილთან იყო. დაუსრულებლივ ეალერსო.

— ეჰ. — მოაგონდა მევლუდს ამხანაგები, ისინი, რომლებიც ახლა ტყეში, ხეების ძირას არიან მიწოლილნი და ფოთლის მოწყვეტაზედაც კი წამოცვივიან იარაღით ხელში.

იმათაც ჰყავთ გულის საყვარლები. მშობლები. ძმები. დები. მოკეთეები.

იმათაც ჰყავს ცოლშვილი. მათზეც ფიქრობენ სადღაც ადამიანები. იმათი გამოჩენაც სიხარულსა და ბედნიერებას მიუტანს მათ.

რამდენი ასეთი ცოლი და შვილია პატრონის მოლოდინში. მოლოდინში, დაუსრულებელ მოლოდინში.

— ამხანაგები ხომ კარგად გყავს მევლუდ? — გამოიყვანა ფიქრიდან ქმარი ცოლმა.

— კი, კარგად არიან. ერმილემ მოკითხვა შემოგითვალა, ნუკრიამ კი ეს, — აბრეშუმის წინდები გადასცა ცოლს, — ჩემს ყაჩაღს-კი აი ესენი. ფოჩვებიანი კამპეტები ჩაუყარა კალთაში.

— ნუკრია, — სიბრალულით სთქვა ცოლმა, — კიდევ თქვენთანაა?

— ვერ მოვშორდებით.

— ცოდვაა, მევლუდ, მუდამ ტყეში ხომ არ იქნება?

— მისი ნებაა. მაგრამ არა, ერმილე არსად გაუშვებს. ცოლშვილიდან მეტი ვინ მყავსო. მომკლავენ, თვალები დამიხუჭოს და შემდეგ. როგორც უნდა, ისე მოიქცესო.

— რომ მასზე ადრე შვილის სიკვდილს შეესწროს?

— სუ! რა სთქვი ემინე. ღმერთმა ნუ ჰქნას!

— თქვენ ცხოვრებაში ყველაფერი შესაძლებელია... მევლუდ, ჩემო სიცოცხლეე! — მოეხვია ცოლი და აქვითინდა.

— რა იყო? — თავზე გადაუსვა ხელი მევლუდმა ცოლს.

— გვეყოფა, გვეყოფა ტანჯვა, გეყურბანე, მევლუდ, გვეყოფა ტანჯვა-მეთქი მევლუდ...

— მერე?

— მოვაფეროთ რამე.

— როგორ?

— მივიდეთ მთავრობასთან, ვთხოვოთ, მოგვცეს ამ დუნიაზე ცხოვრების უფლება. ჩვენი პაწია ბიჭი მიუყვანოთ. სიტყვა მივცეთ, რომ არაფერს დაუშავებთ. მევლუდ, რა სჯობია ერთად ცხოვრებას, შვილთან? როცა არავისი გეშინია. მევლუდ, მომბეზრდა სიცოცხლე, შემძაგდა თავი... შემშურს, ჩემს მეზობლებს რომ ვხედავ, მეხარბება. მთელი ოჯახი ერთმანეთს შეჰყურებს. ცოლი ქმარს უდგას გვერდით, ქმარი ოჯახს.

რა სჯობია ასეთ ცხოვრებას. მე მგონია შენ თუ მოინდომებ, ყველაფერს მოაფერებ. თავრობასაც დააჯერებ. მევლუდ, ჩვენი გულისათვის ჰქენი ეს..

მევლუდი თავდახრილი უსმენდა ცოლს. არ იცოდა, რა პასუხი გაეცა ამ ხანაგისათვის, ყველაზე უფრო მახლობელ მეგობრისათვის. ბარემ მასაც მოწყენილი და მოძულებული ჰქონდა ასეთი ცხოვრება, მაგრამ სად იყო გამოსავალი?

მთავრობასთან მისვლა სახრჩობელაში თავის გაყოფა იყო. ვინ აპატიებდა იმდენ დანაშაულს? ან რომელი ერთი უნდა ეპატიებინათ? ფოსტის გაძარცვა, პოლიცმეისტრის მოკვლა, ბეგის ოჯახის აწიოკება, მგზავრების ხოცვა-ყლეტა, ათასნაირი ქურდობა და ავაზაკობა!

რომელი ერთის პატიება უნდა ეთხოვნა?

მართალია, მას არასდროს მგზავრი არ გაუძარცვავს, ავაზაკობა არ ჩაუდენია, მაგრამ ყველა ავაზაკის ნამოქმედარი დღეს მის საბრალდებლო ოქმშია შეტანილი და ვინ დაუჯერებს ბევრიც, რომ იფიცოს-არ ჩამიდენიაო.

— არა, — გადაჭრით სთქვა მან! — სიკვდილთან ჩემით ვერ მივალ... თუ ძალა ერჩის, ჩემთან მოვიდეს და შეეებრძოლები. თუნდაც შევაკვდე, არ ვიდარდებ. დიაღ, ვერ მივალ, რომც მაჩუქონ სიცოცხლე, არც მინდა. შევქეთასავით ვერ ვიხოხებ მუცლით ბეგების წინაშე, ვერც მაზრის უფროსს ვემსახურები.

— შევქეთა კარგად ცხოვრობს მევლუდ. მისი ოჯახი დღითი დღე იზრდება.ისიც ხომ დევნილი იყო, ყაჩაღი...

— ტყუილია! — შესძახა მევლუდმა.—შევქეთა მუდამ ბაცაცა იყო და ბაცაცად დარჩება. ყაჩაღთან რა უნდა მის სახელს? ქურდი, მაწანწალა, გაიძვერა. რას შვება, კიდევ ლოკავს თიფან ბეგის ფეხებს?

— იქ არის. რამდენჯერმე მოგვაკითხა. მევლუდაი მინდა ვნახოვო. მოველაპარაკებიო, მთავრობას შევარიგებთო... ბეგიც შენ მხარეს იცავს თურმე, მევლუდ. ხოჯა გამოეგზავნა. ნუ ამაწიოკებინებს სოფლებსო. მოვიდეს ჩემთან, პატიება მთხოვოსო. ვაპატიებ და ურადნიკობას მივცემო. ყველაფერი იფიცა ხოჯამ, რომ ბეგი თავის სიტყვას შეასრულებსო.

— ტყუილია, ტყუილი! — გაჯავრდა მევლუდი. — ერთმანეთს ეცილებიან ხუთასი მანეთის მიღებაში. ჰე, რა იაფ სინდისიანი ხალხია. საწყალი მევლუდა. რა კარგი ლუკმაა ახლა იმათთვის. ოქროებსაც ჩაიჩხრიალებენ და ჩინებსაც მიიღებენ. რამდენი კაცის გაბედნიერება შემიძლია! ხოჯაც იმიტომ დახეტიალობს, ალბად, რომ მევლუდას კვალი ნახოს. ძაღლები მიუსიოს და ხელში ჩაიგდოს. ოქრომ, ალბად, მასაც დაავიწყა ღმერთი.

— რატომ ჩივი, მევლუდ, მასე? ყველა შენი მტერი რავა იქნება?

— ჩემი მტერი? დღეს ყველა მტერია, გაჭირვებულ ხალხს გარდა. დიაღ, მტერია. შენ ხომ იცი. არსენას ნათლიმამამ ულალატა? გახსოვს, ნუკრიამ რომ მოგიყვა ერთხელ? ოქრო ყველას შეაცდენს, ჩემო კარგო. მეტადრე ისეთებს, რომლებიც სინდისით ვაჭრობას არიან დაჩვეულნი.

ცოლმა ვერაფერი უთხრა. არც შეეძლო სხვაგვარად გაპირებოდა. კარგად იცოდა, რომ მევლუდი მართალი იყო. მას არ დაინდობდნენ, მართლაც რომ პატიება ეთხოვა. სიცოცხლე რომ ეჩუქებინათ, ციმბირს აქეთ მაინც არ გააჩერებდნენ. ის სახელი და დიდება, რომელიც ხალხში ჰქონდა, დაეკარგებოდა და ეს ყველაზე მძიმე იქნებოდა.

— შენი ნება იყოს, მევლუდ, — უთხრა ცოტა ფიქრის შემდეგ მან ქმარს და ისევ მოეხვია.

ღამე მშვიდად მიდიოდა. მევლუდს ცალი თვალით ეძინა. ნახევრად ჩაცმული იყო და ყოველ წუთს მზად იყო წამოსახტომად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო ასათიანი

ციხის სიზმარი

როცა მთვარე შესწყვეტს კაშკაშს
და ბნელს შემოიხვევს,
ისე, როგორც დალლილ ვაჟკაცს,
მძიმედ სძინავს ციხეს.
სძინავს ციხეს, ნატამალი
ხმაც არ აკრთობს სმენას,
სძინავს ციხეს და თამარის
საოცნებო სენაკს.
სძინავს, ფიქრებს ალაძაზებს
და სიზმარში ხედავს,
რომ მის ბებერ გალავანზე
არწივები სხედან.
რომ კვლავ ისმენს ძველთა, ველთა
ნიავ-ქარის ნანას,
რომ მის ბებერ საძირკველთან
ქართველები დგანან.
რომ დილისკენ, როცა დნება
მუქი შუქი მთვარის...
გალავანზე გადმოდგება
საქართველოს თვალი.
იხურება, ჯიხურებად
დაღრუბლული სივრცე,
დედოფალი იყურება
არტანუჯის მხრისკენ.
სძინავს ციხეს, ჯანიანი
თრთის და სიზმრად ხედავს:
ეს ქართველთა ჯარი არის,
თუ ლაშქარი ხეთა!
ეს ნისლია ჩვენებური —
მზესავით რომ მოსჩანს,
თუ ქართველთა ძველებური
ჩალისფერი დროშა!
ვისკენ მოაქვთ ეს ალმები,
ვის წინ ხრიან ჩაჩქანს!
ეს თამარი ესალმება
საქართველოს ლაშქარს.
იხურება, ჯიხურებად
დაღრუბლული სივრცე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს თამარი იყურება
არტანუჯის მხრისკენ.
სძინავს ციხეს, მაგრამ დილით
მზე რომ იწყებს კაშკაშს,
ელვიძება, როგორც ძილით
დასვენებულ ვაჟკაცს.
ელვიძება, როგორც სისხლით
გაგიჟებულ მხედარს,
ელვიძება, მაგრამ ძილში
ნახულს ველარ ხედავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ია ვაკელი

შამილი

ტრაგედია ოთხ მოქმედებად

მოქმედნი პირნი:

შამილი — საჩაჩნოსა და დაღესტნის იმამი.
ბახუ-მესედუ — შამილის დედა.
შუანეტ — შამილის ცოლი.
ყაზი მაჰომა — შამილის შვილი.
კიბიტ მაჰომა, **ჰაჯი მურადი**, **ხანსი მურადი** — ნაიბები.
იანუს, **იაკობ**, **სურხაი**, **ყარალაჯიო** — მიურიდები.
მუსა — შამილის სერალის კარისკაცი.
დანიელ-ბეგი — მთავარი მრჩეველი და ნაიბი შამილისა.
ჩონთა — ჰაჯი მურადის სიმამრი.
იუსუფ — ჰაჯი მურადის შვილი.
ფატიმა — ჩონთას ცოლი.
ფეზი, **ხასიმ**, **თეფი** — ჩაჩნების წარმომადგენლები.
სურენ — შუანეტის ძმა.
გრომიხოვი — ოფიცერი, რუსეთის დესპანი.
გურკა, **ჩოპკა** — ჯარისკაცები
ბებუთოვი — გენერალი.
ბარიატინსკი — მთავარსარდალი.
კლუგენაუ — მოქმედი არმიის სარდალი.
მთიულ ხალხთა წარმომადგენლები.
მოლები,
ჯარისკაცები და სხვანი.

მოქმედება პირველი

შამილის სერალის აივანი, საიდანაც მოსჩანს აული და ჩამავალი მზის სხივებში აელვარებული მიზგითის მინარეთი. შემოირბენს იაკუბ, რომელსაც უკან მუსა მოსდევს.

მუსა — შენ ეი, ვის გაურბიხარ? განა აქაც ბრძოლის ველია?

იაკუბ — ენა დაიმოკლე... როდის იყო, რომ მტერს გაურბოდი?

მუსა — შენ ისა სთქვი, როდის არ იყო... ბარაქალა შენს ვაჟკაცობას, რომ გაქცევის ღონე მაინც შეგწევს!

იაკუბ — ენაკვიმატო, ჩემი სიმამაცის ამბავი რომ იცოდე, ეგრე აღარ ილაყბებდი...

მუსა — განა არ ვიცი, თაგვზე მეტად გულადი ხარ... მტერს თვალს მოჰკრავ თუ არა სოროსაკენ გარბიხარ... ახლაც სოროში შემძვრალს მოგისწარ და კუდი მოგეწვა...

იაკუბ — ვაიმე, ბეჩაო ჩემო თავო! გინდა მეომრის სახელი შემიგინო და მშიშრად დამსახო?

მუსა — უსინდისო ვიყო, თუ მშიშარა დამეძახოს, მაგრამ ფიცს ვიდებ, თუ შენ ბრძოლის ველიდან გაქცევაში ვინმე გაჯობებს, თუმცა ეგ იმიტომ მოგდის რომ ბეჭები ლამაზი გაქვს და ზურგის ჩვენების არა გრცხვენიან.

იაკუბ — შენ ასე ლაზღანდარობ და ისე კი არ იცი, ჩემს გმირობაზე რა სიმღერებია გამოთქმული!

მუსა — შენს ლაჩრობას რომ ხალხი გმირობად მიიღებს, მაშინ სატირალი უფრო მეტი გვექნება, ვიდრე სამღერალი.

იაკუბ — განა სხვაზე ნაკლები მეომარი ვარ, შე ჩერჩეტო, შენა?

მუსა — მეომარიც არის და მეომარიც, მეგობარო. ვინც ხმლის დანახვაზე თავს ბუჩქებს აფარებს, იგი ომის შემდეგ გმირის სახელს ატარებს...

იაკუბ — მერე ეგ ჩემი ბრალია? სხვების აბჯრის უბრალო ჩხრიალი გმირობათ ეჩვენებათ, მე კი ისეთი ბედი მაქვს, თავიც რომ გავიტეხო, მაინც არავინ გაიგონებს.

მუსა — მერწმუნე, გაიგონებენ... ცარიელი თავის გატეხამ დიდი ხმის გამოცემა იცის.

იაკუბ — ჭკუას არიგებდნენ, მაშინ სად იყავი შე უბედურო?

მუსა — შენსას გახლდი სტუმრად და ამიტომაც აგრე დავზარალდი.

იაკობ — მომწყდი თავიდან, ქარაფშუტავ!

(შემოდიან ბახუ-მესედუ, ქალები და მოხუცები)

მუსა — რა მოხდა, ბახუ, ქალთა კრებას რომ მოუძღვები?

ბახუ-მესედუ — ჩემი შვილი, მუსა, ჩემი შვილი — შამილი მოდის და შესაგებებლად მივიჩქარით...

მუსა — შესაგებებლად? დაჭრილი ხომ არ არის?

ბახუ-მესედუ — ალლაჰმა დაიფაროს... აგერ შიკრიკი, ამას კითხეთ.

მუსა — რას გაჩუმებულხარ? სთქვი, გამარჯვების სიხარულმა ჩაგიყენა ქარი მუხლებში, თუ დამარცხების სიმწარემ?

შიკრიკი—გამარჯვებისამ, მუსა აფენდი... გათენებული არც კი იყო, რომ უცებ საომრად გაწყობილი მტრის ლაშქარი გამოჩნდა. პირდაპირ შებმის ძალა აღარ იყო... შამილთან კარავში ნაიბები ისხდნენ და თათბირობდენ, ზოგი უკან დახევის მომხრე იყო. შამილმა ბრძანა: „ვაჟკაცობაში სწორუპოვარნო, ზურგის ჩვენებით ბრძოლა არა დროს მოგვიგია... ჩვენთან არის ღმერთი, ხერხის ძალა და სიმამაცეო!“ მან ამ სიტყვებით მთიულების გული აანთო. ფრიალო კლდეზე,

ხევს რომ დაჰყურებს, რაზმი შეგზავნა კიბიტ მაჰომას თაოსნობით... ასე, ამრიგად მტერი ბნელ ხევში შევიტყუეთ. იქ, კი, გიყვარდეთ, საქმე იშოვეს ჩვენმა ბიჭებმა: ციცაბო კლდეებზე რომ იყვნენ ჩასაფრულნი, ზათქით, [illegible] მტერს ქვის სეტყვა დააყარეს. მტრის ამოდენა ლაშქარი უცებ დაიშალა [illegible] რია.. ამ დროს გამოჩნდა მეორე მხრიდან თეთრი ჩოხიანი, ხევის წყვდიადს რომ ანათებდა შამილი, იდიდოს მისი სახელი! დასცა ყიჟინა და ვაჟკაცებმაც თავი მისცეს ხელჩართულ ბრძოლას. რაღა გავაგრძელო, როგორც ხედავთ მოკლეთ მოგიყევით... მტერი დამარცხდა. შამილი ეხლა აქეთ მოდის... აი, ხომ გესმით, სიმღერისა და საყვირების ხმა ახლოვდება...

(მოისმის შედლუღის, სიმღერის და საყვირების ხმა).

ბახუ-მესედუ — აბა, ქალებო, მოემზადეთ, როცა აქ მოვლენ, თავს დააყარეთ ყვავილები... ციდან წვიმს თითქოს, ისე აფრქვიეთ გამარჯვებულთ თაიგულები (შემოდის შამილი ლაშქრით) მადლობა ალლაჰს, რომ მშვიდობით და გამარჯვებული დაბრუნდი, შვილო!

შამილი — სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება თქვენ გაგვატანეთ, ღირსეულნო! მთის არწივებმა ცხარე ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს და თქვენ მოგიტანეს სიხარულით.... მთის უხუცესნო, ყოველ თქვენგანს სარჩო ცოტა ჰქონდა, მაგრამ ლუკმა პურს იკლებდით და თავისუფლების დამცველ შევარდნებს საზრდოს არ აკლებდით. რა დიდებული სულია, ხასიათის რა დიდი სიმტკიცე! პატივცემულო დედებო! თქვენს მამაც შვილებს წარბმოუხრელად გზავნიდით ბრძოლის ველზე, — რა საამაყო გრძნობაა მამულისადმი! თქვენ გამოთქვით გმირობისა და ვაჟკაცობის სიმღერები, გულს რომ უკაჟებს ომში მებრძოლთ თავისი სიბრძნით და სითამამით... ყაზი მამადმა ორი შვილით მტერს თავი შეაკლა. მეორე დღეს მისმა ქვრივმა, ბრძოლაში დაღუპული ორი შვილის დედამ, ჭაბუკი მაახლა: მესამეს გიგზავნი, ესეც ღირსეულიაო. აი ეს არის თავგანწირვა მამულისათვის... ჩემო დიდებავ, საყვარელო ჩვენო სამშობლოვ, შენი შვილები ღირსნი არიან შენი სიყვარულის!

ხალხი და ჯარი—სამშობლოვ ჩვენო, საყვარელო, ღირსნი ვართ შენი!

შამილი — ჩვენი ქვეყანა მტკიცეა და ლამაზი, გწამდეთ, მას ვერავინ წაგვართმევს!

ხალხი და ჯარი — ვფიცავთ, იმამო, ვერავინ წაგვართმევს.

შამილი — მთები ჩვენი მიუვალია, ციხეები ჩვენი აუღებელი!

ხალხი და ჯარი — ვფიცავთ, დავიცვათ ჩვენი სისხლით.

შამილი — თავისუფლება ჩვენი არ დაითმობა უსიკვდილოდ. სიკვდილი სჯობია მონობას. სიკვდილი მტერს, გამარჯვება ჩვენ!

ხალხი და ჯარი — სიკვდილი მტერს, გამარჯვება ჩვენ!

სურხაი — ნება მომეცი, იმამო, მოგახსენო...

შამილი — ხალხს მოახსენე, სურხაი, ხალხს... ხალხი არის ყველაფრის გამგებელი....

სურხაი — ხალხნო და ჯამაათნო! დღევანდელი დღე ნავსიანი გამოდგა მტრებისათვის. ხუთი ზარბაზანი წავართვით და ჯარისკაცებიც საკმაოდ ჩაუკაფეთ. ორმოც კაცამდე ტყვე მოვრეკეთ.. ტყვია, წამალიც, საჭურველი და სხვა დოვლათიც ჩვენ ხელთ არის!... ძლევამოსილმა შევარდნებმა მოგებულ ბრძოლიდან მტერს ეს ალამიც გამოსტაცეს უძლეველ სამშობლოს და მთის ხალხის სადიდებლად...

შამილი — ეს რომ სახალხო დროშა იყოს, რა უყოთ რომ მტრისაა, მაინც პატივსა ვცემთ, მაგრამ ფარჩის ამ ნაგლეჯს თვით რუსი ხალხი ზიზღით უცქერის. მონობის დროშას, უწმინდურს, თავისუფლების სამტროდ მთაში ეთ-

რეულ ალამს ხალხის სახელით ფეხით ვთელავ... მისი ადგილი ტალახშია და არა ჰაერში!

ხალხი და ჯარი — მისი ადგილი ტალახშია და არა ჰაერში!

სურხაი — ხალხო! ნადავლის გადარჩევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტყვეთა შორის დიდოეთის ხანის შვილიც არის, თავის სამშობლოს მოღალატე... მთელი ხალხის დასარბევად მტერს ჩვენზედ მოუძღოდა....

შამილი — შემოიყვანეთ ძაღლთაპირი!

(შემოჰყავთ ხანის შვილი ოფიცრის ეპოლეტებით).

შამილი — შენ და მამაშენს რამდენი მონა გყავდათ დიდოეთში?

ხანის შვილი — შენისთანები ბევრი გვყავდა, არ დამითვლია...

შამილი — ეგ მომწონს, რომ არ თრთი და არ კანკალებ. (ხალხს) სთქვით, ხალხო, რომელმა თქვენგანმა იგემა ამათი ვერაგობა?

1-ლი მოხუცი — ჭირსაც წაულია, ეგ ვერაგი! მაგისი მათრახი ახლაც მაჩნევია ზურგზე მე უბედურს.

2-რე მოხუცი — სწორედ ეგ იყო, იმამინალ, როგორ არ ვიცნობ, მაგისმა მამამ შვილი გამიყიდა. მაგას შევჩივლე, ახალგაზრდაა, იქნება გული მოუგო და თავი შევაბრალო მეთქი, მაგრამ არ შეგჭამოს, ჭირმა, გვერდები შემინგრია... იდიდოს შენი სახელი, იმამინალ, შენ გამოგვტაცე მაგათ კლანჭებიდან და თავისუფლება მოგვანიჭე!

შამილი — (ხანის შვილს) ხალხს არ ინდობდი, აწიოკებდი და ესეც რომ არ იკმარე, ახლა მტერს მოუძღოდი შენი სამშობლოს დასარბევად!

ხანის შვილი—ჯარს გამოვყევი მონათაგან წართმეული უფლების აღსადგენად.

შამილი — სამშობლოს მოღალატე რომ არ იყო, ვაჟკაცს კი გევხარ.

ხანის შვილი — იარაღაყრილი არ ვიყო, საკადრისს პასუხს მიიღებდი!

შამილი — მიეცით ხმალი, არ გესმით, ხმალი მეთქი!

(ხანის შვილი შამილის წინ დაემხობა)

ხანის შვილი — გამასამართლე!...

შამილი — სამშობლოს მოღალატე გასამართლების ღირსი არ არის... მომაშორეთ!

სურათი მეოთხე

სერალის ერთ-ერთი ოთახი

დანიელ-ბეგ — ჩვენები არ სჩანან, იმამო.

შამილი — არც უნდა სჩანდნენ.

დანიელ-ბეგ — არც არა ისმის-რა მათ შესახებ... ცუდი ნიშანია.

შამილი — იქნებ ცოდვაა წამდაუწუმ ცუდის ხსენება.

დანიელ-ბეგ — მე სიფრთხილე მალაპარაკებს...

შამილი — მე სხვა მაფიქრებს... არც ირანი, არც სასულთანოს ოსმალეთი არ გამომადგნენ მტკიცე ქომაგად ურუსების წინააღმდეგ. ამ, ერთ მუჭა ხალხს ყოველი მხრიდან გზა შეგვიკრეს. ჩვენი ხანებიც, ქართველი თავადებიც ურუსებს ემხრობიან... მაგრამ არაფერია, მალე ვიხილავ მათ მემკვიდრეთ პატივაყრილებს: ჩვენი წახდენით ისინი მხოლოდ მონობას მოიგებენ!

დანიელ-ბეგ — ალლაჰი დიდია, იმამო, ყოვლისშემძლე და გამგებელი, ის არ გაგვწირავს მართლმორწმუნეთ...

შამილი — ფულის ღმერთი ლაშქრობს დანიელ ბეგ; ეს შემზარავი ურჩხული სამყაროს აზანზარებს... ჩვენც გვემუქრება... თვითმპყრობელობის ჩექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით გასრესას გვიპირებს, მისი რისხვა გრგვინვად მოდის და კავკასიონს ჩოდილად ეფინება. მაგრამ, არა, არასოდეს, ოქროს კერპი ჩვენ არ შეგვფერის, რადგან ჩვენს მთებში ჯერ კიდევ ცოცხლობენ არწივები!

დანიელ-ბეგ — სიმართლესა ბრძანებთ, იმამო!

შამილი — ენა და ხმალი იმიტომ გვაქვს, სიმართლით სჭრიდეს, მაგრამ ეგ სხვა დროს... ახლა მე ჰაჯის ამბავი მსურს გავიგო შენგან.

დანიელ-ბეგ — რა მოგახსენოთ როცა... ჰაჯი არაფერს გვატყობინებს...

შამილი — პატივსაცემი ნაიბი ხარ დ განა მიტომ, რომ ეგ პასუხი მომასმინო? მოწინავე რაზმს სახიფათო საქმეზე ვგზავნით, კავშირს ვწყვეტთ მასთან და ამბავსაც აღარ ვკითხულობთ. ლაშქრობის წესად ასეთი რამ ვის დაუდვია? იქნებ არიან გასაჭირში, შველა სჭირდებათ!?

დანიელ-ბეგ — რა დროს შველაა, იმამინალ! რაკი არა სჩანს, თქმა არ უნდა, ჰაჯი მურადი გადავიდოდა ურუსებთან სამუდამჟამოდ.

შამილი — ღალატსა სწამებ? მითხარი მაინც, რა საბუთით?

დანიელ-ბეგ — ის ერთხელ იყო ჩვენი მტრების ბანაკში, დიალ. იყო და დიდათ გვაბრკოლებდა...

შამილი — ერთხელ შენც იყავ დანიელ-ბეგ გიაურებთან;

დანიელ-ბეგ — მერე რა უყოთ, რომ ვიყავი? ჰაჯის იმამის უფლებაზე უჭირავს თვალი.

შამილი — ერთგულად გიცნობ და შენს სიტყვას ანგარიშს ვუწევ, მაგრამ მე მჯერა ჰაჯი მურადის ერთგულებაც.

დანიელ-ბეგ — ჰაჯი თოვლივით სპეტაკი სჩანს იმამინალ, თუმცა რაც მოსჩანს...

შამილი — გარედან რაც სჩანს, ბავშვს ატყუებს, ბრძენი კი ხედავს, გულში რა აქვს...

დანიელ-ბეგ — ჰო-და, მეც იმას მოგახსენებთ... მთვარის შუქივით სპეტაკია პირველი თოვლი, მაგრამ ეს, ვინც მას მიენდობა, უფსკრულში ღუპავს.

შამილი — მითქვამს, იფხიზლეთ, თვალი გეჭიროთ სუყველაზე...

დანიელ-ბეგ — ჰო-და მეც მანდავარ, მე სიფრთხილე მალაპარაკებს, მე შენთვის ვფხიზლობ, იმამინალ!

შამილი — ჩემთვისო, ამბობ? არა, დანიელ, იფიქრე მხოლოდ ხალხისა და სამშობლოსათვის.

დანიელ-ბეგ — ჰაჯი მურადი საშიშია ორივესთვის, ჩემთვის და თქვენთვის, ყველასათვის...

შამილი — იქნებ შენ მართლა რამე იცი ჰაჯის შესახებ და გთხოვ, ნურაფერს დამიმალავ!

დანიელ-ბეგ — მე მაშინ ვიტყვი, მაშინ გავხსნი ჩემს გულის ნადებს, როცა ჩემს სიტყვებს უფრო მეტად დაუჯერებენ.

შამილი — იმამი გისმენს! დანიელბეგ! (სიჩუმე) მერე იცოდე აღარ მოგისმენს...

დანიელ-ბეგ — ეხ, იმამო, მე თუ მკითხავთ, ჰაჯი მურადის ყოფაქცევა იქვს ბადებს ჩემში... ვინ დაობს, იგი სასარგებლო კაცია ჩვენთვის, ომში შემტევი და გულადი, ერობაში დინჯი და ჭკვიანი, მაგრამ არც ისე ბუმბერაზი, რომ ყველას მასზე ცხოველმყოფელი ბრწყინვალე მზე ამოგვდიოდეს... ასეთ ამაყ კაცს, ვფიცავ ალლაჰს, არ შეეხვედრივარ. შენც შეამჩნევდი დაბალ ხალხს როგორ ულაქუცებს, ფეხქვეშ ეგება... უნდა როგორმე სამართლიანი ნაიბის სახელი მოიხვეჭოს, ნაძარცვით აძღობს სიმღერის მთქმელებს, რომ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხოდ აქონ და ადიდონ, ზოგი მკლავს უქებს, ზოგი კიდევ შორს მეკრეტელობას. მის ფარზედაც ამას მღერიან:

ხუნძახის მთაში ჰკიდია
ჰაჯი მურადის ფარიო,
მოუვლის ომის სურვილი,
ხანდიხან შესძრავს ქარიო.

საფრთხილოა, იმამო... მე შენი ერთგულება მალაპარაკებს.

შამილი — ვიდრე ბრწყინვალე მზე მეორედ ამოვიდოდეს, ჰაჯის ამბავი მომახსენეთ. ამას მე ხალხის ერთგულება მალაპარაკებს (დანიელ-ბეგ მდაბლად თავს დაუკრავს და მიდის. შემოდის სურხაი). სურხაი, შენს გარდა, კიდევ ვინ არიან ჩვენში კარგი მჭედლები?

სურხაი — ჩემს გარდა, ყველანი კარგი მჭედლები არიან, იმამო...

შამილი — მაინც რამდენი კაცი მოგროვდება მთაში ლითონის საქმის კარგი მცოდნე?

სურხაი — ყველა აულში სამჭედლო ყოფ, იმამო, გამართული.. თუ საჭიროა ასიც მოგროვდება, ორასიც, მეტიც შეიძლება რომ მოგროვდეს...

შამილი — ხომ შეიძლება იმათგან იარაღის ჩამოსხმის კარგი ოსტატები შევარჩიოთ?

სურხაი — ვერ გავიგე, იმამო, კარგად ჩამაგონე...

შამილი — ურუსებს რომ ზარბაზნები წავართვით, ხომ ნახე?

სურხაი — ბეჩაო ჩემო თაო, ისე დავაკრიალე, ისე, რომ სულ ლაპლაპებენ...

შამილი — იმ ზარბაზნებს რომ სწმენდდი, აკრიალებდი, სხვა არაფერმა აზრმა არ გაგიელვა გუნებაში?

სურხაი — არ მესმის, იმამო, რას მეკითხები...

შამილი — სურვილი რამე, სხვანაირი არ დაგებადა?

სურხაი — მე ის სურვილი დამებადა, იმ აზრმა გამიელვა, რაც შენ გულში გაქვს და მეტს ნულარას მეკითხებით, თორემ... ავირიე...

შამილი—იმათ ბევრი ზარბაზანი აქვთ, სურხაი, ორასი, ოთხასს კიდევ მოათრევენ, ჩვენ კი, ორად-ორი გაგვაჩნია... იფიქრე, სურხაი იფიქრე... შენ მჭედელი ხარ...

სურხაი — ფიქრი შენი საქმეა, იმამო, შენ იფიქრე და მე მოვიცდი...

შამილი—მე ასე ვიფიქრე სურხაი, ვიფიქრე და კიდეც გადავსწყვიტე... ჩვენ იმდენი ზარბაზანი უნდა გავაკეთოთ, რამდენიც დაგვჭირდება... უფრო მეტიც... მოდი აქ, ამას დახედე: აქ დიდ სამჭედლოს გამართავთ... ყალიბებს დაამზადებთ... აი ზომები, ამის მიხედვით ჩამოასხამთ, სხვა ნაწილებსაც გამოაწრთობთ და გამოკვერავთ...

სურხაი—როგორ? შენ მჭედლობის ოსტატიცა ხარ, იმამო?

შამილი—ბორბლებზე აი ასე შევდგამთ... ტყვიებსაც ჩამოვასხამთ... მადანი გვაქვს და გადავადნობთ...

სურხაი — მეტს ნულარაფერს მეტყვი, იმამო ახლა მე ვიცი, წავალ და სულ კრიალოსანივით აგიწყობ... (მიდის)

შამილი—სურხაი, ერთმა კაცმა მეორეზე ასე სთქვა: მოღალატეაო, მხოლოდ სთქვა და საბუთები ჯერ ხელთ არა აქვს...

სურხაი — ცილსა სწამებს?

შამილი — შენ რას იტყვი, სწორედ მოქცეულა?

სურხაი — მე კიდევ ასე გამიგონია, იმამო, ცილისწამებაც დალატიაო (მიდის. შემოდის მიურიდი).

მიურიდი — მოდიან, იმამინალ. ცხენთა თქარუნი და მიურიდნის სიმღერა მოისმის... (შემოდის დანიელ-ბეგ).

დანიელ-ბეგ — მადლობა ალლაჰს, ჰაჯი დაბრუნდა თავის რაზმით!

შამილი — ეჭვი გაფრინდა?

დანიელ-ბეგ — საუბედუროდ ჯერ აქ არის... (შემოდის მუსა)

მუსა — ჰაჯი გეახლათ, იმამინალ, ორი ათასი სული ცხვარით, ხუთასი ცხენით და ამდენივე სხვა ძვირფასი ნაალაფევით.

შამილი — ჩქარა, გაუღეთ ჰაჯის კარი!

(შემოდის ჰაჯი მურადი თავისი რაზმის ერთი ნაწილით)

ჰაჯი მურადი — იმამს სიმხნე და დღეგრძელობა მარადჟამიერ!

შამილი — ხენძახის ნაიბს და მამაც მხედარს სამშობლოს ნდობა, ხალხის სიყვარული და იმამის პატივისცემა... ფეხზე ნუ დგეხარ. ჩემთან ახლოს დაბრძანდი, ჰაჯი!

ჰაჯი მურადი — თქვენ ახლოს ფეხზე მდგომელიც ბედნიერი ვარ.

შამილი — მაინც გთხოვ დაჯდე, დაისვენო....

დანიელ-ბეგ — ბეგ, აბა, გვიამბე, მოგვიყევი, თუ სად ყოფილხარ, როგორ მორეკე ამოდენა ფარა ცხვარისა, ან ცხენის რემა ვის წაართვი?!

ჰაჯი მურადი — თქმადაც არა ღირს, დანიელ-ბეგ!

შამილი — როგორ არა ღირს?! მეტად საშიში საქმე დაგაკისრე... მაგრამ მე შენი მჯეროდა და გამართლდა კიდეც...

ჰაჯი მურადი — არა ვარ ღირსი ამ ქებისა, მე მხოლოდ იმით ვამაყობ რომ თქვენ გიხარიათ... მტრის ცხენოსანი ჯარი დღეიდან ქვევითად დარჩა... ხუთასი ცხენი ჩაიბარე, დიდო იმამო.

შამილი — ხუთასი ცხენი! ხუთასი მთიული მტრის ცხენებს ზურგზე მოასხდება, მტრისავე თოფებით, მტრისავე ტყვიაწამლით მტერი დამარცხდება. სწორედ გმირულად მოქცეულხარ ძვირფასო ჰაჯი!

ჰაჯი მურადი — როცა ხალხს იმამად შენისთანა ბრძენი და სწორუპოვარი სერდარი ჰყავს, რა არ მოხერხდება!

შამილი — ორი ათასი სული ცხვარი! დავლა კარგია, მაგრამ ეს როგორ მოახერხეთ?

ჰაჯი მურადი — ცხენის რემა რომ გამოვრეკეთ, შემდეგ ცხვრის ფარას წავეტანეთ... სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ შემიგვიანდა...

შამილი — არ ვარგა, ჰაჯი, — ბრძოლის წესია, გულისთქმა დავიოკოთ... ცხენის რემა რომ მოიტაცე, სანაქებოა, მერე ცხვრის ფარაც რომ მოგინდა, — გულისთქმას აყოლიხარ! ასე რომ ვიმოქმედოთ, ვინ იცის, რა სურვილი საით წაგვიღებს და შეიძლება თავიც დავკარგოთ სამუდამოდ!

დანიელ-ბეგ — მაგრამ ესეც არის, იმამო, რაკი ამჟამად არაფერი დაშავებულა და, პირიქით, ჩვენმა ნადავლმა მოიმატა, ჰაჯი მურადი ჯილდოს ღირსია უალრესად.

ჰაჯი მურადი — ცუდად გიცვნივარ დანიელ-ბეგ, ჯილდოს გულისთვის მე არ ვიბრძვი... ძალიან ვწუხვარ, რომ იმამის წყრომა ვიწვნიე... მაგრამ ეს წყრომა თან მახარებს, რადგან მე მასში გაფრთხილების ნიშანსა ვხედავ. მადლობთ, იმამო, არა ვარ ღირსი ესოდენი ყურადღებისა!

შამილი — ეგ ჩვენ გვეკითხოს... ახლა მითხარ, ხელთ როგორ იგდე ეს ნადავლი? ეძინათ განა მტრის გუშაგებს?

ჰაჯი მურადი — ეს, იმამო, ყარაღაჯიოს დაუმადლეთ. ეს ცხენის რემა მან გამოსტაცა მტრის გუშაგებს და ჯილდოს ღირსიც ის არის სწორედ.

დანიელ-ბეგ — საოცარია, ვფიცავ ალლაჰს!

ჰაჯი მურადი — მერე რა ხერხი მოიგონა: ფაშატი ცხენ-ბერ-ბერ შეაგდო ულაყების რემაში უცებ, როგორც მიმინო შეიჭრება ფრინველთა გუნდში. ულაყ ცხენებმა, რაკი იყნოსეს სიახლოვე ფაშატებისა, გამოედევნენ ჭიხვინით და ტორების ქნევით. ეს არ გამორჩათ არც გუშაგებს შეუმჩნეველი... ასტეხეს სროლა, სროლას მოჰყვა მცველთა ყიჟინა, ხოლო მათ განგაშს—ძაღლთა ყეფა უსაზარლესი. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი ვქენით.

შამილი—მაშ ასე, ჰაჯი, ყარაღაჯიოც ჩემთან დარჩეს ამიერიდან.

დანიელ-ბეგ — ეგ არ ივარგებს, იმამინალი... მე ვგონებ, კიბიტს ეწყინება მისი რაზმიდან ყარაღაჯიო რომ წავართვათ.

ჰაჯი მურადი—გმირს გმირთან უჯობს, დანიელ-ბეგ!

შამილი—წავიდეთ, ჰაჯი, ცხენთა რემას თვალი შევავლოთ!

(შამილი და ჰაჯი მურადი გადიან)

დანიელ-ბეგ—მოხუცებულხარ დანიელ-ბეგ, ისე ვეღარ სჭრი როგორც მოითხოვს ამას შენი გამოცდილება. (შეამჩნევს მუსას). მანდ რას აკეთებ, მუსა?

მუსა — არაფრისგან ფაფას ვადუღებ, ეფენდი.

დანიელ-ბეგ — ეგ როგორი სიტყვები ამოგდის მუსა პირიდან?

მუსა — როგორც პირია, სიტყვებიც ისეთია, ეფენდი.

დანიელ-ბეგ — მომიახლოვდი. თუ გახსოვს რამდენჯერ შემომფიცე ერთგულება?

მუსა — რამდენჯერაც მიბრძანე, იმდენჯერ, ჩემო ეფენდი.

დანიელ-ბეგ — მაშ, ერთხელ კიდევ შემომფიცე და მერე უცნაურ ამბავს მოგიყვები...

მუსა — გისმენ, ეფენდი....

დანიელ-ბეგ—ჯერ შემომფიცე, გულწრფელი ფიცით.

მუსა — ვფიცავ მაჰმადის წმინდა სახელს, ზეცით კურთხეულს! ვფიცავ სულის სიმშვიდეს, პატიოსნებას და ჩემს შვილებსაც გეფიცებით...

დანიელ-ბეგ — კარგია კმარა... მითხარი, მუსა გულწრფელად მითხარი, როგორ კაცად გიცვნია შენ ჰაჯი მურადი?

მუსა — რა ვიცი, ეფენდი, გარეგნობით მე მჯობს და გმირობით სხვას....

დანიელ-ბეგ — ხუმრობას თავი ანებე და ყური მიგდე: იცი, მუსა, როგორ მიყვარს ჰაჯი მურადი?

მუსა — მე რა ვიცი, ეფენდი. ეს თქვენ უფრო მოგეხსენებათ.

დანიელ-ბეგ—ისე მიყვარს, ვით ღორის ხორცი მაჰმადიანებს.

მუსა — არა უშავს-რა, კარგად გყვარებიათ.

დანიელ-ბეგ — მაქვს მე საბაბი არ მიყვარდეს, დიაღ, საბაბი. ის მხოლოდ ყველას თვალებს გვიბამს მოხერხებულად. რაკი შამილის გული მოიგო, ეხლა ღალატის ბადეს ქსელავს... ღალატის ბადეს, დამერწმუნე... შამილს კი, ო, შამილს ახლაც სჯერა იმ ოინბაზის... სად შეტევაა, იმას გზავნის. თუ რჩევაა საჭირო, გაიძახის, ჰაჯი მიხმეთო... ჰაჯი, სულ ჰაჯი, თითქოს აქ ჩვენ არც ვარსებობდეთ.

მუსა — ვითომ ეგრეა, ეფენდი?

დანიელ-ბეგ — ჰაჯი კი ცდილობს, ისევ ხანების უფლება აღადგინოს... ფიქრობს შამილიც გადიბიროს...

მუსა — ეგ არ მოხდება, ჩვენი იმამი ხალხისკენ არის...

დანიელ-ბეგ — განა არ ვიცი, შამილის სიბრძნე დიდია და განუზომელი, იდიდოს მისი სახელი სამარადოდ... ბოლოს კი მიხვდება ჰაჯის ზრახვებს, ჩემო მუსა, მაგრამ მას ვშიშობ, ეს მიხვედრა გვიან იქნება. განა არ ხედავ, მეზობლოდ ხალხის, ჩვენი საქმისა და იმამისათვის მეწვის გული?!

ბიბლიოთეკა

მუსა — ნუ თუ მართლა ასე საეჭვოა, ეფენდი, ეს ხუნძახელი კოჭლი მგელი.

დანიელ-ბეგ — განა არ ხედავ როგორ ხელგაშლილ ცხოვრებას მიჰყო ხელი? ასეთი ცხოვრება მას გიაურებმა შეასწავლეს, ხომ გაიგე?

მუსა — ვსთქვათ გავიგე, მერე?

დანიელ-ბეგ — მერე და ხალხში თუ ხმა დაირხევა ჰაჯი მურადის ხელგაშლილ ცხოვრებაზე, ვერაგობაზე, ბევრ რამისგან გადაგვარჩენს.... შამილსაც მისწვდება ეგ ხმა და რასაც იმამი ჩვენგან არ შეისმენს, ხალხისგან დაიჯერებს!

მუსა — მაჰმადს გაფიცებ დანიელ, ცოდვაში არ ჩამაგდო, ტყუილ-უბრალოდ ხალხში ცუდი ხმა არ გამატანინო!

დანიელ-ბეგ — როგორ? არა გჯერა ჩემი სიტყვა?

მუსა — მჯერა მაგრამ ეს მაინც სხვანაირი საქმე სჩანს ეფენდი.

დანიელ-ბეგ — ვფიცავ ალლაჰს, ამ ჩემს წვერს და პატიოსნებას, რომ მართალს ვამბობ... აბა წადი და აწ შენ იცი. ისიც გახსოვდეს რომ მე ჰაჯიზე ერთი სიტყვაც არ მითქვამს შენთან!

მუსა — მესმის ეფენდი. რაკი შენ ამბობ, ეგრე იქნება.

(მუსა გადის. შემოდის კიბიტ მაჰომა).

დანიელ-ბეგ — მადლობა ალლაჰს, კარგად მყოფს და უვნებელს გხედავ!

კიბიტ მაჰომა — მადლობ დანიელ... აი, ეს არის დღეს დავბრუნდი ბრძოლის ველიდან. აბა, რას მეტყვი სასიამოს,რით გამახარებ?

დანიელ-ბეგ — ეჰ, მეგობარო, სანუგეშოს ვერაფერს გეტყვი...

კიბიტ მაჰომა — როგორ? რა მოხდა ისეთი, რომ თქმა გიძნელდება?

დანიელ-ბეგ — ვაიც ის არის, რომ სათქმელად მეტად ძნელია და უთქმელობაც რომ არ ვარგა...

კიბიტ-მაჰომა — ეგ რაღას ნიშნავს?

დანიელ-ბეგ — მორჩა, გათავდა, აღარა გყავს ყარაღაჯიო!

კიბიტ მაჰომა — როგორ? რას ამბობ, მოჰკლეს განა?

დანიელ-ბეგ — შენთვის მკვდარია მეგობარო... შამილმა თავის მიურიდად ჩარიცხა უკვე.

კიბიტ მაჰომა — ჩარიცხა კიდეც! ვაი ჩემს დღეს, რაები მესმის!

დანიელ-ბეგ—სულ ჰაჯიმ გიყო შენ ეგ საქმე... მან ისე აქო, ისე აქო ყარაღაჯიო, რომ შამილს განგებ მოაწონა...

კიბიტ-მაჰომა — მერე სად იყავ? რა ილონე? ყელს როცა მჭრიდნენ, იმ დროს შენ ასე დამეხმარე?!

დანიელ-ბეგ — მე ვუთხარ, კიბიტ, ასეთ საქმეს ნუ ვიზამთ მეთქი. შენთვის თავი არ დამიზოგავს, ისიც გავბედე, ყარაღაჯიოს ნუ წავართმევთ კიბიტის რაზმს თქო, მაგრამ პასუხად ეს მივიღე „გმირს გმირთან უჯობს, დანიელ-ბეგ“ — ეს მომახალეს და მეც გავჩერდი ირეტდასხმული.

კიბიტ მაჰომა — მერე ეგ ვინ სთქვა, აღარ მეტყვი?

დანიელ-ბეგ — ჰაჯი მურადმა, მეგობარო, სხვა ვინ იტყოდა?

კიბიტ მაჰომა — გმირთან უჯობსო დანიელ-ბეგ?

დანიელ-ბეგ — სწორედ მაგგვარი კადნიერი სიტყვები იყო... განა არ ხედავ, მუხასავით რომ აღიმართა და იმის ჩრდილ ქვეშ ქონდრის კაცებს რომ ვემსგავსებით?!

კიბიტ მაჰომა — ეხლა მე ვიცი, როგორც უნდა მოვიმოქმედო. როგორც სორიში ორ შხამიან გველს ერთად ყოფნა არ შეუძლიან, ისე ჩვენც ეხლა, მე და ჰაჯი ვერ მოვთავსდებით, რაგინდ უსაზღვროდ დიდი იყოს, იმამის გული!

დანიელ-ბეგ — ძალიან კარგი, მეგობარო. აშკარად ვხედავ გმირული სულის აღშფოთებას... გთხოვ ეხლა, შამილს ნურას ეტყვი სასაყვედუროს... ისე მოიქეცი, თითქოს შენს დღეში არ გტკენოდეს იმამზე გული...

კიბიტ მაჰომა — ვითომ ეგრე სჯობს?

დანიელ-ბეგ — ასე სჯობია, დამიჯერე... ეხლა სახელსაც ნუ ვახსენებთ ყარალაჯიოს. სჯობს ჰაჯიც ოდნავ მივივიწყოთ... წამოდი ჩემთან!

(გადიან. მუსა მოუძღვება ოფიცერ გრომიხოვს)

მუსა — მობრძანდით, ჩემო ეფენდი, მობრძანდით!

გრომიხოვი—მე თქვენ ძალიან უპატიურად მეპყრობით სახლის კაცო. რატომ არ მოახსენებთ შამილს, დიდი იმპერატორის ელჩი, დილას აქეთ რომ მის ნახვას ელოდება?

მუსა — ნუ ცხარობთ, აქ მთის ჰაერია, და მღელვარება გაწყენთ ეფენდი.

გრომიხოვი — მოახსენეთ იმამს, ძალიან საჩქარო საქმეზედ არისთქო მოსული.

მუსა — რა საქმეზე ბრძანდებით მაინც, ეფენდი?

გრომიხოვი — თქვენ რაც გითხარით, ის შეასრულეთ!

მუსა — აქ არ გახლავთ ეხლა იმამი, ეფენდი...

გრომიხოვი — მაშ სად არის?

მუსა — რა ვიცი, სადაც მისი ნებაა, იქ იქნება!

გრომიხოვი — თუ შეიძლება ერთი რამ მიბრძანეთ, ბატონო ჩემო, თქვენ არ იყავით წელან, დანიელ-ბეგთან რომ საუბრობდით? ჩემი სადგომიდან გხედავდით, სჩანს თქვენ მასთან ძალიან კარგ განწყობილებაში ყოფილხართ!..

მუსა—მე ყოველ პატიოსან კაცთან კარგ განწყობილებაში გახლავარ, ეფენდი.

გრომიხოვი — მისი ერთგული თუ ბრძანდებით?

მუსა — მტრედებივით გვიყვარს ერთმანეთი.

გრომიხოვი — ძალიან კარგი. ქვეშევრდომისთვის უფროსის ერთგულება დიდი ღირსებაა...

მუსა — სწორია, ეფენდი...

გრომიხოვი — თქვენ ჭკვიანი კაცი ჩანხართ, მაგრამ, ვწუხვარ რომ თქვენ ღირსების შესაფერად არა ხართ მორთული... თუ არ მიწყენთ და ამ პატარა ფეშქეშს ჩემგან მიიღებთ, დიდათ დამავალებთ...

მუსა — ფეშქეში საჭირო არ გახლავთ, ეფენდი...

გრომიხოვი — უარი რომ მითხრათ, მეწყინება. გამომართვით, ძალიან მეწყინება.

მუსა — შენს წყენას, ისევ ამის აღება მირჩევნია, ეფენდი...

გრომიხოვი — ყური მიგდე: რაკი ფეშქეში მიიღე, შენ ახლა ჩემს სიამოვნებასაც ეცდები, ეს წერილი დანიელ-ბეგს უნდა გადასცე... ჩუმად... და ასევე ჩუმად მისგან პასუხი უნდა მომიტანო, გესმის?

მუსა — მომეცი, ეფენდი...

გრომიხოვი — გაფრთხილებ, შენ ჩემგან ფული გაქვს მიღებული და საკმარისია გაგთქვა, მყისვე შამილი სარზე წამოგაგებს...

მუსა — არა ეფენდი, უკან წაიღე, არ მინდა ეს წყეული ოქროები!

გრომიხოვი — ჩუმად! არ გინდა რომელია, შენ უკვე აღებული გაქვს... როგორც გითხარი, ისე მოიქეცი, მე ხუმრობა არ მიყვარს... ეხლა ცოტას გავისეირნებ სადგომისაკენ და ისევ დავბრუნდები...

მუსა — მესმის, ჩემო ეფენდი. რამდენიც გინდოდეთ, იმდენი ისეირნეთ (თავისთვის) ეს რა შარში გადამაგდო. თუმცა რა შარია, შეიძლება ალლაჰმა სიკეთე მიყო და მე ტყუილ-უბრალოდ ვცოდავ! ეს რომ ჩემთვის გამოგეგზავნა, ვინ იცის, ეს ოქროები ეხლა ვის ჯიბეში იჩხრიალებდნენ! ეს ფეშქეში ხომ კარგია და კარგი, მაგრამ ეს ბარათიც არ უნდა იყოს ურიგო. შეიძლება ამ ბარათზედაც კაცმა ხელი მოითბოს!

(სერალიდან შუანეტ გამოდის).

შუანეტ — თუ გურიის აჯანყებულთა ელჩი მოვიდეს, ნუ შეაჩერებ, პირდაპირ იმამთან გამოუშვი...

მუსა — მე კი გამოვუშვებ პირდაპირ, თუ იგი არ იქნება უკულმართი გზით მოსული!

შუანეტ — შენ ის შეასრულე, რასაც გავალებენ.

მუსა — რასაც მავალებენ! თუ მუდამ ის ვასრულე რასაც მავალებენ, ყოვლად უსინდისო კაცის სახელს დავიმსახურებ, ხანუმ.

შუანეტ — როგორც გიბრძანეს, ისე მოიქეცი!

(მიდის)

მუსა— არა, ბედი რომ ყოფილა ქვეყანაზე, ახლა დავრწმუნდი საბოლოოდ. ვილაც მოზდოკელი გოგო, აგერ იმამის ცოლი გახდა... ბედი რომ მქონოდა... ეხ, ბედი, რომ მქონოდა უეჭველად ქალად დავიბადებოდი, ხოლო ჩემი ჭკუის ქალი, იმამის ცოლი თუ არა, ნაიბის ცოლი მაინც გახდებოდა... თუმცა ესეც კია, ქალად რომ გავჩენილიყავ, ამდენი ჭკუა გამომყვებოდა კი? არა, ისევ ისა სჯობს, რაცა ვარ, ის ვიყო. ეჰ, არც კი ვიცი, რა მოუხერხო ამ ბარათს. მოდი, ქუდში ჩავდებ და მეც მოსვენებული ვიქნები. დანიელ-ბეგი ამ ბარათისათვის სულს მისცემს ეშმაკს!

(შემოდის დანიელ-ბეგ და კიბიტ მაჰომა)

კიბიტ-მაჰომა — მანდ რას აკეთებ, მუსა?

მუსა — ალლაჰმა სიკეთე გადმომიგდო და ქუდში ვინახავ.

დანიელ-ბეგ—მერე ეგ რა ბარათია, ასე საგანგებოდ რომ ინახავ ქუდში?

მუსა — ურუსებმა გამოგზავნეს და პატიოსან ხალხს ეკუთვნის...

კიბიტ მაჰომა — დანიელ, უთხარ ამოიღოს.

დანიელ-ბეგ — ჩქარა, ბარათი ამოიღე, ვნახო, რას სწერენ!

მუსა — არ შემიძლია, ვერ გაჩვენებ, ჩემო ეფენდი.

დანიელ-ბეგ — რაო? უსიტყვოდ ამოიღე!

მუსა — ფიცის გატეხა მეძნელება, ჩემო ეფენდი.

დანიელ-ბეგ — შეხეთ ამ რეგვენს რაებს როშავს! აგერ ბარათიც, ჩემო კიბიტ, შენ კი თვალთაგან დამეკარგე. ხედავ დონლუზებს, ჰაჯი მურატსა სწერენ ბარათს.

კიბიტ მაჰომა — ჰაჯი მურადსა? აბა ჩქარა, ჩქარა ბოლომდე წაიკითხე.

დანიელ-ბეგ — ჩვენო მამაცო და სწორუპოვარო, ვაჟკაცო. შენ რომ ამას წინათ შემოგეთვალა, თავს დაგესხმითო, იმ ცნობამ მეტად გვაამა და შენც შეიტყობდი, თუ როგორ მომზადებული დაუხვდით შამილის ურდოებს. ამ ბარათის მომტანის ხელით გვაცნობე, ამას იქით რას აპირებს შამილი. შენი ერთგულების შესახებ კი თვით ხელმწიფემ იცის და დიდათ გაფასებს... დიდი ქონება, ჩინი და მენდალი გიწყალობა. პოლკოვნიკი ბებუთოვი". ხედავ რას მწერენ... დასწყევლოს ღმერთმა, მე კი არა, ჰაჯისა სწერენ, მთლად გაკეთებას პირდებიან!

კიბიტ — სჯობს ეხლავ იმამს წარვუდგინოთ ჩვენ ეს ბარათი... ბოლო მოვუღოთ მოღალატეს, ჯაშუშს და გამცემს.

დანიელ-ბეგ — არა, დაცდა სჯობს ჩემო კიბიტ, ნუ ავჩქარდებით, სხვა საბუთებიც მოგროვდეს და აჰ მაშინ ვნახოთ... ჯერ ჩემთან დარჩეს ეს ქალალდი, და როცა ვიგრძნობთ ფეხქვეშ ნიადაგს საიმედოდ შეზადებულსა, მაშინ დავბადოთ ეს ბარათიც!

სურათი მესამე

შამილის დასასვენებელი ოთახი.

შამილი — ეს ამბავი მხოლოდ მე და შენ გვეცოდინება.

ყარალაჯიო — აგრე იქნება... იმამინალ!

შამილი — თუ ოდნავ გული „არას" გეუბნება, ნუ მერიდები, მე არ გაძალებ...

ყარალაჯიო — დიდო იმამო, გზა დამილოცე!

შამილი — გწყალობდეს ალლაჰი! ვაჟკაცობაში ტოლი არა გყავს, მაინც სჯობია ჭკუით და ხერხით იმოქმედო... გზა მშვიდობისა, შვილო ჩემო!

ყარალაჯიო — დიდება ჩვენს ხალხს, რომელმაც შენისთანა შვილი გვაჩუქა... მივდივარ, იმამო...

შამილი — თავს გაუფრთხილდი....

(ყარალაჯიო გადის. მოისმის შუანეტის სიმღერა. შამილი ერთხანს გარინდებული უსმენს)

შამილი — იამან, ურუსთ სარდარო, ქვეყანას მიქცევ, ქვრივებსა და ობლებს ამრავლებ, აულებს სწვავ და აცამტვერებ. ალლაჰ! დიდია შენი განგება! ის, რაც ჩვენ შრომით შეგვიქნია, წლობით შეგვინახავს, მტერი ცეცხლს აძლევს და ანადგურებს! იამან, ხელთ თუ ჩამივარდი ურუსთ სარდარო, იამან!

შუანეტ—(შემოდის) ჩემო სიცოცხლევ: ღამე არ გძინავს, დღე არ ისვენებ, ეგრე როგორ იქნება?

შამილი — მოდი შუანეტ, მოდი ჩამოჯექ ჩემთან ახლოს.

შუანეტ — რატომ ასეთი დაღვრემილი სახით მიცქერი ჩემო სიცოცხლევ, ჩემმა სიმღერამ ხომ არ მოგგვარა ეგ ნაღველი?

შამილი — აბა, რას ამბობ, ჩემო სასურველო! შენი სიმღერა და ნაღველი? როცა შენ მღერი, ჩემი მშფოთვარე სულიც მღერის ტკბილად და ჩუმად... ოღონდ ერთსა გთხოვთ, ნაღვლიანს და ცრემლიანს ნურაფერს იმღერებ, ვაჟკაცური ჰანგები შეარჩიე შუანეტ, სისხლის ამგზნები, გმირული რამ, თავდადებისა...

შუანეტ — განა ნაღველი, დარდი და მწუხარება უცხო რამ არის კაცისათვის?

შამილი — უცხო არ არის, მაგრამ ვინც გამუდმებით ბრძოლაშია, მისთვის დარდისა და ნაღველის ამშლელი სიმღერები რის მაქნისია! გმირობისა და ვაჟკაცობის ჰანგი იმღერე, შუანეტ, თორემ სხვებიც შენ მოგბაძავენ... სევდა და დარდი ყველას გულზე შემოაწვება, ვაჟკაცს სილაჩრე შეეპარება... იმღერე, შუანეტ, იმღერე რამე ვაჟკაცური!

შუანეტ — შენ მუდამ მხოლოდ ბრძოლა გახსოვს... ომის ამბავი პირზე გაკერია. ბრძოლის სიმღერა საერთოა. ორის ერთად ყოფნა კი სულ სხვას მოითხოვს, ნაზად დარხეულ მგზნებარე ჰანგს, ნიავის მიერ ატაცებულ ბუმბულის ამბავს... სულ ომზე ფიქრობ, ჩემზე კი არა...

შამილი — შენზეც და ხალხზეც, ორივეზე, ჩემო სიცოცხლევ! ჭკვიანი მყევხარ, შენ კი ამას მაინც ვერ ხვდები?

შუანეტ — როგორ არ ვხვდები, ვხვდები, მაგრამ გული არ შვება... სულ მუდამ საქმეებში ხარ, სულ მუდამ ბრძოლის ველზე მეგულები... აქ ცრემლით

და შიშით გელოდებით.. მოხვალ და მაინც ჩემთვის არა ხარ, ისევ საქმე და ისევ თათბირები...

შამილი — ეგ მტრების ბრალია, შუანეტ... მტერი არ მაძლევს მოსვენებას... დაუკარ მაინც, იმღერე რამე ვაჟკაცური და შენც ძალიან შეგეშალება... აბა, იმღერე, ჩემო სიცოცხლევ!

შუანეტ — (დაუკრავს და მღერის)

ომში ლაჩარი ვერ წავა,
ვაჟკაცი — წამს გაფრინდება,
ცეცხლში შევა დ გამოვა,
გული არ შეუშინდება.
ვაჟკაცის ცოლი ცრემლებს ღვრის·
„აღარ მომივა შინაო",
ლაჩრის ცოლი კი იცინის
„გამოიქცევა წინაო".
მაგრამ გაქცევით შინ მოსულს
სიკვდილი კი სჯობს ტიალი,
გმირი თუ ომში მოკვდება,
დარჩება სახელიანი.

(შემოდის მიურიდი)

მიურიდი—თქვენი მეუღლის ძმა გეახლათ, დიდო იმამო.

შუანეტ — სურენ! ო, ღმერთო ჩემო!..

შამილი — სთხოვეთ, მობრძანდეს (შემოდის სურენ)

შუანეტ — ო, ჩემო სურენ, ჩემო ძმაო!

სურენ — მადლობა უფალს რომ ცოცხალი მაინც ყოფილხარ!

შუანეტ — ო, მე რა მიჭირს ჩემო სურენ, შენ თვით როგორ ხარ, ან და მშობლები რას შვრებიან?

სურენ — სული ჯერ კიდევ არ ამოხდათ იმ უბედურებს...

შამილი — დაბრძანდი, სურენ, კარგი ჰქენ, რომ სტუმრად მეწვიე. უშენოთ სწუხდა შუანეტ!

შუანეტ—ჩვენ გვიყვარს სურენ, ერთმანეთი!

სურენ — არა, იმამო, სტუმრად შენთან მე არ მოვსულვარ... ან რა სტუმრობის გუნება მაქვს თავზარდაცემულს... მე სულ სხვა მიზნით გიახელით... ჩემი და მინდა წავიყვანო!

შამილი — როგორ? შუანეტ გინდა წაიყვანო?

სურენ — დიახ, ჩემი და, ჩემი ანნა, შენ რომ მოგვტაცე, ჰაჯი მურადის აბრაგებით.

შუანეტ—აბა რა ენით ლაპარაკობ იმამთან, სურენ!

სურენ — მე ვლაპარაკობ აქ იმ ენით, როგორი საქმით თვითონ ესენი მოქმედობენ!

შამილი — მაშ შენ იმიტომ მეახელი, მოხველ იმიტომ, რომ შუანეტა წაიყვანო?

სურენ — ათასი ოქრო მოგიტანე, სამაგიეროდ ჩემი და უნდა დამიბრუნო... მიიღეთ ფული!

შამილი — ოქროს მთავაზობ, პირმოთნეო, ბაჯაღლო ოქროს და მარგალიტი გსურს წაიღო? ეგ არ მოხდება: ორი ამდენიც რომ დათვალო, მე არ ავიღებ, და ოქროს მთებიც რომ დამიდგა არც მას ვინდომებ... ეგ საქმე ქალმა გადასწყვიტოს.. რას იტყვი, ხანუმ: თუ გულით გინდა უკან, მშობლებთან, დაბრუნება,

როგორც გენებოს, მე არ გიშლი, წადი მშობლებთან და არც ერთ გროშსაც არ ავიღებ გამოსასყიდელს. აბა რას იტყვი, გადასწყვიტე, ნუ გერიდება!

სურენ — უთხარ პასუხი, გადაწყვიტე, ძვირფასო დაო, [illegible] ვირას მაინც ნახე მშობელი დედა...

შუანეტ — საბრალო დედა!

სურენ — ტირის, ყოველ დღე, მდუღარებით ცრემლებს ღვრის შენზე.

შუანეტ — მჯერა იტირებს, მაგრამ ეხლა ჩემს დაბრუნებას ნულარ მოელით ჩემო სურენ, სჯობს დამივიწყოთ!

სურენ — ამას რას ამბობ, დაო ჩემო!

შამილი — შუანეტ, კარგად მოიფიქრე, თუ გული გერჩის წადი სახლში, მე არ გაკავებ!

შუანეტ — სჯობს დამივიწყოთ, ჩემო სურენ, სულ დამივიწყოთ, როგორც აქამდე არ გახსოვდით, ისე მიგულეთ... მე ვრჩები მასთან, ვისაც ჩემი გული ეკუთვნის...

სურენ — მაშ თუ ეგრეა, როგორც გსურდეს... იყავი ეგრე... ბილწო... გარყვნილო, მოღალატევ წმინდა გრძნობისა, მშობლის მგმობელო და ღვიძლი ძმის უარმყოფელო!. ვაი ამ სირცხვილს, ვაი სირცხვილს, თავსლაფის დასხმას.

(გადის)

შუანეტ — ო, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო, რად გამაჩინე, ასე უიღბლო, ბედდამწვარი?!

შამილი — ნუ სტირი, შუანეტ, ნუ ღვრი ცრემლებს მდუღარებით... შენს თავდადებას მე არასდროს არ დავივიწყებ... შენ დიდი მსხვერპლი გაიღე ჩემთვის, მაგრამ მეც შევძლებ მაგიერი სიკეთე გიყო. წადი სერალში, მოისვენე... (შუანეტი მიდის. შემოდის მუსა).

მუსა — ურუსების ელჩი იცდის, იმამინალ, ხომ არ ისურვებ მის მიღებას?

შამილი — უხმეთ ნაიბებს, ელჩსაც სთხოვეთ... (შემოდიან ჰაჯი მურადი, დანიელ-ბეგი, კიბიტ მაჰომა, სურხაი და სხვები) დაბრძანდით ღირსეულნო, გიაურთა სარდარის ელჩი უნდა მივიღოთ... სთხოვეთ, მოვიდეს!

(შემოდის კაპიტანი გრომიხოვი)

გრომიხოვი — მაქვს პატივი წარმოგიდგეთ ელჩი მისი იმპერატორობით უდიდებულესობისა, მპყრობელის ყოვლისა როსიისა, კავკასიაში მეფის ნაცვლის წარმოგზავნით მე, წმინდა ანნას, გიორგისა და მრავალ სხვა ორდენთა კავალერი, კაპიტანი გრომიხოვ...

შამილი — დაბრძანდით, კაპიტანო! გუშინ გელოდით, ალბად გზაში დაიგვიანეთ.

გრომიხოვი — ცუდი გზებია, მთის ბრძანებელო, მეტად ცუდი და უდაბური.

შამილი — სწორედ ეგ არის ჩემი სიმაგრე, კაპიტანო! ეს ტალახიანი გზები, გაუვალი ტყეები მამაგრებენ და მათი წყალობით თვით დიდ ხელმწიფეს ვუმკლავდები.

გრომიხოვი — ეგ მართალია ბრძანებელო, მაგრამ არც მთლად უგზოობა შეჰფერის მკვიდრსა და მოწყობილ სახელმწიფოს.

შამილი — პირიქით, კაპიტან, მე მზად ვარ თვითოეულ ხეს რძე დავუსხა ძირში, ტალახს თაფლი გაურიო, ხოლო ხრამები ყველგან საშინლად ამოვხერგო, რომ გზა შეგიკრათ... სთქვით, კაპიტან, რაზე შეუწუხებიხართ თქვენს სერდარს?!

გრომიხოვი — მათი ბრწყინვალებისაგან არა მაქვს ნაბრძანები მისი სიტყვები სხვების თანდასწრებით გადმოგცეთ.

შამილი — ხალხისაგან ესენიც ისეთივე უფლებამოსილი არიან, იცოდნენ ყოველივე, როგორც მე... სთქვით, კაპიტანო!

გრომიხოვი — მისმა ბრწყინვალებამ დამავალა გადმოგცეთ რომ ის პატივს სცემს თქვენს გმირობას და ვაჟკაცობას, რომ ის აღტაცებულია თქვენი მხედრული ნიჭით და სიმამაცით...

შამილი — გარდა მაგისა...

გრომიხოვი — გარდა ამისა, დავალებული მაქვს მოგახსენოთ, რომ ამჟამად დიდი ჯარია შემზადებული. მიუხედავად თქვენი სიმამაცისა, ვერაფერს გახდებით. თუ ამ ომს აგვაცილებთ და ნებაყოფლობით დაგვნებდებით, მაშინ სხვა საქმეა, მისი ბრწყინვალება პატიოსან სიტყვას სდებს, იშუამდგომლოს იმპერატორის წინაშე, რომ პირადად თქვენ და თქვენს ნაიბებს მოგცეთ ჩინი, ქონება და დიდი პატივი.... თუ ამაზე თქვენი თანხმობა იქნება, მისი ბრწყინვალებას სურვილია დრო და ადგილი დაუნიშნოთ და პირადად შეხვდეთ სათათბიროდ.

შამილი — მაშ ასე, დასწერე, კიბიტ! ფული და პატივი არაფერია, კაპიტან, ფული ჭუჭყია და ნაგავი. ჩვენ სინდისს ვემსახურებით და არა ჩინებს... დასწერე, კიბიტ, თუმცა არც წერილია საჭირო, სიტყვით გადაეცი გრომიხოვ, სიტყვით იმ შენს სერდარს, რომ მე სიამოვნებით შევხვდები მას, უახლოეს დღეებში ბრძოლის ველზე, ხმალამოწვდილი, და სთხოვე დამიხვდეს! შენ კი, გრომიხოვ, მეორეთ რომ ასეთი სამოციჭულო დავალებით მოხვიდე, ცოცხალი ვეღარ წამიხვალ! სურხაი, თვალები აუხვიე და საზღვრამდე მიაცილე!

გრომიხოვი — დიდებულო, იმამო...

შამილი — ნახვამდის, კაპიტანო!..

(გაჰყავთ გრომიხოვი. გარედან მოისმის შედლუღისა და საყვირების ხმა და მიურიდების საბრძოლო სიმღერა).

შამილი — აი იქ, ბრძოლის ველზე, სადაც, წინაპრებს სისხლი დაუღვრიათ, იქ მიგველიან არწივებო... საკუთარი გულის ცხელ ლითონზედ დალესეთ ხმლები, რომ ომში მეტი კვეთა ჰქონდეთ... ვისაც არ სჯერა გამარჯვება, ის ნუ წამოვა, ვისაც მამული ნაკლებ უყვარს, ის სახლში დარჩეს... მე მხოლოდ გმირებს მოვუწოდებ: ლაიჰ ლაჰ, ილ ალლაჰ!

(ყველანი შესძახებენ)

ყველანი — ლაიჰ ლა, ილ ალლაჰ!

ფარდა

მოქმედება მეორე

რუსების ბანაკი. დიდი სანგრის წინ ჯგუფ-ჯგუფად არის თოფები მიწყობილი. ჯარისკაცები გარმონს უკრავენ და მღერიან.

ჩოპკა — აბა, ისევ სიმღერა მამავ და შვილო, სიმღერა შემოვძახოთ... (მღერის)

სანამ ვიყავ, ბიჭი ვიყავ,
სულ გოგოებს ვაგორებდი,
დამაკერეს პაგონები
ახლა არვის ვაგონდები...
ჰეი, ჰეი, არალე;
გოგო შენ გენაცვალე!

გურკა — რომ ჩამაცვეს მაზარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრებში შემაზანზარა
ეს ოხერი ჩემი თავი
სატყაპუნოდ გამხდარა.

ჩოპკა — ბებერი ვარ, მაგრამ მაინც
ომში გამომიწვიეს,
ხიდზე გასვლა არ შემეძლო,
ძალით გამომათრიეს,
დაშნა, ხმალი სატევარი
თავზე გადამამტვრიეს...

ეჰ, გვეყოფა მამავ და შვილო, ყველაფერს თავისი ბოლო და საზღვარი აქვს. აი მთებს შეხედე გურკა, ხედავ რა ლამაზია ეს ოხერი? რა უნდა ამ ველურებში ამათ? განა ჩვენში კი ვერ დაეტეოდნენ ეს ვერანები, ა?

გურკა — ჰაი, ჰაი რომ დაეტეოდნენ, მაგრამ საქმე ის არის ასეთი ლამაზი არ იქნებოდნენ, აი!

ჩოპკა — როცა შინ დავბრუნდებით გურკა, არც კი დაგვიჯერებენ, რომ ჩვენ ასეთი ლამაზი მთები გვაქვს ნახული, აი!

გურკა — ერთი ამას დამიხედეთ? შინ დაბრუნებასაც რომ აპირებს ეს ოხრახი, ესა! შინ დაბრუნება კი არა, აგერ სვავები ჩვენს თავზე ირაოს შვებიან, ეგების ჩაძალლდნენ და იქნება გამოვძღეთო! აბა, გარმონი, ბიჭებო... ორი დღის წუთისოფელია, აბა სიმღერა, სიმღერა თქვენი ჭირიმე, (იწყებს)

მოდი გოგო, ტყეში წამო,
რად არ გიყვარს სიარული,
მე ჩემს სურვილს შევისრულებ,
შენ დამრჩები მხიარული....
ჰეი, ოი, არალე
გოგოვ, შენ გენაცვალე!

ჩოპკა — ერთი გოგო შემეფეთა,
თვალ მწყაზარა, მზიანი,
დავიჭირე, თვითონ მიძღვნა
კოცნა ალერსიანი....
ჰეი, ჰოი, არალე,
გოგოვ, შენ გენაცვალე!

(შემოდის კაპიტანი გრომიხოვი და ზემდეგი)

გრომიხოვი—ეს რა ამბავი გაქვთ, რა გაღრიალებთ?

გურკა — ჩვენ ისე, თქვენო კეთილშობილებავ, დაღლილები ვართ და ვისვენებთ!

გრომიხოვი — ისვენებთ? მერე და ეს ღრიალია დასვენება? ეგ რა არის, პეტუხინ! რად არ გაგიწმენდია ჩექმები! ზარმაცობ არამზადავ?

გურკა—ვაქსი გამომელია, თქვენო კეთილშობილებავ, და ფულიც ჯერ კიდევ არ მაქვს. ისევ იოლად უნდა წავიდე ჯამაგირის მიღებამდე.

გრომიხოვი — როგორ? რაც მიიღე, უკვე ჩაყლაპე?

გურკა — თხუთმეტი შაური აბა რა ფულია, თქვენო კეთილშობილებავ, რომ ყველაფერზე ვიმყოფინო... ჩექმებიც გავწმინდო, ღვედებიც დავაკრიალო და საცვლებიც სუფთად ვიქონიო...

გრომიხოვი — ზოტოვ, ჩანიშნე, გურკა პეტუხინს ხუთი დღით დაპატიმრება!

გურკა — მადლობა მომიხსენებია, თქვენო კეთილშობილებავ, ხუთი დღით დასვენებისათვის...

გრომიხოვი — რაო გიამა, შე არამზადავ შენა?!
(სილას შემოკრავს)

გურკა — სულ რომ მომკლავდეთ, უფრო სასიამოვნო იქნება, თქვენო მაღალ უსინდისობავ!

გრომიხოვი — ძაღლის ნაშობო! ზოტოვ, გაათრიე ეს სალახანა და გარეზგეთ საკადრისად! (შემოირბენს ზემდეგი)

ზემდეგი — თქვენო კეთილშობილებავ, ჩქარა თქვენო კეთილშობილებავ: გენერალი მოდის და ჯარი მწყობრში დააყენეთ!

გრომიხოვი — სმენა! მწყობრში სდეგ!
(ჯარი დაეწყობა. შემოდის კლუგენაუ ადიუტანტით)

კლუგენაუ—შეუდარებელია! ჩინებულია, ძალიან მომწონს, ეგრე, ეგრე ბატონო კაპიტანო! „დისციპლინა, დისციპლინა და კიდევ დისციპლინა". ჯარი უდისციპლინოდ იგივეა, რაც წისქვილი უწყლოდ. მაგრამ მე მაინც არ მომწონს, კაპიტანო, რომ დეზერტირობა ასე გახშირდა ჩვენს ნაწილებში. აბა, მითხარით, რამდენი ჯარისკაცია გაქცეული არმიიდან?

გრომიხოვი — დაახლოვებით ორმოცი შემთხვევა მაინც გახლავთ აღრიცხული, თქვენო აღმატებულებავ!

კლუგენაუ — ორმოცი შემთხვევა! ეს მეტად საგრძნობი რიცხვია კაპიტან! დასწყევლოს ღმერთმა, ორმოცი შემთხვევა!... მე ყოველ დღიურად პატაკით ვატყობინებ იმპერატორს ჩვენს საოცარ გმირობაზე და აქ-კი ეშმაკმა წაიღოს, ორმოცი შემთხვევაა... მიიღეთ სასტიკი ზომები! არ არის ძალა, რომელიც შესძლებს ჩვენი ძლიერების გაწბილებას. სახელოვანნო ჯარისკაცნო! ძლევამოსილი ჩვენი ჯარი და იარაღი ყველგან შედის და ყველაფერს იმორჩილებს. შორს არ არის ის დრო, როცა შამილი მორჩილებით თავს დახრის ჩვენი ძლიერების წინაშე და პატიებას შეგვევედრება... მანამდე თქვენი ვალია იბრძოლეთ, იბრძოლეთ, და სირცხვილი არ აჭამოთ თქვენს სარდლობას. ვაშა ჩვენს იარაღს, ვაშა ხელმწიფე იმპერატორს!

ჯარი — ვაშაა, ვაშაა, ვაშაა!

კლუგენაუ — აი ეს მომწონს! კარგია, ეგრე, შვილებო... და მე არ ვიყო გენერალი კლუგენაუ, თუ შამილი არ შევიპყარ, ა, როგორაო? როგორ შემომითვალა იმ თავგადაპარსულმა ყაჩაღების შეიხმა? ბრძოლის ველზე დამახვდესო! ხა, ხა, ხა!

გრომიხოვი — დიაღ, თქვენო აღმატებულებავ, ბრძოლის ველზე დამიხვდეს და იქ მოველაპარაკებიო (შემოდის ოფიცერი)

ოფიცერი — თქვენო აღმატებულებავ, ნება მომეცით მოგახსენოთ: აი, ჩვენს თვალისწინ თავის ბანაკიდან შამილს ერთი მიურიდი გამოექცა. გამოქცეულს ტყვია სეტყვასავით დააყარეს, მაგრამ ეტყობა კარგი ვაჟკაცი ყოფილა, რაკი ჩვენამდე უვნებლად მოაღწია!

კლუგენაუ — კარგია, მომწონს, გაეცით ბრძანება, ახლავე მოიყვანონ!
(შემოიყვანენ ყარაღაჯიოს)

კლუგენაუ — შენ ვინა ხარ?

ყარაღაჯიო — მე შამილის მიურიდი ვიყავი, სერდარ, სახელად ყარაღაჯიოს მეძახიან.

კლუგენაუ — მერე? აქ რა გინდა, ისეთი რა გაგიჭირდა, რომ ჩვენთან ეძებ თავშესაფარს?

ყარაღაჯიო — მაშ, რა მექნა, სერდარ: შამილი სასტიკად განრისხებულია ჩემზე, ჩხუბის დროს ერთი მისი მოკეთე შემომაკვდა, სახელად გენკუბაი, იქ

აღარ მედგომებოდა... თუ თქვენთან მიმიღებთ, ძაღლავით ერთგული ვიქნები და სიკვდილამდე მიმსახურეთ!

გენერალი — ჩინებულია, ძალიან მომწონს. კარგი პასუხია. მაგ გვითხარი, რაც იცი, შამილის შესახებ... ნურაფერს დამალავ, ჩვენ ვიცით ამაგის დაფასება, თუ გულწრფელი იქნები მუნდირს გიწყალობებ, ოქროს ხმალს დაგკიდებ, ოფიცრობასაც მიიღებ... აი, ასეთი კაცი გახდები!

ყარალაჯიო — ბრძანეთ, სერდარ, მე ყველაფერზე გიპასუხებთ.

კლუგენაუ — აბა, მითხარი რამდენი კაცი ჰყავს შამილს ამჟამად ახულგოსთან!

ყარალაჯიო — ჯარი დიდძალია, სერდარ, მაგრამ შამილი...

გენერალი — რაო, შამილი რად ახსენე?

ყარალაჯიო — შამილი სერდარ, შამილი არ არის ახლა ახულგოში...

გენერალი — არ არისო? როგორ თუ არ არის? მაშ, ამ ბრძოლას ვინ აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ?!

ყარალაჯიო—შამილის ნაიბები, სერდარ... თვითონ შამილი იჩქერის ტყეშია ჩასაფრებული... იქიდან განაგებს ბრძოლის საქმეს. დღეს დილით მცირე რაზმი გამოჰყო გზის ასარეკად, შემდეგ ბარგით დატვირთული ურმები გაგზავნა და თვითონაც ინება წაბრძანება მცირე რაზმით.

გრომიხოვი — მართალია, თქვენო აღმატებულებავ, ტყისკენ მიმავალი ურმები ჩვენც შევნიშნეთ, მაგრამ იმას როგორ წარმოვიდგენდი თუ იქ შამილიც იქნებოდა!

კლუგენაუ — დაიფიცე, მთიულო! შენი ღმერთი დაიფიცე, რომ მართალს ამბობ!

ყარალაჯიო—მართალია, სერდარ, ვფიცავ ალლაჰს, იჩქერის ტყეშია ჩასაფრებული. თუ ჯარს გაგზავნით, ვფიცავ მაჰმადს. იქვე, შეიპყრობთ.

კლუგენაუ — ჩინებულია, შეუდარებელი... გესმის, ბატონო ოფიცერო! ხედავ, გრომიხოვ! რა ბედნიერი შემთხვევაა... ცოცხალს ჩავიგდებთ ხელში ამაყი მთების შვილს... ჩქარა ჯარი, კაპიტან! ეხლავე მოხსენი სამარქაფო ნაწილები, მომქმედი ჯარიდანაც ოთხი ასეული დაუმატე და ეხლავე შეიჭრნენ იჩქერიის ტყეში!

გრომიხოვი — მესმის, თქვენო აღმატებულებავ... მომყე მთიელო! (ყარალაჯიო და გრომიხოვი გადიან)

კლუგენაუ — ღმერთო მაღალო, რა ბედნიერი შემთხვევაა! თუ ეხლა შამილი დავიჭირე, ჩემი ბედის ვარსკვლავი სულ ზევით და ზევით იწყებს სრიალს... აი, ესეც თქვენი მთის არწივი. ცოტა ხანი და მალე გალიაში მეყოლება! (შემოდის ოფიცერი)

ოფიცერი — თქვენო აღმატებულებავ!

კლუგენაუ — ბრძანეთ ოფიცერო!

ოფიცერი—თქვენო აღმატებულებავ, მთელი სამარქაფო ნაწილების მოხსნა არ ივარგებს... ხუთი ასეული მაინც დასტოვეთ შტაბის დასაცავად.

კლუგენაუ — საკმაოა ორი ასეული.

ოფიცერი — ჩვენს მზვერავებს შეუნიშნავთ, ლეკები თითქოს შეტევაზე გადმოსვლას აპირებენ!

კლუგენაუ — მზვერავებს თვალი არ ჰქონიათ...

ოფიცერი — თქვენო აღმატებულებავ, რომ ხიფათს თავი დავაღწიოთ...

კლუგენაუ — ჩემი ბრძანება შესრულდება.

ოფიცერი — ბოდიში თქვენო აღმატებულებავ!

(მიდის, შემოდის ბებუთოვი)

ბებუთოვი — თქვენო აღმატებულებავ, თქვენ გაეცით ბრძანება სამარქაფო ნაწილების მოხსნის შესახებ?

კლუგენაუ — ეგ თქვენ არ გეხებათ პოლკოვნიკო... უმჯობესია თქვენ ეს მითხრათ: რატომ არ მომახსენეთ, თუ დანიელ-ბეგს წერილს სწერდით?

ბებუთოვი — იმ დროს თქვენ აქ არ იყავით, თქვენო აღმატებულებავ!

კლუგენაუ — რას მიქვიან არ ვიყავი, აქ მე ვარ უფროსი და ყოველგვარი მოლაპარაკება მტერთან ჩემი დასტურით უნდა ხდებოდეს.

ბებუთოვი — მესმის, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ მდგომარეობა ძალზე თავისებური იყო... დანიელ-ბეგი მე უფრო მენდობოდა, როგორც კავკასიელს...

კლუგენაუ — როგორც კავკასიელს! მე არავითარი კავკასია არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე! თქვენ ცხვირს ძალიან ზევით სწევთ, პოლკოვნიკო, მაგრამ მე არავის მივცემ იმის ნებას, რომ თავზე გადამახტეს!...

ბებუთოვი — თქვენო აღმატებულებავ!

კლუგენაუ — დიაღ, ნებას არ მოგცემთ... მე დღესვე დავსწერ, დიაღ დავსწერ...

ბებუთოვი — დასწერთ და დახევთ...მე კი დავსწერ და პირდაპირ იმპერატორს ვაახლებ, რომ თქვენი უნიჭო სარდლობა არაფრად ვარგა!

კლუგენაუ — როგორ მიბედავთ! ერთი დამიხედეთ, რა ამაყი მამლაყინწა ყოფილა! რაო? ხელმწიფეს აახლებს! ვერა, ვერ მოგართვით! თუ საქმე ხლებაზე მიდგა, მე თვითონ ვაახლებ და ნახეთ, რაც გამოვიდეს! (შემოდის ლაზარევი) რითი შეგიძლიათ გამახაროთ, ლაზარევ!

ლაზარევი — თქვენო აღმატებულებავ, ლეკები გადმოვიდნენ იერიშზე... მარცხენა ფრთა სრულიად მოშლილია, ჯარი უწესრიგოდ გამორბის, ხევისაკენ!

კლუგენაუ — როგორ, რას ამბობთ კაპიტან? ეს რა პასუხია, უკან ვიხევთო? გიბრძანებ, ჯარი შეაჩერეთ! (შემოირბენს რამდენიმე ოფიცერი და ჯარის კაცი) საით აპირებთ?ეს ეკადრება სახელოვან დრაგუნის ოფიცრებს?... ლაჩრებო, უღირსებო, როგორ გარბიხართ კურდღლებივით?!

ოფიცერი — აღარ შეგვიძლია, თქვენო აღმატებულებავ, თვითონ შამილი ჩამოერია ბრძოლაში და საშინელი არევდარევა შეიტანა ჩვენს რიგებში...

კლუგენაუ — როგორ თუ შამილი?! თქვენ ყველგან შამილი გელანდებათ! მაშ იმ მთიელმა მოგვატყუა? ალამზადა, ფლიდი, მატყუარა? ჩქარა მომგვარეთ ის უღირსი!... (მოისმის დიდი ხმაური, ყიჟინა, სცენაზე შემოიჭრება ხმალამოღებული შამილი, რომელსაც აქეთ-იქით ნაიბები და მიურიდები მოსდევენ. გაჩაღდება ხელჩართული ბრძოლა)

შამილი — სიკვდილი მტარვალთ, მუსრი მჩაგვრელებს!

მიურიდები — მუსრი გიაურებს, მუსრი მჩაგვრელებს! (შამილი დაახევინებს რუსების სარდლობას და უკან დაედევნება მიურიდებით).

სურათი მეოთხე

ზარაფხანა ახულგოში.

მუსა — სხვებმა დარდი დათესეს და ვარდი მოკრიფეს,
აიამან ვარდი;
მე ვარდი დავთესე და დარდი მოვკრიფე,
აიამან დარდი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლის ღმერთი ზის ჯურღმულში,
აიამან დარდი,
ეს, ვინ გაიგებს, რა დუღს გულში,
აიამან სევდა. აიამან დარდი!...

მურთაზ — რას შვრები, მუსა, რა გემღერება ასეთ დროს, შე უხეირო?

მუსა — მე კი არა დარდიანი გული მღერის თავისთვის!

მურთაზ — ჩვენები საშინელ ჩეხაში არიან და შენ აქ ვარდებზე მღერი უდარდელად?! (მოისმის ზარბაზნების სროლა)

მუსა — ალლაჰი დიდია, მურთაზ, ის არ გაგვწირავს მართლმორწმუნეთ!

მურთაზ — ჩვენ სულ ასე გავიძახით და არაფერიც არ გამოდის. აქეთ შამილი ჯიბრზეა, ვერც იმარჯვებს და არც თავს ანებებს გიაურებს.

მუსა — შამილმა უფრო იცის, როგორც უნდა იმოქმედოს. შამილი წმინდანია!

მურთაზ — წმინდანი და ბრძოლა ვის გაუგონია სულელო?!

მუსა — წმინდანი რომ არ ყოფილიყო, არც არავინ გაუგონებდა. ხომ ხედავ, ხალხი როგორ აღმერთებს!

(შემოდის სურხაი)

სურხაი — ეს რა ამბავია, რა ლაპარაკი გაგიბამთ?

მურთაზ — ამის ბრალია, მუსა სულ შამილის ქებაშია, წმინდანიაო, გაიძახის.

სურხაი — წმინდანია მაშ!

მურთაზ — ბრძოლის ველზე რა ამბებია, სურხაი?

სურხაი — იქ, თქვენისთანეებს ენას სჭრიან და მწვადებად აკეთებენ, აი ეს ამბავია. ჩქარა, იმუშავეთ! (შემოდის იაკუბ) რად გამოქცეულხარ, იაკუბ?

იაკუბ — ცუდად არის საქმე, სურხაი, — გიაურები სასტიკად გვიტევენ... ზარბაზანი ჯერ კიდევ არ არის მზად?

სურხაი — მზად არის, ეხლავე გამოვიტან და მტერს თვალებს დაუყენებ! (შემოდის ყარაღაჯიო).

ყარაღაჯიო — ხედავ, რა დიდი ჩეხაა, სურხაი?

სურხაი — ვხედავ და კიდეც იქ მივდივარ, ჩემი პირქუში ზარბაზნითა.

ყარაღაჯიო — შენ ხალხის საყვარელი გმირი ხარ, სურხაი, მაგრამ არც მე ვარ უღირსი და ლაჩარი... მეც მაღალი მთის შვილი ვარ და შენებრ მეც მეწვის გული ხალხისათვის!

სურხაი — ყოჩაღ ყარაღაჯიო! არასოდეს არ დამავიწყდება, შენ რომ ურუსებს დღე დააყენე, როგორ იხერხე, როგორ მოატყუე... შამილის დაჭერის სურვილმა, ალბად, სულ აურია გონება იმ უბედურებს.

ყარაღაჯიო — მოდი, ძმაო, მოდი, შევფიცოთ ერთმანეთს, ფიცი დავდოთ და გული გულს გადავუხსნათ.

სურხაი — მზად ვარ შეგფიცო სიკვდილამდე!

ყარაღაჯიო — ვინც ჩვენ ორში ძმობაზე ხელი აიღოს, რისხვა არ ააცილოს ალლაჰმა არც მას, არც მის ოჯახს და არც მის ნათესავებს!

სურხაი — ამენ!

ყარაღაჯიო — თითით საჩვენებელი შეიქნას ძმობის გამტეხი და ხალხისაგან გარისხული!

სურხაი — ამენ!

ყარაღაჯიო — ნურაფერს ცოცხალს ნუ გააჩენს მის ნამოსახლარზე ალლაჰი, გარდა ჯინჭრისა და სოკოსი!

სურხაი — ამენ!..

ყარალაჯიო—ახლა წავიდეთ, და ვინც ჩვენ ორში დღეს ბრძოლაში მოკვდეს, ცოცხალმა განწირულს უპატრონოს და მიწას მიაბაროს... (მიბრუნდები და მოიტანენ ზარბაზანს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკუბ — (ზარბაზანს) შენი პირისჭირიმე, შენი! ერთი ისეთი დაიჭუხე, რომ ჩვენი მტრები სულ ბზესავით მიმოფანტო!

(შემოდის დანიელ-ბეგი)

დანიელ-ბეგ — რაღას უდგეხართ, წადით, და მიეშველეთ. შამილის ჯარი მარჯვედ არის, კიბიტ მაჰომას დაეხმარეთ.

სურხაი — აი, ეს არის მივდიოდით კიდეცა... ხედავ ამ ზარბაზანს, დანიელ? დედას უტირებთ ჩვენს მტრებს, დედასა!

დანიელ-ბეგ — უტირებთ კიდეც, ისეთი ვაჟკაცები ჩანხართ! აბა, გასწით და მიეშველეთ!.. (ყველანი გადიან. შემოირბენს ყაზი მაჰომა). ხომ არ დაიჭერ, შვილო ჩემო?

ყაზი-მაჰომა — რა დროს დაჭრაა... აქეთ ვიჩქარი, ციხის ქვემოთ, იქ ეხლა დიდი ჩეხა არი გაჩაღებული!

დანიელ-ბეგ — ნუ წახვალ, შვილო, გთხოვ, აქ დარჩე... იქ სხვებიც კმარა... შენ სულ სხვა გზას და სხვა დიდებას გიმზადებს ბედი.

ყაზი მაჰომა — ვერას მიმვხვდარვარ, დანიელ-ბეგ!

დანიელ-ბეგ — სულ მალე, შვილო, შამილის შემდეგ იმამის ბეჭედს ჩაიბარებ.

ყაზი მაჰომა — რაო, ბეჭედსო? ხომ არ მოუკლავთ მამაჩემი?

დანიელ-ბეგ — არა, სულელო, ცოცხალია. რად ვერ გაიგე... ჩემს სიცოცხლეში მინდა გნახო იმამად მჯდარი.

ყაზი მაჰომა — მერე ეს როგორ მოხერხდება?

დანიელ-ბეგ — შენ ჩუმად იყავ, შვილო ჩემო, ნუ აღელდები, ბედს დაუცადე, და თუ ბურთივით მოგიგორო ოღბალი კარზედ, შენ მე იმდენი დამავალე მამაშვილობას, რომ ფეხს ნუ გაჭკრავ გულუბრყვილოდ...

ყაზი მაჰომა — მაშ შენის აზრით, მე იმამი ვიქნები მალე?

დანიელ-ბეგ — იქნები, შვილო, დამიჯერე... თუმცა რას ვამბობ, ჯერ ჰაჯი უნდა მოვიშოროთ თავიდან, გესმის? ის მხოლოდ სხვების თვალის ასახვევად გაიძახის: სანამ შამილი ცოცხალია, ხალხსაც ის უნდა ბელადობდესო... მე ერთხელ, სიტყვა ჩამოვუგდე და გამოსაცდელად შევეკითხე: შამილის შემდეგ ვინ უნდა იყოს იმამად მეთქი? და იცი რა სთქვა?

ყაზი მაჰომა — რაო, რა გითხრა?

დანიელ-ბეგ — შამილის შემდეგ იმამიც ის იქნება, ვისაც გონება ნათელი აქვს და ხმალიც ბასრად უჭრისო. თითქოს შენ, შვილო, ერთიც გაკლდეს და მეორეცა!

ყაზი მაჰომა — იამან დონღუზ! თურმე ღვარძლი ჰქონია გულში!

დანიელ-ბეგ — ღვარძლიცა აქვს და მძულვარებაც... მაგრამ ეგ სხვა დროს. აგერ დაჭრილი მოჰყავთ ვიღაც! (ყაზი გადის. შემოიყვანენ დაჭრილ კიბიტ-მაჰომას)

კიბიტ მაჰომა — სიკვდილი არ სჯობს, დანიელ-ბეგ, ამ დღის მოსწრებას?

დანიელ-ბეგ — სიკვდილი კიბიტ, ბედნიერთა წილხვედრი არი და უბედურებს ჩვენ იმდენი სიბრიყვე შეგვწევს, რომ ბედნიერ ხალხს ცრემლებს ვაფრქვევთ. გაიხსენ, ვნახოთ ნატყვიარი!

კიბიტ მაჰომა — ჰაი, დედასა! რა დროს დავიჭერ!

დანიელ-ბეგ — ეგ არაფერი, სულ უბრალო წყლული ყოფილა. ოდნავ მკლავზე სჩანს განაკაწრი.

კიბიტ მაჰომა — მკლავში კი არა, ნეტავ გულში დავეჭერ, ვისმენ და ეს სირცხვილი არ მეჭამა! ჯარიც დავღუპე, მეც დავიჭერ, სხვა რალა გამიგია?!

დანიელ-ბეგ — ეგ არაფერი, ჩემო კიბიტ, შამილი მომხრეა, იმამობა ჩემს სიძეს, ყაზი მაჰმადს დაუთმოს, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ საქმეს ჰაჯი მურადი აფერხებს.

კიბიტ მაჰომა — აკი ვამბობდი, არაფერი გამოვა მეთქი. ჰაჯი მურადი მოკვდება და ყაზი მაჰომას იმამობაზე ფიცს არ მისცემს.

დანიელ-ბეგ — ეგ ვიცი, კიბიტ, რომ აგრეა... დანიელ-ბეგი როდია ისე გულუბრყვილო, რომ ვერ გასჭვრიტოს ჰაჯი მურადის შავი ზრახვა! მე, ჩემო კიბიტ, ჰაჯის სიზმრებს იმ ღამეს ვხედავ, რა ღამესაც მას ეს სიზმრები ესიზმრებიან. რაზედ ჩაფიქრდი, არა გჯერა ჩემი?

კიბიტ მაჰომა — მჯერა და კიდეც მეეჭვება!

დანიელ-ბეგ — წადი, ნუ შიშობ, დაისვენე! (კიბიტ მაჰომა გადის. შემოდის შამილი)

შამილი—რა ჰქენი, მოხველ საჩაჩნოდან?!

დანიელ-ბეგ — ნეტავი ფეხი მომტეხოდა, იმამინალ და იმ ლაჩრებთან თავის დღეში არ გაგეგზავნე.

შამილი — ვერაფერს გახდი?

დანიელ-ბეგ — სრულიად ვერაფერს, — თუმცა საცდელი არ მიმიკლია...

შამილი — ერთი კაციც ვერ მოიყვანე საჩაჩნოდან?

დანიელ-ბეგ — სამი დღე ვრბოდი, ვარწმუნებდი ერთ და მეორეს, ვთხოვდი, ვუხსნიდი, ვამხნევებდი, მაგრამ ამაოდ, სულ უნაყოფოდ ჩაიარა იმდენმა შრომამ... არ სურთ ებრძოლონ გიაურებს, ჩემო ხელმწიფევ.

შამილი — ალლაჰი დიდია, დანიელ! ეს მხოლოდ ადამიანის სულმოკლეობაა. ფუჭი და წარმავალი. მე თავს დავაღწევ ამ ჯოჯოხეთს და ვაი იმას, ვინც დაჰკარგა ჩვენდამი ნდობა! ვაი და ვაგლახ ყველა იმათ!

(იაკუბი შემოიყვანს იანუსს)

იაკუბ — აი, ეს ახალგაზრდა გეახლათ, იმამინალ!

შამილი — რა საქმეზე მოსულხარ ჩემთან. შვილო ჩემო?

იანუს — წმინდაო იმამო, ჩემი თხოვნა თავხედურია, მე ბევრს ვითხოვ და შეიძლება ამ სითამამით სიკვდილსაც ვიმსახურებ. წმინდაო იმამო, მე მინდა გავხდე მიურიდი.

შამილი — შენს თხოვნაში არაფერია შვილო, თავხედური, მაგრამ შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჩანხარ, იქნებ არ გესმის, თუ რა მძიმე მოვალეობას კისრულობ ჩვენთან მოსვლით?

იანუს — დიდო იმამო, დე, შენი სახელი, როგორც მთვარე მუდამ შუქს ჰფენდეს ჩვენს ტანჯულ ქვეყანას. ჩემი ახალგაზრდობა ხელს არ შეუშლის ჩემს მიზანს. ყურანსა ვფიცავ, მე მზად ვარ, ყველა გამოცდა გავიარო, რაც კი წესით მიურიდს მოეთხოვება.

შამილი — შენი სახელი?

იანუს — იანუს მქვია, ბრძანებელო.

შამილი — შენი სიტყვები მამაცობას ამჟღავნებს იანუს, მაგრამ, იცოდე, მარტო იარაღის ხმარება არა კმარა მიურიდისთვის... კარგად უნდა გესმოდეს, თუ რატომ იბრძვის შენი ხალხი და შენი ქვეყანა!

იანუს — დიდებულო იმამო, მე მესმის, რისთვისაც მოვედი. მამა ხანებმა მომიკლეს. დედამ მცირეწლოვანი ძმა დამიტოვა და მწუხარებაში განუტევა სუ-

ლი... მიმიღე მიურიდად... მინდა შური ვიძიო გიაურებზე, შური ვიძიო ბეგებზე და ამაყ ხანებზე.. მზად ვარ საკუთარი სისხლით დაგიმტკიცოთ ერთგულება!

შამილი—ყოჩაღ! შენ გამოდგები ჩვენთან, ჩემი მებრძოლებიც [illegible] მეჩეთანა ვაჟკაცები არიან... მაგრამ შენ იცი შვილო, თუ რისთვის იბრძვის შამილი?

იანუს — ვიცი, დიდებულო იმამო, შენს დროშას თანასწორობა და თავისუფლება მოაქვს, შენს ხმალს — მჩაგვრელების სიკვდილი. გინდა უბედური არ იყოს შენს მიწა-წყალზე. თეთრი ხელმწიფე და ჩვენი ხანები სწორედ ამიტომ გებრძვიან... აგრე კი ნუ მიყურებ... მე გავლილი მაქვს თეფსირი და ყადიასი, არ ვტოვებ არც ერთ ნამაზს, ვასრულებ ყველა ადათს. წმინდაო იმამო, მე მინდა გავხდე მიურიდი!

შამილი—წადი მიზგითში, მოლა გაკურთხებს და ისევ ჩემთან დაბრუნდები: ამიერიდან შენ ჩემი მიურიდი იქნები.... (იანუს გადის. შემოდის სურხაი). რა ამბები მოიტანე სურხაი?

სურხაი — ცუდი ამბებია, იმამო, ჯუნგუთლები თავიანთ ნაიბს ხანსი მურადს აუხირდნენ და აქეთ მოდიან საჩივლელად!

(შემოდიან უკმაყოფილო მიურიდები და ხანსი მურად).

ხანსი მურადი — რას მერჩით, ხალხო სთქვით, პირდაპირ იმამს მოახსენეთ რას ითხოვთ ჩემგან?

1-ლი მიურიდი — აღარ გვინდიხარ, მორჩა და გათავდა!

ყარალაჯიო—ისიც მეტია რაც ამდენ ხანს თავი გიხარეთ!

მე-2 მიურიდი — სხვა ნაიბი, იმამინალ, სხვა ნაიბი დაგვინიშნე, ვინც გინდა იყოს, ოღონდ ხანსი მურადი ნუ იქნება!

შამილი — დაიცათ, დაიცათ, ყველანი ერთად ნუ ხმაურობთ... რად აგჯანყებია ეს ხალხი, ხანსი მურად?!

ხანსი-მურად — აბა, რა გითხრათ, ბრძანებელო, აგერ თვითონ სთქვან, თუ რა ცოდვა მიმიძღვის ქვეყნის წინაშე.

ყარალაჯიო — დიდო იმამო, ხანსი მურადი ერთი ზვიადი და გულხენეში კაცია. ამას წინათ, რაღაც უბრალო მიზეზის გამო, უცებ ახირდა და ამხანაგი გაგვილახა... დღესაც იგივე ჩაიდინა... ერთი ახალგაზრდა მიურიდი საჯაროდ გააშიშვლა და წკეპლით სცემა...

1-ლი მიურიდი—მართალია, იმამინალ, ჩვენ თვალწინ გააშიშვლა და გვერდები ჩაულურჯა..... განა ადათით ნება დართულია ასეთი სისაძაგლე?

მე-2 მიურიდი — ურუსთა სერდარებიც ასე შვებიან, დიდო იმამო, წამოაქცევენ ჯარისკაცს, გააშიშვლებენ დედაშობილა და წკეპლით მისდგებიან!

შამილი — მხოლოდ ეგ ერთი დანაშაული მიუძღვის თქვენს წინაშე ხანსი მურადს ღირსეულნო?

მიურიდები — მიზეზი ბევრია, იმამინალ, არ გვინდა, არა ხანსი მურად, მორჩა და გათავდა!

შამილი — არ გინდათ? მაშ ვინ გინდათ, შვილებო? მითხარით, ვინ გინდათ ნაიბად იყოლიოთ?

მიურიდები—ყარალაჯიო, იმამინალ, ყარალაჯიო! ყარალაჯიო დაგვინიშნე!

ხანსი მურადი — დიდო ბრძანებელო, ნუ დაეყრდნობი მარტო ამათ სიტყვებს, ჩემიც მოისმინე და ისე განსაჯე ჩემი შეცოდება!

დანიელ-ბეგ — მართალია, იმამინალ, ხანსი მურადსაც მოვუსმინოთ... მე ვხედავ...

შამილი — იცი, რას გეტყვი, ხანსი მურად. მე როგორც ვხედავ, შენს ხალხს უკვე გული აღარ ჰქონია შენზედ. ახლა რა გაეწყობა... მოიხსენი ნაიბის ნიშანი!

ხანსი მურად — დიდო ბრძანებელო!..

შამილი — მოიხსენი მეთქი, გიბრძანებ (ხანსი მურადი მოიხსნის ნაიბის ნიშანს და გადის. შამილი ნაიბის ნიშანს ყარალაჯიოს გადასცემს) გამომართვი!

ყარალაჯიო — დიდო იმამო, მე უბრალო იუზდანი, არ ვარ ღირსი ესო-

დენი ყურადღებისა. მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, სანაიბო უნარს მოკლებული... გთხოვთ, სხვას გადასცეთ ეს ნიშანი!

შამილი — როგორ? განა შენ არ გჯერა, ჩვენი საქმის გამარჯვება?

ყარალაჯიო — რას ბრძანებთ, იმამო, ისე მჯერა, როგორც ჩემი დაბადება!

შამილი — რაკი გჯერა, გაიკეთე, ეს ნიშანი, და ატარე იგი შენი ხალხის საკეთილდღეოდ!

მიურიდები — ახალ ნაიბს, ყარალაჯიოს გაუმარჯოს!

(შემოდის იაკუბ)

იაკუბ — აულებიდან თავი ხალხი გეახლათ, იმამინალ, და თქვენს ნახვას ელოდებიან!

შამილი — სთხოვე, მობრძანდნენ!

(შემოდიან მთიულთა წარმომადგენელნი)

შამილი — მობრანდით, პატივცემულნო, აქეთ დასხედით და პირდაპირ მითხარით: ასეთ მძიმე დროს რამ მოგიყვანათ ახულგოში.

ქისტი—ჩვენმა უბედურებამ, იმამინალ, ურუსებმა სული ისე შეგვიხუთეს, რომ ჩვენი ცხოვრება აღარაფრად ღირს. იმათთან ძაღლურ ცხოვრებას შენთან ერთად ბრძოლაში გვირჩევნიან დავიხოცოთ!

ყაბარდოელი — ჰაი, ჰაი რომ გვირჩევნია. მოთმინების ფიალა აივსო... მთელი ყაბარდო ფეხზე ვდგევართ, თქვენგან ველოდებით ნიშნის მოცემას, დიდო იმამო!

ჩერქეზი — მეტის ატანა აღარც ჩვენ, ჩერქეზებს, შეგვიძლიან, იმამინალ! ურუსები თანდათან იწევენ და უწყალოდ გვანადგურებენ. რამდენი ფეხიც წინ წარმოდგეს, იმდენი სტანიცა და სოფელი ააშენეს, ტყეები გასჩეხეს, ადგილობრივ მკვიდრთ ენა დაგვიმოკლეს და თავიანთ ყაზახებით დაასახლეს ჩვენი მიწაწყალი.

ოსი — მართალია,იმამინალ, ჩვენს გაპარტახებულ ოსეთშიაც მთელი სახნავ სათესი მეფის ყაზახებმა წაიღეს და ჩვენი ცოლშვილი შიმშილით იხოცება.

ინგუში — ინგუშებიც არა ვართ ნაკლებ დღეში, იმამინალ... არც იალაღი, არც საბალე ადგილები აღარ დაგვიტოვეს. ალლაჰმა ჰკითხოს ჩვენი წახდენა გიაურებს, დიდო იმამო!

შამილი — მერე რას ფიქრობთ, ღირსეულნო! თუ წინააღმდეგობის გაწევას აპირებთ, ეს ძალიან მომწონს და მიხარიან... რაღა თქმა უნდა, უბრძოლველად თავს ვრავინ დაგანებებთ. განა თვით ურუსის გლეხს დაანებეს თავი, პატივცემულნო? მე კარგად მესმის თქვენი მდგომარეობა... ისიც ცხადია, მძიმეა ღალა და გადასახადი, ჯარის და საბეგრო ხარჯი, ნამუსის ახდა, ცემა-ტყეპა და ვინ ჩამოთვლის, კიდევ რამდენი ჯოჯოხეთი!...

ჩერქეზი — გადასახლება დაგავიწყდა, იმამინალ.

ოსი — თავში ცემა და ზურგზე ბოლი!

ქისტი — ბარემ ბეგარაც მიათვალე, იმასაც გთხოვენ!

ყაბარდოელი — დარბევაც მიდი, ჭირნახულის მუქთად წართმევა!

ინგუში — ბოქაულს ხარჯი, შენახვა და თვალში ნაცარი...

შამილი — მესმის, პატივცემულნო, ეს ყოველივე მესმის და მეყურება. რაკი მტერი ცეცხლითა და მახვილით გვანადგურებს, აქ ტკბილი სიტყვა და ალერსი აღარ გამოდგება.... დალესილი ხმლებია საჭირო და მტრებთან პირისპირ შეგებება. აი, ხარიც ხომ არის, ღირსეულნო, ეს სათნო და უენო პირუტყვი, როცა ულელი ქედს დააჭერს, აპეურებს გასტეხს და თავს შველის. ჩვენ კი რას ვშვებით? უკვე დრო არის ტომური შუღლი უკუვაგდოთ. სირცხვილია მთიულები ძაღლებს დავემსგავსოთ, იმ ძაღლებს, რომლებსაც ძვალზე ჩხუბი მოსდით. მაშ ასე პატივცემულნო! მოვიწვიოთ მშველელად ალლაჰი და მტერს გაბედულად ვეკვეთოთ. ასე შვებოდნენ ჩვენი მამები და ჩვენც მივბაძოთ იმათ ვაჟკაცობას!

ხალხი — მზად ვართ ყველანი ცხარე ბრძოლაში დავიხოცოთ, იმამინალ! (შემოდის ჰაჯი მურადი მიურიდებით).

ჰაჯი მურადი — გზა გახსნილია, იმამო დარგოსაკენ, ჯარიც შეეკრიბე და თქვენს გამოსვლას ველოდებით!

შამილი — დარგო მზად არის, დანიელ-ბეგ, ჩვენს მისაღებად?

დანიელ-ბეგ — მზად გახლავთ, იმამინალ!

შამილი — ამიერიდან დარგო იქნება ჩვენი სატახტო ადგილი პატივცემულნო... სჯობს, მტერი მთიან ადგილებში შევიტყუოთ. მე ასე მირჩევნია, ღირსეულნო. თქვენ კი, როგორც სჯობდეს, ისე გადასწყვიტეთ. რაკი გვებრძვიან, ჩვენც ნურავის დავერიდებით. დიდია ალლაჰი, გამოვიჩენთ ძალღონეს, დამარცხებულნი იქნებიან ურუსები!

ქისტი — მართალია, იმამინალ, მთის თავისუფალ ხალხს, თავისუფალი ჰაერი სწყურია. არავისი ულელი არ გვინდა და არც არავის ვემონებით!

ჩერქეზი — ჩვენ არავისაკენ არ ვიწევთ, ხალხო, ნურც ჩვენსკენ იწევენ... ცოდოა, ჩვენს მიწაზე მტერს ფეხი დავადგმევინო, საფლავში მამაპაპათ ძვლები ეტკინებათ!

ინგუში — ბრძოლაში, იმამინალ, ცხარე ბრძოლაში გაგვიყვანე, მზად ვართ დავიხოცოთ!

შამილი — მაშ რაკი ვიბრძვით სიმართლისთვის, პატივცემულნო, მოდით და ფიცი, მტკიცე ფიცი მივცეთ ერთმანეთს, რომ გულში ღალატს არ გავივლებთ. მე კი ჩემის მხრით ვფიცავ ჩემს შვილებს, მამაპაპათა ნაცრად ქცეულ ძვლებს და ჩემი ქვეყნის ჯერ ბურუსით მოცულ მომავალს — სიკვდილის დღემდე ჩემი სიტყვის ერთგული ვიყო და მტერს მიუზღო მაგიერი!

ჰაჯი მურადი — ეხლა ეს ჩემიც მოისმინე, იმამინალ! ალლაჰსა ვფიცავ, ყოვლის შემძლეს ჩვენს დიდ მეუფეს, მეც ამოგიდგე მხარში ყველგან, ვით მიურიდი, ვიბრძოლო ყველგან მცირესა თუ სასტიკ ბრძოლაში, და ზეცამ მკითხოს შეცოდება, თუ რამ გავივლო ფარულის ზრახვით ამ ჩემს გულში ბოროტეულად. მე ზურგში დაჭრილს თქვენ ვერ მნახავთ, მაგრამ თუ მომკლეს, გულში მექნება ნატყვიარი და არა ზურგში!

შამილი — ეხლა თქვენც აქვე შემომფიცეთ, აი ამ ხმალზე: სურხაი, იანუს, შენც დანიელ, სუყველამ ერთად, რომ თქვენც იბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე!

დანიელ-ბეგ — ჩვენ მზად ვართ, ერთხმად დავიფიცოთ, დიდო იმამო!

ხალხი და ჯარი — მზად ვართ შეგფიცოთ, იმამინალ!

შამილი—ვინც უღალატოს ამ ჩვენს ფიცს და გაგვიორგულდეს, გარიყულ იქნას იგი ჩვენი მიწა-წყალიდან! დე წანწალებდეს როგორც მგელი ბუნაგ აყრილი: სწყუროდეს—წყარო მოეჩვენოს გველების ბუდედ. შვილს მოელოდეს—არ ელირსოს მოსვლა და ნახვა. შველა სჭიროდეს, არავინ არ ეხმარებოდეს, ბრძოლაში იყოს, ხმალი ვადაში გადაუტყდეს... ამრიგად სჯობს, ასე რისხოს და სულ გარიყოს!...

ყველანი — რისხოს, იმამინალ!

შამილი — რისხოს, ალლაჰმა ჩვენი ფიცის მოღალატენი!

ყველანი — რისხოს, იმამინალ!

შამილი — რისხოს, ვინც შეკრთეს და გაიქცეს ბრძოლის ველიდან!

ყველანი — რისხოს, იმამინალ!

შამილი — რისხოს, ცბიერი კაცთმოძულე მუხანათები!

ყველანი — რისხოს, იმამინალ!

შამილი — რისხოს, ვინც ზურგი შეაქციოს მშობელ ქვეყანას!

ყველანი — რისხოს, იმამინალ!

ფარდა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალფონს დოდე

წერილები ჩემი წისქვილიდან

დასახლება

აკი არ განცვიფრდნენ ბაჭიები! რაკი ამდენი ხანია ისინი ხედავდნენ, რომ წისქვილის კარი ჩაკეტილი იყო, ხოლო კედლები და მოედანი ბალახით შემოსილიყო, მათ ეფიქრათ, მეწისქვილეების მოდგმა გადაშენებულაო, და რადგან თან ადგილიც მოსწონებოდათ, ის ერთგვარ მთავარ შტაბად ექციათ, სტრატეგიული ოპერაციების ცენტრად: ეს იყო ჟემაპის ბაჭიების წისქვილი... იმ ღამეს, მე რომ იქ მივედი, ტყუილი რომ არა ვთქვა, ოციოდე ბაჭია მაინც წრეში დამჯდარიყო და თათებს ითბობდა მთვარის შუქზე. ვერც კი მოვასწარი სამერცხულის გაღება, — ფრრ! — მთელი ბანაკი წამოიშალა, და ბაჭიების კუდაპრეხილი თეთრი უკანა ტანები ტყეში მიიმალნენ. იმედი მაქვს მაინც, რომ უკან დაბრუნდებიან.

ჩემს დანახვაზე დიდად გაკვირვებული დარჩა აგრეთვე მეორე სართულის ბინადარი, ბებერი პირქუში ჭოტი, რომელსაც მოაზროვნის თავი აქვს; ის წისქვილში ცხოვრობს ოც წელიწადზე მეტია. მე ის მაღლა დამხვდა ოთახში, გარინდებული იჯდა თავხეზე, ბათქაშისა და ჩამოცვინული კრამიტის გროვაში. ერთი წუთით თავისი მრგვალი თვალი მომაპყრო; შემდეგ მეტად დაბნეულმა იმის გამო, რომ ვერ მიცნო, დაიწყო ძახილი: ჰუ! ჰუ! თან მტვრისგან განაცრისფრებულ ფრთებს აფართხალებდა გაჭირვებით. ოჰ, ეს მოაზროვნენი! არასოდეს ტანს არ იწმენდენ... არა უშავს რა! ასეა თუ ისე, ეს წყნარი მდგმური სხვებზე მეტად მომწონს თავის მოხამხამე თვალებით და მოღუშული სახით, და მე საჩქაროდ განვუახლე ხელშეკრულება. მას წინანდებურად წისქვილის ზედა სართული რჩება: შესავალი სახურავზე აქვს; ჩემთვის ქვედა ოთახს ვიტოვებ, პატარა ოთახს, კირით თეთრად შელესილს, დაბალსა და თაღიანს მონასტრის საოსტიგნესავით.

*
* *

თქვენ აქედან გწერთ; კარები მზეზე ფართოდ მაქვს გაღებული. ჩემს თვალწინ ფერდობზე სინათლით გაბრწყინებული ფიჭვნარია შეფენილი. ჰორიზონტზე ალპილების მოხდენილი მწვერვალები მოსჩანან.. არავითარი ხმაურობა არ ისმის... მხოლოდ დრო და დრო გაისმის სალამურის ხმა, ღალღის ჭუკჭუკი სუმბულში, ან გზაზე მიმავალი ჯორების ეჟვანთა ჟღარუნი... მთელი ეს მშვენიერი პროვანსული პეიზაჟი მხოლოდ სინათლით არის გაცხოველებული. და ახლა როგორღა გინდათ, რომ მე გული დამწყდეს თქვენს მშფოთარე და ბნელ პარიზზე? მე ასე კარგად ვარ ჩემს წისქვილში. სწორეთ ასეთ კუთხეს ვეძებდი, პატარა, სურნელოვან და თბილ კუთხეს, ათასი ლიეთი დაშორებულს გაზეთს, ეტლებს, ბურუსს... და რამდენი ლამაზი რამ არის ჩემ გარშემო. ერთ კვირასაც არ გაუვლია, რაც მე დავბინავდი, და თავი უკვე სავსე მაქვს შთაბეჭდილებებითა და მოგონებებით.. ყური მიგდეთ: მაგალითად, სწო-

რეთ გუშინ დავესწარი ფარის დაბრუნებას ფერმაში, რომელიც ფერდობის ძირში დგას და, გეფიცებით, ამ სანახაობას არ გავცვლიდი ყველა პრემიერაში, რომელიც ამ კვირაში დაიდგმებოდა პარიზში. თვით განსაჯეთ:

უნდა მოგახსენოთ, რომ პროვანსში ჩვეულებად აქვთ, საქონელი ალპებში გარეკონ, როგორც კი სიცხეებს დაიჭერს. პირუტყვი და ადამიანი ხუთ-ექვს თვეს მთაში ატარებენ, ცის ქვეშ, ბალახში, რომელიც წელამდე აღწევს. შემდეგ, როცა შემოდგომის პირველი თრთოლვა იწყება, საზამთრო ბინაში ეშვებიან, და პირუტყვი მშვიდობიანად, ბურჟუაზიულად სძოვს ბალახს პატარა ნაცრისფერ გორაკებზე, რომელთაც როზმარინის სუნი უდით... ჰო-და გუშინ საღამოს ფარა დაბრუნდა. დილიდანვე კარიბჭის ორივე ფრთა გაღებული იყო; ფარეხი სავსე იყო ახალი ჩალით. დროდადრო გაისმოდა: „ახლა ისინი ეიგიერში არიან. ახლა პარადუში". შემდეგ შებინდებისას უცებ ყვირილი გაისმა: „აი მოვიდნენ!" და შორს ფარა დავინახეთ, ის მოდიოდა მტვრის შარავანდედში. თითქოს მთელი შარაგზა იძროდა მასთან ერთად... თავში ბებერი ყოჩები მოაბიჯებენ რქებაწეულნი, გაველურებულნი; მათ ცხვრები მოსდევთ, დედები, ცოტა არ იყოს, დაღლილები არიან, ბატკნები მათ ფეხებში ებლანდებიან; წითელ პომპონიან[1] ჯორებს ზურგზე გადაკიდებულ კალათებში პაწია კრავები უსხედან, ისინი მათ არწევენ სიარულის დროს; შემდეგ მოდიან ოფლში გაწურული ძაღლები, რომელთაც ენები მიწამდე გადმოუგდიათ, და ორი ჯიბიდან გავარდნილი მეცხვარე, ჟღალ წამოსასხამში, რომელიც მათ კოჭებამდე სწვდება ანაფორასავით.

ყოველივე ეს ჩვენს თვალწინ გაივლის მხიარულად და კარისბჭეში ინთქება ფეხების ბაკუნით, რომელიც ნიაღვრის ხმაურობას ჰგავს... უნდა ნახოთ, რა მღელვარება იწყება სახლში. დიდმა ოქროსფრად ალივლივებულმა მწვანე ფარშავანგებმა, რომელთაც ლეჩაქისებური ბიბილოები აქვთ, ქანდრიდან იცნეს დაბრუნებულნი და საყვირის საშინელი ძახილით მიესალმნენ. საქათმე, რომელიც სთვლემდა, უცებ იღვიძებს. მთელი ქვეყანა ფეხზეა: მტრედები, იხვები, ინდაურები, ციცრები. უკანა ეზო თითქო გაგიჟდაო: ქათმები კრიახობენ, ღამე უძილოდ უნდა გავატაროთ ქეიფშიო... კაცი იფიქრებს, თვითოეულმა ცხვარმა თავისი მატყლით ველური ალპის სურნელებასთან ერთად ცოტაოდენი მთის ჰაერი მოიტანა, რომელიც ათრობს და ცეკვის სურვილს იწვევსო.

ამ ამალით გარემოცული ფარა ბოლოს თავის ბინას აღწევს. არაფერი შეედრება ამ დაბინავებას. ბებერი ყოჩები გულაჩუყებული უცქერიან თავიანთ ბაგებს. სულ პაწია კრავები, რომელნიც მოგზაურობაში დაიბადნენ და არასოდეს არ ყოფილან ამ ფერმაში, გაოცებულნი იცქირებიან ირგვლივ.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო ძაღლები არიან, მწყემსის ყოჩაღი ძაღლები, რომელნიც ფაცი-ფუცობენ თავიანთი საქონლის გარშემო და მის გარდა ვერაფერს ხედავენ ფერმაში. ნაგაზი მათ ამაოდ ეძახის თავისი ბუნაგიდან; ახლად-ამოღებული წყლით სავსე სათილი ამაოდ ანიშნებს: მათ არაფრის დანახვა, არაფრის გაგონება არა სურთ, სანამ ცხვარი ფარეხში შევიდოდეს, პატარა გისოსიანი კარის ურდული გადაიკეტებოდეს და მწყემსები სუფრას მიუსხდებოდნენ დაბალ პალატში. მხოლოდ მაშინ თანხმდებიან ისინი თავიანთ ბუნაგში შევიდნენ, ჯამიდან წვენის სვლეპას იწყებენ და თავიანთ ამხანა-

[1]) პომპონი — ბურთის მსგავსი სამკაული ქუდსა ან მუზარადზე, ამ შემთხვევაში კი ცხოველის თავზე გასაკეთებლად.

ვებს უამბობენ, რას შვრებოდნენ იქ ზევით, მთაში, მკაცრ ქვეყანაში, სადაც მგლები იცის და სადაც დიდი, მუქი წითელი ფუტკარას ფოთოლი ცვრითაა სავსე პირთამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოკერის დილიჟანსი

ეს მოხდა ჩემი აქ მოსვლის დღეს. მე ჩავჯექი ბოკერის[1] დილიჟანსში, ძველ ურესორო დილიჟანსში, რომელსაც დიდი გზა არა აქვს გასაკეთებელი, სანამ შინ მივიდოდეს, მაგრამ დიდხანს დაეხეტება, რათა სალამოს ისეთი შესახედავი იყოს, თითქოს შორიდან მოდიოდეს. ჩვენ ხუთნი ვისხედით იმპერიალზე, თუ კონდუქტორს არ მივიღებთ სათვალავში.

თავდაპირველად მოვიხსენოთ დარაჯი კამარგიდან,[2] დაბალი, ჯმუხი, ბანჯგვლიანი მამაკაცი, რომელსაც რაღაც ველური სუნი უდიოდა, დიდი, სისხლიანი თვალები ჰქონდა და ვერცხლის საყურეებს ატარებდა; შემდეგ—ორი ბოკერელი მეპურე და მისი სიძე, ორივე ძალზე სახე-წამოწითლებული, ძალზე მქშინავი, მაგრამ საუცხოო პროფილების მქონე, თითქო ორი რომაული მედალიონი ვიტელიუსის[3] გამოსახულებით. ბოლოს, წინ, კონდუქტორის მახლობლად, იჯდა ერთი მამაკაცი. არა, მამაკაცი კი არა, ქუდი, ბაჭიის ტყავშემოვლებული ქუდი, რომელიც თითქმის ხმას არ იღებდა და სევდიანად გასცქეროდა გზას.

ეს მგზავრები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და სრულიად თავისუფლად, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ თავიანთ საქმეებზე. კამარგელი ამბობდა, ნიმიდან მოვდივარ, სასამართლოს გამომძიებლის მიერ ვარ გამოწვეული იმის გამო, რომ ორთითი ჩავეცი ერთს მწყემსსო. კამარგში ხალხს სისხლი უდუღს... ახლა ბოკერში იკითხეთ! ჩვენი ორი ბოკერელი არ იყო, რომ კინაღამ ერთმანეთს ყელი გამოღადრეს წმინდა ქალწულის გულისთვის. როგორც ეტყობოდა, მეპურე იმ სამრევლოდან იყო, რომელიც დიდი ხანია თაყვანს სცემს ღვთისმშობელს. ამ ღვთისმშობელს პროვანსელები კეთილ დედას უწოდებენ. მას ხელში პაწია იესო უჭირავს; მეპურის სიძე, პირიქით, ლიტანიას უგალობდა ახლად აშენებულ ეკლესიას, მიძღვნილს უბიწო შთასახვისადმი; ესაა მშვენიერი მომღიმარი ხატი, სადაც ღვთისმშობელი მკლავებ-დაშვებული, გასხივოსნებული ხელებითაა წარმოდგენილი. ჩხუბი აქედან დაიწყო. უნდა გენახათ, როგორ ამკობდა ეს ორი ნაღდი კათოლიკე ერთმანეთს და თავიანთ ღვთისმშობლებს.

— კარგი იმას მოუვიდეს, კარგი ის იყოს, შენი უბიწო ქალწული!

— წაეთერი შენი კეთილი დედიანად!

— შენსას საკმაოდ უნახავს, რაც სანახავია პალესტინაში!

— შენსას კი არა, ჰა! მახინჯი! ვინ იცის, რა არ გაუკეთებია... აბა წმინდა იოსებს ჰკითხე.

დანების პრიალის მეტი არაფერი აკლდა, რათა კაცს თავისი თავი ნეაპოლის ნავთსადგურში წარმოედგინა და, მგონია, ეს მშვენიერი თეოლოგიური პაექრობა მართლაც დანებით დამთავრდებოდა, თუ საქმეში კონდუქტორი არ ჩარეულიყო.

---

[1]) ბოკერი — ქალაქი რონის მარჯვენა ნაპირას ქალაქ ტარასკონის პირდაპირ.

[2]) კამარგი — კუნძული რონის დელტაში.

[3]) ვიტელიუსი (17—69 წ.) — რომაელი იმპერატორი, ცნობილი მფლანგველობით და უძღებობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავი ნუ მოგვაბეზრეთ თქვენი ღვთისმშობლებით! — უთხრა მან სიცილით ბოკერელებს: — ყოველივე ეს დედაკაცური ამბებია, მამაკაცები ამაში არ უნდა ჩაერიონ.

და მაშინ შოლტი გაატკაცუნა სკეპტიკური სახით, რამაც ყველანი მისი თანახმა გახადა.

*

* *

კამათი დასრულებული იყო, მაგრამ მეპურე საღერღელაშლილი იყო და მას აუცილებლად თავისი აღგზნების დარჩენილი ნაწილი უნდა დაეხარჯა; ის მიუბრუნდა საბრალო ქუდს, რომელიც ჩუმად და სევდიანად იჯდა თავის კუთხეში, და დამცინავი სახით შეეკითხა:

— შენი ცოლი რაღას იქმნს, ხარატო? ვისი სამრევლოა ის?

ამ სიტყვებში, ალბად, ძლიერ კომიკური განზრახვა იყო დაფარული, იმიტომ რომ მთელმა იმპერიალმა გადიხარხარა. მხოლოდ ხარატი არ იცინოდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქო არც კი ესმოდა. ახლა მეპურე მე მომიბრუნდა:

— თქვენ მაგის ცოლს ვერ იცნობთ, ბატონო? ახირებული მრევლთაგანია! მისი მსგავსი ორიც არ მოიპოვება ბოკერში.

სიცილმა იმატა. ხარატი არ განძრეულა, მხოლოდ ხმადაბლა, თავის აუწევლად ჩაილაპარაკა:

— გაჩუმდი, მეპურევ!

მაგრამ იმ ეშმაკის კერძ მეპურეს არ უნდოდა გაჩუმება და განაგრძობდა:

— რეგვენი! იცით რა! ამხანაგს ჩივილი არ მართებს, რომ ასეთი ცოლი ჰყავს... კაცი ერთ წუთსაც არ მოიწყენს მასთან... აბა თვით იფიქრეთ! ლამაზი ქალი, რომელიც თავს ატაცებინებს ყოველ ექვს თვეში, ყოველთვის რამე ამბავს იპოვის, რათა უკან დაბრუნებისას მოგითხროს... საინტერესო ცოლქმრობაა!.. წარმოიდგინეთ, ბატონო ჩემო, ერთი წლის ჯვარდაწერილებიც არ იყვნენ, ტკაც! ქალი ესპანეთში გარბის შოკოლადის ვაჭართან ერთად. ქმარი მარტო რჩება შინ, ტირის, სვამს... პირდაპირ გიჟს ჰგავდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ტურფა სამშობლოში დაბრუნდა, ესპანურად ჩაცმული, პატარა ეჟვნებიანი დოლითურთ. ჩვენ ყველა ვეუბნებოდით; — დაიმალე, თორემ მოგკლავს... რის მოკვლა... მშვიდობიანად დაიწყეს ერთად ცხოვრება, ქალმა მას ბასკური დოლის დაკვრა ასწავლა.

ხელახლა სიცილი ატყდა. ხარატმა თავის კუთხიდან ხელახლა ჩაილაპარაკა თავ-აუღებლად:

— დადუმდი, მეპურევ!

მეპურემ ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:

— თქვენ შეიძლება ფიქრობთ, ბატონო, რომ ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ ტურფა დამშვიდდა... სრულიადაც არა!.. მისმა ქმარმა ასე კარგად მოინელა ეს ამბავი! მას სურვილი დაებადა ყოველივე ხელახლა დაეწყო... ესპანელის შემდეგ ოფიცერი გაჩნდა, შემდეგ მენავე რონიდან, შემდეგ მემუსიკე, შემდეგ კიდევ... თვითონ არ ვიცი, ვინ... ყველაზე უკეთესი ის არის, რომ ყოველთვის ერთი და იგივე კომედია იწყება. ქალი გარბის, ქმარი ტირის; ქალი ბრუნდება, ქმარი თავს ინუგეშებს. ყოველთვის სტაცებენ და ყოველთვის უკან იბრუნებს... როგორ გგონიათ, დიდი მოთმინება ჰქონია ამ ქმარს, არა? ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პატარა ხარატი ქალი ალქაჯივით ლამაზია... ნამდვილი საეპისკოპოსო ნაჭერია: ცოცხალი, ცუგრუმელა, კარგად მოყვანილი; თეთრი კანი აქვს და ნიგვზის ფერი თვალები, რომელნიც მამაკაცს ყოველთვის

ღიმილით უცქერიან... გეფიცებით, პარიზელო, თუ ოდესმე ბოკერში გაიაროთ...

— ოჰ, გაჩუმდი, მეპურეე, გეხვეწები! — დაიძახა საბრალო ხარატმა გულისგამგმირავი ხმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წუთში დილიჟანსი გაჩერდა. ჩვენ ანგლორის ფერმასთან ვიყავით. იქ ორივე ბოკერელი ჩამოხტა და, გარწმუნებთ, მე ისინი არ შემიჩერებია... ეს მასხარა მეპურე! ის ფერმის ეზოში იყო, რომ მისი სიცილი კიდევ ისმოდა.

ამ ადამიანების წასვლის შემდეგ იმპერიალი თითქოს დაცალიერდა. კამარგელი კიდევ არლში დასტოვეს. კონდუქტორი გზაზე მიაბიჯებდა თავისი ცხენების გვერდით. ჩვენ მარტო დავრჩით ზემოთ, ხარატი და მე, ჩვენ ჩვენს კუთხეში, და ორივენი ვსდუმდით. ცხელოდა; ჩარდახის ტყავი გავარვალებული იყო. დროდადრო ვგრძნობდი, რომ თვალები მეხუჭებოდა და თავი მიმძიმდებოდა; მაგრამ შეუძლებელი იყო დაძინება. თითქოს ის გულისგამგმირავი და მშვიდი სიტყვები მესმოდა: „გაჩუმდი, გეხვეწები". არც იმ საბრალო კაცს ეძინა. უკანიდან ვხედავდი, როგორ თრთოდა მისი ფართო მხრები და როგორ ცახცახებდა სკამის ზურგზე მისი ხელი, — გრძელი, ფერმკრთალი და სულელური ხელი, თითქოს მოხუცის ხელი ყოფილიყოს. ის ტიროდა.

— აი თქვენც შინ მოხველით, პარიზელო! — დამიძახა უცებ კონდუქტორმა და თავისი შოლტის წვერით ჩემი მწვანე გორაკი დამანახვა, რომელზედაც წისქვილი იჯდა დიდი პეპლის მსგავსად.

საჩქაროდ ძირს ჩამოვედი... როცა ხარატს გვერდით ჩავუარე, შევეცადე მის ქუდ-ქვეშ შემეხედა; მინდოდა, მისი სახე დამენახა, სანამ წავიდოდი. თითქოს მან ჩემი აზრი გაიგო, მკვირცხლად თავი ასწია და თვალში თვალი გამიყარა:

— კარგად შემხედეთ, მეგობარო, — მითხრა მან ყრუ ხმით, — და თუ ამ დღეებში გაიგო, ბოკერში უბედურება მოხდაო, თქვენ შეგეძლებათ სთქვათ, რომ იცნობთ დანის დამრტყმელს.

მას დამჭკნარი და სევდიანი სახე ჰქონდა პატარა მიმქრალი თვალებით. თვალებში ცრემლი მორეოდა, მაგრამ ხმაში სიძულილი ისმოდა. სიძულილი სუსტად გულის წყრომაა... მე რომ ხარატის ცოლის ადგილას ვყოფილიყავი, ფრთხილად ვიქნებოდი.

ოსტატ კორნილის საიდუმლოება

ბებერმა მედუდუკემ, ფრანსე მამაიმ, რომელიც დროდადრო ჩემთან მოდის საღამოს გასატარებლად და ერთი ჭიქა გადადუღებული ღვინის დასალევად, ერთხელ ერთი პატარა სოფლური დრამა მიამბო, რომლის მოწმე ჩემი წისქვილი ყოფილა ამ ოციოდე წლის წინათ. ამ კეთილი მოხუცის მოთხრობამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ მინდა ვცადო ისე გადმოგცეთ, როგორც გავიგონე.

წარმოიდგინეთ ერთი წუთით, ძვირფასო მკითხველებო, რომ თქვენ სურნელოვანი ღვინის დოქთან სხედხართ და ბებერი მედუდუკე გესაუბრებათ.

ჩვენი კუთხე, ბატონო ჩემო, ყოველთვის ასეთი მკვდარი ქვეყანა არ ყოფილა, სადაც სიმღერას ვერ გაიგონებ, როგორც დღეს. წინათ აქ პურის ფქვილის ვაჭრობა ჰყვაოდა და ათი ლიეს მანძილიდან ფერმერებს თავიანთი ხორბალი ჩვენთან მოჰქონდათ დასაფქვავად... სოფლის გარშემო გორაკები მთლად ქარის წისქვილებით იყო დაფარული. მარჯვნივ და მარცხნივ ფიჭვნარს ზე-

მოთ სჩანდა მხოლოდ წისქვილის ფრთები, რომელნიც მისტრალზე [1] ტრიალებდნენ, და ტომრებით დატვირთული პატარა ვირები, რომელნიც ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ გზებზე. სასიამოვნო იყო მთელი კვირის განმავლობაში ბალლობებზე შოლტის ტლაშუნის, ტომრების ტკაცანის და მეწისქვილეების ძახილის გაგონება... კვირა დღეს მთელი ჩვენი გროვა წისქვილებზე მიდიოდა. იქ მაღლა მეწისქვილეები მუსკატის ღვინით გვიმასპინძლდებოდნენ. მეწისქვილეების ცოლები დედოფლებივით მშვენიერები იყვნენ თავიანთი მაქმანის თავსაფრებითა და ოქროს ჯვრებით. მე ჩემი დუდუკი მიმქონდა, და კარგა დალამებამდე ყველანი ფარანდოლას [2] ცეკვავდნენ. როგორც ხედავთ, ეს წისქვილები ჩვენი ქვეყნის სიხარულსა და სიმდიდრეს წარმოადგენდნენ.

საუბედუროდ პარიზელ ფრანგებს აზრად მოუვიდათ ორთქლის წისქვილი აეშენებიათ ტარასკონის გზაზე. ძალიან კარგი იყო, სრულიად ახალი. ხალხი შეეჩვია თავისი ხორბლის იქ გაგზავნას, და საბრალო ქარის წისქვილები უმუშევრად დარჩნენ. ერთხანს ისინი შეეცადნენ ებრძოლათ, მაგრამ ორთქლი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და — მახლას! — ისინი იძულებული გახდნენ დაკეტილიყვნენ... აღარსად სჩანდა პატარა ვირები... მშვენიერმა მეწისქვილე ქალებმა თავიანთი ოქროს ჯვრები გაჰყიდეს... აღარც მუსკატის ღვინო, აღარც ფარანდოლა!.. ამაოდ ჰქროდა მისტრალი, ფრთები უმოძრაოდ რჩებოდნენ... ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს სოფლის თემმა დაანგრევინა ეს ქოხმახები, და მათ ადგილას ვაზი და ზეთის ხილი დარგეს.

მაგრამ ამ ნგრევაში ერთმა ქარის წისქვილმა განაგრძო ფეხზე დგომა და თავის გორაკზე მამაცად ტრიალი მექარხნეების გამოსაჯავრებლად. ეს იყო ოსტატ-კორნილის ქარის წისქვილი, სწორედ ის, სადაც ამ საღამოს დროს მოკვლას ვაპირებთ.

*

* *

ოსტატი კორნილი ბებერი მეწისქვილე იყო, უკვე სამოცი წელიწადი ის ფქვილში ცხოვრობდა და გააფთრებით უყვარდა თავისი საქმე. ორთქლის წისქვილების დადგმამ ის თითქოს ჭკუაზე შეარყია; მთელი კვირის განმავლობაში სოფელში დარბოდა, ხალხს იკრებდა თავის გარშემო და რაც ძალღონე ჰქონდა, გაიძახოდა, პროვანსის მოწამვლა უნდათ ამ ქარხნების პურითო. „ნუ წახვალთ იქ, — გაიძახოდა ოსტატი, — ის ავაზაკები ხორბლის დასაფქვავად ორთქლს ხმარობენ, ხოლო ორთქლი ეშმაკის მოგონილია; მე კი მისტრალისა და ტრამონტანის [3] დახმარებით ვმუშაობ, ისინი თვით ჩვენი მამაღმერთის სუნთქვას წარმოადგენენ...“ და ის მრავალ ასეთ მშვენიერ სიტყვას პოულობდა ქარის წისქვილების შესაქებად, მაგრამ მას არავინ არ უსმენდა.

მაშინ გააფთრებული მოხუცი თავის წისქვილში ჩაიკეტა და განმარტოებული ცხოვრება დაიწყო გარეული მხეცივით. მან იქ არ დაიტოვა თვით პატარა შვილისშვილი ვივეტა, თხუთმეტი წლის გოგონა, რომელსაც დედ-მამის სიკვდილის შემდეგ ქვეყანაზე არავინ არა ჰყავდა, გარდა პაპისა. საბრალო გოგონა იძულებული გახდა თვით ემუშავა თავის დასარჩენად და აქა-იქ დაქირავებულიყო ფერმებში პურის მკასა, ყაჭის მოვლასა ან ზეთისხილის მოკრეფაზე. ამავე დროს კი პაპას თითქოს ძალიან უყვარდა ეს ბავშვი. ხშირად მოხდებო-

---

[1]) მისტრალი — ცივ და მშრალ ქარს ეწოდება სამხრეთ-აღმოსავლეთს საფრანგეთში.
[2]) ფარანდოლა — ჩქარტემპიანი პროვანსული ფერხული.
[3]) ტრანმონტანი — ჩრდილოეთის ქარი პროვანსში.

და ხოლმე, პაპანაქება სიცხეში ოთხ ლიეს გაივლიდა ფეხით, რათა ვიეტა ფერმაში ენახა და, როცა მის გვერდით იყო, მთელი საათობით უცქეროდა და ტიროდა... ჩვენს სოფელში ფიქრობდნენ, მოხუცმა ვიეტა-სიძუნწის გამო მოიშორაო. ეს მისთვის სასახელო არ იყო, რომ თავის პატარა შვილიშვილს ნებას აძლევდა ფერმიდან ფერმაში ეხეტიალა, აეტანა მოჯამაგირეების სიტლანქე და ყოველგვარი სხვა სიდუხჭირე, რაც ახალგაზრდა ქალებს მოსამსახურობაში ხვდებათ. არც ის მიაჩნდათ მოსაწონად, რომ ისეთი პატივსაცემი ადამიანი, როგორიც ოსტატი კორნილი იყო, რომელსაც მანამდე დიდი ღირსებით ეჭირა თავი, ახლა ქუჩაში ნამდვილი ბოშივით დადიოდა, ფეხშიშველი, გახვრეტილი ქუდით, დაფლეთილი ტანისამოსით... საქმე იქამდე მივიდა, რომ სხვა მოხუცებს მის მაგივრად გვრცხვენოდა, როცა კვირა დღეობით ის წირვაზე შემოდიოდა; კორნილი ამას კარგად გრძნობდა და ვერ ბედავდა სამრევლო სკამზე დაჯდომას. ყოველთვის ეკლესიის შესავალში ჩერდებოდა მათხოვრებთან ერთად, აიაზმის სასხურებლის მახლობლად.

იყო რაღაც გაუგებარი ოსტატ კორნილის ცხოვრებაში. უკვე დიდი ხანია არავის სოფლიდან ხორბალი არ მიჰქონდა მასთან, მაგრამ მისი წისქვილის ფრთები მაინც წინანდებურად ტრიალებდნენ... საღამოობით კაცი ხშირად გზაზე შეხვდებოდა ბებერ მეწისქვილეს, რომელიც მიერეკებოდა ფქვილის ტომრებით დატვირთულ ვირს.

— საღამო მშვიდობისა, ოსტატო კორნილ! — ეძახოდნენ გლეხები: — მაშ წისქვილი კიდევ მუშაობს?

— კიდევ, შვილებო, — უპასუხებდა ყოჩაღად ბებერი: — მადლობა ღმერთს, სამუშაო არ გვაკლია.

თუ ხანდახან ჰკითხავდნენ, საიდან მოგდის, ეშმაკმა დალახვროს, ამდენი სამუშაოო, ის ტუჩებზე თითს მიიდებდა და სერიოზულად ამბობდა: „სსუ! მე ექსპორტისთვის ვმუშაობ“. მეტს ვერაფერს წამოაცდენინებდით.

ფიქრიც არ შეიძლებოდა იმაზე, რომ ვინმეს ცხვირი შეეყო მის წისქვილში. თვით პატარა ვიეტაც კი არ შედიოდა იქ.

თუ კაცი წისქვილს გვერდით ჩაუვლიდა, დაინახავდა, რომ კარი ყოველთვის დაკეტილი იყო. დიდი ფრთები მუდამ მოძრაობდნენ, ბებერი ვირი ბალახს სძოვდა ეზოში, ხოლო დიდი გამხდარი კატა მზეზე თბებოდა ფანჯრის რაფაზე და გაბოროტებული იცქირებოდა. ყოველივე ეს საიდუმლოებით იყო მოცული და მრავალ მითქმა-მოთქმას იწვევდა. ყველანი თავისებურად ხსნიდნენ ოსტატ კორნილის საიდუმლოებას, მაგრამ ერთს რამეში თანახმანი იყვნენ: ამ წისქვილში მეტია ფულით გატენილი პარკი, ვიდრე ფქვილით გატენილი ტომარაო.

*

* *

ბოლოს მაინც ყოველივე გამოირკვა და აი როგორ:

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ახალგაზრდები ჩემი დუდუკის ხმებზე ცეკვავდნენ, მე შევამჩნიე, რომ ჩემი უფროსი ვაჟი და პატარა ვიეტა შეყვარებულნი იყვნენ. კაცმა მართალი სთქვას, მე არ მწყენია, იმიტომ რომ კორნილის სახელი, რაც უნდა ყოფილიყო, მაინც პატივსაცემად ითვლებოდა ჩვენში, ხოლო იმის ცქერა, თუ როგორ იფრთხიალებდა ეს პატარა ლამაზი ჩიტუნია ვიეტა ჩემს სახლში, მე სიამოვნებას მომგვრიდა. მხოლოდ რადგან ჩვენს შეყვარებულთ ხშირად შემთხვევა ეძლეოდათ ერთად ყოფილიყვნენ, მარცხის თავიდან ასაცილებლად გადავწყვიტე საქმე დაუყოვნებლივ მომეწესრიგები-

ნა, და წისქვილში ავედი, რათა ქალის პაპასთან მომელაპარაკნა... ეჰ, ეს ბებერი ჯადოქარი! უნდა გენახათ, როგორ მიმიღო! ვერაფრით კარი ვერ გავალებინე. როგორც იყო, ჩემი მისვლის მიზეზი ავუხსენი გასაღების ჭუჭრუტანაში. და სანამ ვლაპარაკობდი, ის ქურდბაცაცა გამხდარი კატა, ეშმაკივით თავზე დამ-ფრუტუნებდა.

ბერიკაცმა არც კი დამამთავრებინა, უზრდელად დამიყვირა, სჯობს შენს დუდუკს დაუბრუნდეო; თუ შენი ვაჟის დაქორწინება გეჩქარება, შეგიძლია ფქვილის ქარხანაში წახვიდე და იქაურ გოგოებში აირჩიო საპატარძლოო... თქვენ მიხვდებით, რომ ამ ბოროტი სიტყვების გაგონებაზე სისხლი ამივარდა თავში; მაგრამ ჭკუა მეყო, რათა თავი შემეკავებინა: უგუნური ბერიკაცი მის დოლაბთან დავტოვე და ბავშვებთან დავბრუნდი, რათა ჩემი მარცხის ამბავი ძეთქვა... ამ საბრალო ციკნებს არც კი სჯეროდათ. მთხოვეს, ნება მოგვეცი ორივენი ერთად ავიდეთ წისქვილში, რათა პაპას მოველაპარაკოთო... მე გამბედაობა არ მეყო უარი მეთქვა და ფრრ! ჩემი შეყვარებულნი გაფრინდნენ. როცა ისინი იქ მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ ოსტატი კორნილი სადღაც წასულიყო. კარი მაგრა იყო დაკეტილი, მაგრამ მოხუცს კიბე გარეთ დაეტოვებინა და ბავშვებს მაშინვე თავში აზრი მოსვლოდათ ფანჯრიდან გადამძვრალიყვნენ, რათა ცალი თვალით დაენახათ, რა ხდებოდა ამ ყბადაღებულ წისქვილში.

საოცარი ამბავია! დოლაბიანი ოთახი ცარიელი აღმოჩნდა... არც ერთი ტომარა, არც ერთი მარცვალი ხორბალი არა სჩანდა; არავითარი ფქვილის კვალი არ ეტყობოდა არც კედლებს, არც ობობას ქსელს... თვით იმ ახლად დაფქვილი ხორბლის სასიამოვნო თბილი სუნიც კი არ იდგა, რომლითაც გაჟღენთილია ხოლმე წისქვილები.. თავზე მტვრით იყო დაფარული და ზედ გამხდარ კატას ეძინა.

ქვედა ოთახიც ისეთივე ბეჩავი და მიტოვებული სჩანდა: უხეირო საწოლი, რაღაც ძონძები, პურის ნატეხი კიბის საფეხურზე, ხოლო კუთხეში სამი თუ ოთხი გახეული ტომარა, საიდანაც ღორღი და კირი ცვიოდა.

აი რა ყოფილა თურმე ოსტატ კორნილის საიდუმლოება! ეს ნაგავი უტარებია მას საღამოობით ქუჩაში, რათა წისქვილის ღირსება დაეცვა და ყველანი დაეჯერებინა, რომ იქ პური იფქვებაო... საბრალო წისქვილი! საბრალო კორნილი! უკვე დიდი ხანია ფქვილის ქარხნებს მათთვის უკანასკნელი სამუშაო წაერთმიათ. ფრთები წინანდებურად ტრიალებდნენ, მაგრამ დოლაბი ტყუილად მოძრაობდა.

ბავშვები ატირებულნი დაბრუნდნენ და ყოველივე ნახული მიამბეს. გული მეკუმშებოდა, როცა მათ ვუსმენდი... ერთი წუთიც არ დამიყოვნებია, მეზობლებთან გავიქეცი და საქმის გარემოება ავუხსენი ორიოდე სიტყვით; შევთანხმდით, დაუყოვნებლივ კორნილის წისქვილში მიგვეტანა მთელი ხორბალი, რომელიც სახლებში მოგვეძებნებოდა. თქმა და შესრულება ერთი იყო. მთელი სოფელი გზას გაუდგა და ზევით ავედით ვირების მთელი ქარავანით, რომელიც ხორბლით იყო დატვირთული, მაგრამ ახლა კი ნამდვილი ხორბლით.

წისქვილის კარი ფართოდ იყო გაღებული... შესავალში ოსტატი კორნილი იჯდა კირის ტომარაზე, თავი ხელებზე დაედო და ტიროდა. შინ დაბრუნებისთანავე შეემჩნია, რომ მის გარეთ ყოფნის დროს წისქვილში ვილაც შესულიყო და მისი სამწუხარო საიდუმლოება გაეგო.

— ეჰ, მე უბედური! — ამბობდა ის. — ახლა მე აღარაფერი დამრჩენია, გარდა სიკვდილისა... წისქვილი პატივახდილია.

და ის გულის გამგმირავად ქვითინებდა, სხვადასხვა სახელს უწოდებდა თავის წისქვილს, მას ისე ელაპარაკებოდა, როგორც ნამდვილ ადამიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ვირები ეზოში ავიდნენ, და ყვირილი დავიწყეთ, როგორც ქარის წისქვილების აყვავების დროს ვიცოდით ხოლმე:

— ჰე, წისქვილში ვინ არის? ჰეი, ოსტატო კორნილ!

და აი კარისწინ ტომრები გროვდება და მიწაზე მშვენიერი ოქროსფერი ხორბალი ცვივა ყოველი მხრიდან...

ოსტატმა კორნილმა ფართოდ დააღო თვალები. მან თავისი ბებერი ხელის გულზე დაიყარა ხორბალი და სიცილითა და ტირილით წამოიძახა:

— ეს ხომ ხორბალია!.. ღმერთო ჩემო!.. ნამდვილი ხორბალია... მაცალეთ, ვუცქირო.

შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ოჰ, ვიცოდი, რომ ჩემთან დაბრუნდებოდით... ეს მექარხნეები ყველანი ქურდები არიან.

ჩვენ გვინდოდა ის ზეიმით წაგვეყვანა სოფელში.

— არა, არა, შვილებო, ჯერ ჩემი წისქვილი უნდა დავაპურო. თვითონვე განსაჯეთ: ძალიან დიდი ხანია, რაც მას არაფერი არ ჩაუდვია პირში!

ყველას თვალებზე ცრემლი მოგვადგა, როცა ამ საბრალო მოხუცს ვუცქეროდით: ის ხან მარჯვნივ აწყდებოდა, ხან მარცხნივ, ხსნიდა ტომრებს, უთვალყურებდა დოლაბს, იმ დროს, როცა ხორბალი იფქვოდა და პურის ფქვილის მტვერი ჭერისკენ მიჰქროდა...

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩვენც კარგად მოვიქეცით: ამ დღიდან დაწყებული არასოდეს უსაქმოდ არ დაგვიტოვებია ბებერი მეწისქვილე. შემდეგ, ერთ დილას, ოსტატი კორნილი მოკვდა, და ჩვენი უკანასკნელი წისქვილის ფრთებმა ტრიალი შესწყვიტეს, ახლა კი სამუდამოდ... კორნილი მოკვდა და მას აღარავინ არ შეეცვალა. რას იზამთ, ჩემო ბატონო! ყველაფერს დასასრული აქვს ამ ქვეყნად, და უნდა ვიფიქროთ, რომ ქარის წისქვილების დროც ისევე წავიდა, როგორც რონის ბრტყელ-ძირიანი ნავებისა, პარლამენტებისა, და ფართო ყვავილებიანი ზედატანებისა.

ბატონი სეგენის თხა

ბატ. პიერ გრენგუარს, ლირიკოს პოეტს პარიზში.

შენ არასოდეს არ გამოიცვლები, ჩემო საბრალო გრენგუარ!

როგორ! მექრონიკის ადგილს გთავაზობენ პარიზის დიდ გაზეთში და შენ გამბედაობა შეგწევს უარი სთქვა!.. ერთი შენს თავს შეხედე, საბრალო ადამიანო! შეხედე მაგ დახეულ ფლანელის პერანგს, მაგ დაძონძილ შარვალს, მაგ დალეულ სახეს, რომელიც შიმშილზე ღაღადებს. აი სად მიგიყვანა მშვენიერი რითმების ვნებიანმა სიყვარულმა! აი რა დაგიჯდა ათი წლის პატიოსანი სამსახური მისი უდიდებულესობის აპოლონის პაჟად... ნუთუ, ბოლოს არა გრცხვენია?

გახდი მექრონიკე, შე სულელო! მექრონიკე გახდი მეთქი! ჯიბეში მშვენიერ ვერცხლის ფულს ჩაიჩხრიალებ, ბრეანტთან ისადილებ მუდამ, ხოლო პრემიერების დღეებში შეგეძლება ახალფრთიანი ქუდით გამოჩნდე თეატრში...

არა? შენ ეს არ გინდა? გადაწყვეტილი გაქვს თავისუფალი დარჩე ბოლომდე?.. ძალიან კარგი; მაშ მოისმინე ბატონი სეგენის თიკნის ამბავი. შენ დაინახავ, სად მივყევართ თავისუფალი ცხოვრების სურვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ძია სეგენს თხებში არასოდეს ბედი არ სწყალობდა.

ის მათ ყველას ერთნაირად ჰკარგავდა: ერთ მშვენიერ დილას ისინი თოკს სწყვეტდნენ, მთაში გარბოდნენ და იქ მათ მგელი სჭამდა. არც მათი პატრონის ალერსი, არც მგლის შიში, არაფერი მათ არ აკავებდა. ეს, როგორც ეტყობა, დამოუკიდებელი ხასიათის თხები იყვნენ, რომელნიც მზად იყვნენ, ყოველივე შეეწირათ ხალვათი და თავისუფალი ცხოვრებისთვის.

ძია სეგენი, რომელსაც ვერაფრით ვერ გაეგო თავისი ცხოველების ზნე, დიდად შეწუხებული იყო. ის ამბობდა:

— მორჩა და გათავდა! თხები იწყენენ ჩემსას, მე მათ აღარ ვიყოლიებ.

ამისდამიუხედავად ის სასოწარკვეთილებას არ მიეცა და ერთი და იმავე გზით ექვსი თხის დაკარგვის შემდეგ, მეშვიდე იყიდა, მხოლოდ ამჟამად სრულიად ახალგაზრდა აირჩია, რათა ის უკეთ შესჩვეოდა მასთან ცხოვრებას.

აჰ, გრენგუარ, რა ლამაზი იყო ძია სეგენის ეს პატარა თხა! რა ლამაზი იყო იგი თავისი მშვიდი თვალებით, უნტერ-ოფიცრის წვერით, მბრწყინავი შავი ჩლიქებით, ზოლიანი რქებით და გრძელი თეთრი ბალნით, რომელიც ძველებურ ფართო წამოსასხამს ჰგავდა. ის თითქმის ისევე მომხიბლავი იყო, როგორც ესმერალდას[1] თიკანი, — ხომ გახსოვს გრენგუარ? — ამასთანავე თვინიერი, ალერსიანი; წველის დროს არ გაინძრეოდა, არც ფეხს ჩადგამდა საწველელში. ერთი სიტყვით, მეტად საყვარელი რამ იყო ეს თხა.

ძია სეგენს სახლის უკან კუნელით შემორგული ადგილი ჰქონდა. მან იქ მოათავსა თავისი ახალი პანსიონერი. მან ის პალოზე მიაბა, საუკეთესო ადგილზე მინდორში, — რაც შეიძლებოდა დაუგრძელა თოკი, ამას გარდა დროგამოშვებით დასახედავად მიდიოდა, კარგად არის თუ არაო. თხა თავის თავს ბედნიერად გრძნობდა და ისე მადიანად სწიწკნიდა ბალახს, რომ ძია სეგენი აღტაცებული იყო.

— ძლივს არ ვიშოვე ისეთი თხა, რომელიც არ მოიწყენს ჩემს გვერდით, — ფიქრობდა საბრალო კაცი.

ძია სეგენი სცდებოდა, მისმა თხამ მოიწყინა.

*
* *

ერთხელ მან მთას შეხედა და თავის გულში ჩაილაპარაკა:

— რა კარგი უნდა იყოს იქ მაღლა! რა სასიამოვნოა ნეგოში ხტუნაობა, ისე რომ ყელზე ეს წყეული თოკი არ გიჭერდეს. შემოღობილში ბალახის ძოვა უფრო ვირსა და ხარს შეეფერება!.. თხებს იალაღი სჭირდებათ.

ამის შემდეგ ეზოს ბალახი მას უგემურად ეჩვენა. ის მოწყენილობამ მოიცვა. გახდა, რძე თითქმის გაუშრა. საცოდაობა იყო იმის ცქერა, როგორ ეწეოდა მთელი დღე თოკს, როგორ მიებრუნებინა თავი მთისკენ, ნესტოები გაფართოებოდა და შესაბრალისად კიკინებდა: „მეე!“

ძია სეგენი კარგად ამჩნევდა, რომ მის თხას რაღაც მოსდიოდა, მაგრამ კი ვერ გაეგო-რა... ერთხელ დილით, როცა ის წველას ათავებდა, თხა მიუბრუნდა და უთხრა თავის ჟარგონზე:

---

[1]) ესმერალდა — ვიქტორ ჰიუგოს რომანის „პარიზის ღვთისმშობლის“ მომქმედი პირი, მშვენიერი ბოშის ქალიშვილი, რომელსაც მუდამ თან დაჰყავდა მოვარაყულ რქებიანი თიკანი — ჯალი.

— ყური დამიგდეთ, ძია სეგენ, მე დარდისაგან გული მელევა თქვენსა, გამიშვით, მთებში წავიდე.

— აჰ, ღმერთო ჩემო!.. ესეც! — წამოიძახა ელდანაკრავმა ძია სეგენმა და მოულოდნელობისაგან ხელიდან საწველი გაუვარდა; შემდეგ მოლზე ჩაშოჯდა თხის გვერდით.

— როგორ, ბლანკეტ, გინდა დამტოვო?

და ბლანკეტმა უპასუხა:

— ჰო, ძია სეგენ.

— ბალახი ხომ არ გაკლია აქ?

— ოჰ, არა, ძია სეგენ.

— ეგებ მეტიმეტად მოკლედ ხარ მიბმული? გინდა თოკი დაგიგრძელო?

— თავის შეწუხებად არა ღირს, ძია სეგენ.

— მაშ რაღა გჭირდება? რა არის შენი სურვილი?

— მე მინდა მთაში წავიდე, ძია სეგენ.

— შე უბედურო, განა არ იცი, რომ მთაში მგელია?.. რას იზამ, როცა ის მოვა?

— ვურქენ, ძია სეგენ.

— მგელს სასაცილოდ არ ეყოფა შენი რქენა. მან შენზე უფრო მარქენალი თხები შემიჭამა... შენ ხომ იცნობდი საბრალო ბებერ რენოდს, რომელიც შარშან იყო აქ? საუცხოვო დედალი თხა იყო, ვაცივით ღონიერი და ბოროტი. მთელი ღამე ებრძოლა მგელს... დილით მგელმა მაინც შეჭამა.

— ვაი, ვაი, საბრალო რენოდ!.. მაგრამ არა უშავს რა, ძია სეგენ, გამიშვით მთაში.

— ღმერთო მოწყალევ!.. — სთქვა ძია სეგენმა. — ეს რა მოსდით ჩემს თხებს? ამასაც მგელი შემიჭამს... მაგრამ არა... ...მე შენ გადაგარჩენ შენი სურვილის წინააღმდეგ, შე საძაგელო! და რათა თოკი არ გასწყვიტო, ბოსელში დაგამწყვდევ და სამუდამოდ იქ დარჩები.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ძია სეგენმა უკუნივით ბნელ ბოსელში შეიყვანა თხა და მაგრა ჩაკეტა იქ. საუბედუროდ ფანჯრის დახურვა დაავიწყდა და მისი წასვლა და თხის გაქცევა ერთი იყო...

შენ გეცინება, გრენგუარ? კარგად მესმის: შენ თხების მხარეზე ხარ ამ კეთილი ძია სეგენის წინააღმდეგ.. ვნახოთ, ცოტა ხნის შემდეგაც გაიცინებ თუ არა.

თეთრი თხის გამოჩენამ მთაში საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ბებერ ნაძვებს არასოდეს არაფერი არ უნახავთ ასეთი ლამაზი. ის მიიღეს როგორც ახალგაზრდა დედოფალი. წაბლის ხეები მიწამდე იხრებოდნენ, რათა მას შტოების წვერებით მიეალერსებოდნენ. ოქროს თავთავები გულს იხსნიდნენ, როცა ის გზად მიდიოდა, და სურნელებას აკმევდნენ, რამდენადაც შეეძლოთ მთელმა მთამ დღესასწაული გაუმართა.

ადვილად წარმოიდგენ, გრენგუარ, რა ბედნიერი იყო ჩვენი თხა! არც თოკი, არც პალო... არაფერი ხელს არ უშლიდა ეკუნტრუშა და ბალახი ეძოვა, სადაც უნდოდა. ბალახი ხომ თავზე საყრელი იყო, სწორედ რქებს ზემოთ სწვდებოდა, ჩემო კარგო!.. და მერე რა ბალახი! ნოყიერი, ნაზი, დაკბილული, სულ სხვადასხვა გვარი... არ ჰგავდა ეზოს მოლს. ახლა ყვავილებს არ იკითხავთ? დიდი ლურჯი მაჩიტელა, გრძელჯამიანი მუქი წითელი ფუტკარა, მთელი ტყე ველური ყვავილებისა, დამათრობელი წვენით სავსე!..

ნახევრად მთვრალი თეთრი თხა შიგ კოტრიალობდა, ფეხებს იქნევდა და ფერდობზე ეშვებოდა ჩამოცვივნილ ფოთლებსა და წაბლთან ერთად. შემდეგ უცებ ერთი ნახტომით ფეხებზე დგებოდა. ჰოპ! და აი ის ოქროსფერი მიქროდა შამბნარში და ბზის ბუჩქნარში; ხან კლდეზე ავარდებოდა, ხან ხრამში ჩახტებოდა ხოლმე... კაცი იფიქრებდა, მთაში ერთი კი არა, ძია სეგენის ათი თხა მაინც არისო.

საქმე ისაა, რომ ბლანკეტს არაფრისა არ ეშინოდა.

ერთი ნახტომით გადადიოდა ფართო ნაკადებს, რომელნიც მას შხეფითა და ქაფით ასველებდნენ. მაშინ, მთლად გაწუწული, სადმე ბრტყელ კლდეზე წვებოდა და მზეზე შრებოდა... ერთხელ ზეგანის ნაპირთან მივიდა ტირიფნარის ყვავილით პირში და ქვემოთ, სულ შორს დაბლობში, ძია სეგენის სახლი დაინახა უკან შემოლობილი ადგილით. ამან იმდენი აცინა, რომ ცრემლები წამოსცვივდა.

— რა პატარაა! — სთქვა მან, — როგორ ვეტეოდი იქ?

საბრალო! რაკი ასე მაღლა წამოსკუპულიყო, ეგონა მთელი ქვეყნის ოდენა მაინც ვარო...

ერთის სიტყვით, ეს ბედნიერი დღე იყო ძია სეგენის თხისთვის. შუადღისას, მარჯვნივ და მარცხნივ სირბილში, ის შვლების ჯოგში მოხვდა, რომელნიც მადიანად შეექცეოდნენ უსურვაზს. ჩვენმა თეთრკაბიანმა ლტოლვილმა სენსაცია მოახდინა. მას საუკეთესო ადგილი დაუთმეს ვენახში და ყველა ამ ვაჟბატონმა დიდი თავაზიანობა გამოიჩინა... ცნობა მაქვს, — მაგრამ ეს ჩვენ შორის უნდა დარჩეს, გრენგუარ, — რომ ერთი შავბეწვიანი ახალგაზრდა შველი იმდენად ბედნიერი აღმოჩნდა, რომ მოეწონა ბლანკეტს. მიჯნურნი ერთი ორი საათით მიიმალნენ ტყეში, და თუ გინდა იცოდე, რა უთხრეს ერთმანეთს, წადი და ლაქლაქა ნაკადულებს ჰკითხე, რომელნიც უჩინრად მირბიან ხავსის ქვეშ.

*
* *

უცებ გრილმა სიომ დაჰბერა. მთა იისფერმა ნისლმა დაჰფარა, დაღამდა...

— უკვე! — სთქვა თხამ და შეჩერდა საგონებელში ჩავარდნილი.

დაბლობში ყანები ნისლში იყო გახვეული. ძია სეგენის ეზო ბურუსში გაჰქრა, ხოლო სახლიდან არაფერი სჩანდა, გარდა სახურავისა და ცოტაოდენი კვამლისა. მას მოესმა შინ დაბრუნებული ჯოგის ზარების წკრიალი და გული სევდით აევსო... სონლული, რომელიც თავის ბუდისკენ მიფრინავდა, ფრთებით შეეხო ანაზდეულად. ტანში ჟრუანტელმა დაურბინა.. შემდეგ მთაში ღმუილი გაისმა:

— ჰუუ! ჰუუ!

მგელი გაახსენდა; მთელი დღის განმავლობაში სულელს ერთხელ არ მოჰგონებია იგი... იმავე წუთში სადღაც შორს დაბლობში საყვირის ხმა გაისმა. ეს იყო კეთილი ძია სეგენი, რომელიც უკანასკნელ ღონისძიებას მიმართავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰუუ! ჰუუ! — ღმუოდა მგელი.

— დაბრუნდი! დაბრუნდი! — ყვიროდა საყვირი.

ბლანკეტს შინ დაბრუნება მოუნდა. მაგრამ მას გაახსენდა ბებერი ენონი, ეზოს ღობე და გაიფიქრა, რომ ახლა ველარ შეეგუებოდა იმავე ცხოვრებას და უმჯობესი იყო დარჩენილიყო.

საყვირი დადუმდა...

თხამ უკან ფოთლების შრიალი გაიგონა. მიბრუნდა და სიბნელეში ორი მოკლე, პირდაპირ ამართული ყური და ორი ანთებული თვალი დაინახა... ეს მგელი იყო.

*
* *

უზარმაზარი, უმოძრაო, ის თავის უკანა ფეხებზე იჯდა და ისე უცქეროდა თეთრ თხას, თითქოს წინდაწინ უსინჯავს გემოსო. ის არ ჩქარობდა, რადგან იცოდა, რომ სულერთია შესჭამდა; მხოლოდ როდესაც ბლანკეტი უკან მიბრუნდა, მან ბოროტად გაიცინა:

— ჰა! ჰა! ძია სეგენის პატარა თხავ! — და მან თავისი გრძელი წითელი ენა აბედისმაგვარ ტუჩებზე გადაისვა.

ბლანკეტმა იფიქრა, დავიღუპეო... მას გაახსენდა ბებერი ენონის ამბავი, მისი ბრძოლა მთელი ღამის განმავლობაში, რათა დილით მგელის მიერ დაღუპულიყო, და გაიფიქრა, ეგებ სჯობდეს ახლავე შევაჭმევინო თავიო; შემდეგ გადაიფიქრა, თავდაცვის პოზიცია დაიჭირა, თავი დახარა და რქები მოიმარჯვა, როგორც ძია სეგენის მამაც თხას შეეფერებოდა... იმის იმედი კი არ ჰქონდა, რომ მგელს მოვკლავო, — თხები მგელს არა ჰკლავენ, — მხოლოდ უნდოდა დარწმუნებულიყო, გაუძლებდა თუ არა იმდენ ხანს, რამდენიც ენონმა გაუძლო...

მაშინ მხეცი მიუახლოვდა, მხოლოდ ბლანკეტის პატარა რქები აცეკვდნენ.

აჰ, როგორ ვაჟკაცურად ჩაება ამ ბრძოლაში უშიშარი თხა! ათჯერ მაინც, — მე არ ვაჭარბებ, გრენგუარ, — მან უკან დაახევინა მგელს, რათა სული მოეთქვა. ამ წუთიერი შესვენების დროს, ის მსუნაგი საჩქაროდ სწყვეტდა მისთვის ძვირფასი ბალახის ღეროს, შემდეგ ბრძოლას უბრუნდებოდა სავსე პირით... ასე გაგრძელდა მთელ ღამეს. დრო და დრო ძია სეგენის თხა ნათელ ცაზე მოცეკვავე ვარსკვლავებს შესცქეროდა და თავის გულში ამბობდა:

— ოჰ, ოღონდ ალიონამდე გავძლო...

ვარსკვლავები ჩაქრნენ ერთიმეორის მიყოლებით. ბლანკეტმა რქენას უმატა, მგელმა კბენას.. ჰორიზონტზე მკრთალი სინათლე გამოჩნდა... რომელიღაც ფერმიდან მამლის ჩახლეჩილი ხმა მოისმა.

— გათავდა! — სთქვა საწყალმა ცხოველმა, რომელიც მხოლოდ გათენებას უცდიდა, რათა მომკვდარიყო. და ის მიწაზე გაიშოტა თავისი მშვენიერი თეთრი ბეწვის ქურქით, რომელიც მთლად სისხლით იყო შესვრილი...

მაშინ მგელი ეცა და შეჭამა ჩვენი პატარა თხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

მშვიდობით, გრენგუარ!

ამბავი, რომელიც შენ მოისმინე, ჩემ მიერ შეთხზული ზღაპარი როდია. თუ ოდესმე პროვანსში მოხველი, ჩვენი გლეხებისაგან ხშირად გაიგონებ ძია სეგენის თხის ამბავს, როგორ ებრძოდა ის მთელი ღამე მგელს და შემდეგ როგორ შესჭამა დილით მგელმა.

ხომ გესმის ჩემი, გრენგუარ:

შემდეგ დილით მგელმა შესჭამა.

ვარსკვლავები

პროვანსელი მწყემსის ნაამბობი.

იმ ხანებში, როცა მე ფარას, ვმწყემსავდი ლიუბერონზე, ხანდახან მთელი კვირეები ისე გავიდოდა, რომ ადამიანი არ გაიჭაჭანებდა მახლობლად: მარტოდ მარტო ვიყავი იალაღზე ჩემს ძაღლს ლაბრისა და ჩემს ფარასთან ერთად. დროგამოშვებით მონდელიურის განდეგილი თუ გაივლიდა სამკურნალო ბალახების ძებნაში ან პიემონტის მენახშირეების შემურული სახეები თუ გამოჩნდებოდა; მაგრამ ეს გულუბრყვილო, მარტოობისაგან ენაჩავარდნილი ადამიანები იყვნენ, რომელთაც ლაპარაკის ხალისი დაკარგოდათ და არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ქვემოთ სოფლებსა და ქალაქებში. ამიტომ მე ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყავი, როცა ორ კვირაში ერთხელ მთისკენ მიმავალ გზაზე, ჩვენი ფერმის ჯორის ზანზალაკს გავიგონებდი; ეს ჩემთვის ორი კვირის საგძალი მოჰქონდათ; მე ვხედავდი, როგორ ჩნდებოდა თანდათან ფერდობს ზემოთ პატარა მიაროს (ფერმის ბიჭის) მკვირცხლი სახე ან ბებერი ძალუა ნორადის ჟღალი თავსაკრავი. მე მათ ვაამბობინებდი ბარში მდებარე ქვეყნის ამბებს, ვინ მოინათლა, ვინ დაქორწილდა; მაგრამ ყველაზე მეტად მაინტერესებდა, რას შვრებოდა ჩვენი პატრონების ქალიშვილი სტეფანეტა, ულამაზესი გოგონა ათი ლიეს მანძილზე ირგვლივ. გულგრილი სახით, ვითომდა სხვათა შორის, მე ვკითხულობდი, ხშირად დადის თუ არა ის დღეობებში, ღამის თევაში, ახალი თაყვანისმცემლები ხომ არ გაუჩნდნენ მეთქი; ხოლო თუ ვინმე მკითხავს, რა გესაქმებოდა ყოველივე ამასთან შენ, საწყალ მომთაბარე მწყემსო, მე ვუპასუხებ, მაშინ ოცი წლის ვიყავი, ხოლო სტეფანეტა უმშვენიერესი რამ იყო, რაც მე ოდესმე ჩემს სიცოცხლეში მენახა.

ერთხელ, კვირა დღეს, როცა ნახევარი თვის სანოვაგეს ველოდი, მისი მოტანა ძალიან დაგვიანდა. დილით ვთქვი, ალბათ, გრძელმა წირვამ შეუშალა ხელი მეთქი. შემდეგ, შუადღისას, დიდი ჭექა-ქუხილი ასტყდა და გავიფიქრე, ალბათ, ჯორმა ვერ იარა გზების გაფუჭების გამო მეთქი. ბოლოს, როცა სამ საათზე ცა მოიწმინდა, ხოლო გადარეცხილი მთა გაბრწყინდა მზის შუქზე, მე ფოთლებიდან ჩამოცვივნული წვეთებისა და ადიდებული ნაკადულების ხმაურობაში ჯორის ზანზალაკი მომესმა, ისეთივე მხიარული და ცქრიალა, რო-

გორც ალდგომის ზარების რეკა. მაგრამ ჯორი არც პატარა მიაროს მოჩყავდა, არც მოხუც ნორადს. ეს იყო... აბა გამოიცანით!.. ჩვენი ქალიშვილი... ბიჭებო, თვით ჩვენი ქალიშვილი წელში გამართული იჯდა ტირიფის ეკლებს შუა, სახეშეწითლებული მთის ჰაერისა და ქარიშხლის სიგრილისაგან.

პატარა ბიჭი ავად გამხდარიყო, ძალუა ნორადი დასასვენებლად წასულიყო თავის შვილებთან. მშვენიერმა სტეფანეტამ ყოველივე ეს მიამბო ჯორიდან ჩამოხტომისთანავე. აგრეთვე მითხრა: იმიტომ დავიგვიანე, რომ გზა დამებნაო. მაგრამ ის ისე სადღესასწაულოდ იყო გამოწყობილი, ისეთი ყვავილებიანი ლენტი, მორთული კაბა და მაქმანი ჰქონდა, რომ კაცი იმას კი არ იფიქრებდა, რომ გზა არევია სადღაც ბუჩქებში, არამედ იმას, რომ სადმე ცეკვაზე შერჩენილაო. ოჰ, საყვარელო არსებავ! თვალები ვერ მომეშორებინა მისთვის. ესეცაა, რომ მანამდე არასოდეს არ მინახავს ასე ახლო. ხანდახან ზამთარში, როცა ფარა ბარში ჩადიოდა და მე ფერმაში შევიდოდი სავახშმოდ, ის დარბაზში გაივლიდა ხოლმე მკვირცხლად, ყოველთვის კარგად მოკაზმული და ოდნავ ამაყი; არასოდეს მოსამსახურეებს არ დაელაპარაკებოდა... და ახლა იგი ჩემს წინ იდგა, მხოლოდ ჩემთვის ამოსული. განა ეს საკმაო არ იყო თავგზის დასაკარგავად?

როცა სტეფანეტამ სანოვაგე ამოალაგა კალათიდან, მან ცნობის მოყვარეობით დაიწყო თავის გარშემო ცქერა. ცოტათი აიწია თავისი საკვირაოდ ლამაზი კაბა, რათა ტალახში არ დაესვარა, და ბაკში შევიდა. მოისურვა ენახა ის კუთხე, სადაც ვიძინებდი, ჩალის ფარდული, ცხვრის ტყავგადაფარებული საწოლით, კედელზე ჩამოკიდებული ჩემი წამოსასხამი, ჩემი კომბალი, ჩემი კაჟიანი თოფი. ყოველივე ეს მას ართობდა.

— მაშ აი სად ცხოვრობ, ჩემო საბრალო მწყემსო. ალბათ, ძალიან მოგწყინდება მუდამ მარტოდ-მარტო ყოფნა. რას აკეთებ? რაზე ფიქრობ?

დიდი სურვილი მქონდა მეპასუხნა: „თქვენზე, ქალბატონო მეთქი", და ეს ტყუილი არ იქნებოდა; მაგრამ ისე ვიყავი შეშფოთებული, რომ კრინტიც ვერ დამეძრა. მგონია, ეს შეამჩნია და ის საძაგელი განგებ შეეცადა ჩემი შეშფოთება გაეორკეცებინა თავისი თვალთმაქცობით:

— განა შენი მეგობარი ქალი ხანდახან შენს სანახავად არ ამოდის, მწყემსო? ის, ალბათ, ოქროს ციკანია ან ფერია ესტერელაა, რომელიც მხოლოდ მთის მწვერვალებზე დარბის...

თვით ის ჩემთან საუბრის დროს ფერია ესტერელას ჰგავდა, უკან გადახრილი თავით, მშვენიერი ღიმილით და ჩქარა წასვლის სურვილით, რაიცა მის სტუმრობას ფერიის მოჩვენებას ამსგავსებდა.

— მშვიდობით, მწყემსო!

— გამარჯვებით, ქალბატონო!

და წავიდა ცარიელი კალათებით.

როდესაც ქალი ქვევით მიმავალ ბილიკზე გაჰქრა,მომეჩვენა, თითქოს მისი ჯორის ნალების მიერ აგორებული ქვები თითო-თითოდ გულზე მეცემოდნენ. მათი ხმა დიდხანს, დიდხანს მესმოდა; და დაღამებამდე ბურანში ვიყავი, ისე

რომ განძრევასაც ვერ ვბედავდი იმის შიშით, რომ სიზმარი არ გავფანტო მეთქი. როცა დღე და ღამე იყრებოდა, ხეობებში ლურჯი ჩრდილები ჩამოწვა, ხოლო პირუტყვი ბღავილით ერთმანეთს მიეკვრა, რათა ბაკში დაბრუნებულიყო, მომესმა, რომ ვილაც მეძახდა დალმართიდან; იქით გავიხედე და ჩვენი ქალიშვილი დავინახე, მაგრამ წელანდელივით მოცინარი კი არა, არამედ შიშით, სიცივით და სინესტით აკანკალებული. როგორც გამოირკვა, მთის ძირში მიმდინარე სორგი ნიაღვრის გამო ისე ადიდებულიყო, რომ სტეფანეტა, რომელსაც მთელი თავისი ძალლონით მისი გადალახვა ეცადა, კინაღამ დამლრჩვალიყო. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ ამ საღამოს ჟამს ფიქრიც კი არ შეიძლებოდა ფერმაში დაბრუნებაზე: პირდაპირ გზას ის მარტო ვერასოდეს ვერ გაიგნებდა, მე კი არ შემეძლო ფარის დატოვება. ეს აზრი, რომ ღამე მთაში უნდა გავათიოო, მას ძალიან სტანჯავდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ შინაურებს შეეშინდებათო. მე რამდენიც შემეძლო, ვამშვიდებდი:

— ივლისში ღამეები მოკლეა, ქალბატონო... ეს ერთი უსიამოვნო წუთი იქნება და მეტი არაფერი.

მე საჩქაროდ დიდი ცეცხლი დავანთე, რათა მას ფეხები და სორგის წყალში დასველებული კაბა გაეშრო. შემდეგ წინ რძე და ცხვრის ყველი დავუდგი; მაგრამ საბრალო არც გათბობას ფიქრობდა და არც ჭამას; ხოლო როცა მე დავინახე, როგორ აევსო თვალები მსხვილი ცრემლებით, თვითონაც გული ამიტირდა.

ამასობაში მთლად დაღამდა. მთების წვერზე მხოლოდ მზის მტვერი ციმციმებდა. ეს იყო სინათლის უკანასკნელი ციაგი დასავლეთის მხრით. მე მინდოდა, რომ ჩვენი ქალიშვილი ფარეხში შესულიყო დასასვენებლად. ახალ ჩალაზე კარგი ტყავი გავუშალე, ღამე ნებისა ვუსურვე და გარეთ დავჯექი ფარეხის შესავალთან... ღმერთია ჩემი მოწმე, რომ, სიყვარულის ალის მიუხედავად, რომელიც მწვავდა, არავითარ ცუდ აზრს არ გაუვლია ჩემს თავში; მხოლოდ რაღაც სიამაყე ვიგრძენი, როცა წარმოვიდგინე, რომ ფარეხის ერთს კუთხეში, ცხვრის ფარის გვერდით, რომელიც მას ცნობის მოყვარეობით უცქეროდა, ჩემი პატრონების ქალიშვილი ისვენებდა, როგორც ჩემს მფარველობას მონდობილი ყველაზე ძვირფასი და ყველაზე თეთრი ბატკანი. არასოდეს ცა ასე ღრმა, ვარსკვლავები ასე ბრწყინვალე არ მჩვენებია... უცებ ფარეხის კარი გაიღო და იქიდან მშვენიერი სტეფანეტა გამოვიდა. მას ვერ მოეხერხებინა დაძინება. ცხვრები ფეხით სთელავდნენ და მეტისმეტად ახმაურებდნენ ჩალას ან ბღაოდნენ სიზმარში. ქალმა ამჯობინა ცეცხლის პირას დამჯდარიყო. მე მხრებზე ჩემი ცხვრის ტყავი გადავაფარე, ცეცხლს შევუკეთე, და ჩვენ ერთიმეორის გვერდით დავსხედით ჩუმად. თუ თქვენ ოდესმე ღამე გაგიტარებიათ ცის ქვეშ, გეცოდინებათ, რომ იმ დროს, როცა ჩვენ გვძინავს, მთელი საიდუმლო ქვეყანა იღვიძებს მარტოობასა და დუმილში. მაშინ ნაკადულები უფრო ხმამაღლა მღერიან, ტბორებში პატარა სინათლეები ინთება. მთის სულები თავისუფლად მიმოდიან; და ჰაერში რაღაც შრიალი, რაღაც მიუწვდომელი ხმაურობა დგას, თითქოს ისმოდეს, როგორ იზრდებიან ხის ტოტები, როგორ ამოდის ბალახი. დღისით

არსებანი ცხოვრებენ, ღამით საგნები. ვინც ამას შეჩვეული არ არის, შეშინდება... ამიტომაც ჩვენი ქალიშვილი განუწყვეტლივ თრთოდა და მე მეკვროდა ყოველ გაფაჩუნებაზე. აი ტბორიდან, რომელიც ქვემოთ ლოვლიებდა, ხანგრძლივი, სევდიანი ხმა გაისმა და ჩვენამდე მოაღწია ჰაერის რხევით. იმავე წუთში თავზე მშვენიერმა ცისიერმა ვარსკვლავმა გადაგვისრიალა ტბორის მიმართულებით, თითქოს ჩივილის ხმა, რომელიც ის იყო იქიდან მოგვესმა, სინათლეს მოუწოდებდა თავისკენ.

— ეს რა არის? — მკითხა სტეფანეტამ ხმადაბლა.

— სული, რომელიც სამოთხეში შედის, — და მე პირჯვარი გამოვისახე.

მანაც პირჯვარი გადაიწერა და ერთს წუთს დაფიქრებული შეხედა ცას. შემდეგ მითხრა:

— მართალია, მწყემსო, რომ თქვენ ყველანი ჯადოქრები ხართ?

— სრულიადაც არა. მაგრამ აქ ჩვენ ვარსკვლავების მახლობლად ვცხოვრობთ და ბარის მცხოვრებლებზე უკეთ ვიცით, რა ხდება იქ.

ის სულ ზევით იცქირებოდა ხელებზე თავდაყრდნობილი, ცხვრის ტყავში გახვეული პატარა ზეციერი მწყემსივით.

— ოჰ, რამდენია! რა მშვენიერები არიან! არასოდეს ამდენი არ მინახავს ერთად... იცი მათი სახელები, მწყემსო?

— როგორ არა, ბატონიშვილო... ყური დამიგდეთ. აი პირდაპირ ჩვენს თავზე წმინდა იაკობის გზაა (ირმის ნახტომი); ის საფრანგეთიდან პირდაპირ ესპანეთში მიდის. ის გალისიის წმინდა იაკობის მიერაა გაყვანილი, რათა გზა ეჩვენებინა მამაც კარლოს დიდისთვის. როცა ის სარკინოზებს ებრძოდა.[1]) მოშორებით „სულთა ეტლს“ (დიდს ხარგუთანს) ჰხედავთ თავისი ოთხი ბრწყინვალე ღერძით. სამი ვარსკვლავი, რომელიც წინ მოსჩანს, „სამი ცხოველია“, ხოლო ყველაზე პატარა მესამის მახლობლად „მეეტლეა“. ჰხედავთ გარშემო ვარსკვლავების წვიმას? ეს სულები არიან, რომელთა მიღება ღმერთს არა სურს. ცოტა ქვემოთ, აგერ „ფოცხი“ ანუ „სამი მეფე“ (ორიონი). ის ჩვენ საათის მაგიერობას გვიწევს: ერთი მისი შეხედვით ვიცი, რომ ახლა შუაღამე გადასულია. ცოტა უფრო ქვემოთ სამხრეთისკენ „ჟან მილანელი“ (სირიუსი) ბრწყინავს, ვარსკვლავთა მანათობელი. აი რას გვიამბობენ მწყემსები ამ ვარსკვლავის შესახებ. ერთხელ ღამით ჟან მილანელი სამ მეფესა და „კრუხთან“ (ხომლთან) ერთად მიწვეული იყო მეგობარი ვარსკვლავის ქორწინებაზე. კრუხს ეჩქარებოდა, ის პირველი გაუდგა გზას და ზედა გზა აირჩია. შეხედეთ ზემოთ, ცის სილრმეში. სამმა მეფემ უფრო მოკლედ გადასჭრა ქვემოთ და ისინი მას დაეწივნენ. ხოლო ზარმაცმა ჟან მილანელმა გვიანამდე იძინა, უკან ჩამორჩა და, რათა ისინი შეეჩერებინა, განრისხებულმა თავისი კვერთხი ესროლაო... ამიტომ სამ მეფეს ჟან მილანელის კვერთხსაც ეძახიან... მაგრამ ყველაზე ლამაზი ვარსკვლა-

---

[1]) ყველა ეს პოპულარული ასტრონომიული დეტალი ამოღებულია „პროვანსული ალმანახიდან“, რომელიც ავინიონში იბეჭდება. ა ვ ტ ო რ ი.

ვი, ქალბატონო, ჩვენია, „მწყემსის ვარსკვლავი“, ის, რომელიც ალიონზეც გვინათებს, როცა ნახირი გამოგვყავს, და საღამოსაც, როცა შინ ვბრუნდებით. ჩვენ მას აგრეთვე „მაგელონს“ ვუწოდებთ, მშვენიერ მაგელონს, რომელიც „ბერ პროვანსელს“ (სატურნს) ეაშიკება და მასზე თხოვდება ყოველშვიდ წელიწადში ერთხელ.

— რას ამბობ, მწყემსო, განა ვარსკვლავებიც ქორწინდებიან?

— ჰო, ჩემო ქალბატონო.

და როდესაც მე დავიწყე ახსნა, როგორ ხდებოდა ეს დაქორწინება, ვიგრძენი, რომ რაღაც ქორფა და ნაზი მსუბუქად დაეყრდნო ჩემს მხარს. ეს იყო ძილით დამძიმებული თავი, რომელიც ლენტების, მაქმანებისა და ხუჭუჭი თმის მომხიბლავი შრიალით დამაწვა. ის ასე დარჩა გაუნძრევლად იმ წუთამდე, როცა ცის მნათობებმა ფერი იცვალეს და გაჰქრნენ მოახლოვებული დღის სინათლეზე. მე მას დავცქეროდი მძინარეს, ოდნავ შეშფოთებული ჩემი არსების სიღრმეში, მაგრამ წმინდად დაცული ამ ნათელი ღამის მიერ, რომელსაც ჩემთვის არასოდეს არაფერი არ ჩაუგონებია, გარდა მშვენიერი აზრებისა. ჩვენს გარშემო ვარსკვლავები განაგრძნობდნენ თავიანთ მდუმარე მსვლელობას, თითქო თვინიერი ცხვრის ფარა ყოფილიყვნენ; და ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ერთ ამ ვარსკვლავს, ყველაზე უფრო ნაზს, ყველაზე უფრო ბრწყინვალეს, გზა დაჰკარგოდა და ჩემს მხარზე მოსვენებულიყო დასაძინებლად.

თარგმანი ფრანგულით
ბერტა ქიქოძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი გენაშვილი

ესთეტიკის საკითხები*)

ხელოვნების აყვავებისა და დაცემის მეთოდოლოგიური საფუძვლები

„ხელოვნების სფეროში ცნობილია, რომ მისი აყვავების პერიოდები სრულიადაც არ არიან შეფარდებულნი საზოგადოების საერთო განვითარებასთან, ე. ი. ისინი არ არიან შეთანხმებულნი არც მის მატერიალურ საფუძველთან, რომელიც მისი ორგანიზაციის, ასე ვთქვათ, ჩონჩხს შეადგენს". [1])

კ. მარქსი

პირველი წერილი

ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ ვ. ფრიჩემ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გამოსცა ფრიად შესანიშნავი წიგნი სათაურით: „ხელოვნების სოციოლოგია". აღნიშნული შრომა მიზნად ისახავს ხელოვნების დაცემისა და აყვავების კანონზომიერების ახსნას და იმავე დროს ცდილობს იქცეს კანონმიმცემ მეცნიერებად. ხელოვნების სოციოლოგიის (რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერებაა) სურვილი და მიზანი უეჭველად მისასალმებელია, მაგრამ მიზანი და სურვილი ყოველთვის როდი განსაზღვრავენ ამა თუ იმ მეცნიერების ობიექტური მოქმედების კანონებს, ე. ი. მის პრაქტიკულ საქმიანობას! ამგვარი დისპროპორცია კანონთმიმცემ მეცნიერებაში არღვევს საკვლევი ობიექტების მონოლიტურ მთლიანობას, კონკრეტულ მოვლენას ჰგლეჯს ზოგადისაგან და ანალიზის გზით, სინტეზის გარეშე, ახდენს მოვლენათა არსის შეფასებას. ასეთი გზა მიუღებელია კვლევის დროს, რადგან მოვლენების ცალმხრივი შესწავლით ვულგარულად მარტივდებიან მეტად რთული პრობლემები და მოვლენათა კანონზომიერება ხელოვნურად ბნელდება. ამგვარ ვულგარულ გამარტივებასთან და ხელოვნურ დაბნელებასთან გვაქვს საქმე ვ. ფრიჩეს „ხელოვნების სოციოლოგია"-ში.

ფრიჩემ უდავოდ შესძლო ფრიად საინტერესო ფაქტებისა და მასალის შეგროვება; უფრო მეტი: მან შეძლო ამ ფაქტების სოციოლოგიური სისტემატიზაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სისტემატიზაცია ხდება არა მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძვლებზე. ვ. ფრიჩე ხელოვნების მეთოდოლოგიის საკითხებში ვერ ასცდა ცნობილ ჰაუზენშტეინის „სოციოლოგიურ თეორიას", რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს მარქსის მატერიალისტური დიალექტიკის მექანისტურ დამახინჯებას და მის პროფანაციას.

ძირითადი პრობლემა, რომლის ახსნის დროსაც, ჩემის აზრით, ფრიჩემ (ჰაუზენშტეინთან ერთად) შეცდომა დაუშვა, არის ხელოვნების დაცემისა და

*) წერილი იბეჭდება მსჯელობის წესით. რ ე დ.

[1]) კ. მარქსი — „შესავალი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის".

აყვავების კანონზომიერების არსის ახსნა. რადგან ფრიჩეს „ხელოვნების სოციოლოგია“ პირველ რიგში აღნიშნული კანონზომიერების ახსნას ემსახურება, ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ, ამ პრობლემიდან დავიწყოთ მისი [illegible]

ბიბლიოთეკა

*

* *

ხელოვნების აყვავების ან დაცემის კანონზომიერების პრინციპის, როგორც ზოგადი ცნების, გარკვევა შეუძლებელია, თუ კი შეცვლის კანონს უშუალოდ ეკონომიკიდან გამოვიყვანთ. ადამიანთა ურთიერთობა, იდეოლოგია და ფსიქოლოგია საბოლოო ანგარიშში ეკონომიური ფაქტორების შემწეობით იღებენ ჩამოყალიბებულ ფორმას და ამავე ფაქტორებით განისაზღვრებიან. მაგრამ არის მომენტი, როდესაც ერთხელ ჩამოყალიბებული იდეოლოგია თავის განვითარების პროცესში იმუშავებს საკუთარ კანონებს და შემდეგ ამ კანონებით განისაზღვრება მისი განვითარების ტენდენცია. ეს კანონი ძალაში რჩება ყოველი ეპოქის, ყოველი კლასის იდეოლოგიისათვის, თუ გამონაკლისად არ მივიღებთ პირველყოფილი ადამიანის იდეოლოგიას და კერძოდ ხელოვნებას. ისტორიის პირველ გარიჟრაჟზე, როდესაც ადამიანი ყველაზე მეტად იტანჯებოდა ლუკმა პურისათვის ბუნებასთან გამართულ სასტიკ ბრძოლაში, ეკონომიური ფაქტორი უშუალოდ განსაზღვრავდა პირველყოფილი ადამიანის იდეოლოგიურ ზედნაშენს. მაგრამ ადამიანის ცხოვრების გართულებამ, მისი მოთხოვნილების უდიდესმა ზრდამ, საარსებო საშუალებათა შეუწყვეტელმა განვითარებამ, საწარმოო ძალთა გამოყენებამ და ამ ნიადაგზე კლასთა ბრძოლამ გაარღვიეს პრიმიტიული მეურნეობის რკალი და კაცობრიობა მთელი სიძლიერით შევიდა ეკონომიური განვითარების რთულ ფორმაციაში. ამ ეტაპიდან გართულდა არა მარტო ეკონომიური ურთიერთობა, არამედ მასზე აღმოცენებული იდეოლოგიური ზედნაშენი. გართულდა აგრეთვე ურთიერთობა ბაზისსა და ზედნაშენს შორის, საგრძნობლად გაიზარდა ზედნაშენების მომქმედი როლი. თუ ადამიანთა განვითარების პირველ ეტაპზე ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის ახსნა, თავისი სიმარტივის გამო, არ წარმოადგენდა სიძნელეს, შემდგომ ისტორიულ ეპოქებში ეს ურთიერთობა პრობლემად და კვლევის საგნად იქცა. სწორედ ამ ეტაპზე არ ეყრდნობა ხელოვნება უშუალოდ ეკონომიკას, როგორც ეს პირველ ხანებში ხდებოდა, იგი ერთ-ერთი რგოლი ხდება, იმ რთული ზედნაშენისა, რომელიც განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე საკუთარ კანონებს იმუშავებს და ამ კანონებით განისაზღვრება მისი განვითარებაც. იქ, სადაც არის კლასთა ბრძოლა, ხელოვნების კანონზომიერება არ აიხსნება მხოლოდ ეკონომიური ფაქტორებით.

მაშ სად არის მისი ახსნის საფუძვლები?

ჩვენ ღრმად გვწამს რომ ხელოვნება არის მასების ფსიქიკის ერთდაგვარი სეისმოგრაფი, მაგრამ გვჯერა, რომ იგი უფრო ფსიქოლოგიური კატეგორიაა, ვიდრე ეკონომიური. ამიტომ ხელოვნების ტრანსფორმაციაში უშუალო და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას, თუმცა ეს უკანასკნელი საბოლოო (მხოლოდ საბოლოო) ანგარიშში ეკონომიკით განისაზღვრება.

ვ. ფრიჩემ, როჟკოვის, ჰაუზენშტეინის და ფეიერჰერდის მსგავსად, ხელოვნების დაცემისა და აყვავების კანონზომიერება ახსნა იმ თვალსაზრისით, რომელსაც მარქსმა მექანისტური მატერიალიზმი უწოდა. მან დოგმად მიიღო ჰაუზენშტეინის პრინციპი, რომელიც გამოიხატა მეტაფიზიკურ წინადადებაში: „იქ, სადაც არის ეკონომიური მოჭარბება, აყვავებულია ხელოვნება,

სადაც ეს მოჭარბება არ არის, იქ ხელოვნება ეცემა". ასეთ ვულგარულ ეკონომიურ თვალსაზრისს, როგორც ქვემოთ დავინახეთ, მივყევართ ჭეშმარიტი ხელოვნების უარყოფამდე და ამდენად ზემოაღნიშნული თვალსაზრისი წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისის ვულგარიზაციას.

„არა კლიმატში და არა სახელმწიფო პოლიტიკურ ფორმაში უნდა ვეძიოთ ხელოვნების აყვავების ან დაცემის ნამდვილი ფაქტორი, არამედ ეკონომიკაში. ერთის მხრივ შეუძლებელია ხელოვნება აყვავდეს იქ, სადაც არაა მატერიალური ღირებულებათა მოჭარბება და სადაც ადამიანი საკმაოდ უზრუნველყოფილი არ არის ქონებრივად... პალეოლიტის მადლენელი მონადირეების ხელოვნებამ იმიტომ მიაღწია ისეთ სიმაღლეს და სიმდიდრეს, რომ ისინი არ იყვნენ იძულებულნი მთელი დრო ლუკმა პურისათვის საბრძოლველად მოეხმარათ. პორნეტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ხელოვნება სწორედ იმ მადლენებში ჰყვავოდა, რომელთაც შესძლეს გამოქვაბულების მოპოვება და მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილი იყვნენ, ვიდრე უბინადრო მონადირეები. მადლენელების ეს საოცარი რეალისტური ხელოვნება შემდეგ ქვეითდება. მხატვრები მხოლოდ მის შემოკლებულ ან სქემატიურ ნახაზს იძლევიან... ხელოვნების ასეთი დაცემა იმით იყო გამოწვეული, რომ მყინვარები ევროპაში დნებოდნენ, ირმები თანდათან ჩრდილოეთისაკენ მიდიოდნენ, საკვების შოვნა ძნელდებოდა, ნადირი, რომელსაც მხატვრები ასახავდნენ ხოლმე ნაკლებ მისაწვდომი ხდებოდა; ხელოვნების დაცემა ამ ეკონომიური გაჭირვების ანარეკლი იყო" (ნოვოდელსკი — „პირველყოფილი კულტურა").

ვლ. ფრიჩე ხელოვნების დაცემისა და აყვავების კანონზომიერების ასახსნელად აყენებს გარკვეულ კანონს, მაგრამ ეს კანონი უარყოფაა იმ მდიდარი ფაქტებისა, რომლებიც დააგროვა ხელოვნების ისტორიამ თავისი განვითარების გრძელ მანძილზე. ყოველგვარ კანონს მაშინ აქვს მნიშვნელობა და აზრი, როცა ის ფაქტების ლოგიკიდან გამოდის უშუალოდ, ძალდაუტანებლად და იმავე დროს კონკრეტიული პრაქტიკის ნათელ ასახვას წარმოადგენს. რომელიმე კონკრეტიული მოვლენის კანონი მაშინ ხდება მისი ახსნის საშუალებად, თუ იგი სხვა, მსგავს მოვლენათა ახსნაშიაც გამოდგება. კანონის ზოგადი ხასიათი მოითხოვს, რომ მისი შემოწმების შემდეგ ის გამოდგეს მოვლენის კრიტერიუმად. ვ. ფრიჩეს კანონი არა თუ არ ეთანხმება ფაქტებს, არამედ წარმოადგენს მის პირდაპირ წინააღმდეგობას. როგორც ცნობილია, „მე-18 საუკუნიდან მოწინავე ეკონომიურ სახელმწიფოდ ინგლისი იქცა. იგი პირველი სდგება სამრეწველო კაპიტალიზმის გზაზე; ის ახალი ხანას იწყებს ინგლისის სამეურნეო ისტორიაში. მე-19 საუკუნეში ინგლისი დიდხანს შეუზღუდელი მბრძანებელი იყო მსოფლიო ბაზარზე. მხოლოდ მეოცე საუკუნიდან მის გვერდით და მის მაღლაც ახალგაზრდა კაპიტალისტური ამერიკა სდგება. ზემოაღნიშნული კანონის (ე. ი. ფრიჩეს კანონის, — დ. ბ.) მიხედვით შეიძლება გვეფიქრა, რომ ხელოვნების დარგში, კერძოდ და განსაკუთრებით მხატვრობისა და ქანდაკების დარგში, პირველობას ინგლისი და ამერიკა მოიპოვებდნენ. მაგრამ ფაქტი როდი ადასტურებს ამ კანონს. უდაოა, რომ მე-18 და მე-19 საუკუნეებში, წინანდელ საუკუნეებთან შედარებით, ხელოვნებათა ამ დარგში ინგლისს ერთგვარი წინსვლა ეტყობოდა, მაგრამ მხატვრული კულტურის თვალსაზრისით ყოველთვის მომხმარებელი ქვეყანა უფრო იყო, ვიდრე მწარმოებელი. გოტიური ხუროთმოძღვრება მან, ალბად, საფრანგეთიდან ისესხა, თუმცა მასში თავისი განსაკუთრებული ინგლისური ელემენტები შეიტანა. აღორძინების ეპოქაში ინგლისი იტალიური ან გერმანიულ ხელოვნების ანგარიშზე სცხოვრობდა. ჰენრიხ მე-8 თავის კარზე ჰოლბეინს იწვევს პორ-

ტრეტისტად, ხოლო ინგლისელი დიდებულები თავიანთ ციხე-კოშკებს ალეგორიულ-მითოლოგიური სურათებით ამკობენ. მე-17 საუკუნეში კარლოს 1-ლი თავის სასახლეში ფლამანდიელ კანდეიკსს იწვევს, ხოლო ინგლისელ [illegible] სურათებს ფლამანდიელსავე რუბენსს უკვეთენ; მე-18 საუკუნეში, [illegible] ლისი სამრეწველო კაპიტალიზმის გზაზე შედგა, იქ სწრაფად ჩნდებიან პირველხარისხოვანი მხატვრები.—ჰორგარტი, რეინოლდსი, ნენებო, მათი მომავალი მხატვრული განვითარების გზას უჩვენებს. იგი პირველად გაბედული სდგება წმინდა ფერწერითი მხატვრობის გზაზე. აქ უფრო ადრე, ვიდრე, მაგალითად, საფრანგეთში, მხატვრები პირს იბრუნებენ პეიზაჟისაკენ (კონსტენბელი, ბენინგტონი), იქ გამოდის პირველი იმპრესიონისტი და ლიუმინისტი ტერნერი. აქვე ჩაისახა პლენერიზმიც ზოგიერთი პრერაფაელისტის შემოქმედებაში. ამ განვითარების გზას შემდეგ ევროპის სხვა ქვეყანაში გადიან. მაგრამ აღნიშნული მოვლენის მიუხედავად, ინგლისი მე-19, მე-20 საუკუნეებში მაინც ვერ ჩაითვლება ისეთ ქვეყანად, სადაც პლასტიური ხელოვნება ისე ჰყვაოდეს, როგორც იტალიაში მე-15 საუკუნის მანძილზე, ხოლო ჰოლანდიაში მე-18 საუკუნეში ჰყვაოდა. ინგლისური ქანდაკებები მე-19 საუკუნეში სრულიად არ განვითარებულან. ინგლისური მხატვრობა უკანასკნელ ხანებში სრულიად ჩაკვდა. ინგლისს ეკონომიურ წინამძღოლობას იმავე წლებში ამერიკა ართმევს, მაგრამ აქ პლასტიური ხელოვნება ოდნავადაც არ აყვავებულა არც მე-18 და არც მე-20 საუკუნეებში. ამერიკელი მდიდრები თავგამოდებულნი ყიდულობდნენ და დღესაც ყიდულობენ ევროპულ პროდუქციას, ხშირად ყალბსაც. ამერიკაში მარტო კუროს სურათები მოიპოვება რამდენიმე ათასი ცალი, ე. ი. იმდენი, რამდენიც ფრანგ მხატვარს არასოდეს არ შეუქმნია. და თუ, მაგალითად ამერიკულ ლიტერატურაში არის სახელები, რომელნიც ყოველგვარად არიან ცნობილნი, ამერიკული პლასტური ხელოვნება სრულებით არ არსებობს.

თუ მოწინავე ეკონომიურ ქვეყნებს, ინგლისსა და ამერიკას, თავიანთი გაბატონებულ მდგომარეობის მიუხედავად, არა აქვთ ისეთი მდიდარი ხელონება, როგორიც ჰქონდათ მე-5 — მე-6 საუკუნეების ჩვენს წელთაღრიცხვამდე საბერძნეთს, მე-11 — 12 საუკუნეების საქართველოსა და ირანს, მე-15 მე-16 საუკუნეების იტალიას, მე-17 საუკუნის ჰოლანდიას ევროპის სხვა ქვეყნებსაც ანალოგიური მოვლენა დაეტყოთ, როცა ისინი სამრეწველო კაპიტალიზმის გზაზე შესდგნენ. გერმანია ამ დარგში კუდში მისჩანჩალებს. იგი ნაგვიანევად და უფერულად იმეორებს საერთო ევოლუციას. მისი იმპრესიონიზმი (ლიბერმანი, უდე და სხვ.) ვერ შეედრება ფრანგულს, ხოლო მან თუ უკანასკნელ დროს განსაკუთრებული სტილი შექმნა ექსპრესიონიზმის სახით, მისი მნიშვნელობა ადგილობრივი, ხოლო მისი გავლენა ვიწროთ შემოფარგლულია. არა მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნები, არამედ უფრო პატარა ერები შობენ ამ ბოლო დროს ნიჭიერ ხელოვნებს. პატარა ბელგიიდან გამოვიდნენ კ. მენიე, ჰანრი ვანდეველდე, ვან-გოგი. ე. წ. ფრანგული ხელოვნებაც შორიდან მოსული მხატვრების ტალანტით იკვებება. პიკასო ესპანელია, ფლამენკი ფლამანდიელი, პიკაბია კუნძულ კუბის შვილი და სხვა.

ამრიგად ზემოაღნიშნული კანონი, სახელდობრ ის რომ პირველობა ხელოვნებაში მეურნეობის დარგს ეკუთვნის, „არ დასტურდება იმ მომენტიდან, როცა ევროპა და ამერიკა სავაჭრო კაპიტალიზმიდან სამრეწველოზე გადავიდნენ“.

ვ. ფრიჩეს კანონი ხელოვნების აყვავებისა და დაცემის კანონზომიერების შესახებ, როგორც თვითონ აცხადებს, არ დასტურდება იმ მომენტიდან. როცა

ევროპა და ამერიკა სავაჭრო კაპიტალიზმიდან სამრეწველოზე გადავიდნენ. რატომ მოხდა, რომ კაცობრიობის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე ეკონომიური ფაქტორის პრიმატი, რომელიც ყოველთვის ერთნაირ, უნიკალურ ინარჩუნებს განვითარების ყოველ ეპოქაში, ფრიჩეს კანონის თანახმად, არ დასტურდება სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში? როგორც ხედავთ, ვ. ფრიჩემ ეკონომიური ფაქტორების სიძლიერე მსხვერპლად შესწირა ჰაუზენშტეინის კანონს და რთული პრობლემა ვულგარულად გაამარტივა. ნამდვილად კი აქილესის ქუსლი ფრიჩეს კანონშია და არა ეკონომიურ ფაქტორში. ეკონომიური ფაქტორების ზემოქმედების ხვედრითი წონა ერთი და იგივეა როგორც სავაჭრო, ისე სამრეწველო და ფინანსიური კაპიტალის ეპოქაში. იგი ძირითადი რეგულიატორია ყველა იმ ცვლილებისა, რომელიც ხდება ზედნაშენებში. მაგრამ ფრიჩეს ყალბმა კანონმა ვერ გაამართლა ეს ჭეშმარიტება. ფრიჩეს და ჰაუზენშტეინის კანონის სიყალბე იმაშია, რომ მან ხელოვნების აყვავებისა და დაცემის კანონზომიერება ვულგარულად, უშუალოდ ეკონომიკიდან გამოიყვანა. ფრიჩემ დაივიწყა მარქსის ცნობილი დებულება, რომ „ხელოვნების... აყვავების პერიოდები სრულიადაც არ არიან შეფარდებული საზოგადოების საერთო განვითარებასთან, ე. ი. ისინი არ არიან შეთანხმებულნი არც მის მატერიალურ საფუძველთან.“

მართალია, ისტორიაში იყო შემთხვევები, როდესაც ეკონომიური აყვავება იწვევდა ხელოვნების ყველა დარგის აყვავებასაც, მართალია ისიც, რომ ისტორიის პირველ გარიჟრაჟზე ეკონომიკა უშუალოდ საზღვრავდა ხელოვნებას, მაგრამ კაცობრიობის განვითარებამ, საწარმოო ძალთა მაქსიმალურმა ზრდამ და, რაც მთავარია, კლასთა შორის ბრძოლამ იმდენად გაართულა ეკონომიკის და ზედნაშენების ურთიერთმოქმედება, რომ აღარ შეიძლებოდა მოვლენების ახსნა იმ თვალსაზრისით, რომელსაც მარქსი ვულგარულ მატერიალიზს უწოდებს. ამ ეტაპიდან ისტორიის პირველ გარიჟრაჟზე მომხდარი მოვლენები კერძო შემთხვევებად რჩებიან. ვ. ფრიჩემ ამ კერძო შემთხვევას ჩასჭიდა ხელი, იგი მიიღო ზოგად კანონის ცნებად და ამ კანონით განიხილა ხელოვნების ისტორიაში მომხდარი მოვლენები. ვ. ფრიჩემ ფაქტებიდან კი არ გამოიყვანა კანონი, პირიქით ფაქტებზე ძალდატანებით თითონ ფაქტები დააყენა კანონის სასტიკ კონტროლ ქვეშ. მაგრამ ფაქტების ლოგიკამ ფრიჩეს კანონი თავდაყირა დააყენა. მაშინ ფრიჩეს ერთი გამოსავალი რჩებოდა საჯარო განცხადებისათვის: ჩემი კანონი არ დასტურდება იმ მომენტიდან, როცა ევროპა და ამერიკა სავაჭრო კაპიტალიზმიდან სამრეწველოზე გადავიდა.

ვ. ფრიჩე არ იძლევა ახსნას, თუ რატომ ხდება ეს. რატომ არის, რომ თვით პლასტიური ხელოვნებაც კი, რომელიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ეკონომიკაზე, სამრეწველო კაპიტალიზმის აყვავების დროს ეკონომიურად მოწინავე ქვეყნებში (ამერიკა, ინგლისი) კრიზისს განიცდის? თუ ეს ხდება პლასტიურ ხელოვნებაში, რა უნდა მომხდარიყო ხელოვნების ისეთ დარგში (ლიტერატურა, თეატრი, მუსიკა და სხვ.), რომელთაც, პლასტიურ ხელოვნებასთან შედარებით, ნაკლები კავშირი აქვთ ეკონომიკასთან. მაშასადამე, ფრიჩეს კანონი ზოგადი არ არის, მას ეწინააღმდეგება მდიდარი ფაქტებით გასხივოსნებული ხელოვნების ისტორია და ამ საფუძველზე იგი არ გამოდგება ხელოვნების დაცემისა და აყვავების კანონების გასაგებად.

მაშ სად უნდა ვეძიოთ იგი?

მარქსიზმი გვასწავლის, რომ „ისტორიის მოძრაობის დიადი კანონი, — კანონი, რომლის თანახმად ყველა ისტორიული ბრძოლა, სწარმოებს ის პოლი-

ტიკურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ თუ სხვა იდეოლოგიურ სფეროში, სინამდვილეში მხოლოდ საზოგადოებრივ კლასთა ბრძოლის მეტნაკლებ ნათელ გამოსახულებას წარმოადგენს" (ენგელსი). ამიტომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, სადაც ადამიანის ფსიქოლოგია, პოლიტიკური, ეთიური და ესთეტიური მეხედულებანი კლასობრივ თვალსაზრისს ეყრდნობიან, ხელოვნების დაცემისა და აყვავების არსი კანონზომიერ ურთიერთობაშია არა უშუალოდ ეკონომიურ ფორმაციასთან, არამედ პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფერასთან. ყოველი პოლიტიკური კატაკლიზმის ეპოქაში ხელოვნების რყევის რეზონანსი დამოკიდებულია კლასთა ბრძოლის შინაარსზე. თავისთავად ამ ბრძოლის მიზეზი ეკონომიკაშია ჩამარხული, მაგრამ ეკონომიური ფაქტორი უშუალოდ როდი მოქმედებს ხელოვნებაზე. ამგვარი მოქმედებისათვის ეკონომიკას სჭირდება მთელი რიგი რგოლის გავლა და იმ მაგნიტური ძალის გადაცემა რგოლებისათვის, რომელიც ეკონომიკის ძალასა და ენერგიას წარმოადგენს. ამ საფუძველზე ენერგიის გადამცემ რგოლებში ხდება ეკონომიურ ძალთა არა მარტო მოლეკულიარული გადანაცვლება, არამედ მისი სახის შეცვლაც და ამგვარი ტრანსფორმაციის შემდეგ მოქმედებს ხელოვნების არსზე. უძველეს საუკუნეების ხელოვნება ნათელ სურათს იძლევა ჩვენი დებულების დასამტკიცებლად. მაგალითად, პლასტიური ხელოვნების აყვავება სპარტაში უშუალოდ გამოწვეული იყო პოლიტიკური პირობებით. ტიტველი სხეულის კულტის განვითარება ანარეკლია იმ სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობისა, რომელშიაც მოქცეული იყვნენ სპარტანელი არისტოკრატები. სპარტის გაბატონებულ სამხედრო არისტოკრატიას გარეშე და საშინაო პოლიტიკური პირობები აიძულებდნენ მთავარი ყურადღება მოქალაქეთა სამხედრო გაწრთვნისათვის მიექცია[1]). ამიტომაა, რომ სპარტაში ყოველი არისტოკრატი სახელმწიფო სამხედრო საბჭოს წევრი იყო. „ასეთ პირობებში, თუ მხედველობაში მივიღებთ სამხედრო გაწრთვნას, სამხედრო ფიზკულტურის აუცილებლობას, არისტოკრატიულ სპარტაში ტიტველი სხეულის კულტისათვის არსებობდა ნოყიერი ნიადაგი. ეს მომენტი გამოიხატა, როგორც ცხოვრებაში, ისე ხელოვნებაში" (კარლ ბიუხერი).

ვილჰელმ ჰაუზენშტეინი ამ პოლიტიკურ მომენტს გვერდს უხვევს და წმინდა ეკონომიურ თვალსაზრისით ხსნის ტიტველი სხეულის კულტის განვითარებას სპარტაში. „ეკონომიური გაჭირვება, — სწერდა ჰაუზენშტეინი, — აიძულებდა სპარტანელებს ყოფილიყვნენ ყველაზე უფრო მარტივნი და უბრალონი." ასეთი ახსნა არა თუ არ არკვევს პრობლემას, არამედ სხვა სახით აყენებს მხოლოდ. ტიტველი სხეულის კულტი, რომელიც გამოხატავდა სამხედრო არისტოკრატიის მისწრაფებას ადამიანის ჯანსაღ სხეულის სრულქმნილი იდეისაკენ, შედეგი იყო არა ეკონომიური გაჭირვებისა, არამედ პოლიტიკური ატმოსფერისა, რომელიც გარს ერტყა სპარტანელი არისტოკრატების პოლიტიკურ მისწრაფებებს.

---

[1]) იხ. Аристотель. „Афинская полития" (Государственное устройство афинян). მეორე გამოცემა. 1937 წ.

დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევ გულდასმით გადაიკითხოს არისტოტელის ზემოდასახელებული შრომის არა მარტო პირველი თავები, სადაც ავტორი გადმოგვცემს ათინელთა უძველეს სახელმწიფოებრივ წყობილების ფორმას, არამედ შემდეგი თავებიც, განსაკუთრებით კი თავი: „დემოკრატიის განვითარება". დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ როგორ ორგანიულ კავშირში იყო ანტიური ულამაზესი ხელოვნება სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიულ ფორმასთან.

რატომ მოხდა, რომ საბერძნეთში მე-5 საუკუნის დამლევს იდეოლოგიური შრომის სფეროში წამოიჭრა ეთიკა, მორალური ნორმების გამომუშავების ამოცანა? რატომ სწორედ იმ ეპოქაში გადაიქცა ამგვარი მორალური ნორმები და, კერძოდ, ხელოვნება იდეოლოგიურ დულაბად?

აქაც იგივე კანონი უნდა შევიყვანოთ ძალაში, რომლითაც ავხსენით ტიტველი სხეულის კულტის გაჩენის ფაქტი სპარტაში. მე-5 საუკუნის დამლევს საბერძნეთში სხვადასხვა კლასის, ჯგუფის და ქვეჯგუფის ცხოვრებაში ათასი წინააღმდეგობა გაჩნდა. იმ პერიოდში, როდესაც ირღვეოდა სოციალური წონასწორობა და იმსხვრეოდნენ ძველი მორალური ნორმები, ადამიანთა შორის ურთიერთობის საკითხი მეტად მწვავედ დადგა, სხვათა შორის, გაბატონებული კლასებისათვისაც, რომელთათვის საჭირო იყო შეკოწიწება დარღვეული საზოგადოებრივი კავშირისა. ან პოლიტიკური წინააღმდეგობის გამწვავებამ აიძულა გაბატონებული კლასი ეთიკური ნორმებით და ხელოვნების განვითარებით აღედგინა გაწყვეტილი კავშირი დაჩაგრულ კლასთან.

იგივე კანონი მოქმედებს ძველი ეგვიპტური ხელოვნების აყვავებასა და დამხობაში. რატომ ხდებოდა, რომ უდიდესი ნაწილი ხალხის შრომისა ძველ ეგვიპტეში იხარჯებოდა ფეოდალური ხელოვნების უდიდესი ძეგლების — პირამიდების, ფარაონების უზარმაზარი ქანდაკებების აშენებაზე? მიტომ, რომ მაშინდელი საზოგადოება თავისი ეკონომიური სტრუქტურით ვერ იარსებებდა, თუ მონებსა და გლეხებს ყოველ ნაბიჯზე არ ჩააგონებდნენ გაბატონებულთა სიდიადეს და ღვთაებრივ ძალას.

„იგივე მოვლენა განმეორდა საფრანგეთში, როცა ამბოხებულმა ბურჟუაზიამ დიდი რევოლუციის დროს წამოაყენა მხატვარი დავიდი, რომელმაც ჩამოაყალიბა სამოქალაქო ხელოვნების პოლიტიკური იდეა შემდეგ სიტყვებში: „ხელოვნებამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის ფართო მასების აღზრდასა და ბედნიერებას. მან ხალხს სიმხნევისა და სამოქალაქო სიქველის ნიშნები უნდა აჩვენოს“. დავიდის მთელი შემოქმედება ემსახურებოდა ამ სამოქალაქო სიმხნევისა და სიქველის შთანერგვას ახალგაზრდა რევოლუციურ ბურჟუაზიის ფსიხიკაში. ასეთი იყო მისი „ჰორაციების ფიცი“, მისი ბრუტოსი, რომელიც თავის შვილებს სჯის რესპუბლიკის ღალატისათვის, ლეონიტე, რომელიც თავის თავს მსხვერპლად სწირავს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მისი „ეროვნული კრების დეპუტატები“, რომლებიც აღთქმას სდებენ, არ დავიშლებით, სანამ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას არ განვახორციელებთო. ყველა სურათის დანიშნულება იყო ახალგაზრდა ბურჟუაზიის აღზრდა იმ პოლიტიკური იდეალების მიხედვით, რომლებითაც მას ახალი საზოგადოება უნდა დაეპყრო. „აბა სცადეთ და პირდაპირ ეკონომიურად ახსენით... ფრანგულ მხატვრობაში დავიდის სკოლის გაჩენის ფაქტი. გარდა სასაცილო და მაბეზრებული მიედ-მოედებისა არაფერი არ გამოგივათ. მაგრამ თუ ამ სკოლას შეხედავთ, როგორც კლასიური ბრძოლის იდეოლოგიურ ანარეკლს საფრანგეთის საზოგადოებაში დიდ რევოლუციის წინ, საქმე მყისვე სხვაგვარ ხასიათს მიიღებს. თქვენთვის სავსებით გასაგები გახდება დავიდის მხატვრობის ისეთი თვისებებიც, რომელიც ისე დაშორებული სჩანდნენ საზოგადოებრივ ეკონომიკიდან“ (პლეხანოვი).

რატომ არის, რომ ამერიკული ბურჟუაზია ტექნიკაში, ასე თუ ისე, კიდევ ახერხებს წინსვლას, ხოლო იდეოლოგიაში სრულიად გამოიფიტა? რად არის, რომ იმავე ამერიკაში ხელოვნება მინიმალურად არის განვითარებული, მაშინ, როდესაც ეკონომიურად იგი უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენს? რატომ

ხდება, რომ ინგლისში საეკლესიო გალობას მუსიკაში შეუძლია ითამაშოს გრანდიოზული როლი, როდესაც საბჭოთა კავშირში ეს როლი მთლიანად მოსპობილია მუსიკაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაც პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მომენტია უშუალოდ მომქმედი და არა ეკონომიური. ის, ვინც ხელოვნების დაცემისა და აყვავების კანონზომიერებას პირდაპირ ეკონომიკაში ეძიებს, ანგარიშს არ უწევს ენგელსის იმ დებულებას, რომ „ყოველი იდეოლოგია, რაკი ერთხელ წარმოიშვება, უკვე არსებული წარმოდგენის ურთიერთობაში ვითარდება და თავის მხრივ მათ გადამუშავებას იწვევს. უამისოდ ეს არ იქნება იდეოლოგია, ე. ი. მას საქმე არ ექნება აზრებთან, როგორც დამოუკიდებელ არსებებთან, რომელნიც დამოუკიდებლად ვითარდებიან თავის წიაღიდან და თავის საკუთარ კანონებს ემორჩილებიან.“

საზოგადოებრივი იდეოლოგია, რომელიც წარმოადგენს აზრების, გრძნობების, ყოფაქცევის სისტემას, თავისებურ მიმართებას აძლევდა და აძლევს ხელოვნების რთულ შინაარსს. საზოგადოებრივი იდეოლოგია, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ზოგად ერთეულს, რომელიც შეიცავს ამა თუ იმ ერის აბსტრაქციულ ნიშანს. საზოგადოებრივი იდეოლოგია დიფერენცირებულია და შეიცავს ამა თუ იმ კლასის სისტემაში მოყვანილ მსოფლმხედველობას. ფსიქოლოგია არის უსისტემო, ან სისტემაში ნაკლებად მოყვანილი აზრები, გრძნობები და განწყობილებები. ესენი თავის მხრივ ანარეკლია საზოგადოებრივი კლასის, ჯგუფის, პარტიის, ყოფაცხოვრებისა. როგორ უნდა ასახოს ხელოვნებამ ეს ფსიქო-სოციალური იდეოლოგია, თუ მან იცის, რომ სოციალური ადამიანებს შორის კი არ ცხოვრობს, არამედ ადამიანთა თავებში, მაგრამ ის რაც ცხოვრობს ამ თავებში, არის ურთიერთ გავლენის, გადაჯვარედინებული ურთიერთმოქმედების პროდუქტი. ამიტომ არ არის არავითარი ფსიხიკა იმის გარეშე, რომელიც არსებობს ცალკ-ცალკე, მუდმივ განზოგადოებაში მყოფ „განზოგადოებულ ადამიანებში.“ საზოგადოება კიდევ ხომ განზოგადოებულ ადამიანთა კრებულია, რომლის ორგანოებიც ცალკ-ცალკე ადამიანები არიან.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ დროს გაბატონებული იდეები, გაბატონებული კლასის იდეებია. ამ საფუძველზე განსაზღვრულ ისტორიულ ეტაპზე გაბატონებული კლასის იდეა ინარჩუნებს „ეპოქის სულის“ მნიშვნელობას. სწორედ ეპოქის ეს სულია საფუძველი ხელოვნებისა. ამიტომ ყოველი კლასის ხელოვნება წარმოადგენს მხატვრულ უკუფენას არა ეკონომიკისას, არამედ ადამიანთა ფსიქო-იდეოლოგიისას. ხელოვნება ერთდაგვარი აკუმულიატორია ადამიანთა მიზნების, მისწრაფებების, ტანჯვისა და სიხარულის.

მარქსის აზრით, დიალექტიკა, როგორც სააზროვნო კატეგორია, უკუფენაა რეალურ, მატერიალურ ქმნადობის პროცესში მოცემულ დიალექტიკისა. რადგან იდეალური სპეციფიურ ენაზე წარმოადგენს ადამიანის გონებაში ნათარგმნ მატერიალურს, ამიტომ არ შეიძლება სააზროვნო პროცესის მოწყვეტა მატერიალურ პროცესისაგან, მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს დიალექტიკა არ იყოს აზროვნების უნივერსალური მეთოდოლოგია, როგორც დიურინგი ჰფიქრობდა. მარქსი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ პროლეტარიატის ხელში მატერიალისტური დიალექტიკა იდეურ ძალასთან იქცევა ფიზიკურ ძალად, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის გარდაქმნას. ამ საფუძვლებზე შემეცნების, როგორც სააზროვნო კატეგორიის, როლი მაქსიმალურად იზრდება. მოძრავი მატერიის ფორმების დიალექტიკა, რომელიც რევოლუციური ადამიანის შემეცნების ფილტრშია გატარებული, იქ-

ცევა უნივერსალურ მეთოდოლოგიად, რომელიც წარმოადგენს მოძრაობის სულს და ადამიანის სააზროვნო კატეგორიას. ამიტომაა რომ „შეგნება არა მარტო ასახავს სინამდვილეს, არამედ ჰქმნის კიდეც მას“ (ლენინი) „გარემოებას სწორედ ადამიანები სცვლიან“ და მოცემულ პირობებში „ადამიანები თვით ჰქმნიან საკუთარ ისტორიას“ (კ. მარქსი). ეს როდი ესმით იმ ადამიანებს, რომლებიც ეკონომიურ თვალსაზრისს ფატალიზმად აქცევენ. მაგალითად, დიურინგის აზრით, „ისტორია ავტომატიურად ხდება და ეკონომიური პირობები ათამაშებენ ადამიანებს, როგორც პაიკებს“. ამ თვალსაზრისს საერთო არაფერი არა აქვს მარქსიზმთან. ამიტომ იყო, რომ ფ. ენგელსმა აგრე სასტიკად გაილაშქრა დიურინგის წინააღმდეგ და ვულგარულ მატერიალიზმს დაუპირისპირა მატერიალისტური დიალექტიკა. ენგელსის აზრით, „რაც უფრო დაშორებულია საკვლევი დარგი იდეოლოგიას და რაც უფრო განწყობილი იდეოლოგიის ხასიათს ღებულობს იგი, მით უფრო მიხვეულ-მოხვეული და უსწორ-მასწორო ხდება მისი მოძრაობის მრუდე ხაზი.“ „ეკონომიურ ბაზისს, — სწერდა მარქსი კაპიტალის მე-3 ტომში, თავის უმთავრეს პირობებში შეუძლია გამოამჟღავნოს, უამრავი სხვადასხვაგვარი ემპირიული გარემოებების გარეშე მომქმედ პირობების, რასიულ ურთიერთობის, გარეშე მომქმედ ისტორიულ მოვლენათა და სხვათა მეოხებით დაუსრულებელი ვარიაციები, საფეხურები თავის გამოცხადებაში, რომელიც შეიძლება გასაგები გახდეს ამ ემპირიულ მოცემულ გარემოებათა ანალიზის გზით.“ „მთავარი აქ ის არის, რომ მოვლენების ქვეყანა და თავისთავად არსებული ქვეყანა არის მომენტები ადამიანის მიერ ბუნების შემეცნებისა, არის საფეხურები, გაღრმავება და ცვალებადობები შემეცნებისა... აზროვნება შემეცნების შენების დროს კონკრეტულიდან ადის აბსტრაქტულობამდე და მსვლელობის დროს ის ჰეშმარიტებას კი არ შორდება, არამედ ჰეშმარიტებასთან მიდის; აბსტრაქციები გამოხატავენ ბუნებას უფრო ღრმად, სწორად და უფრო მთლიანად“ (ლ ე ნ ი ნ ი: ტომი IX, გვ. 150 — 186).

იდეოლოგიური ფორმების ანალიზისათვის არ შეიძლება გამოყენება არც მიკროსკოპის და არც ქიმიური რეაქტივებისა, ორივეს მაგივრობა აბსტრაქციის ძალამ უნდა გასწიოს. ასეთია მარქსისტული აზრი იდეოლოგიის სპეციფიურ არსზე. ამ თვალსაზრისით ყოველი მოცემული დრო არის გაბატონებული მიმდინარეობა აზრებისა, გრძნობებისა და განწყობილებებისა. საზოგადოებრივი იდეოლოგია და ფსიქოლოგია, რომლებიც თავისებურად აფერადებენ მთელ ცხოვრებას, იცვლება თანახმად ეპოქის ხასიათისა. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, — სწერდა იპოლიტე ტენი, — გაბატონებული მნიშვნელობა ერთ რომელიმე ხელოვნებას (ან უკეთ ხელოვნების ერთ რომელიმე დარგს, — დ. ბ.) ჰქონდა, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანი გამოხატავდა უკეთ ამ საზოგადოებაში გაბატონებულ გონებრივ და ზნეობრივ მდგომარეობას.[1]. ტენი უეჭველად მართალია მხოლოდ მდგომარეობის ვამოსახვაში ,მაგრამ მის ახსნას ვერ ახერხებს. ტენს „დაავიწყდა“ ეთქვა, რომ ყოველი ეპოქის გაბატონებული იდეა გაბატონებული კლასის იდეაა. მაგალითად, ელადაში პირველობა ქან-

---

[1]) ი. ტენი ამ ფაქტს ხსნის დროის მორალური ტემპერატურით. მისი აზრით, ამა თუ იმ ეპოქაში გაბატონებული მორალური ტემპერატურა იწვევს და ხელს უწყობს ხელოვნების ამა თუ იმ დარგის აყვავებას, ან დამხობას. იხ. И. Тен. „Лекции об искусстве“ („Философия искусства“), გვ. 12; 1919 წლის გამოცემა.

მორალური ტემპერატურით ახსნა ხელოვნების აყვავებისა და დაცემის პერიოდებისა ეწინააღმდეგება მდიდარი ფაქტებით გასხივოსნებულ ხელოვნების ისტორიას. აბა სცადეთ და მორალური ტემპერატურით ახსენით ანტიური და მონუმენტალურ-რელიგიური ხელოვნების დაცემა. გარდა გაუგებრობისა, არაფერი არ გამოვა ამგვარი ახსნიდან.

დაკებას ეკუთვნოდა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ანხორციელებდა ბერძნული კულტურის გაბატონებულ იდეას, ფიზიკურად სრულქმნილ სხეულის იდეას, რომელიც ანარეკლი იყო გაბატონებული არისტოკრატიის პოლიტიკური მისწრაფებებისა [1]). საშუალო საუკუნეებში, როგორც ტენი აღნიშნავს, ბატონობდა არქიტექტურა (კერძოთ გოტიკური სტილი, — დ. ბ.), რადგან ეს სტილი ხელოვნების სხვა დარგებზე უკეთ გამოხატავდა ამ საზოგადოებრივი კულტურის გაბატონებულ იდეას — არა ამქვეყნიური მისწრაფებებს ცისკენ. საფრანგეთში მე-18 საუკუნის მანძილზე ჰეგემონია თეატრს, დრამას ეკუთვნოდა; იგი ყველაზე სრულყოფილად ასახიერებდა სასახლის არისტოკრატიული საზოგადოებისა და სასახლის კულტურის ზნე-ჩვეულებას. მე-19 საუკუნეში ხელოვნების გაბატონებული დარგი მუსიკა იყო, როგორც ყველაზე უფრო შესატყვისი მხატვრული გამოხატულობა ამ საუკუნეში გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმის და ლირიზმისა. ძველს საბერძნეთში ლიტერატურული ეპოსი და ტრაგედია ბატონობდნენ, რადგან ორივეს ეს დარგი სრულყოფილად ხატავდა ძველი ბერძნების გმირულ ცხოვრებას, მათ პოლიტიკურ-იდეურ მისწრაფებებს.

სად უნდა ვეძიოთ ხელოვნების დაცემის მიზეზები?

ამ კითხვას არა მარტო თეორიული მნიშვნელობა აქვს, არამედ უაღრესად პრაქტიკულიც. მაგრამ უდაოა, რომ დასახელებული პრობლემის გადაწყვეტის დროს, როგორც ზემოდ განვაცხადეთ, არ შეიძლება გამოყენება არც მიკროსკოპის და არც ქიმიური რეაქტივებისა. ორივეს მაგივრობა აბსტრაქციის ძალამ უნდა გასწიოს. აბსტრაქციის ძალა აზროვნებაში გვევლინება როგორც გაერთიანების პროცესი და გამოსავალი წერტილი განსჭვრეტისა და წარმოდგენისა.

თუ ზოგად-აბსტრაქციული თვალსაზრისით შევხედავთ ანტიურ ხელოვნებას, დავინახავთ, რომ სიტყვიერი ხელოვნების ყველაზე მაღალი ფორმები — პოეტური ეპოსი და ტრაგედია წარმოიშვნენ საზოგადოებრივი ფორმაციის დაბალ საფეხურზე. აქ ჩვენ გვაქვს ერთგვარი უკუპროპორციული დამოკიდებულება ხელოვნების გარკვეულ დარგსა და საზოგადოებრივ განვითარებას შორის. მაგრამ ეს წინააღმდეგობა ხელს არ უშლიდა, რომ საზოგადოებრივი განვითარების დაბალი დონე ყოფილიყო ნიადაგი ბერძნული გენიალური ხელოვნებისა. ცნობილია, რომ ანტიური ბერძნების ნათელ გონებაზე ბატონობდა მითოსის, ბედისწერის რწმენა. რაკი ბუნების მოვლენები ძველი ბერძნებისათვის, მათი ტექნიკური შესაძლებლობის განსაზღვრულობის გამო, შეუმეცნებელი იყო, ეს შეუმეცნებელი ბუნება მას თავზე ადგა, როგორც ბედისწერა. ამ გზით მითოსის რწმენა დაეუფლა ანტიკური ადამიანის არა მარტო გონებას, არამედ გრძნობასაც. ლოგიკური განვითარების გზით ბედის რწმენა ყალიბდება როგორც გარკვეული სახის იდეოლოგია. მითოსის საფუძველზე აღმოცენებული იდეოლოგია ბერძნული ხელოვნებისათვის იყო არა მარტო არსენალი, არამედ შეადგენდა მის ნიადაგსაც. რაკი ყოველი მითოლოგია ბუნების შეუმეცნებელ ძალებს სძლევს, იმორჩილებს და ასახიერებს ფანტაზიაში

---

[1]) მაგრამ ჩვენი აზრი ცალმხრივი იქნებოდა, თუ ტიტველი სხეულის კულტს სპარტაში შევხედავდით როგორც მხოლოდ პოლიტიკური ატმოსფერით შედეგს და ამავე დროს მხოლოდ არისტოკრატიის საკუთრებას. გამომწვევი მიზეზი ტიტველი სხეულის კულტის გაჩენისა მართლაც ზემოთ დასახელებული პირობები იყო; მაგრამ მისწრაფებას ჯანსაღ, სხეულის სრულქმნილ იდეისაკენ ორგვარი შედეგი ჰქონდა: იგი ალამაზებდა სპარტანელთა ტანს და იმავე დროს სილამაზის გრძნობას ჰქმნიდა ხალხის საკუთრებად. მართლაც, ძველი ბერძნები, შედარებით სხვა ხალხებთან, უდიდესი პატივისმცემლები იყვნენ სილამაზისა. მათი „ვენერა მილოსელი“ ამ ფაქტს ბრწყინვალედ ადასტურებს.

და ფანტაზიის საშუალებით, ხელოვნებამაც გაბედულად მოჰკიდა ხელი და გრანდიოზული მასშტაბით დაიწყო ხალხის ფანტაზიის გადამუშავება.

ასეთი გზით მივიდა ბერძნული ხელოვნება მითოსთან. მაგრამ ეს გზა ბნელით მოცული იქნება, თუ პასუხს არ გავცემთ ერთ მტკივნეულ კითხვას, რომელიც არაერთხელ დაჰბადებია თავში ხელოვნების, განსაკუთრებით ანტიკური ხელოვნების მოყვარულ ადამიანს. ეს კითხვა შემდეგი ხასიათისაა: რატომ სწორედ საზოგადოებრივი ფორმაციის შედარებით დაბალ საფეხურზე წარმოიშვა ბერძნული გენიალური ეპოსი და ტრაგედია? რატომ ინარჩუნებს იგი დღესაც ნორმისა და მიუწვდომელობის ნიმუშის სახეს? რატომ განგვაცდევინებს ძველი ბერძნული ხელოვნება მხატვრულ სიამოვნებას, მაშინ, როდესაც მისი წარმომშობი ნიადაგი (მითოსი) დიდი ხანია დაინგრა?

ზემოთ ვსთქვით, რომ მითოსის რწმენას ბერძნული გენია სძლევდა ფანტაზიაში და ფანტაზიის საშუალებით ახერხებდა მის გადამუშავებას. ამ უდიდესი ამოცანის შესრულება შეეძლო მხოლოდ თავისუფალ ფანტაზიას, ე. ი. ისეთ ფანტაზიას, რომელიც ნორმალურად განვითარებულ ჭკვიან ბავშვებს ახასიათებს. ამ რიგად ბერძნული ხელოვნების სიდიადის ერთი პირველი მიზეზთაგანი თავისუფალი ფანტაზია იყო. მეორე მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომელშიაც უმშვენიერესად გაიფურჩქნა ბერძნული ხელოვნება, მოხსნილი იყო წინააღმდეგობა წმინდა ფიზიკურ სასიცოცხლო მიზანს და სულის უმაღლეს მიზანს შორის. ამდენად ძველი ბერძნები მთლიანი ადამიანები იყვნენ, ხოლო მათი ნებისყოფის დამოუკიდებლობა და თავისუფლება არ ატარებდა ფორმალურ ხასიათს. ინდივიდუმი ინარჩუნებდა დამოუკიდებელ თავისუფლებას, ე. ი. თავისუფლებას, რომელიც მშვენიერების იდეალს საფუძვლად უდევს. მესამე მიზეზი: იმ პერიოდში, როდესაც ბერძნული ხელოვნება თავის სიდიადეს დღესასწაულობდა, არ იყო წინააღმდეგობა ხელოვნების მთელ ფრონტსა და სახელმწიფოებრივ ფორმას შორის.

ასეთია ძირითადი მიზეზები, რომლებიც გარედან ხელს უწყობდნენ ანტიურ შემოქმედს მხატვრული ნაწარმოების შექმნის დროს. მაგრამ დასახელებული მიზეზები ობიექტური მიზეზები იყო. ბერძნული ხელოვნება-კი მხოლოდ ამ ობიექტიური მიზეზებით არ აყვავებულა, აქ გადამწყვეტ როლს სუბიექტიური მიზეზებიც თამაშობდნენ.

ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი, განსაკუთრებით კი ანტიკური ხანის შემომქმედი ცდილობდა სინამდვილის ისე გამოსახვას, რომ გარეგანი გამოვლინების ფორმა შესატყვისებოდა გამოსახატავი საგნის სუბსტანციას, მის სულს. ბერძნული მხატვრული ნაწარმოები ჭეშმარიტებას, საგნის სუბსტანციას, როგორც ობიექტს, გრძნობათა ფორმაში წარმოგვიდგენს. ამ ფორმას იგი იღებს როგორც ადეკვატურს. რამდენად ძველი ბერძნების ცხოვრება სერიოზულ ხასიათს ატარებდა, იმდენად მათი ხელოვნება ნათელი და მხიარული იყო. არისტოტელი ხელოვნების უმაღლეს იდეალად სახავდა სწორედ ამ მხიარულებასა და ნათელ სიმშვიდეს. მისი აზრით, ადამიანმა თვით უკიდურეს ტრაგიკულ წუთებშიაც კი უნდა შეინარჩუნოს სულის ნათელი სიმშვიდე. ჰომიროსის გმირები ამგვარი ადამიანები იყვნენ. აქილესი, ოდისე, ჰექტორი, სულიერი დამშვიდებით ემორჩილებიან ბრმა ბედისწერას, მაგრამ ისინი სუბიექტურად ყოველთვის ერთგულნი რჩებიან საკუთარი თავისადმი. ბედისწერამ შეიძლება მათ სიცოცხლე მოუსპოს, მაგრამ თავისუფლებას კი ვერ წაართმევს.

მეორე სუბიექტური მიზეზი ბერძნული ხელოვნების აყვავებისა იმაშია, რომ არა მარტო ხელოვნება, არამედ ძველი ბერძნებიც ახლოს იყვნენ ბუნე-

ბასთან. ბედისწერის ბრმა რწმენა მათ საშუალებას აძლევდა გარეგანი სამყარო, მთელი ბუნება წარმოედგინათ ფანტაზიის საშუალებით. ბუნებასთან უშუალო დამოკიდებულება მათ ფანტაზიაში ნახულობდა თავისებურ [illegible]ფელ გამოხატულობას. ამ ნიადაგზე, არ შევცდებით თუ ვიტყვით, ანტიკური ხელოვნების სახით თვით ბუნება ლაპარაკობს თავისი პირველყოფილი სიწმინდით. მაგალითად, როდესაც აქილესის კარავში მის მიერ მოკლული ჰექტორის მოხუცი მამა პრიამი შედის, აქილესი ატირდება. რა ბუნებრივი და რა მშვენიერია აცრემლებული აქილესი! საერთოდ ცრემლი და წუწუნი არ შეენის ხელოვნებას, მაგრამ ცრემლი, რომელიც გამოჩნდება სერიოზული და თავშეკავებული ვაჟკაცის თვალებში, ღრმა გრძნობასა და განცდას იწვევს მაყურებელში. განა იგივე პროცესი არა ხდება ქართველი გენიის რუსთველის „ვეფხის-ტყაოსანში“. რომელი მკითხველი გაბედავს დაუწუნოს ცრემლი აქილესსა და ტარიელს! რატომ უნდა დავამციროთ ხელოვნურად ადამიანში ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი!

ადამიანში ადამიანურის მოძებნა არის უმაღლესი მიზანი ხელოვნებისა და ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელოვნების პირით თვით ბუნება ლაპარაკობს. ბერძნები ბუნებაში თავს ისე თავისუფლად გრძნობდნენ, როგორც ანტიკური ღმერთები ოლიმპზე.

მესამე სუბიექტიური მიზეზი ბერძნული ხელოვნების აყვავებისა თვით ძველი ბერძნების ტვინის კონსტრუქციაში იყო ჩამარხული. ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ბერძნების ტვინი რაღაც სხვა მასალისაგან იყო შემზადებული; გვსურს აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ობიექტურმა და სუბიექტურმა პირობებმა ისე მოაწყეს ბერძნების საქმე, რომ მათ ტვინში ხდებოდა მძაფრი კონცენტრაცია ბუნებისაგან მიღებული უშუალო შთაბეჭდილებებისა და ამ შთაბეჭდილებათა გამოვლინება ხდებოდა შინაგანი მოწოდების მეოხებით, ე. ი. ისინი ხელოვნებას უყურებდნენ, როგორც შინაგან მოთხოვნილებას, და არა როგორც ხელოსნობას, არა როგორც დიდი თანხების შემოსავლის წყაროს.

უკანასკნელი და ერთი მთავარი მიზეზი ბერძნული ხელოვნების სიდიადისა მის გმირულ ხასიათში უნდა ვეძიოთ. დრო, გარემო, ადამიანური ცხოვრება, საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის წიაღში წარმოიშვა და განვითარდა ბერძნული ხელოვნება, შეიძლება დახასიათდეს როგორც გმირული პერიოდი. ამ პერიოდის ლიტერატურული გმირები თვით ჰქმნიან არა მარტო მატერიალურ დოვლათს, არამედ საკუთარი ხელით ამზადებენ იმ იარაღსაც, რომლითაც მოწინააღმდეგეს ებრძვიან. მაგრამ ეს საქმიანობა არ არის მძიმე შრომა, რომელიც ტანჯვას იწვევს. იგი უფრო სიამოვნებისა და კმაყოფილების მომგვრელი შრომაა. გმირული პერიოდი, რომელიც უმშვენიერესად გაიფურჩქნა ძველ საბერძნეთში, ჰქმნიდა ისეთ ადამიანებს, რომლებიც მოწოდებული იყვნენ სამართლიანი და ზნეობრივი საქმის შესასრულებლად. გმირული პერიოდში ინდივიდუმი, როგორც ზემოთ განვაცხადე, სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა თავის მოქმედებაში [1]), ის არ იყო შებორკილი მის გარეშე არსე-

---

[1]) იხ. Theodor Gomperz—ის „Griechische Denker. Eine Geschichte der antiken Philosophie“ მე-2 ტომი, 1903 წლის გამოცემა. თავი პლატონის შესახებ.

კომპერცის შრომაში მკითხველის ყურადღებას იქცევს აზრი იმის შესახებ, რომ ანტიურობა (ხელოვნებით, ფილოსოფიით და სახელმწიფოებრივი მმართველობით), იყო ერთი მთლიანობა, როგორც მოვლენა. განსაკუთრებით საყურადღებოა მასალა, რომელიც სრულქმნილ ფორმაში წარმოგვიდგენს პლატონის ეთიკის დამოკიდებულებას სახელმწიფოებრივ ფორმასთან. კომპერცის აზრით, პლატონს იდეალად მიაჩნდა სახელმწიფოს ისეთი ფორმა, რომელიც ინდივიდუმს შინაგანი სურვილით „აიძულებდა“ საზოგადო და საერთო ინტერე-

ბული კანონმდებლობით, რადგან ამ კანონის შემომქმედი ან თვითონ იყო, ან იგი ხორციელდებოდა როგორც მისი ნებასურვილი. ამ პერიოდში ყოველი ადამიანის მოქმედების საფუძველს წარმოადგენდა სათნოება და სიკეთე.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ობიექტური და სუბიექტური ხასიათები გადაიქცნენ ანტიური ხელოვნების აყვავების საფუძვლად. გარეგანი და შინაგანი პირობების მთელი ეს თავისებურობა ხელს უწყობდა ხელოვნებას, რომ ის ყოფილიყო სულის უმაღლესი მოთხოვნილება.

რა კი პირველი პრობლემა (ხელოვნების აყვავების პრობლემა) ასე თუ ისე ავხსენით, ჩვენს წინაშე ისახება მეორე პრობლემა, რომელიც შემდეგი კითხვის სახით უნდა დაისვას: რატომ დაეცა ანტიკური ბერძნების უმშვენიერესი ხელოვნება შემდგომ პერიოდში? ბერძნების ხელოვნების დაცემა, როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, დაიწყო იმ ეტაპიდან, როდესაც მითოსის რწმენა შეირყა ბერძნების გონებაში. ტექნიკის განვითარებამ ადამიანს ბუნების მოვლენების ახსნის შესაძლებლობა მისცა. ბუნების შეუმეცნებელი ძალები, რომელნიც ანტიკურ ადამიანს თავზე ედგა როგორც ბედისწერა, და რომელნიც გადაიქცნენ ხელოვნების ნიადაგად, ამ ძალების შემეცნების შემდეგ მან დაჰკარგა თავისი ცხოველმყოფელი გავლენის ძალა ხელოვნებაზე. ფანტაზიის როლი ზუსტმა გონებრივმა განსჯამ შებოჭა. ბუნებასთან უშუალო კავშირი დაირღვა, ადამიანის მთლიანობამ, პიროვნების რღვევის ნიადაგზე, დანაწილება დაიწყო. ერთის სიტყვით, ყველა პირობა, რომელიც ხელს უწყობდა ბერძნული ხელოვნების აყვავებას, მითოსი რწმენის დაკარგვის ნიადაგზე, მოისპო.

პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალში კარლ მარქსს მშვენივრად აქვს ახსნილი ბერძნული ხელოვნების დაცემის ეს პროცესი.[1]. ხელოვნების შესახებ, — სწერდა მარქსი, — ცნობილია, რომ მისი აყვავების პერიოდები სრულიადაც არ შეეფარდება საზოგადოების საერთო განვითარებას, მაშასადამე, აგრეთვე მის მატერიალურ საფუძველს, რომელიც მისი ორგანიზაციის, ასე ვთქვათ, ჩონჩხს შეადგენს. მაგალითად, ბერძნები, შედარებით თანამედროვე ხალხებთან, ან და აგრეთვე შექსპირი. ხელოვნების ზოგიერთი სახის, მაგ., ეპოსის შესახებ აღიარებულიც კია, რომ იგი თავის კლასიკური ფორმით, რომელიც ეპოქის შემქნელია მსოფლიო ისტორიაში, უკვე აღარ წარმოიშვება, როგორც კი ხელოვნებითი წარმოება, როგორც ასეთი დაიწყება; რომ ამგვარად თვით ხელოვნების სფეროში ზოგი მნიშვნელოვანი ფორმები ხელოვნების განვითარების მხოლოდ დაბალ საფეხურზეა შესაძლებელი. თუ ეს ასეა ხელოვნების სფეროში, მით ნაკლებ გასაკვირი უნდა იყოს, თუ ამასვე ადგილი აქვს ხელოვნების მთელ სფეროს შეფარდების მხრივ საზოგადოების საერთო განვითარებასთან. სიძნელე მხოლოდ ამ წინააღმდეგობათა ზოგად გამოსახვაში მდგომარეობს. თუ კი ჩვენ ეს წინააღმდეგობანი დავაკალკეეთ, ისინი უკვე ახსნილნი არიან. ავიღოთ მაგალითად საბერძნეთის ხელოვნების და შემდეგ შექსპირის დამოკიდებულება ახლანდელ დროსთან. ცნობილია, რომ ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც. განა შესაძლებელია იმ შეხედუ-

---

სი მაღლა დაეყენებინა სუბიექტურ ინტერესებზე და იმავე დროს თვით სახელმწიფოს შიგნით ადამიანი თავისუფალ და დამოუკიდებელ სახეს შეინარჩუნებდა. ამრიგად, პლატონისათვის უმაღლეს იდეალს წარმოადგენდა საზოგადოებრივი ურთიერთობის ისეთი ფორმა, რომელშიაც მოსპობილი იქნებოდა წინააღმდეგობა საზოგადოებრივისა და სუბიექტურ ინტერესებს შორის. ამგვარი ურთიერთობის იდეალურ ფორმად პლატონს კომუნიზმი მიაჩნდა.

[1]) „Маркс и Энгельс об искусстве", გვ. 45, 1933 წ.

ლებას ბუნებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, რომელიც ბერძნულ (ხელოვნებას) საფუძვლად უდევს, ადგილი ჰქონდეს სელფაქტორისა, რკინიგზების, ორთქმავლების, ელექტრონული ტელეგრაფის არსებობის დროს? სადღაა ადგილი ვულკანისათვის Roderts at C°-ის გვერდით, იუპიტერისათვის მეტეხთამრიდს გვერდით და ჰერმესისათვის Crédit modilier-ს გვერდით? ყოველი მითოლოგია სძლევს, იმორჩილებს და ანსახიერებს ბუნების ძალებს ფანტაზიაში და ფანტაზიის საშუალებით, მაშასადმე, იგი ისპობა მათზე ნამდვილ ბატონობასთან ერთად. სადღაა ადგილი ღმერთქალი ფამასთვის Printjnghonsesquare-ის [1]) გვერდით? ბერძნული ხელოვნება გულისხმობს ბერძნულ მითოლოგიას, ე. ი. ბუნების და საზოგადოებრივ ფორმასაც, რომელმაც უკვე მიიღო შეუცნობლად ხელოვნების წესით გადამუშავება ხალხის ფანტაზიის მიერ. ეს არის მისი მასალა. არა ყოველი, რომელიც გინდა მითოლოგია, ბუნების არა ყოველი რომელიც გინდა შეუცნობლად ხელოვნებითი გადამუშავება (აქ მასში იგულისხმება ყველაფერი საგნობრივი, მაშასადამე, საზოგადოებაც). ეგვიპტური მითოლოგია ვერასოდეს ვერ გახდებოდა საბერძნეთის ხელოვნების ნიადაგად და წიაღად. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ასეთი მითოლოგია კი [უნდა ყოფილიყო] ეს. ამნაირად ბერძნული ხელოვნების ნიადაგი არასგზით არ შეეძლო შეექნა ისეთ საზოგადოებრივ განვითარებას, რომელიც გამორიცხავს ყოველ მითოლოგიურ დამოკიდებულებას ბუნებასთან, ყოველ გამითებულ მიმართებას მისადმი, მაშასადამე, მითოლოგიისაგან დამოუკიდებელ ფანტაზიას მოითხოვს ხელოვანისაგან.

მეორეს მხრით, შესაძლებელია აქილესი დენთისა და ტყვიის არსებობის დროს? ან საზოგადოდ „ილიადა" საბეჭდი დაზგის და საბეჭდი მანქანის არსებობისას? განა არა ჰქრება აუცილებლად სიმღერა, არაკი და მუზა სასტამბო დაზგის გაჩენასთან ერთად, არა ჰქრებიან, მაშასადამე, ეპიური პოეზიის აუცილებელი პირობები?

მაგრამ სიძნელე იმის გაგებაში კი არ მდგომარეობს, რომ ბერძნული ხელოვნება და ეპოსი განვითარების განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმებთანაა დაკავშირებული, სიძნელე იმის გაგებაშია, რომ ისინი ჩვენ ჯერ კიდევ ესთეტიურ სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და განსაზღვრულის მხრივ ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ.

მამაკაცი ხელახლად ბავშვად ვერ იქცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაბავშვდება. მაგრამ განა მას არ ახარებს ბავშვის გულუბრყვილობა, განა თვითონ იგი არ უნდა მიისწრაფოდეს იქითკენ, რომ უმაღლეს საფეხურზე გადმოსცეს მისი ნამდვილი არსება და განა ბავშვის ბუნებაში სიცოცხლეს არ მიიღებს ყოველ ეპოქაში მისი საკუთარი ხასიათი თავის ჭეშმარიტი ბუნებრივი სახით?

კაცობრიობის საზოგადოებრივ ბავშობას, როდესაც იგი უმშვენიერესად გაიშალა, რატომ არ უნდა ჰქონდეს ჩვენთვის მარადიული მიმზიდველობა, როგორც განუმეორებელ საფეხურს? არიან გაუწრთვნელი ბავშვები და ნაადრევად ჭკვიანი ბავშვები. ძველ ხალხთაგან ბევრნი ამ კატეგორიას ეკუთვნიან. ბერძნები ნორმალური ბავშვები იყვნენ. ჩვენთვის მათი ხელოვნების მომხიბლველობა არ ეწინააღმდეგება განუვითარებელი საზოგადოების საფეხურს, რომელზედაც იგი აღმოცენდა. იგი, პირიქით, მისი შედეგია, განუყრელად დაკავშირებული უფრო იმ გარემოებასთან, რომ ის მოუმწიფებელი საზოგადოებრივი პირობები, რომლებშიც იგი წარმოიშვა და სადაც მარტოოდენ შეიძლება წარმოშობილიყო, არასოდეს არ შეიძლება განმეორდეს".

---

[1]) „Times"-ის სტამბა ლონდონში.

ამრიგად, ბუნების მოვლენებზე ადამიანის გონების გაბატონებამ ანტიურ ადამიანში მოსპო ბედის, მითოსის რწმენა. რწმენის შერყევამ გზა გადაუღობა ბერძნული ხელოვნების შემდგომ განვითარებას, განვითარების პროცესს. შეწყვეტამ ძირს დასცა ანტიკური ხელოვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ისევ პირველად დასმულ კითხვას უნდა დავუბრუნდეთ. სახელდობრ: ხელოვნების დაცემის მიზეზობრივ დამოკიდებულებას ეკონომიკასთან. ჰაუზენ-შტეინისა და ფრიჩეს კანონის თანახმად, ბერძნული ხელოვნების დაცემა უშუალოდ დაკავშირებულია ეკონომიკასთან. მაგრამ თუ ჩვენ შევადგენთ ერთგვარ გეომეტრიულ ხაზებს ხელოვნების დაცემის პროცესისას, დავინახავთ, რომ ეკონომიკა არ არის უშუალო, პირდაპირი მიზეზი ხელოვნების დაბლა დასვლისა. რატომ ხდება, რომ ტექნიკურ და ეკონომიურ საშუალებათა ზრდის პარალელურად ხელოვნება თანდათან დეგრადაციას განიცდის. ფრიჩეს კანონის თანახმად, ამ გარემოებას საწინააღმდეგო მიმართება უნდა მიეღო. ამრიგად, არა ეკონომიკა, არამედ თვითონ იდეოლოგიური ზედნაშთენი ხდება მთავარი მიზეზი ანტიური ხელოვნების დაცემისა. ტექნიკის ზრდამ ახალი ურთიერთობა დაამყარა ადამიანსა და ბუნებას შორის. რაკი ბუნების მოვლენები შემეცნების ფილტრში გატარდა, ადამიანის გონებიდან გაჰქრა მითოსის რწმენა. მითოსის რწმენის განადგურებასთან ერთად შესწყდა ბერძნული უმშვენიერესი ხელოვნების განვითარების პროცესიც.

ძველი ინდური და ჩინური კულტურის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ხელოვნების დაცემის იგივე კანონი მოქმედებდა ამ ორი ქვეყნის შესანიშნავი თქმულებებისა, არაკებისა და ეპოსის განვითარების შეწყვეტაში. იოგ რამაჩარკას სახელგანთქმული შრომა ადასტურებს ჩვენს დებულებას[1]). იგივე კანონი განმეორდა ეგვიპტეში. ეგვიპტური მითოლოგიის დაცემა უშუალო მიზეზი იყო ეგვიპტური ხელოვნების დაცემისა. ლოგიკის ძალით ეს კანონი თავის უფლებაში რჩება არა მხოლოდ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებული ხელოვნების განვითარებაში, არამედ ქრისტიანობის წარმოშობის შემდეგაც. საშუალო საუკუნეების რელიგიურ-მონუმენტალური ხელოვნების სულს შეადგენდა ქრისტიანული მითოსი. ეს უკანასკნელი აძლევდა აზრს არა მარტო ტაძრებსა და მისტერიებს, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრების მთელ ურთიერთობასაც. რელიგიურ-მონუმენტალური ხელოვნება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ ეპოქაში, როდესაც ადამიანის გონებაზე ბატონობდა ქრისტიანული რელიგია, ღმერთით, ზეციური კანონმდებლობით და საეკლესიო იერარქიით. პრიმიტიულ-ეკონომიურ ურთიერთობაზე აღმოცენებული პრიმიტიული შეგნების მთლიანობა, რომელიც საფუძვლად დაედვა მონუმენტალურ-რელიგიურ ხელოვნებას, თანდათან ირღვევა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად. ამ ეპოქიდან ადამიანის ინდივიდუალური ვნებები ხდებიან ხელოვნების გამოსავალ წერტილად. ადამიანმა საკუთარი თავი გამოაცხადა ხელოვნების ცენტრად. ქრისტიანული ვნებიანობა ხელოვნების სფეროდან გაძევებული იქნა ადამიანის ინდივიდუალური ვნებების მეშვეობით. ამ გზით ხელოვნება დაბლა კი არ დაეშვა, არამედ მთელი თავით მაღლა დადგა მონუმენტალურ-რელიგიურ ხელოვნებაზე. ამ ფაქტს დიდებულად ადასტურებს

---

[1]) იხ. Иог Рамачарка: „Религии и тайные учения Востока", თავი მე-2, 3, 4, 5.; 1914 წლის გამოცემა.

იხ. აგრეთვე ფრიად საყურადღებო ორტომული კრებული: „„Общая история философии", 1910 წლის გამოცემა. იქ მოთავსებულ წერილებიდან გერმან ოლდბერგის წერილი: „„Индийская философия", გვ. 29. ტომი პირველი, და ვილჰემ გრუბეს წერილი: „Китайская философия", ტომი პირველი, გვ. 47.

აღორძინების ეპოქის იტალიური მხატვრობა და ინგლისური სიტყვიერი ხელოვნება შექსპირის ტრაგედიების სახით. ლეონარდო და-ვინჩის, მიქელ ანჯელოს და, განსაკუთრებით, რაფაელის ხელოვნებაში სრულყოფილად გამოჩნდა ადამიანურმა ვნებებმა. ქრისტიანულ-რელიგიური თემატიკა ხელს არ უშლიდა მათ, რომ ხელოვნება ზეციური ინტერესებიდან ჩამოეყვანათ მიწიერ ინტერესებამდე. რაფაელის მადონები გამოხატავენ მშობელი დედის ბედნიერ, ნეტარ, მხიარულ და იმავე დროს ღვთაებრივ ნათელ და მშვიდ სიყვარულს შვილებისადმი. რაფაელის, როგორც მხატვრის, ძალა იმაშია, რომ მან გენიალური ინტუიციით მოსძებნა დედის ფიზიონომიის ისეთი ფორმა, რომელიც ადეკვატურია სულიერი სიღრმის გამოხატულებისა. მშობელი დედის სახის, ლოყების, თვალების, ცხვირის, პირის რაფაელისებური ფორმა თავის საწყისს იღებს არა ზეციურ რწმენაში, არამედ ადამიანურ ცხოვრებაში.

ლეონარდო და-ვინჩის ერთი უმშვენიერესი და სრულყოფილი ქმნილების „ჯიოკონდას" იდეალს შეადგენდა შინაგანი ადამიანური სიმშვიდისა და სულიერი ძალების ისეთი გამოხატვა, რომ გარეგანი ფორმა შინაგან სულს შეესატყვისებოდეს. ოდნავ მოღიმარი სახე, სიმეტრიულად დაშვებული თმა, სიმეტრიულივე თითები, ერთი მეორეზე გადაჯვარედინებული სიცოცხლით სავსე ხელები, ნახევარ-სინათლით გაბრწყინებული მკერდი, უწარბო და უწამწამო, მაგრამ დაფიქრებული ჭკვიანი თვალები, — ყოველი ეს რაღაც საიდუმლო დიდებით მოსავს ამ ქალის სულიერ განზრახვებს. ვერაგობისა და სიყვარულის, სიცოცხლისა და სიკვდილის, ქვეყნის მიღებისა და უარყოფის მიჯნაზე სდგას ჯიოკონდა. როცა მის ოდნავ მოღიმარ სახეს ვუცქერით, გვჯერა, რომ ის ადამიანია თავის შიგნით ჩანთქმული სულით და ადამიანური ვნებებით.

მიქელ ანჯელოს ჭანდაკებაში: „მოსე", „დილა" და „საღამო" ამქვეყნიური სიცოცხლის სიყვარული მოსჩანს. სიცოცხლისადმი სიყვარული იყო მიქელ ანჯელოს შემოქმედების სტიქია. ადამიანი აქ თავის გამარჯვებას დღესასწაულობს. ადამიანში ადამიანურის აღმოჩენა შეადგენდა იტალიურ მხატვრობის იდეალს.

მაგრამ აღორძინების ეპოქის იტალიური ხელოვნება, რომელიც უმშვენიერესად გაიფურჩქნა ლეონარდო და-ვინჩის, მიქელ ანჯელოს და რაფაელის ხელში, თანდათან ეცემა, როდესაც ინკვიზიციის ბატონობამ შეარყია რწმენა ადამიანისადმი. რელიგიურმა ძალმომრეობამ სცადა ამქვეყნიური ნათელი იდეალების ჩაკვლა ადამიანის სულში საიქიო ცხოვრების მოტივით. რეფორმაციამ კვლავ გაანთავისუფლა ადამიანი ქრისტიანული ვნებებისაგან და დაუბრუნა იგი მიწას. შექსპირის ტრაგედია რეფორმაციის შედეგია. ბედისწერის რწმენა და საშუალო საუკუნეების ქრისტიანული ვნებები შექსპირის ტრაგედიებიდან განდევნილია ადამიანის ინდივიდუალური ვნებების მეშვეობით (სიყვარული, ეჭვი, შურისძიება, სიმდიდრის მოყვარეობა და სხვ.). მაგრამ შექსპირის ყველა დრამაში, როგორც ამას ლესინგი შენიშნავდა „ჰამბურგის დრამატურგიაში", პირადი ვნება დაყვანილია გამძაფრების ისეთ ხარისხამდე, როცა ტრაგედიაში დიალექტური გზით პიროვნული გადადის ზეპიროვნულში და ხდება ერთგვარ ბედისწერად. მიუხედავად ამისა, შექსპირის ტრაგედიების სულს წარმოადგენს არა ბედისწერის ბრმა რწმენა, არამედ ადამიანური ვნება. ამიტომ შექსპირი უფრო ადამიანურია, ვიდრე მისი წინამორბედი ტრაგიკოსები. შექსპირის შემდეგ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ნიადაგზე კვლავ შეირყა ადამიანის ძალისადმი რწმენა. ადამიანი მანქანის უბრალო დამატებად გადაიქცა, პიროვნების მთლიანი სახე დანაწილდა, ადამიანმა

დაჰკარგა დამოუკიდებლობის უფლება, რომელიც ხელოვნების იდეალს შეადგენს. ხელოვნება ნელი პროცესით ქვეითდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოეთემ „ფაუსტით“ და „გოცით“, ხოლო შილერმა „ყაჩაღებით“ და „ვერაგობითა და სიყვარულით“ კვლავ სცადეს სახეთა დაკარგულ თავისთავადობის აღდგენა, ე. ი. აღდგენა მთლიანი და დამოუკიდებელი ინდივიდუმებისა. ამ ცდას შილერი ახდენს გმირის აღშფოთებით და ამხედრებით მთელი იმ გაბატონებული სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლის დამოუკიდებელი პიროვნების აღდგენას. კარლ მოორს შესწევს გამბედაობა დაანგრიოს ზღუდეები, რომლებიც ბოჭავენ მის თავისუფალ, ჭაბუკურ სულს, მაგრამ კანონიერების სფეროდან გამოდის და პირადი შურისძიების საფუძველზე სდგება. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თვითონ დამნაშავედ იქცევა და ბოლოს იღუპება კიდეც. „ყაჩაღებში“ მთლიანი პიროვნების აღდგენა ხდება არა ისტორიულ კანონზომიერებიდან გამომდინარე პრინციპებით, არამედ თავზე ძალით მოხვეული იდეებით. კარლ მოორი ბრძოლაში იღუპება არაროგორც ხალხის განმათავისუფლებელი იდეების მატარებელი ადამიანი, არამედ როგორც რაინდი, რომელმაც სუბიექტური მოტივებით გაილაშქრა არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში კარლ მოორი არ იყო მთლიანი და დამოუკიდებელი ადამიანი, პირიქით, ის დანაწილებულს და ფსიქოლოგიურად დაშლილ სუბიექტს წარმოადგენს.

თუმცა შებრუნებული ფორმით, მაგრამ ამავე გზით წავიდა გოეთე მთლიანი და დამოუკიდებელი პიროვნების შექმნის დროს (ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს არა „ფაუსტი“, არამედ „გოცი“. ფაუსტის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა). ჰეგელის აზრით[1]) „დრო, რომელშიაც სცხოვრობდნენ გოცი და ფრაცფონ ზიკინგენი, წარმოადგენდა საინტერესო ეპოქას. ამ ეპოქაში რაინდობა და აზნაურული თავისთავადობა მათში შთასული ინდივიდუმებით ნახულობს თავის დაღუპვას ახლადშობილი ობიექტიური წესრიგისა და კანონების ხელით. გოეთეს მიერ საშუალო საუკუნეების გმირული ხანისა და კანონით მოწესრიგებული თანამედროვე ცხოვრების შეხვედრისა და კოლიზიის არჩევა პირველი დრამატიული ნაწარმოების თემად ცხადჰყოფს მის დიდ ჭკუასა და გამოცდილებას. რადგან გოცი და ზიკინგენი ჯერ კიდევ ისეთ გმირებს წარმოადგენენ, რომელთაც სურთ საკუთარი პიროვნებებიდან თავიანთი სიმამაცითა და სამართლიანობის სწორი გრძნობით დამოუკიდებლად მოაწესრიგონ მდგომარეობა საკუთარსავე ვიწრო თუ ფართო წრეში, ახალი ვითარება და წესრიგი თვითონ გოცს უსამართლობამდე მიიყვანს და დაღუპავს... რაკი კანონიერი წესრიგი თავისი პროზაული ფორმით სავსებით განვითარებულა, უმაღლეს გაბატონებულ ძალად ქცეულა, მასში ინდივიდუმის სათავგადასავლო თავისთავადობა და დამოუკიდებლობა ურთიერთობის გარეშე რჩება და მნიშვნელობას ჰკარგავს. მაგრამ თუ მას მაინც სურს თავისი თავი ერთადერთი მნიშვნელოვანი ღირებულების მქონედ ჩასთვალოს და რაინდობის აზრით უსამართლობას შეებრძოლოს, დაჩაგრულს, შევიწროებულს დაეხმაროს, იგი ისეთივე სასაცილო შეიქნება, როგორც სერვანტესის დონ-კიხოტი“.

ჰეგელის აზრით, გოეთემ „გოც“-ში ვერ მოახერხა მთლიანი დამოუკიდებელი პიროვნების აღდგენა, რადგან მისი წარმომშობი პირობები საზოგადოების ახალმა ურთიერთობამ მოსპო. თუ გოეთემ „გოც“-ში ვერ შესძლო ზემო-

---

[1]) **Гегель:** сочинения, том XII, „Лекции по эстетике“. თავი: „Прекрасное в искусстве, или идеал“, გვ. 200.

დასახელებული ამოცანის გადაწყვეტა, სამაგიეროდ მოახერხა ეს „ფაუსტში [1]."

გოეთე, იმ აზრით, რომ აღედგინა ადამიანის მთლიანი, ჰარმონიული და დამოუკიდებელი პიროვნების თავისთავადობა, „ფაუსტის" პირველ ნაწილში ერთმანეთს შეატაკებს პიროვნულსა და ზეპიროვნულ ძალებს. პირველ ვერსიაში ფაუსტისა აქ დაყვანილია გამძაფრების ისეთ ხარისხამდე, როდესაც ეს უკანასკნელი მაღლდება ადამიანის განზრახვებზე ზევით და ხდება ერთგვარ ბედისწერად. ფაუსტი ეძიებს ადამიანის სიცოცხლის გამართლების მიზეზებს. მართლაც, მუდმივი ძიება ფაუსტის სტიქიაა. ამ ძიებაში იგი დემონურ სულად იქცევა. მაგრამ ეს დროებითი გარდაქმნა ფაუსტისა მეორე ნაწილში მოსჩანს, როგორც საშუალება ახალი ცხოვრების დაწყებისათვის. ძიების პროცესში ფაუსტი მთელ რიგ შეცდომებს უშვებს, მაგრამ არა იმიტომ რომ ჭეშმარიტებას დასცილდეს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ უმოკლესი გზა მოსძებნოს ჭეშმარიტებასთან მისასვლელად. „შეცდომა მისწრაფებების დროს ყველა ადამიანის ხვედრია", — ამბობს ფაუსტი. დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების გზით ფაუსტი სანამდვილეს უბრუნდება განახლებული სულით და იწყებს ჭაობის ამოშრობას: „აქ მთის კალთების ახლოს ჭაობია, რომელიც მთელ მიდამოს სწამლავს. ამ მყრალ ადგილების დაშრობით მიღწეული იქნება სიცოცხლის უკანასკნელი და მთავარი მიზანი; აქ გაშენდება ახალი ქვეყანა, სადაც მილიონი ხალხი იცხოვრებს და დატკბება არა უქმი, არამედ სრული თავისუფალი და შრომით აღსავსე სიცოცხლით! აქ ამწვანდებიან ველები, ადამიანები და ცხოველები ამ ახალ ნიადაგზე ერთად იცხოვრებენ და მთის კალთებს შეაფარებენ თავს. აქ შეიქმნება სამოთხე, რომელთანაც ვერ მიაღწევენ, მის ახლო მღელვარე ზღვის ტალღები. და თუ იგი გაარღვევს სადმე ჯებირს, მაშინ საერთო ძალით ხალხი კვლავ გაამაგრებს მას. დიახ, ამ აზრით ვარ მთლად შეპყრობილი. იგი ადამიანის სიბრძნის უკანასკნელი სიტყვაა. თავისუფლებისა და სიცოცხლის ღირსი ის არის, ვინც მას ყოველდღე ბრძოლით მოიპოვებს, ის, ვინც, — იქნება იგი ყრმა, ვაჟკაცი თუ მოხუცი, — მთელ თავის სიცოცხლეს შრომაში ატარებს და სხვადასხვა საფრთხეს ებრძვის! მე მინდა ვიხილო თავისუფალ დედამიწაზე და თავისუფალ ხალხში ასეთი მღელვარე სიცოცხლე. მაშინ მივმართავ ამ ბედნიერ წამს და ვეტყვი: ნუღარ გაჰქრები, მშვენიერო! მაშინ ღარ წაიშლება ჩემი სიცოცხლის კვალიც და არ შთაინთქმება იგი უკვდავებაში. და ამ ბედნიერების მოლოდინში მე ეხლავე განვიცდი ამ უდიდესი წამების ნეტარებას". ეს ფაუსტის უკანასკნელი სიტყვებია და იგი სრულყოფილად გამოხატავს გოეთეს თვალსაზრისს. რაკი გოეთემ არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ვერ მოსძებნა მყარი ნიადაგი მთლიანი, ჰარმონიული და თავისთავადი სულის მატარებელი ადამიანის სრულყოფისათვის, მან ფაუსტის სახით იდეალად დაისახა ძველი ურთიერთობის დანგრევა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარება, რომელიც გამართლებული იქნებოდა თავისუფალ შრომაში.

---

[1]) ჰეგელი თავის „ესთეტიკაში" ამ თვალსაზრისით „ფაუსტს" არასოდეს არ შეხებია, შეიძლება იმიტომ, რომ ესთეტიკის ავტორი საერთოდ ალმაცერად უცქეროდა ახალი საუკუნეების ხელოვნებას. მიუხედავად იმისა რომ ჰეგელი დიდ პატივს სცემდა გოეტესა და შილერის ნათელ ნიჭს, მაინც თავზე ყოველთვის მაღლა აყენებდა ანტიკურ პოეტებსა და შექსპირს. 1805 წელს ჰეიდელბერგში წაკითხულ ლექციებზე ჰეგელმა ხელოვნება ორფორმად, ორ სტილად გაჰყო. პირველი — პლასტიური და ობიექტიური, მეორე — რომანტიული და სუბიექტური. პირველ სტილს მიაკუთვნა ანტიკური ხელოვნება, აღორძინების იტალიური მხატვრობა და შექსპირი, მეორე სტილს — შექსპირის შემდეგდროინდელი ხელოვნება გოეთეს ჩათვლით. ჰეგელის სიმპატიები პირველ სტილისაკენ იხრებიან.

გოეთე, თავისი გენიალური ინტუიციის წყალობით, თუმცა ბუნდოვანად, აქ მიადგა ისეთ საზოგადოებრივ ფორმაციას, რომელიც ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ წარმოშვა და რომელმაც ხელოვნებას დიდი მიზნები და ახალი იდეები დაუსახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ერთი პრობლემა ისმება, რომლის გადაწყვეტა ნათელს მოჰფენს ჩვენს თვალსაზრისს, ხელოვნების აყვავებისა და დაცემის კანონზომიერების პროცესსზე რომ შევიმუშავეთ. ეს პრობლემა შემდეგი კითხვის სახით უნდა დაისვას: ოქტომბრის დიდი რევოლუციის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ფორმაცია უბრუნებს თუ არა ხელოვნებას იმ ცხოველმყოფელ ძალას, რომელიც ანტიკურ ეპოქებში ჰქონდა? თუ დაუბრუნებს, რა გზით და რა საშუალებით? ვიდრე პირდაპირ პასუხს მივცემდეთ დასმულ კითხვას, ჩვენთან ერთად მკითხველმა მოთმინებით უნდა გაიაროს ხელოვნების ისტორიის მიხვეულ-მოხვეული, ვიწრო და სახიფათო ბილიკი, რათა ამ საცალფეხო გზაზე მომხდარი მოვლენები წარმოვიდგინოთ თავიანთ სრულქმნილ ფორმებში.

ანტიურ ეპოქიდან (რომელშიაც უმშვენიერესად გაიფურჩქნა ბერძნული ხელოვნება) ოქტომბრის დიდი რევოლუციის წინადროის დამთავრებამდე ხელოვნების ისტორიაში უნდა გავარჩიოთ სამი პერიოდი: ანტიური, მონუმენტალური-რელიგიური და სუბიექტური. სტილის თვალსაზრისით სამი პერიოდი წარმოგვიდგება შემდეგი სახით: კლასიკური, დეკლასიკური და კლასიკურ-სუბიექტური. ანტიური ხელოვნების ნიადაგი და წიალი იყო მითოსი. დეკლასიკური (რელიგიურ-მონუმენტალური) ხელოვნების ნიადაგს ქრისტიანული, არა ამქვეყნიური ვნებები წარმოადგენდა; ხოლო კლასიკურ-სუბიექტური ხელოვნების ნიადაგი და წიალი ადამიანის ინდივიდუალური ვნებები იყო.

ანტიურ პერიოდში ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო: ადამიანურობა, მთლიანობა და საყოველთაობა (სახალხო ხასიათი). რელიგიურ-მონუმენტალურ ხელოვნებისათვის: შეზღუდულობა და ადამიანური ვნებიანობის უქონლობა, კლასიკურ-სუბიექტიურ ხელოვნებისათვის: ადამიანურობა, არამთლიანობა (შექსპირის გამოკლებით) და არასაყოველთაობა, სახალხო ხასიათის უქონლობა.

პირველი პერიოდის ხელოვნების აყვავების მიზეზი უშუალოდ მითოსის რწმენაშია ჩამარხული, ხოლო დაცემის მიზეზი ადამიანის თავში მითოსის რწმენის შერყევაა. მეორე პერიოდში ხელოვნების განვითარებას იწვევს არაამქვეყნიური, არაადამიანური და, ამრიგად, ზეციური ძალებისადმი მონური მორჩილება; დაცემა იწყება იმ ეტაპიდან, როდესაც ადამიანი იმარჯვებს ზეციურ რწმენაზე, როდესაც ადამიანმა საკუთარი თავი ხელოვნების ცენტრად გამოაცხადა. მესამე პერიოდში ხელოვნების აყვავება გამოიწვია ადამიანის ინდივიდუალური ვნებების გამარჯვებამ ქრისტიანულ ვნებებზე, ხოლო დაცემა დაიწყო იმ ეტაპიდან, როდესაც ადამიანისადმი რწმენა შეირყა, როდესაც კაპიტალიზმმა ადამიანი მანქანის დამატებად, რაღაც მექანიკურ არსებად გადააქცია.

ხელოვნების სამივე პერიოდს აყვავებისა და დაცემის დროს თან ახლდა ქვეპერიოდები. აყვავების დროს ეს ქვეპერიოდები სუსტ ჩანასახებს ჰქმნიან მომავალი დიდი ხელოვნების განვითარებისათვის, ხოლო დაცემის დროს ისინი იწვევენ დეკადენტურ მისწრაფებებსა და განწყობილებებს.

თუ გონების თვალით შევხედავთ ხელოვნების განვითარების მთელ პროცესს, შევატყობთ, რომ რევოლუციამდელმა ხელოვნებამ ამოსწურა თავისი თავი. ბურჟუაზიულ-საზოგადოებრივ ურთიერთობაში იგი ვეღარ მოახერხებს შემდგომ აყვავებას. ამრიგად, სუბიექტიური ხელოვნება, რომელიც ადამიანის

სუბიექტივისტურ ვნებებს ემყარება, იყო უკანასკნელი საფეხური, სოციალიზმის ეპოქის წინადროინდელი ხელოვნებისა. ასე რომ კაპიტალისტური კლასობრივ-საზოგადოებრივი ურთიერთობა ბორკილად იქცევა ხელოვნების განვითარებისათვის, რადგან ადამიანის თავისთავადობა, როგორც იდეალი ხელოვნებისათვის აქ მოსპობილია. აი, აქ ხელოვნების მხსნელად გამოდის სოციალისტური და შემდგომ კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა. ეს ურთიერთობა უბრუნებს ხელოვნებას ყველა იმ უფლებას, რომელიც ანტიკური ეპოქის, შექსპირის, რუსთაველის, დანტეს და გოეთეს ხელოვნებას წაართვა კლასობრივი საზოგადოების გაბატონებულმა ნაწილმა. ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობა ხელოვნებას უბრუნებს თავის სახალხო ხასიათს (საყოველთაობას) და მთლიანობას, ხოლო ადამიანებს დაუბრუნა თავისუფლება. კაპიტალისტური კერძო საკუთრება, რომელიც ბოჭავდა ადამიანის ფსიქოლოგიას, სოციალისტური საკუთრების გაბატონებისთანვე, მოისპო, როგორც მეურნეობის საფუძველი. დიდი მიზნებით და იდეებით რევოლუციამ გაანაყოფიერა ხელოვნება. ამ დიდი იდეებისა და მაღალი მიზნების მხატვრული განხორციელება გრანდიოზული ფორმით აღადგენს ხელოვნებაში ყველა ფორმას: პოეტურ ეპოსს, ტრაგედიას, კომედიას, ლირიკას.

მაგრამ სიძნელე იმაში კი არ არის, თუ როგორი ფორმით დაუბრუნებს სოციალიზმი ანტიკურ სიმშვენიერეს ხელოვნებას, არამედ იმის გაგებაში, თუ როგორ გადმოსცეს ჩვენი დროის შემოქმედმა ახალი მიზნები და იდეები, როგორ ასახოს მან განთავისუფლებული ადამიანი, რომ ჩვენ ამ ასახვასა და გადმოცემაში ვიგრძნოთ ნამდვილი ხელოვნება თავისი პირვანდელი ცხოველმყოფელი ძალით.

ჩვენი დროის შემოქმედს, როდესაც იგი კალამს ჰკიდებს ხელს, უნდა ახსოვდეს, რომ ის ანტაგონისტურად არ არის განწყობილი სოციალიზმთან, თავის თანამედროვეობასთან, როგორც ეს ძველ ხელოვნებაში იყო (ანტიკური ხელოვნების გამოკლებით), რომ იგი წარმოადგენს მოწინავე ნაწილს იმ საზოგადოებისას, რომელიც გრანდიოზული მასშტაბით იბრძვის კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ძველი ბერძნების ხელოვნების მაგალითი გვიჩვენებს, რომ ხელოვნების ჭეშმარიტ იდეალს წარმოადგენს არა კონფლიქტი ხელოვნების მთელ ფრონტსა და გაბატონებულ სახელმწიფოებრივ სამართლიან ფორმას შორის, არამედ მთლიანობა. ჩვენი დროის ხელოვანი თავის სახელმწიფოში ისე უნდა გრძნობდეს თავს, როგორც ანტიკური შემოქმედი გრძნობდა თავს ათინასა და სპარტაში „პოეტურმა ქმნილებამ, — ამბობს ესქილე, — უნდა აღზარდოს პატიოსანი, ზნეობრივად წმინდა და მამაცი მოქალაქენი; რატომ ვადიდებთ პოეტებს, თუ ისინი ხელოვნებით და რჩევა-დარიგებით არ მოუწოდებენ ხალხს სახელმწიფოებრივ კეთილდღეობისაკენ“.

ხელოვნების განვითარების ყოველ პერიოდში ხელოვნების ესა თუ ის დარგი ყოველთვის ეძებდა დასაყრდენს ადამიანის განსაზღვრულ გრძნობაში, ე. ი. ისეთ გრძნობაში, რომელიც თავად თვითონ შეიცავს ჭეშმარიტ იდეალს. ბერძნული ხელოვნებისათვის ამგვარ იდეალს წარმოადგენდა მითოსის ნიადაგზე წარმოშობილი ტრაგიკული ვნებიანობა. შექსპირისა და შემდეგ დროინდელი ხელოვნებისათვის ასეთ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა იმ ადამიანის სუბიექტური ვნებები, რომელიც არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას წინ უსწრებდა თავისი გაღვიძებული შეგნებით და დიდი განზრახვებით, მაგრამ რადგან ამ განზრახვათა განხორციელების საშუალება შეზღუდული იყო გარეშე ძალებით, გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობით, სუბიექტი გა-

მოდიოდა საერთო ორბიტიდან და ხდებოდა ზედმეტ ადამიანად. ჩვენი დროის ადამიანისათვის არ არის დამახასიათებელი არც პირველი და არც მეორე გრძნობა. ამიტომ ვერც ერთი ვერ გახდება ახალი ხელოვნების დასაყრდენ ძალად. მაშ სად არის ჩამარხული ჭეშმარიტი იდეალი ახალი ხელოვნებისათვის? დღეს ჩვენი დროის ხელოვნებისათვის ამგვარ იდეალს წარმოადგენს ურთიერთობა კოლექტივიზმის გრძნობასა და ადამიანის შეგნებაში ჯერ კიდევ არსებულ, ცოცხალ ინდივიდუალიზმს შორის. მაგრამ ეს ურთიერთობა ისეთ სრულყოფილად უნდა განვითარდეს, რომ აქედან წარმოშობილი ადამიანური ვნებიანობა გადაიზარდოს ზოგად საყოველთაობაში და ჭეშმარიტების იდეალიც გამოჩნდეს მთელი თავისი სრულყოფილი სიმშვენიერით. ახალმა შემოქმედმა ცოცხალ რეალობიდან უნდა აიღოს ადამიანი, რომელიც თავის-თავთან მართალია, რომლის ყოველ გრძნობაში ჰფეთქს ახალი ცხოვრების მაჯისცემა და ამავე დროს ის თავისთავადი ინდივიდუმია. ეს ადამიანი მოქმედებს ჩვენი დიდი ეპოქის მაღალ იდეებთან შეთანხმებულად, მოქმედებს არა გარეგანი ძალდატანებით, არამედ შინაგანი სტიმულით. მაგრამ შემომქმედმა რომ შესძლოს ჩვენი დროის გმირის სრულქმნილად გამოსახვა, თვით შემომქმედმა ახალი ქვეყანა უნდა იგრძნოს ახალი გრძნობით. დიდი სულიერი ძალა, რომელიც ხელოვანმა უნდა მიიღოს პრაქტიკული ცხოვრებიდან, მასში ღებულობს სუბიექტურ ფორმას, რომლის განხორციელება მხატვრულ ნაწარმოებში შესაძლებელია მხოლოდ ამ ძალის გრანდიოზული გამოყენებით.

ამრიგად, ახალი ხელოვნება სუბიექტურ ორბიტიდან უნდა გამოვიდეს და ზოგად საყოველთაობაში (სახალხოში) შევიდეს. მაგრამ ეს ზოგად საყოველთაობა ხელოვანისათვის შემოქმედების პროცესის დროს უნდა იყოს არა აბსტრაქტული სქემატიურობა ,არამედ ხორცშესხმული კონკრეტულობა.

დასკვნა: ისტორიული განვითარების ყოველ პერიოდში ხელოვნებას ჰქონდა აყვავებისა და კრიზისის ხანა. ამავე დროს ერთი და იგივე ფაქტორის იყო მიზეზი აყვავებისა და დაცემისა, რაც თავის კანონებით ახსნას პოულობდა უშუალოდ იდეურ ზედნაშენებში.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ სოციალისტურ ხელოვნებას, დავინახავთ, რომ მისი აყვავების უშუალო მიზეზი გახდება ჩვენი დროის ადამიანის ახალი გრძნობა, რომელიც მასში შთანერგა საზოგადოებრივ-სოციალისტური საკუთრების ბატონობამ. ამ გრძნობასა და ინდივიდუალისტურ გრძნობას შორის არსებული ურთიერთობა, რომელიც თავისთავში მართალსა და ჭეშმარიტს შეიცავს, უნდა გადაიქცეს გამოსავალ წერტილიდან შემომქმედისათვის. რამდენადაც სრულყოფილი იქნება ეს ურთიერთობა, იმდენად ხელოვნება ჭეშმარიტ იდეალს დაუახლოვდება. ურთიერთობის ხარისხი იმავე სიმაღლეზე უნდა ავიდეს, მხატვრული თვალსაზრისით, რა სიმაღლეზედაც ადიოდა ანტიკურ ხელოვნებაში პიროვნების ბრძოლა ზეპიროვნულ ძალებთან. მაგრამ ანტიკურ ხელოვნებაში ზეპიროვნული ძალა, ბედისწერის სახით, იმარჯვებდა ადამიანზე. სოციალისტურ ხელოვნებაში პიროვნების კოლექტივიზმის უწმინდესი გრძნობა გაიმარჯვებს ადამიანის ინდივიდუალიზმზე. მხოლოდ ასეთი გზით შესძლებს ახალი ხელოვნება თავისი სიდიადის მოპოებას და აღდგენას, იმ სიდიადის, რომელიც მას ჰქონდა ჰომეროსის, სოფოკლეს, ესქილეს, ევრიპიდეს, რაფაელის, ლეონარდო და-ვინჩის, რუსთაველის, დანტეს, შექსპირის, გოე-

თეს, ტოლსტოის ხელში, იმისათვის რომ ეს შესძლოს ჩვენი დროის ხელოვანმა, ახალი ქვეყანა უნდა იგრძნოს ახალი გრძნობით. რაკი ეს იქნება არა „ძალა“ არამედ შინაგანი სურვილი შემომქმედისა, მაშინ ის თავისუფალი იქნება გარეგანი ხელის შეშლისაგან, მისი ფანტაზია გაიშლება თავისი ცხოველმყოფელი ძალით, ტალანტში გადასული ჭკუა ამ ფანტაზიას ნათელ პერსპექტივას მისცემს. ჩვენი დროის ხელოვანი ჩვენი ეპოქის გმირს შეხედავს, როგორც მთლიანსა და თავისთავადობაში ჩასულ პიროვნებას, ე. ი. პიროვნებას, რომელსაც შესწევს ძალა ახალი სამყაროს შექმნისა, ბუნების ძალების დამორჩილებისა. მაგრამ იგი თავს ისე თავისუფლად იგრძნობს ამ ბუნებაში, როგორც ანტიკური ხელოვნების გმირი.

როგორ შესძლებს ჩვენი დროის ხელოვანი ამ უზარმაზარი ამოცანის გადაწყვეტას მხატვრულ შემოქმედებაში? აქ ჩვენ პირდაპირ მივადექით წმინდა შემოქმედებითს პროცესს, რომლის საიდუმლოება იმავე თვალსაზრისით უნდა აიხსნას, რითაც ავხსენით ხელოვნების აყვავებისა და დაცემის რთული პრობლემა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. იმედაძე

საბჭოთა პატრიოტიზმი

თავის ღრმა და ბრძნულ მოხსენებაში პარტიის მე-8 ყრილობაზე ხალხთა დიდმა ბელადმა ამხ. სტალინმა წამოაყენა ფრიად დიდი საპასუხისმგებლო ამოცანა — „განვავითაროთ და ვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმი". ამხანაგ სტალინის ეს მითითება გადაიქცა განუხრელ დირექტივად მთელი ჩვენი პარტიისა და ქვეყნისათვის, გადაიქცა პროგრამად დიადი საბჭოეთის პარტიული და უპარტიო პატრიოტებისათვის.

ეს გასაგებიც არის. სიყვარული თავისი ქვეყნისა და ხალხისადმი უძველესი, უპატიოსნესი და წმინდათა-წმინდა გრძნობაა, ღრმად ჩამარხული ადამიანის ბუნებაში.

რა გრძნობა შეიძლება იყოს უფრო ლამაზი, მიმზიდველი, სპეტაკი, ვიდრე არის სიყვარული თავისი ქვეყნის სამშობლოს მიმართ? რა არის იმ ადგილზე უტკბესი, სადაც ადამიანი დაიბადა, სადაც მან თვალი გააბილა, დედის ტკბილი იავნანა მოისმინა, დაინახა მოციმციმე მზე, ველი და მინდორი, მთა და ბარი, სადაც იგი ისმენდა ფოთლის შრიალს, ბულბულის სტვენა-გალობას, სადაც კაცს საყვარელი არსებანი ჰყავს, სადაც მისი ხალხის გმირული ისტორია დატრიალდა. მკვეთრად გამოხატა ეს მდიდარი გრძნობა სამშობლოსადმი და მისი წარმოშობა ადამიანში პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა:

„ვინ არ შეეტრფის იმა ადგილს,
სად აღგვეხილნეს პირველ თვალნი,
სად ჰჭროდა მხიარული
სიყმაწვილე ნათლად ჩვენი;
სად შევხარით ლაჟვარდად
ცის კამარას მორთულსა,
მასზე მავალსა ხელმწიფებრ
მზეს ბრწყინვით განსხივებულსა".

საუცხოოდ გამოხატა ეს გრძნობა რაფიელ ერისთავმა პატრიოტიზმის შედევრ ოდაში „სამშობლო ხევსურისა":

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ჩვეულვარ, — ჩემი სამშობლო ის არი.
სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

და ბოლოს:

„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!"

მსოფლიო ისტორიაში პირველად მოიპოვეს თავიანთი სამშობლო ნამდვილმა მამულისშვილებმა — მუშებმა, გლეხებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ.

დიადი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის შემდეგ პირველად ისტორიაში სამშობლო, მისი ავლა-დიდება, მისი სიმდიდრე-სილამაზე ეკუთვნის მშრომელ ხალხს, რომლისთვისაც პირველად შეიქნა თავისუფალი, შემოქმედებითი და კულტურული ცხოვრება, გასხივოსნებული დიდი სტალინის დიადი კონსტიტუციის ცხოველმყოფელი სინათლით. ამიტომაა, რომ საბჭოთა ხალხს ასე შეუპოვრად, თავგამოდებით უყვარს განუზომელი ბრძოლით. უდიდესი მსხვერპლით მოპოებული *თავისი ლამაზი სამშობლო, ამიტომ არიან ჩვენი მოქალაქენი* თავისი სამშობლოს, დედამიწაზე ერთად-ერთ სოციალისტური სამშობლოს, აღგზნებული პატრიოტები. საბჭოთა პატრიოტიზმი — ეს ვეებერთელა, სწორ-უპოვარი, ყოვლის დამძლევი ძალა სძრავს ადგილიდან მთებს, აპობს მიუვალ კლდეებს, გადალახავს მშფოთავ ზღვა-ოკეანეებს, მიმართულებას უცვლის მდინარეებს. არ არის ძალა დედამიწაზე, რომ გაუმკლავდეს საბჭოთა პატრიოტიზმის ცეცხლით აგიზგიზებულ მილიონების გულს, ვერავითარი დაბრკოლება და საფრთხე მას ვერ შეაჩერებს.

და ამ აღგზნებულთა და შეუპოვართა უთვალავ არმიას—მებრძოლთ და მშენებელთ — ასულდგმულებს, ავაჟკაცებს, ზრდის და მეთაურობს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველაზე უკეთესი პატრიოტი დიდი სტალინი.

გაბატონებულ-მჭონებელი კლასების „პატრიოტიზმი“

პატრიოტიზმი ღრმა ხალხური გრძნობაა. მის გამოყენებას თავიანთი ვიწრო, ეგოისტური, კლასობრივი ინტერესებისათვის ცდილობდნენ გაბატონებული კლასები, ცდილობდნენ გაეთახსირებინათ, ტალახში ამოესვარათ ეს მშვენიერი და ლამაზი გრძნობა ადამიანისა და ხალხისა თავიანთი ექსპლოატატორული მიზნებისათვის. სამშობლოს ჭეშმარტი სიყვარული, მისი დიდება, მისი ხალხის ამაღლება და ბედნიერება, ამ კეთილშობილი საქმისათვის წვა, თავდადებული მუშაობა და, თუ საჭირო იქნებოდა, სიცოცხლის შეწირვა, — ყველა ეს შორს იყო მქონებელ—ექსპლოატატორული კლასების შეგნებისა და გრძნობებისაგან. პირადი ბედნიერება ხალხის ჩაგვრისა და ცრემლის ხარჯზე, პატრიოტიზმის უკუგდება და გათელვა, თუ კი ის შეესაბამება ჯიბის, მოგების, შემოსავლის პირად ინტერესს — აი, მათი მრწამსი.

ფრანგი ხალხის ერთ-ერთმა დიდებულმა შვილმა ვოლტერმა გამოხატა მდიდარი კლასების „პატრიოტიზმის“ შინაარსი, ფასი და ღირებულება. საფრანგეთის განმანათლებელთა ერთ-ერთი საპროგრამო დოკუმენტში, ვოლტერის ნაწარმოებში „კაცი 40 ეკიუთ“, ერთი მდიდარი ამბობს: საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა მე რომ რაიმე მსხვერპლი მომთხოვოს სამშობლოსათვის, მე მას სულელად, არაფრისმცოდნედ ჩავთვლიდი ფულის საქმეებშიო.

მარქსს თავისი უკვდავი გენიალური შრომის „კაპიტალის“ ერთ-ერთ შენიშვნაში სიამოვნებით მოჰყავს ერთი მწერლის — დანიგის დებულება, რომ კაპიტალს ეშინიან მცირე მოგებისა: მოგების 50 %-ზე ის თავს მოიტეხს, მოგების 100%-ზე ის ფეხით სთელავს ყველა ადამიანურ კანონს, მოგების 300 %-ზე კი არ არის ისეთი ბოროტება, რომლის წინაშეც უკან დაიხიოს კაპიტალმაო.

ლენინი მრავალჯერ აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზია მზად არის გასცეს თავისუფლების, სამშობლოს, ენისა და ნაციის ინტერესები, თუ მის წინაშე წამოიჭრება რევოლუციური პროლეტარიატი, თუ ის გაბედავს ხელი გაიწოდოს ძალაუფლების ასაღებად, თუ ის შეიარაღდებაო; რომ ბურჟუაზიული „პატრიოტიზმის“ ჭეშმარიტი სარჩული მჟღავნდება სწორედ კლასთა ბრძოლის გამწვავებისას. მარქსისა და ლენინის ეს დებულებები, რომ გაბატონებული ექსპლოა-

ტატორული კლასები მოგების, შემოსავლის შეძენა-ძებნაში მზად არიან ყოველგვარი ბოროტების ჩასადენად, — ეს დებულებები იძლევიან კლიტეს, რომ გავიგოთ, ავხსნათ კლასების „პატრიოტიზმი“ მთელ საკაცობრიო ისტორიის ძანძილზე.

მართლაც, მსოფლიო ისტორია სავსეა ისეთი მომენტებით, როცა გაბატონებული კლასები არა თუ არაფრად აგდებდნენ პატრიოტიზმს, არამედ აშკარად ღალატობდნენ კიდეც სამშობლოს.

ძველ საბერძნეთში, ათინის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და არისტოკრატიულ სპარტას შორის ომის დროს, ათინის არისტოკრატია აშკარად ღალატობდა თავის სახელმწიფოს, აწყობდა შეთქმულებას თავისი დემოკრატიული რესპუბლიკის მტრებთან და ამზადებდა სამშობლო ქვეყნის დამარცხებას და დაცემას.

საშუალო საუკუნეებში ინგლის-საფრანგეთის ასწლიანი ომის დროს, როდესაც საფრანგეთის გაწამებული გლეხობა აუჯანყდა საფრანგეთის თავად-აზნაურობას („ჟაკერია“), საფრანგეთის ფეოდალები შეუთანხმდნენ თავიანთ ნაციონალურ მტერს ინგლისის არისტოკრატიას, და ორივე ქვეყნის შეერთებულმა ფეოდალურმა ძალებმა სისხლის მორევში ჩაახრჩეს ფრანგი გლეხების აჯანყება. მოსკოვის ბოიარებმა მე-17 საუკუნის დასაწყისს რუსეთის ისტორიის ერთ-ერთ კრიტიკულ მომენტში, უღალატეს თავის ერს — მიჰყიდეს პოლონეთის მეფეს თავიანთი სული და გული, მასთან ერთად რუსეთიც და შემოუშვეს მოსკოვში პოლონეთის მეფის შვილი, პოლონეთის ჯარი. საშუალო საუკუნეებში ქართველი თავად-აზნაურობა წამდაუწუმ ღალატობდა თავის სამშობლოს, ურთიერთთან ფეოდალურ ბრძოლაში ისინი ფეხქვეშ სთელავდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს და „ძვირფას“ სამშობლოს და ხალხის წინაალმდეგ იწვევდნენ ოსმალეთისა და სპარსეთის ჯარს. წვავდნენ და ანადგურებდნენ საქართველოს ქალაქ-სოფლებს, ხოცავდნენ მის მოსახლეობას. გაიხსენეთ თუ გინდ ერისთავების, ანდრონიკაშვილების და სხვათა ღალატი 1795 წ. რის წყალობითაც თბილისი აღებული და აოხრებული იქნა აღა-მახმადხანის მიერ. ახალ დროში გაბატონებული კლასების აშკარა ღალატს ეროვნული ინტერესების მიმართ ჩვენ ვხედავთ ყველაზე ცხადად პარიზის კომუნის დროს. საფრანგეთის ბურჟუაზიის ამ მუხანათურ ღალატს, გამცემლობას მრავალი მრისხანე სტრიქონი მიუძღვნეს მარქსმა და ლენინმა. ლენინი ამბობს, რომ „ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც ნაპოლეონ მესამეს ჩამოგდების შემდეგ შეიქნა, ნამდვილად იყო“ ხალხის ღალატის „მთავრობა, რომელიც თავის დანიშნულებას პარიზის პროლეტარიატთან ბრძოლაში ჰხედავდა“. (ტ. XII, გვ. 209). „ბურჟუაზიული“ პატრიოტიზმის „ნამდვილი სარჩული სულ მალე გამოჩნდა. ვერსალის მთავრობამ სამარცხვინო ზავი შეჰკრა პრუსიელებთან და თავის პირდაპირ ამოცანას შეუდგა: პარიზის პროლეტარიატზე თავდასხმის მოწყობას“ (იქვე. გვ. 210. „პარიზის კომუნის გაკვეთილები“). მეორე წერილში „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“ ლენინი უბრუნდება საფრანგეთის ბურჟუაზიის ნაციონალურ ღალატს. 1871 წ. „საფრანგეთის ბურჟუაზია პროლეტარული მოძრაობის ჩასაქრობად სრულიად უყოყმანოდ შეუთანხმდა საერთო ნაციონალურ მტერს, უცხო ქვეყნის ჯარს, რომელმაც დააქცია მისი სამშობლო“ (ტ. XII, გვ. 239).

იმ დროს, როდესაც გერმანიამ საფრანგეთი დაამარცხა, მისი ტერიტორიის თითქმის მესამედს ოკუპაცია უყო, ჯარი მიაყენა პარიზის კედლებს და ნაწილობრივად შეიყვანა პარიზში, აი ამ ეროვნული სირცხვილისა და დამცირების ჟამს საფრანგეთის ქალაქის ტროას „პატრიოტმა“ ფაბრიკანტებმა თავი-

ანთ ქარხნებში გაფიცული მუშების წინააღმდეგ მიიწვიეს უცხოელი ინტერვენტები—პრუსიელები, რომელთაც დახვრიტეს რამდენიმე ფრანგი, კაპიტალისტების „პატრიოტულ“ ინტერესებისათვის. მეორე სამრეწველო ცენტრის, მეორეს ფრანგმა ხელისუფლებამ ოფიციალურად სთხოვა პრუსიის მთავარ სარდლობას, დაეტოვებინა საოკუპაციო ჯარი „თავისი“ მოქალაქეების მოსალოდნელი აჯანყების წინააღმდეგ (პარიზის კომუნის მსგავსად). „თუმცა უცხოელი ინტერვენცია ჩვენთვის საზარალოა, მაგრამ, სამაგიეროდ, კონპენსაციის სახით, ჩვენი ხსნა და გადარჩენაა“,—სწერდა ერთი ფრანგი, ხელისუფლების წარმომადგენელი. „კეთილშობილი ფრანგები პირდაპირ ბედნიერნი არიან, რომ ჩვენ აქ ვართ,—სწერდა ბერლინში გერმანიის ჯარის გენერალი ფონ-პაპე.

საფრანგეთის ბურჟუაზიის ასეთმა უტიფარმა და აშკარად მის მიერ თავისი ეროვნული ინტერესების ჩალის ფასად გაყიდვამ, ოლონდ საფრანგეთის მუშათა კლასი დაეთრგუნვა და გაეჟლიტა, გამოიწვია თვით კეთილსინდისიერ და პატიოსან მოაზროვნეთა (ბურჟუაზიულ წრიდანაც) პროტესტი. „როგორ დაცემამდი მივედით, თუ კი ჩვენს დაუძინებელ მტერს მოსახლეობის ნაწილი ელის, როგორც მხსნელს. თანაც უმატებენ, რომ გერმანელი ჯარისკაცებისა უფრო ნაკლებად უნდა გეშინოდეს, ვიდრე ნაციონალური გვარდიელებისო (კომუნარების, — ვ. ი.)... შიში ცუდი მრჩეველია: ის აიძულებს პატრიოტიზმს დაიჩრდილოს და უკან დაიხიოს პირადი ინტერესების წინაშე“,—სწერდა 1871 წლის 25 აპრილს მარსელის ერთ-ერთი გაზეთი.

რუსეთის გაბატონებული კლასების „პატრიოტიზმის“ დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ფაქტი. ომის დაწყებისას რუსეთი ტყვია-ყუმბარების დიდნაკლოვანებას განიცდიდა. (დღეში არმიას სჭირდებოდა 45 ათასი ყუმბარა, ქარხნები — კი ამზადებდნენ თვეში 35 ათას). არტილერიის უწყებას სათავეში უდგა დიდი მთავარი სერგეი ვლადიმერის-ძე. ეს იყო ნამდვილი ტრაგედია რუსეთის არმიისათვის. შეკვეთა-მომარაგების საქმე მისი საყვარლის ხელში იყო, რომელიც ისე ატყავებდა, ისეთ ქრთამებს ართმევდა მომმარაგებლებს, რომ 1905 წლის ქრთამების სახელგანთქმული ეპოპეა ამასთან შედარებით არაფრად სჩანდა. იარაღის ერთი პარტია ამერიკიდან არხანგელსკში მოვიდა. მაგრამ დიდი მთავრის საყვარელმა ისეთი დიდი ქრთამი მოითხოვა, რომ იარაღის პატრონმა ამჯობინა უკანვე წაეღო, ამერიკაში. ამ დროს—კი რუსეთის არმიაში ჯარისკაცებს სამკაცში ერთს აძლევდნენ თოფს, დანარჩენნი უცდიდნენ ამხანაგების დახოცვას, რომ თოფები მიეღოთ.

გერმანიის ჯარისკაცები ესროდნენ ფრანგებს იმ თუთიას, რომელიც ნაყიდი იყო საფრანგეთში, ახალ კალედონიაში. სამაგიეროდ იერიშის მიტანის დროს გერმანელები წამოეგებოდნენ ხოლმე იმ ეკლიან მავთულს, რომელიც ფრანგების მიერ ნაყიდი იყო გერმანიაში. ინგლისელები თურქებთან საომარი მოქმედების დაწყების წინა დღემდე ჰყიდდნენ სამხედრო მოწყობილობა-საჭურველს, ასე რომ დარდანელის ოპერაციების დროს ინგლისელი გემები იძირებოდა, ინგლისელი ჯარისკაცები და მეზღვაურნი იღუპებოდნენ ინგლისური ნაღმებისა და ინგლისური ზარბაზნებისაგან.

ომის დროს ინგლისში არსებობდა სპეციალური ტრესტი—სინდიკატი, რომელშიც შედიოდნენ წარჩინებული პირები—ლორდები, ეპისკოპოსები, რომლებიც აწვდიდნენ გერმანიას მისთვის საჭირო სამხედრო მოწყობილობას. ფრანგ მრეწველებს ომის დროს განუწყვეტელი კავშირი ჰქონდათ გერმანელ მრეწველებთან. ფრანგული ფირმის შნეიდერის და გერმანული ფირმის კრუპის წარმომადგენელნი ერთმანეთს ლუქსემბურგში ხვდებოდნენ. 1915 წელს კრუპის წარმომადგენელი ყალბი პასპორტით პარიზში ჩავიდა: უცხო, მეომარ

სახელმწიფოს წარმომადგენელს არა თუ ხელი არავინ არ ახლო, პირიქით მას ორი გადაცმული პოლიციელი მიუჩინეს მისი პატივცემული პიროვნების დასაცავად. ომის დაწყებისასვე საფრანგეთში მოხდა ერთი საოცარი ამბავი. 1914 წლის აგვისტოში გერმანიის ჯარმა დაიკავა საფრანგეთის ერთადერთი მდიდარი მადნეულის რაიონი—ბრიე, ქვანახშირისა და მეტალურგიის ცენტრი. ეს იყო უდიდესი დანაკლისი, პირდაპირ, უბედურება საფრანგეთისათვის და დიდი მონაპოვარი მისი მტრის—გერმანიისათვის, რომელსაც საშუალება ეძლეოდა საფრანგეთის ლითონითვე ეხოცა ფრანგი ჯარისკაცები. მთელი რაიონი ფრანგმა ჯარმა უბრძოლველად დაუთმო მტერს. დივიზიის უფროსმა გენ. ვერომ ბრძანება მიიღო—უბრძოლველად გადაეცა გერმანელებისათვის მთელი რაიონი. ეს ბრძანება, წინასწარ მომზადებული, დალუქულ კონვერტში ინახებოდა. ფრანგ ნაწილებს, რომლებიც ბრიეს ახლო იყვნენ დაბინავებული, აეკრძალათ დაეწყოთ რაიმე მოქმედება ამ რაიონის წინააღმდეგ, დაებრუნებინათ უკან ან გაენადგურებინათ საწარმოები, რომელნიც ასე უხვად ამარაგებდნენ მტერს. ოფიცრები შტაბში მოითხოვდნენ ოპერაციების დაწყებას ბრიეს წინააღმდეგ. მაგრამ ეს მათ კატეგორიულად აუკრძალეს უმაღლეს ინსტანციიდან. როდესაც ერთმა მფრინავმა დაზვერა ნებადაურთველად ეს რაიონი და ყუმბარაც კი გადააგდო მტრის ბანაკში, ის დაუყოვნებლივ დააპატიმრეს. ამ საოცრების საიდუმლოება სულ უბრალოდ აიხსნება, თუმცა ბრიე საფრანგეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, მაგრამ მისი წარმოება თანაბრად ეკუთვნოდა ფრანგ და გერმანელ აქციონერებს. წარმოებას სათავეში ედგა ერთი კაპიტალისტური ოჯახი. იგი ორ შტოდ იყოფოდა—ფრანგულ და გერმანულ შტოდ. პირველი თავს უწოდებდა დე-ვანდელს, მეორე—ფონ ვანდელს! ამ ოჯახიდან ერთი დეპუტატი იჯდა გერმანიის, მეორე საფრანგეთის პარლამენტში. რადგან საფრანგეთში ამ ოჯახს დიდი გავლენა ჰქონდა, მან შესძლო ომამდე საიდუმლო სამობილიზაციო გეგმებში გაეტარებინა ბრიეს რაიონის გადაცემა მტრისათვის უბრძოლველად. მთავარი შტაბის ოფიცერი, რომლის ხელშიც გროვდებოდა პროტესტები ასეთი მოღალატური საქციელის წინააღმდეგ, იყო... ვანდელის მობილიზებული მოსამსახურე. ასე ამარაგებდნენ მტერს ფრანგი „პატრიოტი" კაპიტალისტები და ხოცავდნენ „საყვარელ სამშობლოს" გულისთვის ფრანგ ჯარისკაცებს (ვ. ფინკი: „25 წლის წინათ" „Знамя" № 9, 1939).

თუ 1871 წელს ფრანგი ბურჟუა-„პატრიოტები" დიდის ხალისით ეგებებოდნენ თავიანთ მხსნელ გერმანელ ჯარისკაცებს და მათი საშუალებით ხვრეტდნენ თავიანთ თანამემამულე ფრანგ მუშებს, სამაგიეროდ მათ არც გერმანელი პატრიოტი კაპიტალისტები ჩამოუვარდებოდნენ 1923 წელს რურის ოკუპაციის დროს საფრანგეთის ჯარის მიერ. 1923 წლის 26 მაისს ქალაქ დიუსელდორფის ბურგომისტრის მოადგილემ ლიუტერბეკმა მიმართა საფრანგეთის ჯარის მთავარსარდლობას წახმარებოდა „ბრბოს" წინააღმდეგ, ე. ი. გერმანელი მუშების წინააღმდეგ. იგი აშკარად ეყრდნობოდა ისტორიულ პრეცენდენტს — გერმანიის ჯარის მოქმედებას 1871 წელს. იგი სწერდა: „უნდა მოგაგონოთ, რომ იმ დროს, კომუნის აჯანყებისას, გერმანიის მთავარსარდლობა ყოველმხრივად ეხმარებოდა საფრანგეთის ხელისუფლებას, რომ შეერთებული ძალებით დაემხოთ აჯანყება. იმასვე მოვითხოვ მე ამ შემთხვევაში, შემდეგში სახიფათო გართულების თავიდან ასაცდენად". რომ იტყვიან, ხელი ხელს ბანს, ორივე კი პირსაო, სწორეთ ეს არის.

ნამდვილი გულწრფელი, ერთგული, თავდადებული პატრიოტი არის მხოლოდ მშრომელი მასა, ის, ვინც ჰქმნის ქვეყნის ავლადიდებას, ყველა მის მატე-

ლიალურ ღირებულებას. რამდენიმე საუკუნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ყირიმის სამხრეთ ნაპირზე არსებობდა ბერძენთა კოლონია — დემოკრატიული რესპუბლიკა ხერსონესი. გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ბრონზაოლზე ამოჭრილი სამოქალაქო ფიცის ტექსტი, რომელსაც წარმოსთქვამდნენ თურმე ხერსონესის ახალგაზრდები. ეს ფიცი გამსჭვალულია სიამაყით, ქალაქის მიმართ პატივისცემით და ღრმა რწმენით მისი მომავლისადმი. „მე მუდამ ვიქნები მოსურნე ქალაქისა და მოქალაქეთა კეთილდღეობისა და თავისუფლებისა, და არ გავცემ არც ხერსონეს, არც კერკინიტიდას, არც მშვენიერ ნავთსადგურს, და არც სხვა სიმაგრეს, და არც დანარჩენი ოლქის რაიმე ნაწილს, რომელსაც ფლობენ ან ფლობდნენ ხერსინიტები, არავის არაფერს დაუთმობ, არც ელინს, არც ბარბაროსს, მუდამ ვუდარაჯებ. არ დავარღვევ დემოკრატიას, ვიქნები მტერი იმისა, ვინც ცუდს განიზრახავს, გასცემს ან ხელს შეუწყობს ხერსონესის, კერკინიტიდის ან მშვენიერი ნავთსადგურის დაცემას. ვიქნები დემიურგი, მოვიქცევი სამართლიანად, არ ვაცნობებ არც ელინს და არც ბარბაროსს რაიმე საიდუმლოს, რასაც შეუძლიან ავნოს ქალაქს.“ აი როგორი თავდავიწყებით ჰყვარებიათ თავიანთი დემოკრატიული რესპუბლიკა ამ ხალხს, მის ახალგაზრდობას ამ ორი ათასი წლის წინათ! როგორ ბინძურად გათახსირებულად გამოიყურებიან, ამაყ სიტყვებთან შედარებით, სოციალისტური სამშობლოს ბითუმად და ცალობით გამყიდველი ჯაშუშები — ბუხარინულ-ტროცკისტულ-ბურჟუაზიულ ნაციონალისტური გამცემლები, რომელთან შედარება, გორკის სიტყვით, „ტიფის ტილსაც კი ეწყინებოდა“.

სწორედ ხალხმა აღზარდა პატრიოტიზმის წმინდა გრძნობით, სამშობლოს მტრების მიმართ შეუნელებელი სიყვარულის ცეცხლით აღვსილი გმირები. ასეთია ნიჭიერი ორგანიზატორი, სრულიადაც სპეტაკი ადამიანი კოზმა მინინი, რომლის ღვაწლი რუსეთის წინაშე ფასდაუდებელია. ასეთია უბრალო რუსი გლეხი ივან სუსანინი, განსახიერება რუსი ხალხის საუკეთესო თვისებებისა — სამშობლოსადმი დაუშრეტელი სიყვარულის, თავდადებულობის, გმირობისა და ვაჟკაცობისა.

არ გაუვლია დიდი ხანი ივანე სუსანინის გმირული საქციელის შემდეგ, რომ უკრაინაში უბრალო გლეხი ჩაიდენს იმავე პოლონელ ოკუპანტების წინააღმდეგ პატრიოტულ აქტს. ამას ასე აგვიწერს ისტორიკოსი კოსტომაროვი:

„როდესაც 1648 წლის მაისს გეტმანი ბოგდან ხმელნიცკი მისდევდა პოლონეთის ჯარს, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოტოცკი და კალინოვსკი, ერთმა უკრაინელმა გლეხმა — მიკიტა გალაგანმა იკისრა პოლონეთის ჯარის გამყოლობა. მან განზრახ შეიყვანა ეს ჯარი ჭაობებში და ულრან ტყეებში და მით მისცა საშუალება კაზაკებს დაემარცხებინათ თავიანთი მტრები“.

რუსეთის კონტრრევოლუციის ხელმძღვანელი გენ. დენიკინი თავის „Очерки русской смуты“ ში, უნებურად გადმოგვცემს ბელორუსიელი გლეხის გმირულ საქციელს. გენ. კორნილოვი გაიქცა ბიხოვის „ციხიდან“. მას თანახლდა დიდი ამალა, მთელი ტეკინი პოლკი ე. წ. ველურ დივიზიიდან. 1917 წ. 26 ნოემბერს პოლკი უახლოვდებოდა სოფ. პისარევკას. ნებაყოფლობით გამოცხადდა ერთი ბელორუსიელი გლეხი, რომელმაც იკისრა გზის ჩვენება და ტეკინელთა პოლკი ბოლშევიკურ ჩასაფრებულ ნაწილს მიაყენა, ნაწილმა მოულოდნელად სროლა აუტეხა, კორნილოვს ცხენი მოუკლა, ტეკინელები გაიქცნენ. ამ ფაქტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „ველური დივიზიის“ ტეკინელ პოლკზე. „ახ, ბატონო ბოიარო. რას გავაწყობთ ჩვენ, როდესაც მთელი რუსეთი ბოლშევიკიაო“. (დენიკინი არ გადმოგვცემს რა ბედი ეწვია ამ გმირ გლეხს,

რა გვარს ატარებდა ეს უცნობი გმირი, მაგრამ მოგილევში ახლაც ახსოვთ ეს გმირული საქციელი, თუმცა გვარი შთამომავლობას არ დარჩენია).

ქართველი ხალხის ისტორია სავსეა ინდივიდუალური და მასობრივი გმირების მაგალითებით — გაიხსენეთ თუგინდ სამას არაგველთა ფიცი, მათი თავგანწირული ბრძოლა და გმირული დალუპვა ბრძოლაში 1795 წელს.

ქართველი მწერლებისა და მოღვაწეების პატრიოტიზმი

ქართველ მწერლებს და პოეტებს ღრმად უყვარდათ თავიანთი მშვენიერი სამშობლო, მისი ველ-მინდორი, მთა და ბარი. რაფიელ ერისთავი თავის ლექსში „ქვეყნად ვეძებდი სამოთხეს“ მღერის:

„ვიპოვე იგი სამოთხე,
ვინ მოსთვლის ამის ქებასა,
გადაჭიმულა წალკოტად,
შეხედეთ ღვთისა ნებასა!
ეს საქართველო ყოფილა,
ორი ზღვის შუა მდებარეს,
ქართველთა მიწა წყალია“.

ჩვენს პოეტებს უყვართ ჩვენი ნიჭიერი, გულკეთილი, მხნე და ვაჟკაცური ხალხი. იგივე რაფიელ ერისთავი ამბობს:

„ვიშ რა ხალხია, რა ტურფა,
რა გულოვანი მოყვასი!“

გრიგოლ ორბელიანი ჩამოსთვლის ქართველი ხალხის მრავალ ღირსებასა და სასიქადულო თვისებას:

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა:
ერი გულადი, პურადი,
მებრძოლი შავი ბედისა.
შავ დროთა ვერა შესცვალეს
მის გული ანდამანტისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მებრძოლი შავი ბედისა“.

ქართველ ხალხს აქვს მრავალ-საუკუნიანი ისტორია, სავსე გმირული ბრძოლით თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისი მიწა-წყლისათვის. ქართველმა ხალხმა შექმნა მდიდარი კულტურა, მან წამოაყენა და აღზარდა მთელი პლეადა შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწეებისა, პოეტებისა, მოაზროვნეებისა.

ვახტანგ ორბელიანი სამართლიანად ამბობს, რომ „სამშობლო მიწა ქართველთ სისხლით სრულიად შეიღებაო“. „მთის ქალში და მოგზაურში“ პოეტი ასე აგვიწერს ქართველი ხალხის საამაყო წარსულს:

„ჩემს ქვეყანაში ნახავდი შენ
დიდ სანახავებს:
დიდ ქალაქებსა, დიდ ტაძრებსა,
დიდ შენობებს.
გაკვირდებოდი, დატკბებოდი
იმათის მზერით...
იქ შენ ნახავდი ერს სწავლულს და
განათლებულს,
დიდ ქვეყანასა, ხელოვნებით აყვავებულსა“.

აკაკი წერეთელმა, რომლის თვითეული ატომი, ფიქრი, სიტყვა, სუნთქვა ეკუთვნოდა მის საყვარელ სამშობლოს, შექმნა შეუდარებელი, მუდმივად უჭკნობი, ულამაზესი, ღრმა გრძნობით და იდეით გამსჭვალული ლექსი სამშობლოზე, რომელიც მსოფლიო პატრიოტული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. აი ამ ლექსის ნაწყვეტი:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები
შენზედვე მგლოვიარეო.
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო,
და რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“.

მიუხედავად მძიმე აწმყოსი, ქართველი ხალხის ღვიძლ შვილებს მის მოწინავე ადამიანებს ღრმად სწამდათ ქართველი ერის დიდი მომავალი, ეს რწმენა და გატაცება ასულდგმულებთ მათ, ამ დაუჭკნობელი იმედით სცოცხლობენ ისინი, მისი გასაფურჩქვნელად ამზადებენ ისინი მშობლიურ ერს. გრ. ორბელიანი ოცნებობს, რომ

„ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“.

ვახტანგ ორბელიანს, სწამს, რომ „სამშობლო დანგრეული კვლავ აყვავდება“.

უკვდავი ილია ანთებულია თავისი სამშობლოს ჩინებული მომავლის ურყევი რწმენით:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზე მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია,
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია“.

ჩვენ დიდებულ პოეტს აკაკი წერეთელს, თუმცა „გული აევსო წვეთ-წვეთად, ნაღველითა და შხამითა,“ მაგრამ მაინც შეუპოვრად მის

„გულსა სწამს და ჭკუას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა
მომავალი ბედისწერა“

რომ საქართველოს მისი ახალი თაობა უმზადებს მშვენიერ ბრწყინვალე მომავალს:

„არ მომკვდარა საქართველო,
აყვავდება ერთხელ კიდევ
და გაისმის ძველებურად
იმისი ხმა კიდით-კიდე“.

ამ აყვავებული იმედით სცოცხლობდა დიდებული პოეტი, რომელსაც გული ვერ გაუტეხა ჭალარამ, და ამ მომავლის გულისათვის

„გმირებს უძახის, უყვირის
ჩემი დაფი და ნაღარა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუზოგველად ამჟღავნებდნენ, ტუქსავდნენ და ანადგურებდნენ თავიანთ სამშობლოს განთავისუფლებისა და მშვენიერი მომავლის მტრებს, მოღალატეებს ქართველი ხალხის ერთგული დარაჯნი ილია და აკაკი.

„კრულია მისი სახელი,
ვინც დაგმობს დედა-ენასა,
თვით ტომს ღალატობს და ამით
თვით ფიქრობს მაღლა ფრენასა“.

მამულის სიყვარული ყველაზე უმშვენიერესი, უძლიერესი, უკეთილშობილესი გრძნობაა. იგი იმორჩილებს ყველა სხვა გრძნობას. სამშობლოსათვის დედა თავის ერთად-ერთ შვილს იმეტებს, მამულისათვის თავის დადება სასახელო საქმეა.

„გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება,
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამამავლობა“.

მეორე ადგილას ილია ამბობს:

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია...“

ჩვენი მთის არწივი ვაჟა-ფშაველა მუდამ უმღერდა ქართველი ხალხის გმირობას და ვაჟკაცობას, ასწერდა მის მამაცურ ბრძოლას წარსულში. მისი შეუპოვარი პატრიოტიზმის დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ადგილი მისი ცნობილ ლექსიდან „მხედართა ძველი სიმღერა“:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.
არ მივცემთ სხვასა სამშობლოს
ჩვენის ცოცხალის თავითა,
უკან ვერ დაგვახვინებთ
მისთვის ნაძღვნევის შხამითა“.

შესანიშნავი, ღრმა და მდიდარი ფორმულა იმისა, თუ რა არის პატრიოტიზმი, ვინ არის პატრიოტი, მოგვცა სახელოვანმა ქართველმა მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა, რომლის ცხოვრებაც სამშობლოსათვის დაუცხრომელი სამსახური იყო:

„ვის ქვიან პატრიოტი? — მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავ-გამოდებით და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით... და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე!“ იაკობის გაგებით პატრიოტიზმი არის „მხურვალე, შეუპოვარი და დაუღალავი მამულის სიყვარული“. ეს არის ყოვლის შემძლე გრძნობა, იგი „ჰგავს ღონიერს ქარიშხალს, რომელიც ყოვლის გზაზედ გადაღობილ საგანს ლეწავს, მძლავრად ფანტავს დაგუბებულს ჰაერს და აძლევს მას გამაცოცხლებელს სისუფთავეს“. აღგზნებული პატრიოტები, თავისი ქვეყნის და ხალხის ერთგული შვილები, ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანები — მწერლები და მოღვაწეები არასდროს

არ იყვნენ ვიწრო, ცალმხრივი, კარჩაკეტილი, შემოფარგლული ნაციონალისტები, არა, მათი პატრიოტიზმი — თავისი ხალხის მიმართ სიყვარული — ფართო იყო. ისინი ხალხთა შორის სიყვარულს ქადაგებდნენ, ყველა ერის ბედნიერებაზე ოცნებობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი მაგალითი პატრიოტიზმის წმინდა გრძნობისა ასე ლამაზად, ინტერნაციონალური გაგებით მოგვცა არა ერთხელ ილია ჭავჭავაძემ თავის პოეტურ შემოქმედებაში, მაგ. „აჩრდილში", „ქართვლის დედაში". იგი სწერს:

„ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ფიქრობს,
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!"

ილია ოცნებობდა:

„როდისღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა...
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?
როს ესე ტოტნი, ერთ ცხოვრების, ერთ არსებისა,
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარეთ შეერთდებიან?
როს იგი ტომნი, ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?"

იაკობ გოგებაშვილი ეხება ქართველი მოწინავე ადამიანების პატრიოტიზმის შინაარსს და ხასიათს და აღნიშნავს, რომ მასში ვისიმე, რომელიმე ერის მიმართ სიძულილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი სრულიად არ მოიპოვებაო. „ჩვენ პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენი უფლებისა, ეროვნებისა, თვითმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა... ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზე არ არის გავლებული".

რუსი მწერლების და მოღვაწეების პატრიოტიზმი

დიდი რუსი მწერლები დიდი რუსი პატრიოტები იყვნენ. მათ აღგზნებულად უყვარდათ თავიანთი ვეებერთელა და მდიდარი სამშობლო, თავიანთი გმირული, შრომისმოყვარე, გულკეთილი ხალხი. ისინი ამაყობდნენ თავიანთი სამშობლოთი, თავიანთი ხალხით, რომელმაც შექმნა მდიდარი რუსული ენა, უმძლავრესი ლიტერატურა მსოფლიოში, რომელმაც კაცობრიობას მისცა უდიდესი წარმომადგენელნი კულტურის ყველა დარგში. ლომონოსოვი და პუშკინი, ტურგენევი და მაიაკოვსკი სიამაყით და გატაცებით ლაპარაკობენ თავიანთი ხალხის ენაზე, რომელიც მათ ყველაზე მძლავრ და მდიდარ ენად მიაჩნდათ მსოფლიოში. რუსულ ენაშიო, — ამბობს ლომონოსოვი, — არის დიდშვენიერება ესპანურის, სიცხოველე ფრანგულის, სიმძლავრე გერმანულის, სინაზე იტალიურის, სიმდიდრე და გამოხატულებაში ღონიერი სიმჭიდროვე ბერძნული და ლათინურ ენებისა.

პუშკინი მღერის:

„ვიდრე ვენთებით თავისუფლებით,
ვიდრე გული ჩვენს ღირსებას იცავს,
სულის ლამაზი გატაცებები
ძმაო, მიუძღვნათ ჩვენ მშობელ მიწას".

შჩედრინი ამბობს, რომ მას უყვარს რუსეთი გულის ტკივილამდე, და თავი ვერ წარმოუდგენია სხვაგან, თუ არ რუსეთში. მე მინდა, — განაგრძობს დიდი მწერალი, — ვნახო რუსეთი თავისუფალი და ბედნიერიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორკი მოგვითხრობს: „ჩემი სიხარული და სიამაყეა ახალი რუსი ადამიანი, ახალი სახელმწიფოს მშენებელიო“

ჩვენი ეპოქის შესანიშნავი პოეტი მაიაკოვსკი დიდის ღირსებით და სიყვარულით ამბობს თავის ცნობილ ლექსში „Паспорт“:

„Я достаю
Из широких штанин
дубликатом
бесценного груза.
Читайте,
завидуйте,
Я гражданин
Советского Союза“.

ჩერნიშევსკი, ალსავსე ეროვნული სიამაყით, ამბობს, რომ რუსეთის ხალხმა შექმნა მსოფლიოში შეუდარებელი ლიტერატურა, რომ მან თავისი წვლილი შეიტანა საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. ჩერნიშევსკი მტკიცედ სდარაჯობდა თავისი ხალხის ეროვნულ ღირსებას, იცავდა მას პარაზიტ მემამულეების ცილისწამებისაგან (ვითომც რუსი გლეხობა ზარმაცი იყოს). იგი ამტკიცებდა, რომ ევროპაში რუს ხალხზე შრომისმოყვარე არ მოიძებნებაო.

„ჩვენი ლიტერატურა, — ამბობდა გორკი, — ჩვენი სიამაყე, საუკეთესოა, რაც კი შექმნილია ჩვენს მიერ, როგორც ერის მიერ. მასშია მთელი ჩვენი ფილოსოფია, მასშია ალბეჭდილი ჩვენი სულის მისწრაფებები!“ გორკი ყველა რუსი მწერლის ერთ საერთო თვისებას აღნიშნავს: მათ სურდათ გაეგოთ, ეგრძნოთ თავისი ქვეყნის მომავალი, ბედიღბალი, მისი როლი დედამიწაზე. მათ სწამდათ, რომ რუს ხალხს ისტორიის მიერ განკუთვნილი აქვს დიდებული მომავალი. გოგოლი მჭერმეტყველურად ამბობს 1846 წელს: „კიდევ გაივლის ათეული წელი და თქვენ დაინახავთ, რომ ევროპა მოვა ჩვენთან არა თოკის და ჭონის სასყიდლად, არამედ სიბრძნის სასყიდლად, რომელსაც აღარ ჰყიდიან ევროპის ბაზარზეო“, გოგოლზე 6 წლით ადრე დიდებულმა ბელინსკიმ გასაოცარი, თითქმის მათემატიკური სიზუსტით იწინასწარმეტყველა რუსეთის მსოფლიო-ისტორიული როლი.

„შურის თვალით ვუყურებთ ჩვენს შვილისშვილებს და შვილიშვილისშვილებს, რომელთაც წილად შეხვდებათ ინახულონ რუსეთი 1940 წელს, რომელიც იდგომილება განათლებული სამყაროს სათავეში, რომელიც მისცემს კანონებს მეცნიერებას და ხელოვნებას და რომელიც მიიღებს მოწიწებითს პატივისცემას მთელი განათლებულ კაცობრიობისაგან“.

დიდი რუსი მწერლების პატრიოტიზმი, ისევე, როგორც ქართველი მწერლებისა, ღრმად პროგრესიულია და სპეტაკი. მათ წმინდა აზროვნებას და გრძნობას არას დროს არ მიჰკარებია ნაციონალიზმის სიბინძურე. „გიყვარდეს შენი სამშობლო, — ეს ნიშნავს აღზნებულად გსურდეს დაინახო შიგ საკაცობრიო იდეალის განხორციელება და თავისი ძალის მიხედვით ხელი შეუწყო მის განხორციელებას“. — ამბობს ბელინსკი.

მას კვერს უკრავს რუსი ხალხის მეორე გენიალური მწერალი დობროლუბოვი: „ცოცხალი, მომქმედი პატრიოტიზმი იმით განირჩევა, რომ ის გამორიცხავს ყოველგვარ საერთაშორისო შუღლს, და ადამიანი, აღფრთოვანებული ასეთი პატრიოტიზმით, მზად არის იშრომოს მთელი კაცობრიობისათვის.“

დიდებული რუსი პატრიოტები ამაყობდნენ თავიანთი ხალხით, თავიანთი ქვეყნით, და სავსებით სამართლიანად. რუსის ერმა საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზედ კაცობრიობას მისცა ჩინებული წარმომადგენელნი: პუშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი, მაიაკოვსკი, გოგოლი, ტოლსტოი, ტურგენევი, დოსტოევსკი, გორკი, ლომონოსოვი, ლობაჩევსკი, სეჩენევი, პავლოვი, მენდელეევი, მიჩურინი, გლინკა, ჩაიკოვსკი, ჩეპკინი, სტანისლავსკი, სუვოროვი, კუტუზოვი, პრჟევალსკი, მიკლუხა-მაკლაი, რადიშჩევი, ბელინსკი, დობროლუბოვი, ჩერნიშევსკი, ჰერცენი, პლეხანოვი.

და ბოლოს მან მისცა კაცობრიობას პროლეტარული რევოლუციის გენიოსი ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ლ ი ა ს ძ ე ლ ე ნ ი ნ ი და ლენინიზმი, როგორც რუსული კულტურის მწვერვალი და გვირგვინი.

პატარა, მაგრამ ისტორიულად მრავალტანჯულმა ქართველმა ერმა, რომელმაც თავისუფლად ამოისუნთქა და ფრთები გაშალა ლენინისა და სტალინის ეროვნულ პოლიტიკის დროშის ქვეშ,—ქართველმა ხალხმა საკაცობრიო ისტორიას ბევრი რამ მისცა მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი: რუსთაველი, საბა-სულხანი, გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, დავით აღმაშენებელი, თამარი, სააკაძე, ერეკლე მეორე.

შესანიშნავი რევოლუციონერები — საშა წულუკიძე, ლადო კეცხოველი, სერგო ორჯონიკიძე და ჩვენი სახელოვანი ლავრენტი ბერია.

და, ბოლოს, ქართველმა ხალხმა მისცა მსოფლიოს თანამედროვე კაცობრიობის უდიდესი ადამიანი — გენიოსი, ი ო ს ე ბ ს ტ ა ლ ი ნ ი.

*

* *

მარქს-ლენინ-სტალინი პატრიოტიზმის შესახებ.

უკვდავ ნაწარმოებში „კომუნისტურ მანიფესტში“ სწერია: „მუშებს სამშობლო არა აქვთ. მათ ვერ წაართმევთ, რაც მათ არ გააჩნიათ“ ამ დებულებიდან სავსებით სამართლიანად ზოგს ყალბი დასკვნა გამოაქვს: რადგან მუშათა კლასს სამშობლო არა აქვს, მას არ აინტერესებს თავისი ქვეყნის აწმყო და წარსული, ქვეყნის ბედიღბალი, მისი კულტურა, ენა, მისი ხალხის მდგომარეობა.

დიალ, მუშებს სამშობლო არა აქვთ კაპიტალიზმის დროს. ეს სამშობლო ტყვედ აქვს ჩაგდებული, მას სჯიჯგნის და სტანჯავს ქვეყნისა და სამშობლოს მტერი — ბურჟუაზია, მემამულეები და მათი მთავრობა. მშრომელებს გული ბოლმით ევსებათ, როდესაც ხედავენ, რა ტანჯვა-დამცირებას განიცდის მათი მშვენიერი სამშობლო ექსპლოატატორული კლასებისაგან. აქედან მათი სწრაფვა: რაც შეიძლება მალე გაათავისუფლონ ტყვეობიდან თავიანთი ქვეყანა, სამშობლო, თავიანთი ხალხი, ეს კი შეიძლება სოციალისტურ-პროლეტარული რევოლუციის გზით. პროლეტარები მთელ ქვეყანას მოიპოვებენო, — ამბობს მარქსი. — პირველ რიგში ისინი მოიპოვებენ თავიანთ სამშობლოს. სანამ სამშობლო მისი ჯალათების ხელშია, როგორია სამშობლოს საკითხი მუშათა კლასისათვის?

მუშათა კლასი უდიდესი კლასია თანამედროვე საზოგადოებისა, ის არ ეწევა ვიწრო, ცეხური ინტერესების პოლიტიკას, მისი მიზანია გაათავისუფლოს მთელი ჩაგრული კაცობრიობა. მას ეხება, აინტერესებს ყველაფერი რაც არის ამათუიმ ერის, ამათუიმ ხალხის აწმყოში და წარსულშიც. ის არის გამგრძობი და მემკვიდრე ყოველივე იმის, რაც ხალხის წარსულში მშვენიერია, მომხიბლავი, ძვირფასი და ღირსშესანიშნავი, და უარჰყოფს იმას. რაც ცუდია,

დამამცირებელი. დღევანდელ თავის ბრძოლას მუშათა კლასი უკავშირებს თავისი ხალხის რევოლუციური წარსულის ბრძოლის სახელოვან ტრადიციებს. მარქსი და ენგელსი ამაყობდნენ იმით, რომ გერმანიის ხალხმა „ბევრი შესანიშნავი პოეტები და ფილოსოფოსები, შექმნა სახელოვანი მუშათა ბრძოლა", რომ გერმანიის ხალხს წარსულში გმირული ბრძოლის მრავალი მაგალითი აქვს. მაგრამ მარქსი რევოლუციონერი, გამსჭვალული ეროვნული სიამაყით, დაუხდობლად ამჟღავნებდა გერმანიის ხალხის უარყოფითს მხარეებს, მოითხოვდა სწრაფი რევოლუციური გზით გამოსწორებას. მარქსის აზრით, ხალხის სიამაყეს შეადგენს ის განძი, რომელიც ერმა შეიტანა ისტორიაში, მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობაში (როცა ხალხი მედგრად და შეუპოვრად იბრძვის თავის მტაცვალების წინააღმდეგ), ის, რაც შემატა მან მსოფლიო ცივილიზაციისა და პროგრესის საქმეს. ხალხმა უფლება ცივილიზაციაზე ბრძოლით და სისხლით უნდა მოიპოვოსო, ამბობდა მარქსი. ხალხმა სისხლით უნდა განიბანოს წარსულის ცოდვები და სიბინძურე. დიდ ნაკლად, სამარცხვინო მოვლენად მიაჩნდა მარქსს, თუ ერი ყურმოჭრილ მონასავით ითმენდა მყვლეფელ — ბატონების უღელს. ასეთ ერს უფლება არა აქვს პატივისცემისაო. მაგრამ უდიდეს სირცხვილად, მიუტოვებელ ცოდვად და ბოროტებად სთვლიდა მარქსი, როდესაც რომელიმე ერი, თვით მოჩრილი და უსიტყვო მონა, თავისი ბატონების ხელში ხდებოდა ბრმა იარაღად სხვა, მეზობელი ერების დასაპყრობლად და დასათრგუნავად. მარქსი ცეცხლს, მრისხანე ჭექა-ქუხილს აყრიდა ასეთ ხალხს. გაიხსენეთ, როგორ გაანაცარმტვერა მან სამხრეთ სლაველთა ტომები, რომელნიც 1848 წელს ხელს უწყობდნენ რუსეთის მეფეს ნიკოლოზ პირველს უნგრეთის რევოლუციის ჩახრჩობის შავ-ბნელ საქმეებში, როგორ დაუნდობლად ამათრახებდა მარქსი თავის გერმანელ ერს იმ მონური სულისკვეთებისა და ჯალათური როლისათვის, რომლითაც ის რევოლუციური ერების წინააღმდეგ გამოდიოდა. მარქსი სწერდა: „ახლა ჩვენ ვგრძნობთ, რა სამარცხვინოა პრუსიელის სახელწოდება", რა „სამარცხვინო, მოურეცხელი ლაქია გერმანულ ისტორიაში" ჰოჰენცოლერნების საგმირო საქმე.

მარქსს — რევოლუციონერს სძულს მონური წარსული თავისი ერისა, იგი სტუქსავს მას, მოითხოვს, გერმანელმა ერმა გაიბანოს ეს ცოდვები, გაიწმინდოს იგი, რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში. ამიტომაა, რომ როცა 1848 წლის რევოლუციაში მან თვალი გადაავლო სახელოვან ბრძოლას, სიამაყით და სიხარულით სთქვა — ჩვენ გადავარჩინეთ, ვიხსენით ჩვენი სამშობლოს რევოლუციური სახელიო.

თუ როგორ დიდად აფასებდა მარქსი ამ ეროვნულ სიამაყეს, ეს სჩანს უნგრეთის მაგალითზე, რომელიც გააფთრებით იბრძოდა რეაქციური სახელმწიფოების წინააღმდეგ. „მადიართა ენტუზიაზმი თავისუფლებისადმი, უფრო მეტად სტიმულირებული ეროვნული სიამაყით იზრდებოდა ყოველ დღე, გზავნიდა რა კოშუტის განკარგულებაში დიდ ძალ მოხალისეებს, რაც 5 მილიონ ასეთ პატარა ხალხისათვის გაუგონარ რიცხვს შეადგენდა" (ტომი VII, გვ. 287 — 8).

აღსანიშნავია ისიც, რომ მარქსმა მაღალ და ბრტყელ სიტყვებს — „გერმანიის სახელი", „გერმანიის მძლეობა", რითაც ჟონგლიორობდნენ გაბატონებული კლასები, „პატრიოტული არაბესკები" უწოდა და აღნიშნა, რომ ამ ოფიციალური პატრიოტიზმის ნიღაბ ქვეშ მსხვილი ბურჟუაზია მომგებიან საქმეებს აჭახრაკებს, რომ ეს მსხვილი ბურჟუაზია ოსტატურად ეწევა „პატრიოტიზმით ვაჭრობას".

1914 წლის 12 დეკემბერს ლენინმა გამოაქვეყნა თავისი გენიალური წერილი — „ველიკოროსთა ეროვნული სიამაყის შესახებ". ეს ნამდვილი შედევრია,

უდიდესი განძი, შეტანილი მარქსიზმ — ლენინიზმის მოძღვრებაში, ეროვნულ საკითხში.

ლენინი ამბობს, რომ ველიკორუს შეგნებულ პროლეტარებისათვის ეროვნული სიამაყის გრძნობა: მათ უყვართ თავიანთი ენა და სამშობლო, ისინი ცდილობენ თავიანთ სამშობლოს მშრომელი ხალხი პოლიტიკურად გაათვითცნობიერონ, რომ მათ გულს უკლავს სამშობლოს ტანჯვა მეფის ჯალათების მძიმე უღელქვეშ, მაგრამ მათ უხარიანთ, რომ რუსეთის ხალხმა წამოაყენა შესანიშნავი მებრძოლნი სოციალიზმისა და თავისუფლებისათვის, რომ მან შექმნა სახელოვანი რევოლუციური მუშათა კლასი. აი ლენინის ეს შესანიშნავი სიტყვები:

„უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკოროს შეგნებულ პროლეტარებისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? რასაკვირველია, არა. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტს ვმუშაობთ იმისათვის, რომ მშრომელი მასები (ე. ი. მისი მოსახლეობის 9/10) ავიყვანოთ დემოკრატების და სოციალისტების შეგნებული სიცოცხლის დონეზე.“

და შემდეგ

„ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყით, იმიტომ რომ ველიკორუსების ერმაც შექმნა ა გ რ ე თ ვ ე რევოლუციური კლასი, მ ა ნ ა ც დაამტკიცა, რომ შესწევს ნიჭი კაცობრიობას მისცეს დიდი ნიმუშები თავისუფლებისა და სოციალიზმისთვის ბრძოლისა და არა მარტო დიდი პოგრომები, ჩამწკრივებული სახრჩობელები, საპყრობილეს ჯურღმულები, დიდი შიმშილობა და დიდი მონური ქედის მოხრა ხუცებსა, მეფეებსა, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინაშე“ (ლ ე ნ ი ნ ი — ტომი 18, გვ. 95 — 96).

ლენინს, როგორც თავისი ხალხის ღირსეულ შვილს, უხარიან, რომ მისმა ხალხმა კაცობრიობას მისცა დიდი მებრძოლები, შექმნა სახელგანთქმული რევოლუციური რუსი მუშათა კლასი. ეს შეადგენს რუსი ხალხის ეროვნულ სიამაყეს. მაგრამ სწორეთ ამ ეროვნული სიამაყიდან გამომდინარე ლენინს განსაკუთრებით სძულს თავისი ხალხის მონური წარსული, როდესაც მემამულე თავადები მიერეკებოდნენ რუს გლეხ-ჯარისკაცებს უნგრეთის, პოლონეთის, სპარსეთის, ჩინეთის თავისუფლების ჩასახშობად, და მონური აწმყო, როდესაც მემამულეები და კაპიტალისტები ერეკებიან ომში რუს ხალხს, რათა დატუქსონ უკრაინა და პოლონეთი. ჩაახშონ დემოკრატიული მოძრაობა სპარსეთსა და ჩინეთშიო და გააძლიერონ „ჩვენი ეროვნულ ღირსების შემარცხვენელი ბრბო რომანოვების, ბობრინსკების და პურისკევიჩებისა“. — ლენინის ეს დებულება საკუთარ ემთხვევა რუსი ხალხის მოწინავე შვილების აზრს — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, ჰერცენის აზრს ამ საკითხში.

დიდ პატრიოტს ჩერნიშევსკის, გამსჭვალულს ჭეშმარიტი, შეუნელებელი სიყვარულით თავის სამშობლოს და ხალხის მიმართ, გული ულონდებოდა, როდესაც ხედავდა ხალხის ჯალათების პარპაშს და ვერ ხედავდა სერიოზულ რევოლუციურ ძალებს, მოძრაობას თავის ქვეყანაში. 1848 წ. ჩერნიშევსკი ნიკოლოზ პირველის მიერ უნგრეთში გაგზავნილ რუს ჯარს დამარცხებას უსურვებდა. ჰერცენს გატაცებით უყვარდა თავისი ხალხი და ქვეყანა და უზომოდ სძაგდა მეორე რუსეთი — მეფეების, მემამულეების, ლოთი პოლიციის, მუქთა ხორების, მექრთამეების რუსეთი.

ლენინს, თავისი ხალხის ღრმათ მოყვარულს, სძულს სამშობლოს და ხალხის შემარცხვენელი მეფის ბრბო, რომელიც არა თუ სჩაგრავდა მის ქვეყანას და მშრომელ მოსახლეობას, არამედ რყვნიდა კიდეც პოლიტიკურად, იდეურად, შეურაცყოფდა მის ეროვნულ ღირსებას. ლენინს სძულს ეს მონური წარსული

და აწმყო. ის ოცნებობს სულ სხვა, თავისუფალ, დემოკრატიულ, ბედნიერ ველიკოროსიაზე, რომელიც თავის თავთან ერთად განათავისუფლებს სხვა ერებსაც, ძმურ-მეგობრულ ურთიერთობას დაამყარებს მათთან.

ლენინმა ამ წერილში ორი შესანიშნავი დებულებაც წამოაყენა: პირველი — მას სწამს დიადი მომავალი რუსი მუშათა კლასისა (როგორც ცნობილია, ეს აზრი ლენინმა წარმოსთქვა ჯერ კიდევ 1894 წ. რომ ის იქნება მთავარი მამოძრავებელი კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი კომუნისტური რევოლუციისაო), მეორე — სწორეთ გაგებული ეროვნული სიამაყის ინტერესი ემთხვევა პროლეტარების სოციალისტურ ინტერესებსო.

როგორც ჰხედავთ, ლენინს მხურვალედ უყვარდა თავისი სამშობლოს ხალხი, ენა, კულტურა, უხაროდა, რომ მისმა ხალხმა წარმოშვა დიადი მებრძოლნი თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის, გულს უკლავდა სამარცხვინო ლაქი მისი ერის ისტორიაში და მოითხოვდა ამ ეროვნული სირცხვილის მიზეზის—მეფის და მემამულე-კაპიტალისტების წყობილების ჩქარ და ძირფესვიანად განადგურებას. ცნობილია, რომ ლენინი ამაყობდა მდიდარი და მშვენიერი რუსული ენით, ელოლიავებოდა იგი მას, იბრძოდა მისი სისუფთავე-სიწმინდისათვის.

ამხ. სტალინი თავის ისტორიულ გამოსვლაში სამეურნეო მუშაკთა კონფერენციაზე 1931 წ. თებერვალში აღნიშნავდა, რომ წარსულში ძველი რუსეთის ისტორია, სხვათა შორის, მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთს განუწყვეტლივ სცემდნენ, სცემდნენ სამხედრო, კულტურულ სამრეწველო, სამეურნეო ჩამორჩენისათვის, სცემდნენ მონღოლელი ხანები, შვედელი ფეოდალები, პოლონელი პანები, ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტები, იაპონიის ბარონები, სცემდნენ იმიტომ, რომ ეს სახეირო იყო და დაუსჯელი რჩებოდაო. ეხლა ეს აღარ უნდა განმეორდეს, ჩამორჩენილობა უნდა მოისპოს. „წარსულში ჩვენ არ გვქონდა და არც შეიძლება გვქონოდა სამშობლო. მაგრამ ახლა, როცა დავამხეთ კაპიტალიზმი, როცა ჩვენში ძალა-უფლება მუშურია, ჩვენ გვაქვს სამშობლო და დავიცავთ კიდეც მის დამოუკიდებლობას. გინდათ თუ არა, — ეკითხება თავის მსმენელებს დიდი საბჭოეთის ყველაზე დიდი პატრიოტი ამხანაგი სტალინი, — რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლო მოსპონ, რომ მან დაკარგოს თავისი დამოუკიდებლობა? ხოლო თუ ეს არ გინდათ, მაშინ რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა მოვსპოთ მისი ჩამორჩენილობა და განვავითაროთ ნამდვილი ბოლშევიკური ტემპები მისი სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის საქმეში. სხვა გზა არ არსებობს“.

100 წლის ჩამორჩენილობა ჩვენ 10 წლის განმავლობაში უნდა გავირბინოთო. ან შევასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ“, — ასე მწვავედ აყენებდა საკითხს სამშობლოს ჭეშმარიტად მოყვარულ შვილებისათვის სამშობლოს ყველაზე ერთგული შვილი სტალინი. ყველამ ვიცით, მსოფლიო მოწმეა ამისა, რომ დიდ სტალინის მჭუხარე მოწოდებას მოჰყვა მხურვალე პატრიოტთა მრავალმილიონიანი არმიის მძლავრი მოძრაობა, რომელმაც მოგვცა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი ჩვენი სამშობლოს ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საქმეში და ჩვენი ქვეყნის უძლეველ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაქცევაში.

სტალინია მამამთავარი და სულის ჩამდგმელი საბჭოთა პატრიოტიზმისა. სტალინურ ეპოქაში განსაკუთრებით დაფასებულია დიდი რუსი ხალხის უზარმაზარი ღვაწლი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისა და კაცობრიობის წინაშე, მას განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობიან როგორც პირველს, როგორც უფროსს თანასწორ ძმათა შორის, თავისუფალ ერთა შორის. სტალინის ხანაში მაღლა წამოწეულ და ღირსეულად შეფასებულ იქნა

რუსი ხალხის ჩინებული შვილები: დიდი ხალხური ზეიმით ჩატარდა რუსი ხალხის გენიოს შვილის პუშკინის იუბილე 1937 წელს, დიდ მაღლობზე არიან აყვანილი რუსეთის ისტორიის შესანიშნავი მოღვაწენი — ალექსანდრე ნეველი, პეტრე დიდი, რუსეთის სამხედრო გენია სუვოროვი, მისი ნიჭიერი მოწაფე კუტუზოვი და სხვანი. სწორეთ სტალინმა გაანადგურა პოლიტიკურად გაკოტრებული დემიან ბედნის უბადრუკი ცდა კარიკატურულად დაეხატა რუსეთის ისტორიის ერთი კულტურული მოვლენა — ქრისტიანობის მიღება კიევის სახელმწიფოს მიერ. სტალინი ასწავლის ჩვენს პარტიას, ჩვენს ინტელიგენციას, ჩვენი კავშირის ყველა ხალხს ღრმა პატივისცემით მოეპყრან თავის სახელოვან, გმირულ წარსულს, ისტორიას, მის მოწინავე, სამშობლოსათვის თავდადებულ მოღვაწეებს. ღირსნი იყავითო თქვენი დიდებული წინაპრებისა — სწერდა ამხანაგ სტალინი შუა აზიის ერთი რესპუბლიკის კომუნისტებს. წარსულის თითოეული აგური, მისი ნატეხი ღაღადებს ჩვენი ხალხების წარსული სიდიადეზე, მათ მატერიალურ და სულიერ შემოქმედებაზე, კულტურის გაფურჩქვნაზე, გმირულ ბრძოლაზე თავიანთ სამშობლოს, სახელმწიფოს, მიწა-წყლის დამოუკიდებლობისთვის, ღაღადებს ხალხის ნიჭზე, უნარზე, ვაჟკაცობაზე. ყოველივე ეს ფრთხილად, სიყვარულით უნდა იქნას დაცული, შესწავლილი. ყველა ეს ძვირფას განძად შედის საბჭოთა პატრიოტიზმის დიდებულ მოძღვრებაში და მოძრაობაში. სწორეთ სტალინურ ხანაში ამხანაგ სტალინის უშუალო ჩარევით და მისი ნიჭიერი მოწაფის ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლავრენტი ბერიას დაუზოგველი ფასდაუდებელი მუშაობა-ღვაწლით ქართველ ხალხმა და მასთან ერთად საბჭოთა კავშირის ყველა ერმა მოწიწებით, პატივისცემით და სიყვარულით შემოსა ჩვენი უკვდავი, გენიალური შოთა რუსთაველი, რომლის ბიუსტიც პუშკინისა და შევჩენკოს გვერდით ამაყად გამოიყურებოდა პარიზის მსოფლიო გამოფენაზე 18 მილიონიან მაყურებლის წინაშე. მხოლოდ სტალინურ ეპოქაში და ძმური რუსი ხალხის პატივისცემის ხანაში შეიძლებოდა, რომ დღეს ცაზე აშუქებს რუსთაველის სახელი (ორი წლის წინად რუსმა ასტრონომებმა ერთერთ ახლად აღმოჩენილ კომეტას შოთა რუსთაველის სახელი უწოდეს). სწორეთ სტალინის ჩარევით და ამხ. ბერიას მეცადინეობით ქართველ ხალხს დაუბრუნდა მისი სასიქადულო შვილი ილია ჭავჭავაძე (რომლის „დავიწყებას" და წართმევას სცდილობდნენ ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრები—ტროცკისტები, ბუხარინელები და ბურჟუაზიული ნაციონალისტები). სწორეთ სტალინურ ეპოქაში შეფასებულ იქნენ და საქვეყნოდ პატივისცემით შეიმოსნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდებული შვილები და დიადი პოეტური ქმნილებანი — ტარას შევჩენკო, მირზა-ფატალი ახუნდოვი, კოსტა ხეთაგუროვი, „Слово о полку игореве", „დავით სასუნცი" და სხვა.

ამხანაგ სტალინი ზრდის საბჭოთა ხალხებში ეროვნულ სიამაყეს, გვასწავლის, გვიყვარდეს და ვაფასებდეთ, რაც კარგია, ღირსშესანიშნავი, კეთილშობილი, ლამაზი და შინაარსიანი ჩვენი ხალხების ისტორიაში. მაგრამ ნამდვილი სამშობლო, რომლის ბატონ-პატრონიც არიან თვით მშრომელნი, მათ მოიპოვეს მხოლოთ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ ახალი, ბედნიერი, საამური და კულტურული ცხოვრება მათ შექმნეს მხოლოდ სტალინურ ეპოქაში. ამიტომ არის რომ თუ ძველ სახელოვან ისტორიას და მის მოწინავე მოღვაწეებს ღრმა პატივისცემით ვიხსენიებთ, უფრო მეტად გვიყვარს ჩვენი ბედნიერი, სოციალისტური აწმყო, ჩვენი დიადი სამშობლო, სადაც განხორციელდა ყველა ის წარმტაცი და ლამაზი ოცნება და ფიქრი, რითაც ცხოვრობდნენ საუკუნეების გან-

მავლობაში ჩვენი ხალხების და მთელ კაცობრიობის მოწინავე ადამიანები. სწორედ ამ წარმტაც, მომხიბლავ დღევანდელ დღისათვის, უფრო მშვენიერ და გაფურჩქნულ ხვალინდელ დღისათვის შრომობენ, იღწვიან ჩვენი ხალხები, მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, ერთგულად სდარაჯობენ ამას. თვალის ჩინივით უვლიან მას. ყოველი პატრიოტი მზად არის ზვარაკად შეეწიროს სოციალისტური სამშობლოს დიდებას, სახელს, ბედნიერებას. სოციალისტური სამშობლოს სახელისა და დიდების, ძლევამოსილების და სიმდიდრისათვის ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები, სოციალისტური საწარმოებისა და მინდვრების, ტრანსპორტის, სახელმწიფო აპარატისა და კულტურის ყველა დარგის სტახანოველები, დამკვრელები, წარჩინებული პირები, — ჩვენი ქვეყნის პატრიოტთა მრავალმილიონიანი არმია ყოველდღე და ყოველ წუთს მუშაობს ერთგულად, თავდადებით, ენტუზიაზმით. სიხალისით გვიჩვენებენ ისინი სოციალისტური შრომის უმაგალითო ნიმუშებს, ამყარებენ მსოფლიო რეკორდებს, ამრავლებენ ჩვენი ქვეყნის დოვლათს, რომ უფრო ლამაზი და უხვი გახადონ სამშობლო, უფრო კულტურული და საამური გახადონ ჩვენი ცხოვრება.

სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის სტალინის სახელით გასხივოსნებულმა ალექსი სტახანოვმა 1935 წელს აგვისტოს დაჰკრა თავისი ჩაქუჩი და მისი ხმა მთელ მსოფლიოს მოედო. სტახანოვის შრომის გმირობის მაგალითმა, რომელშიაც გენიალური სტალინის გამჭრიახმა თვალმა კომუნიზმის დიადი გამარჯვება განსჭვრეტა, საძირკველი ჩაუყარა პატრიოტთა ძლიერ მოძრაობას, სახელოვან სახალხო სტახანოვურ მოძრაობას. მალე მას მიჰყვნენ მთელი ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილები და ქალიშვილები, რომლებსაც განცვიფრებაში მოჰყავთ ბურჟუაზიული სამყარო, რომლებიც აღტაცებას იწვევენ მსოფლიოს მშრომელთა შორის. ესენი არიან დები ვინოგრადოვები, მჭედელი ბუსიგინი, სკოროხოდოველი სმეტანინი, მემანქანეები კრივონოსი, ოგნევი, მეტალურგი ჩაიკოვსკი და მაზაი, არხანგელელი მუსინსკი, მემაღაროველები შაშაცკი და გვოზდირკოვი, დაზგმშენებელი გუდოვი და მრავალი სხვა. სოფლის მეურნეობაში ამ სახალხო მოძრაობის წამომწყებნი გახდნენ მარია დემჩენკო, კომბაინერები კოლესოვი, ბორინი, ძმები ოსკინები, ტრაქტორისტები პაშა ანგელინა, პაშა კოვარდაკი და სხვანი. მოვიყვანთ სოციალისტური სამშობლოს სიყვარულისა და შრომის გმირობის ერთ ღირსშესანიშნავ მაგალითს.

ყირგიზეთში, კანტის რაიონში არის კოლმეურნეობა „კენეში". საწვავი მასალის გვიან მიწოდების გამო, თესვა გვიან დაიწყო და მზე უკვე აცლიდა მიწას სინესტეს, უკვე გავიდა ერთი საკანტროლო კვირა. კოლმეურნენი დადიან თუნუქებით და რწყავდნენ თითოეულ თესლს. მალე გამოირკვა, რომ თუნუქებით საქმეს ვერ უშველიდნენ. მაშინ გადაწყვიტეს წყალი გაუშვან არხიდან. მუხლამდე წყალში ქალები მამაკაცებთან ერთად მუშაობდნენ. ისინი ხელით აფხვიერებდნენ მიწას, თითებით ამტვრევდნენ ბელტებს. წყალმა ზოგან თესლი წაიღო, ზოგან, დაბლობში, თესლს ნალექი გადაეკრა. ხელით იღებდნენ ამ ნალექს კოლმეურნენი. სამჯერ ჩაატარეს მათ დამატებითი თესვა... უცებ გაჩნდა ახალი უბედურება — თავი იჩინა მავნებელმა ძირმჭრელამ. ორი კვირის განმავლობაში, მიწის განუწყვეტელ გაფხვიერებით, კოლმეურნეებმა მოსპეს ძირმჭრელა. მაშინ გაჩნდა მესამე უბედურება — მაისის მაჟაურის ჭიები (მატლი) მიწის ქვეშ 5 სანტიმეტრის სიღრმეზე ეს ჭიები სჭამდნენ ჭარხლის ფესვებს. როცა კოლმეურნეებს ძალა თითქმის გამოელიათ, მათ ახალი ფრონტი გაუჩნდათ. პლანტაციას შეესია ახალი მავნებელი — შემოდგომის ხვატარი. კოლმეურნეებს არასოდეს ასეთი საშინელი მავნებელი არ ენახათ. ჰექტარზე არის 100.000 ძირი ნათესი, თითოეულ ძირზე კი იყო 15 ხვატარი (ზოგზე კი 70-მდეც). აგრონო-

მებმა ერთად-ერთ საშუალებად სცნეს ხელით ამოხიკვა ჭიებისა და მცენარის ძირში წყალის ჩასხმა. კოლმეურნეებმა წყალი პლანტაციაში შეუშვეს. ... ციკ წყალში და ხელებით არჩევდნენ და ყლეტდნენ ჭიებს. უამრავი ... ამოყლიტეს. ჭარხალი გადარჩა, მაგრამ ძალზე დასუსტდა ამდენი უბედურებისაგან. საჭირო იყო დაპურება, გაძლიერებული სასუქკვება. შექონდათ სხვადასხვა სასუქი, შემოიტანეს ქათმის ნაკელიც-კი. ექვსჯერ „დააპურეს" და მორწყეს პლანტაცია. კოლმეურნეებმა ნათესი გადაარჩინეს და მოსავალიც უხვი მიიღეს. განა ეს გმირობა არ არის? რა ამოძრავებდა ამ ხალხს? სამშობლოს დიადი სიყვარული, მის ავლა-დიდებაზე ზრუნვა, სოციალისტური შეგნება, პატრიოტიზმის მგზნებარე გრძნობა.

სამშობლოს სიყვარულისათვის სტალინის დროშით საზღაპრო გადაფრენებს აწყობენ მამაცი არწივები ჩვენი ქვეყნისა: ჩკალოვი, გრომოვი, კოკინაკი, გრიზოდუბოვა, ოსიპენკო, რასკოვა... 4.300 კილომეტრს გადიან წარმოუდგენელ სიძნელე-გაჭირვებაში თურქმენი კოლმეურნეები აშხაბად-მოსკოვის გადარბენაზე. შიმშილმა, სიცხემ (70 გრადუსამდე), უწყლობამ ვერ შეაშინა ვაჟკაცი თურქმენელი ცხენოსნები, ყოფილი ჩამორჩენილი ერის შვილები, ეხლა კი ქედმაღალი, ამაყი პატრიოტი დიადი სოციალისტური სამშობლოსი. გმირებმა თვით სტალინისაგან მიიღეს მაღალი შეფასება.

სამშობლოს გულისათვის ბურიატ-მონღოლეთის ახალგაზრდა ქალიშვილებმა ფეხით და თხილამურებით 6.065 კილომეტრი გაიარეს, მიუხედავად ისეთი ქარბუქისა, როდესაც თვით მატარებელიც კი იძულებული იყო გაჩერებულიყო. გმირი ქალიშვილები სწერდნენ ამხანაგ სტალინს: „არ არის ისეთი საგმირო საქმე, რომლის შესრულებაც ვერ გაბედონ საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა პატრიოტებმა სამშობლოს დიდებისათვის".

274 დღე დაჰყვეს ლეგენდარულმა პაპანინელებმა დრეიფყინულზე არქტიკის წყვდიადში სამყაროს მოწყვეტილებმა. სამშობლოს და სტალინის მიერ გაგზავნილი ოთხეული გაბედულად, უყოყმანოდ აწარმოებდა მეცნიერულ დაკვირვებას, თუმცა სიკვდილი ყოველ წუთს სდარაჯობდა, „ვცხოვრობდით როგორც თოფის წამლის სავსე კასრთანაო" — სწერდა პაპანინი. მათ მაღლა ეჭირათ სტალინის დროშა. როდესაც გერმანელმა მეცნიერმა შოლცმა ჰკითხა პაპანინელ ფედოროვს;— რა ამოძრავებდა მას, ფული თუ სახელი, რომ არ დაერიდა ასეთ რისკს, ფედოროვმა უპასუხა: „არც ერთი და არც მეორე — მამოძრავებდა სამშობლოს სიყვარულის გრძნობაო". პაპანინელები სწერდნენ: „თუ ჩვენ უნდა მოვკვდეთ, ისე მოვკვდებით, რომ ჩვენი სიკვდილი გამოადგეს ჩვენს გაფურჩქნილ სამშობლოს".

812 დღე გაატარა ყინულოვან ტყვეობაში 15 გმირმა „სედოველმა" თავისი ახალგაზრდა, 28 წლის კაპიტან ბადიგინის ხელმძღვანელობით. რამდენი სიძნელე, გაჭირვება, საფრთხე გადაიტანა ამ თხუთმეტმა დევ-გმირმა, მომწყვდეულმა ცენტრალურ პოლარულ აუზში. მაგრამ მტკიცედ, ვაჟკაცურად მათ ეჭირათ დროშა თავისი სოციალისტური სამშობლოსი, დროშა სტალინისა, რაც მოწინავე მეცნიერების და ცივილიზაციის, მთელ პროგრესიული კაცობრიობის დროშაა. აღტაცებით და სიყვარულით მიიკრა გულზე თავისი ჩინებული შვილები სამშობლომ, და აი რა განაცხადა ბადიგინმა: მინდა ვიცოცხლო დიდხანს, ათას წელს და ეს ათასი წელი მივსცე, შევსწირო ჩემს მშვენიერ სამშობლოს — საბჭოთა კავშირსო.

სამშობლოს აღგზნებული შვილია, მისადმი სიყვარულით გამსჭვალული ჩრდილოეთ-დასავლეთის რკინიგზის თანამშრომელი სად. კრივნის დამთვარიელებელი ალექსი ვასილისძე არტემიევი. მისმა ოჯახმა სხვადასხვა დროს დაიჭი-

რა საზღვრის 130 დამრღვეველი ჯაშუში-დივერსანტი. თვით არტემიევმა დაიჭირა და გადასცა მესაზღვრეებს 33 კაცი, საზღვრის დამრღვევი, მისმა შვილმა ალექსანდრემ ჯარში წასვლამდის — 79 კაცი; არტემიევის ცოლმა ეკატერინამ — 8, შვილმა ეფიმემ — 3, და ქალიშვილებმა ნინამ — 5, ანამ — 2. თვით ალექსი სიამაყით ამბობს; „მე ისე ვდარაჯობ ჩემს კილომეტრს, რომ ჯაშუშები და დივერსანტები ვერაფერს აკლებენ ჩვენს ქვეყანასო“.

პატრიოტიზმის ჩინებული მაგალითი გვიჩვენა კოლმეურნე ქალმა ანა ბობოვიჩმა (კოლმეურნობა „ხუთწლედი“). დივერსანტმა გადმოლახა ჩვენი საზღვარი და ფული შესთავაზა ანას. „უკან!—დაუყვირა კოლმეურნე ქალმა — მე საბჭოთა ქალი ვარ,“ და ჯაშუში მესაზღვრეთა სადარაჯოზე მიიყვანა. დივერსანტი გამოტყდა შემდეგში: „ოცდაათი დღედაღამე მოვდივარ, რამდენიმე ქვეყანა გამოვიარე, არსად არ დამაკავეს, ხოლო საბჭოთა კავშირში, როგორც-კი ფეხი შემოვდგი საბჭოთა ტერიტორიაზე, ქალმა დამიჭირა. ძალიან მწყინს“.

განა თავდადებული პატრიოტები არ არიან პატარა მოწაფეები, რომელთა მეოხებით გამომჟღავნებულ იქნა დივერსანტი? მოწაფეთა ჯგუფი მასწავლებელთან ერთად ახლად გაყვანილ რკინიგზის ლიანდაგით მიდიოდა. მასწავლებელმა დაღლილობა მოიმიზეზა, ჩამორჩა მოწაფეებს. როცა ისინი გზის მოსახვევს მიეფარნენ, მასწავლებელმა ამოიღო მეტრი და რკინიგზის ლიანდაგის გაბარიტი გაზომა. ეს შენიშნეს მოწაფეებმა შკლიარმა და ბობრიკმა. მერე მათ დაინახეს, რომ მასწავლებელი განზე იყურება, ამოიღო ჩანთიდან პატარა ფოტო-აპარატი და გადაიღო სამხედრო პოლიგონი, რომელიც გზას ეკვროდა. ყველაფერი ეს ბალღებმა კომკავშირის რაიკომს უამბეს. „მასწავლებელი“ ჯაშუში აღმოჩნდა.

დიდებული პატრიოტი, ჩვენი ქვეყნის გენიალური მეცნიერი პავლოვი მუდამ ღელავდა და სწუხდა, რომ ის და მისი მოწაფეები, პავლოვის სიტყვით, ვერ ასრულებდნენ ღირსეულად თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე. ყოველი მისი აზრი და ფიქრი სამშობლოსკენ იყო მიპყრობილი. ის ამბობდა: „რასაც არ უნდა ვაკეთებდე. მუდამ ვფიქრობ, რომ ამით ვემსახურები, რაც საშუალებასაც ჩემი ძალები მაძლევენ, პირველ რიგში ჩემს სამშობლოს. ჩემს სამშობლოში ახლა გრანდიოზული სოციალური გარდაქმნა ხდება. მოისპო ღრმა უფსკრული მდიდართა და ღარიბთ შორის. მე კიდევ მინდა ვიცხოვრო იმ ხანამდე, სანამ არ დავინახავ ამ სოციალური გარდაქმნის საბოლოო შედეგებს... საბჭოთა ხელისუფლების უზარმაზარი მიღწევა მდგომარეობს ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განუწყვეტელ ზრდაში. მინდა ვიცოცხლო რაც შეიძლება მეტ ხანს იმიტომაც, რომ სრულიად დამშვიდებული ვარ ჩემი სამშობლოს უშიშროებაში“. დიდებულ პატრიოტს არ დასცალდა განეხორციელებინა თავისი კეთილშობილური სურვილი. სამშობლოს სიყვარული ასულდგმულებდათ, სტალინის სახელი და დროშა მიუძღოდათ წინ ხასანის და ხალხინ-გოლის გმირებს, რომელნიც შეუპოვრად და უშიშრათ ეკვეთებოდნენ რამდენჯერმე ძლიერ მტერს, ასეთი გმირები ბრძოლის ქარცეცხლს არ სტოვებდნენ, სანამ მუსრს არ გაავლებდნენ უტიფარ მტერს.

საქვეყნოდ გაითქვა სახელი ჩვენმა საამაყო და სადიდებელმა წითელმა არმიამ დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ერთი ასეთი გმირი ვაჟკაცების მოქმედებას აგვიწერს რუსი პოეტი ა. ტვარდოვსკი ლექსში „Их было трое“.

წარმოუდგენელ გმირობას, გაუგონარ ვაჟკაცობას,სასწაულებისებრ სიმტკიცეს იჩენდნენ ჩვენი სახელოვანი წითელარმიელები, მეთაურები, პოლიტმოშუშავები, რომელნიც გულწრფელ დახმარებას უწევდნენ ჩვენს მოძმე ფინელ

ხალხს, რათა გაეთავისუფლებინათ ისინი ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის და მისი ქოფაკი ძაღლებისაგან — მანერჰაიმ-ტანერებისაგან. 50 გრადუსიან ყინვაში ჩვენი შეუპოვარი გმირები ანგრევენ მრავალ-წლების მანძილზე ცეცხლ-ზადებულ მიუვალ ციხე-სიმაგრეებს, მაჟინო — ზიგფრიდირებულ გამაგრებულ ხაზს და ამით ანცვიფრებენ მთელ დედამიწას, რომელიც გაიძახის — „ასეთი შეტევა მსოფლიოს არ ახსოვსო". ჩვენი შესანიშნავი წითელარმიის თავდადებულობა და ვაჟკაცობა ღირსეულად დააფასა დიდმა საბჭოეთმა: 245 მებრძოლს, მეთაურს და პოლიტმომუშავეს მიენიჭა მაღალი წოდება — საბჭოთა გმირობისა, ხასანის ტბასთან გამოვლინებულ გმირობისათვის ორდენებით და მედლებით დაჯილდოვებულ იქნა 1.700 მეომარი, მეთაური და პოლიტმომუშავე. ფინეთის თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში მთავარსარდლობის დავალებათა გმირულად შესრულებისათვის დაჯილდოვებული იქნა ათეულ ათასი მეომარი, მეთაური, პოლიტმომუშავე.

დიდი და თვალუწვდენელია ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლო, ბუნებრივი რესურსებით ჩვენი სამშობლო მსოფლიოში ყველაზე უხვი და მდიდარია: ქვანახშირის რაოდენობით საბჭოთა კავშირი 5-ჯერ უფრო მძლავრია, ვიდრე გერმანია. 9-ჯერ მეტი აქვს ქვანახშირი ვიდრე ინგლისს, 16-ჯერ მეტი ვიდრე საფრანგეთს. მსოფლიოში მას რაოდენობით მეორე ადგილი უჭირავს ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, ხოლო ხარისხით—პირველი ადგილი. ნავთის მარაგი საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით გამორკვეულია 4679 მილიონი ტონა, ამერიკაში კი არის 1861 მილ. ტონა, ხოლო მთელ კაპიტალისტურ სამყაროში — 3286 მილიონი ტ. ტორფის მსოფლიო მარაგის 3/4 ჩვენს სამშობლოშია. რკინის მადანის რაოდენობა საბჭოთა კავშირში 267 მილიონ ტონას უდრის, მთელ კაპიტალისტურ ქვეყნებში კი—233 მილ. ტ.-ს მარგანეცის მადნით საბჭოთა კავშირს უჭირავს პირველი ადგილი რაოდენობისა და ხარისხის მხრივ. ფოსფორიტების რაოდენობა აუწერელია. დოვლათით მდიდარ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში მარტო ხიბინის აპატიტები — ყველაზე ძვირფასი ფოსფორული მადნეულობა — 5 ჯერ მეტია, ჩვენს კავშირში ვიდრე კაპიტალის მთელ სამფლობელოში. ჰიდრო-რესურსებითაც უხვად არის დაჯილდოვებული ჩვენი ბედნიერი სამშობლო. ჯერჯერობით გამორკვეულია 300 მლ. კილოვატამდე, სამჯერ მეტი, ვიდრე კაპიტალიზმის ყველაზე მდიდარ ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, 3-ჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთის რესურსები და 40-ჯერ მეტი, ვიდრე გერმანიისა. ტყეების ფართობითაც ჩვენ ყველაზე მდიდარნი ვართ — ორჯერ მეტი ტყე გვაქვს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებს, მრავალჯერ მეტი, ვიდრე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. თევზის სიმდიდრე-სიუხვის მხრით ჩვენ ბადალი არა გვყავს კაპიტალისტურ სამყაროში. ჩვენი ქვეყანა იძლევა მსოფლიო ხორბლის წარმოების 35 პროცენტს, ჭვავის — 55 პროცენტს, მრეწველობის ტექნიკის წარმოების განვითარების ტემპებით ჩვენ გავუსწარით ყველაზე ძლიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, ასე რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ გადავწყვეტთ გრანდიოზულ ისტორიულ ამოცანას, დასმულს ამხანაგ სტალინის მიერ: ეკონომიურად დავეწევით და გავუსწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ჩვენ ქვეყანასაც შუქს ჰფენს და ათბობს დიადი სტალინური მზე, მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია, თავისუფლების, ბედნიერების, ადამიანური ცხოვრების ნამდვილი ქარტია.

ჩვენს ქვეყანაში ათეული ერები მეფის დროს ჩაგრულ-განაწამები, ძმური ურყევი სტალინური მეგობრობის საფუძველზე, დიდი პატივისცემით აღსავსენი თავისი უფროსი და გულწრფელი ძმის რუსი ხალხის მიმართ, ცხოვრობენ თავისუფალი ბედნიერი ცხოვრებით მრავალეროვნებიან სახელმწიფოში. საბჭო-

თა კავშირი სათავეში უდგას მსოფლიო ცივილიზაციას დ პროგრესიის საქმეს. იგი იმედი, სიყვარული, ნუგეშია მთელი პროგრესიულ კაცობრიობისა. ტეოდორ დრაიზერი ამასწინათ სწერდა: მე განთიადს ვხედავ მხოლოდ ამერიკის ევროპისა-ვლეთში. არა, ცივილიზაცია არ ილუპება მომაკვდავ კაპიტალიზმის ბინერ ბანთხეულ სისხლის მორევში, არა, ცივილიზაცია აღორძინდება ახალ საფუძველზეო.

ბუნებით ყველაზე მდიდარი ქვეყანა მსოფლიოში, უზარმაზარი მოსახლეობით, თავის მძლეთამძლე არმიით, რომლის მსგავსი მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, მუშებით, გლეხებით, მოწინავე ინტელიგენციით, თავისუფალი, ბედნიერი, შეძლებული საამური ცხოვრებით ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციის კულტურისა და პროგრესის სათავეში მყოფი, კაპიტალიზმის სამყაროს მშრომელ ჩაგრულ ერთა მზის მანათობელი ვარსკვლავი, იმედი და ნუგეში — ასეთია დიადი, საამაყო ჩვენი სოციალისტური სამშობლო, გენიალური სტალინით სათავეში, ჩვენ გვიყვარს და ვამაყობთ მსოფლიოში და ისტორიაში ერთა დიდი სოციალისტური სამშობლოთი. მას მიეძღვნის ჩვენი დროის ყოველი საბჭოთა მოქალაქის ნიჭი და უნარი, გრძნობა და აზრი და, თუ საჭირო შეიქნება, სისხლიც და სიცოცხლეც.

როგორც „პრავდა“ აღნიშნავს, მოსკოვის კრემლში სცხოვრობს ადამიანი, რომელიც განსახიერებაა ჩვენი სამშობლოსი. მისი მძლავრი აზროვნება, მისი შეუდრეკელი, ფოლადის ნებისყოფა, მისი დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგია მთლიანად და ბოლომდე მიძღვნილია ხალხისადმი და ხალხიც მშობლიური სიყვარულით უპასუხებს თავის საუკეთესო მეგობარს, მასწავლებელს და ბელადს. ყოველ საბჭოთა პატრიოტს უნდა, რომ უყვარდეს თავისი სამშობლო,— როგორც უყვარდა იგი ლენინს, როგორც უყვარს იგი სტალინს.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარ. დოლნაძე

ეგნატე ნინოშვილი

ეგნატე ნინოშვილის მხატვრული მემკვიდრეობის გულისხმიერი ანალიზი გვარწმუნებს, რომ იგი ლიტერატურულ შემოქმედებაში ნატურალისტების მსგავსად არ არის ბრმა ობიექტივიზმისა და ფოტოგრაფიზმის მიმდევარი, როგორც ეს ზოგიერთ კრიტიკოსს ჰქონდა წარმოდგენილი. პირიქით, იგი მხატვრული რეალისტური სკოლის ერთ-ერთი ძლიერი წარმომადგენელია, რომელიც განზოგადებულ სახეებს, ღრმად მოფიქრებულ ხასიათებსა და ტიპებს ჰქმნის. ნინოშვილი, როგორც რეალისტი მხატვარი, მასალას, რა თქმა უნდა, ძალიან ხშირად უშუალოდ ცხოვრებიდან იღებს, მაგრამ რეალურ სინამდვილიდან აღქმულ მასალას იგი ბრმად როდი ენდობა, არამედ ღრმა ანალიზის ცხავში ატარებს, აჯამებს და აწესრიგებს გარკვეული მიმართულებით, რომ ამ გზით სინამდვილის უსახო, უფერული მასალის საკუთარ შემოქმედებაში გადამუშავებით ღრმად ტიპური და დამახასიათებელი სახე მოგვცეს. ამ მხრივ ე. ნინოშვილი კლასიკური რეალიზმის ჯანმრთელი ტრადიციების ნიადაგზე სდგას და ყველაზე მეტად ი. ჭავჭავაძის სამხატვრო რეალისტურ სკოლას ენათესავება. იგი მასალას, სცენებსა და ხასიათებს ცოცხალ რეალურ სინამდვილიდან იღებს, მაგრამ საფუძვლიანი გარდაქმნის და გადამუშავების შემდეგ აცლის მას ყოველივეს, რაც მასში შემთხვევითი და უფერულია და ჰქმნის სრულიად ახალ ქვეყანას, მხატვრულ სინამდვილეს.

ამიტომაა, რომ მის გმირთა შორის, რომელთა უმრავლესობაც რეალური სინამდვილიდან არის აღებული და რომლებსაც თავიანთი პროტოტიპები ჰყავთ, არც ერთი არ წარმოადგენს ბრმა რეალობას და სინამდვილიდან „შეუფერავად“ გადმოღებულ უბრალო ასლსა და ფოტოგრაფიას. ამ კუთხითაა დამუშავებული მის მხატვრულ შემოქმედებაში ყოველი სურათი და სცენა, ნაწარმოების ყოველი გმირი, რომელიც ამა თუ იმ კლასისა და საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელია, მისი ტიპური სახეა. ავიღოთ თუნდა თავად-აზნაურობა, რომელიც ნინოშვილის შემოქმედებაში წარმოდგენილია ტ. მკლავაძის, იასონ უქმაძისა და მანუჩარ არწივაძის სახით, რომელიც ისევე ტიპიურადაა დამუშავებული, როგორც ჭავჭავაძის, კლდიაშვილის და სხვათა ამავე საზოგადოებრივობის წარმომადგენელი გმირები, რა თქმა, თავისებური იერით და განათებით. კერძოდ, მკლავაძე და იასონ იგივე დათიკო („გლახის ნაამბობი“) და იერემია წარბა („პირველი ნაბიჯი“), მათებრ ტიპიურად დამუშავებული და დამთავრებული სახეებია. [1])

ბურჟუაზიული საზოგადოებრიობა წარმოდგენილია უმთავრესად დავით დროიძის სახით, რომელიც ისევე სრულად, წარმოადგენს ამ კლასს, როგორც მეჯღანუაშვილი, ჭამიაშვილი და სხვა მრავალი.

---

[1]) ესთეტიკური კრიტიკის ფუძემდებელი კიტა აბაშიძე თავის ცნობილ „ეტიუდებში“ გ. წერეთელსა და ეგ. ნინოშვილს ნატურალისტური სკოლის წარმომადგენლებად სთვლის და მხატვრებად არც კი მიაჩნია ისინი.

ასევე გლეხობა: მუნჯაძე, უიშვილი, ივანე, უნათლოშვილები — ეს ნინოშვილის თანამედროვე გლეხური საზოგადოებრივობაა თავისი „უბედო ბედით", თავისი ტანჯული ცხოვრებით და ფიქრ-განცდებით. ასევე ცოცხლად, ფრიან წარმოდგენილი მოხელეები (მოსე მწერალი), ინტელიგენცია (სპირ. მციოიშვილი) და სხვები.

მახვილად არის შენიშნული და სწორად დანახული აგრეთვე იმ დროინდელი გურიის საზოგადოებრივი სინამდვილის უალრესად დამახასიათებელი სოციალური ფაქტი — ფირალობა, რომელიც ესოდენი მხატვრული სისრულითაა წარმოდგენილი „სიმონაში".

ფირალობა, როგორც ცნობილია, ნინოშვილის დროს, 70-80-იან წლებში, უალრესად გავრცელებული მოვლენა იყო გურიაში, რითაც გურიის ღარიბი, მშრომელი მოსახლეობა იმჟამად ერთგვარ პროტესტს აცხადებდა მაშინდელი რეაქციურ-ბიუროკრატიული წყობილების წინააღმდეგ. ფირალები, რომელნიც უმთავრესად გლეხობის წრიდან იყვნენ გამოსულნი, ებრძოდნენ პოლიციას, ბიუროკრატიულ მოხელეობას, სოფლისა და ქალაქის ვაჭრებს, ბობოლებსა და სხვა მუქთახორებს, რომლებიც აუტანელ სიმძიმედ აწვნენ სოფლის ღარიბ გლეხურ მოსახლეობას. ამ ტიპის ფირალები იყვნენ იმ დროს გურიაში კარგად ცნობილი ნ. მეხუზლა, მიქელაიშვილი, დ. სურგულაძე, ძმები ვასილ და სისონა დარჩიები, რომელნიც, არსენა ოძელაშვილის დარად, მშრომელ გლეხობასთან სრული სოლიდარობით ებრძოდნენ მაშინდელ პოლიციელებს, ბიუროკრატ მოხელეებს, ჩარჩ-ვაჭრებსა და სხვა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა", რაც ასე კლასიკურად დაგვიხატა ნინოშვილმა სიმონას სახით. სიმონას პროტოტიპად, როგორც ცნობილია, ავტორს აუღია ზემოხსენებული სისონა დარჩია, რომელიც იმჟამად მთელ გურიაში სახელგანთქმული ყოფილა თავისი ვაჟკაცობითა და მშრომელი გლეხობის სიყვარულით. სიმონა ძალაძე ბევრში ჰგავს სისონა დარჩიას, განსაკუთრებით გურული ფირალებისათვის ტიპურ მხარეებში, თუმცა განსხვავებაც მათ შორის თვალსაჩინოა.

„შეიძლება გადაჭრით ითქვას, — სწერს სიმონ ხუნდაძე თავის გამოკვლევაში, — რომ მოთხრობის უკანასკნელ ორ თავში (17 და 18 თავებში, გვ. 225-290) აქვს ნინოშვილს საგრძნობლად მოყვანილი ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ფირალ დარჩიას უკანასკნელ თავგადასავლიდან იყო ამოღებული" (იხ. ნინოშვილის თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 377).

ისმის საკითხი, მოთხრობის გმირი სიმონა „შეუფერავი სინამდვილეა" და შეუკეთებლად გადმოღებული პორტრეტი სისონა დარჩიასი, თუ აქ მხოლოდ მისი ცხოვრებისა თუ ხასიათის ზოგიერთი მომენტია აღებული ახალი განათებით, ახალნაირად განსხეულებული? რადგან დღეს ფირალ სისონა დარჩიას ცხოვრება შესწავლილია, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ მისი ცხოვრების ფაქტები თვალსაჩინოდ არის შეცვლილი. „სიმონაში" გამოყენებულია მხოლოდ მისი ცხოვრებისა და მოქმედების ზოგიერთი მომენტი, რომელიც ასე დამახასიათებელია ნინოშვილის თანადროული, გურული ფირალების ცხოვრებისათვის.

„თვით სიმონა ძალაძის (მოთხრობის გმირის) ცხოვრების ისტორია, — სწერს სიმონ ხუნდაძე ზემოდასახელებულ გამოკვლევაში, — უფრო რთულია, სოციალურად ღრმა და მნიშვნელოვანი და სრულიად არ შეესაბამება დარჩიას ცხოვრების პირობებს ფირალად გავარდნამდე. ამიტომ, ჩვენის აზრით, შემცდარია ის შეხედულება, თითქოს ნინოშვილმა მოთხრობა „სიმონაში" მთლიანად გამოხატა დარჩიას ცხოვრება და თავგადასავალი". (იქვე, გვ. 377).

სიმონა ძალაძე, როგორც მოთხრობიდან ვიცით, ღარიბი გლეხის შვილია, ობოლი. მამა ადრე მოუკვდა. ძმა კლდიდან გადაეჩეხა. პირადად სიმონა ბრგე, ახოვანი ვაჟკაცია და მუყაითი, გამრჯე მშრომელი, რომელიც სოფლის ბობოლასი, დროიძისა და რეჟიმის უსამართლობის მსხვერპლი ხდება. სისონა დარჩია-კი ფიზიკურად დაბალი ტანისა იყო, ჩასკვნილი, მეტად მოუსვენარი და დაუდგრომელი ბუნებისა, სწრაფი და ფიცხი ხასიათისა. სიმონა, შედარებით, მძიმე კონსტიტუციის კაცია, პირდაპირი, „პირად მთქმელი“ სიმონა ოჯახის ერთაა (თუმცა ძმა და დებიც ჰყოლია). სისონა დარჩიას კი სამი ძმა ჰყოლია: ვასილი (შემდეგში გაფირალებული), კოხტა და სოლომონი. ვასილს „შელაპარაკება“ მოსვლია მეზობელთან, რომელსაც სისონას მამა მოუკლავს. მის შემდეგ ვასილ და სისონა ყაჩაღებად გაჭრილან, რასაც შემდეგ მოჰყვება ფირალი ძმების დევნა პოლიციის მიერ.

როგორც ჰხედავთ, განსხვავება დიდია. სისონას გაფირალება შედარებით კერძო, პირად მომენტებზეა აგებული. სიმონას მთელი ცხოვრება კი უფრო ღრმა სოციალური ბრძოლის ნიადაგზეა გაშლილი, სადაც სოფლის ბობოლა და პოლიცია შეკავშირებულად მოქმედებენ გლეხის ოჯახიდან გამოსულ სიმონას წინააღმდეგ. აქ სიმონა უაღრესად ტიპური სახეა და უაღრესად დამახასიათებელი ნინოშვილის თანადროული გლეხობის გარკვეული ფენისათვის. სიმონა ებრძვის სოფლის ბობოლას დავით დროიძეს, სისონა დარჩია კი თავის ბატონს—ესე გურიელს. სიმონას გაფირალების მიზეზს შეადგენდა მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური უსამართლობა, დავით დროიძისა და მისი შვილის ვერაგული საქციელი. სისონა დარჩიას გაფირალების მოტივი კი შედარებით კერძო და პირადულია.

ყოველივე ზემოთქმული გვარწმუნებს, რომ ნინოშვილს მხოლოდ რამდენიმე სცენა და მომენტი აქვს აღებული სისონა დარჩიას ცხოვრებიდან, ისიც ტიპური და დამახასიათებელი 80-90-იანი წლების გურიის ფირალებისათვის, ხოლო დანარჩენი, კერძოდ, გაფირალების პირობები და სიმონას ცხოვრება გაფირალებამდე, სრულიად სხვა ფონზეა გაშლილი.

„უდაოა, — შენიშნავს ს. ხუნდაძე, — რომ ნინოშვილს არ უსარგებლია დარჩიას ცხოვრების პირობებით და არც მისი თავგადასავალი აუწერია: მთელი ის რთული ნაწილი მოთხრობისა, მეჩვიდმეტე თავამდე, რომელშიაც ავტორს გაშლილი აქვს სიმონა ძალაძის თავგადასავალი, სრულიად სხვა მასალაზე არის აგებული და ძირიანად განსხვავდება დარჩიას თავგადასავალიდან“ როგორც სავსებით მართებულად დაასკვნის ავტორი (იხ. ე. ნინოშვილის თხზ. სრ. კრებ. ტ. I, 378-380). მხატვრული რეალიზმის ასეთივე ხერხებითაა აგებული ნინოშვილის სხვა მოთხრობები, კერძოდ, მისი შესანიშნავი მოთხრობა „ქრისტინე“, რომლის შინაარსიც აგრეთვე რეალური სინამდვილიდანაა აღებული. როგორც ვიცით, იასონ უქმაძეს („ქრისტინე“) პროტოტიპს წარმოადგენდა გურიაში კარგად ცნობილი აზნაური ბედია კომახიძე, რომელიც თავის დროს საკმაოდ ცნობილი ყოფილა თავისი დარდიმანდობით, მოლხენითა და რამდენადმე საზოგადოებრივი გავლენითაც კი მაშინდელ გურიის თავადაზნაურული საზოგადოებრიობის წრეში. მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც მთელ გურიას გლეხთა მოძრაობის მძვინვარე ტალღები მოედო, ბ. კომახიძე თვალსაჩინო როლს თამაშობდა ამ მოძრაობაში თავად-აზნაურთა მხარეზე, გლეხობის წინააღმდეგ; ქ. ოზურგეთში თავად-აზნაურთა საიდუმლოდ გამართულ კრებაზე, როდესაც დაადგინეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა დახმარების შესახებ, ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომახიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავად-აზნაურთა სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

ჩვენს ავტორს პირადად სცნობია ეს ბედია კომახიძე, რომელიც, როგორც გადმოგვცემენ, სოფლის მწერლად ყოფილა ჩოჩხათში მაშინ, როდესაც ეგნატე იმავე სოფელში მასწავლებლობდა. ბედია სქესობრივად დაკავშირებია მეზობელი გლეხის ქალს—მ. ორ-ისას, რომლისგანაც ვაჟიშვილი შესძენია. კომახიძეს, რა თქმა უნდა, ეს ქალი აღარ უთხოვნია. ქალის მშობლებს ბავშვი ქ. ფოთში ხე-ტყის ვაჭრის, უშვილო და მდიდარ ბ. თ-ასათვის მიუბარებიათ, რომელსაც იგი უშვილებია და თავისად გამოუზრდია. მოთხრობის გმირის,—იასონ უქმაძესთან დაკავშირებული ამბები რომ შევადაროთ ბ. კომახიძის წარსულ ცხოვრებას, დავინახავთ მეტად თვალსაჩინო განსხვავებას. ავტორს ბედიას ცხოვრებიდან აუღია მხოლოდ ტიპური და დამახასიათებელი მისი კლასისათვის, დანარჩენიკი პირადი და კერძოული, სრულიად გამოურიცხავს, როგორც ზედმეტი და არსებითად არაფრის მთქმელი. იასონის პიროვნებაც ბევრად უფრო მუქ ფერებშია წარმოდგენილი, ვიდრე მისი პროტოტიპი — ბ. კომახიძე. ამ უკანასკნელს, როგორც ნინოშვილის შესახებ ცნობის შემკრები ა. წულაძე გადმოგვცემს, 1905 წ. რევოლუციის დროს ბავშვი თავის მემკვიდრედ უცვნია და თავისი ქონების ნაწილიც მისთვის დაუთმია, რაც მოთხრობაში არ არის მოხსენებული. ქრისტინე ავტორის ჩვენებით თბილისს აფარებს თავს და იქ იღუპება, როგორც მეძავი ქალი, ამასთან იღუპება უაღრესად ტიპურს პირობებში. ქრისტინეს პროტოტიპი-კი მ. ორ-ისა სიკვდილამდე მშობლებთან დარჩენილა, მას არც გათხოვება უფიქრია და არც „სახლიდან გასულა“ სადმე. ავტორი არაფერს ამბობს ბედიას სამსახურებრივ და საზოგადოებრივ წარსულზე, მისი ხასიათის თუ ყოფა-ცხოვრების დეტალებზე. მან წარმოადგინა მხოლოდ თავისი დროის დარდიმანდი, მსუბუქი ხასიათის პატრონი, ქეიფსა და ლამაზი ქალების მოყვარული აზნაურის ტიპი. როგორც ჰხედავთ, ნაწარმოებში შეცვლილია როგორც გმირთა ხასიათი, ისე საყოფაცხოვრებო ელემენტები და თვით გმირიც სრულიად ახალი განათებითაა წარმოდგენილი.

„ეს ფაქტი „ქრისტინეში“, — სამართლიანად დაასკვნის ს. ხუნდაძე, — არ არის ფოტოგრაფიულად გადმოწერილი რეალური სინამდვილიდან. ავტორს მხოლოდ ფაქტით უსარგებლია და შემდეგ თავისებურად გაუშლია და აუსახავს იგი თავის მოთხრობაში; აღსანიშნავია, რომ სიუჟეტის განვითარება და დასასრული იმ სახით არ მომხდარა ცხოვრებაში, როგორც ეს მოთხრობა „ქრისტინე“-ში არის გაშლილი“. (იხ. ე. ნინოშვილის თხზ. სრ. კრებ. ტომი II, გვ. 299).

ამ გვარადვეა მოცემული, სხვათა შორის, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, რომლის გმირებიც — ტარიელ მკლავაძე და სპირიდონ მცირიშვილი რეალურ ცხოვრებიდან აღებული სახეები არიან. მცირიშვილის პროტოტიპად ზოგი ასახელებს მასწავლებელ სიმონ ჯორბენაძეს, რომელიც თვით ნინოშვილის მახლობელი მეგობარი ყოფილა. ამ აზრს იზიარებს ა. წულაძე, რომელიც, ამ საგანზე შეკრებილი ცნობების მიხედვით, ფიქრობს, რომ „სპირიდონ მცირიშვილის ცხოვრება ძლიერ ახლო არის სიმონ ჯორბენაძის ცხოვრებასთან“.

სხვანი ფიქრობენ, რომ მცირიშვილის სახით ნინოშვილს საკუთარი თავი ჰყავს გამოხატული და ამდენადვე ავტობიოგრაფიულ მასალაზედაა აგებული.

„ერთხანს, როგორც სჩანს, — სწერს სიმონ ხუნდაძე, — ჩვენში დარწმუნებული იყვნენ, რომ მცირიშვილის სახით ეგნატემ თავისი თავი დაასურათა მოთხრობაშიო“ (იხ. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებული ტ. II, გვ. 313-314).

ამასვე ადასტურებს თვით ეგნატე თავის მეგობრის ალექსანდრე თოიძისადმი მიწერილი კერძო წერილში 1895 წ. 22 მარტის თარიღით, სადაც სწერს:

„მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ გმირი, მცირიშვილი, ერთ-ჩვენ ნაცნობს გავსო, ამბობ-რაღა — მოთხრობის ავტორს?

მართალია, მაგრამ მხოლოდ გარეგნობით. ისე კი მცირიშვილი უფრო ყოჩაღია ავტორზე“ (იხ. ეგნატე ნინოშვილის თხზ. სრული კრებ. ტ. III, გვ. 123).

მსგავსება მათ შორის უსათუოდ არის, განსაკუთრებით ნინოშვილის მოწაფეობის პერიოდთან, რასაც ადასტურებს მისი მოწაფეობის დროის დიასახლისი ესმა თოთიბაძე, (რომელთანაც ქ. ოზურგეთში სკოლაში ყოფნისას ბინად იდგა ეგნატე) თავის მოგონებაში: „როგორ ცხოვრობდა ეგ. ნინოშვილი მოწაფეობის დროს“ (იხ. ეგნატე ნინოშვილი, ტ. III, გვ. 131-133).

მაგრამ განსხვავება მცირიშვილსა და ნინოშვილს შორის მეტად აშკარაა და ნათელი. ავტორს მოთხრობაში ბევრი რამ ტიპური შეუტანია და მით საკმაოდ დაუშორებია როგორც თავის თავისაგან, ისე ჯორბენაძის პიროვნებისაგან.

ამ გვარადვეა დამუშავებული მეორე გმირი — ტარიელ მკლავაძე, რომლის პროტოტიპი უნდა ყოფილიყო, როგორც გადმოგვცემენ, ვინმე ალექსანდრე მაჭუტაძე ან ვახტანგ გურიელი.

„ორივე ეს თავადი (ალექსანდრე მაჭუტაძე და ვახტანგ გურიელი — კ. დ.) ძლიერ უკმაყოფილო ყოფილა ეგნატესი, — შენიშნავს ს. ხუნდაძე, — მაგრამ შემდეგ ისინიც დარწმუნებულან, რომ ეგნატე თავის მოთხრობაში მათ არ შეხებია“ (იხ. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, გვ. 313).

ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული პირები (მაჭუტაძე თუ ვ. გურიელი) დარწმუნებულან, რომ ეგნატე თავის მოთხრობაში მათ არ შეხებია, ლოგიკურად გულისხმობს ხასიათის მხრივ მათგან მნიშვნელოვან განსხვავებასა და დაცილებას.

ავტორი მარტო გმირთა ხასიათის მაგალითზე არ აწარმოებს ასეთ თამამ ოპერაციებს. იგი თვით ფაქტიურ მასალასაც ასე ეპყრობა.

შესაძლებელია აგრეთვე, რომ ამ მოთხრობას საფუძვლად დასდებოდეს ერთი: პატარა ავტობიოგრაფიული დეტალი ავტორის ზესტაფონში სამსახურში ყოფნის დროიდან. როცა იგი სამიკიტნოს გვერდით მიდგმულ პატარა ოთახში ცხოვრობდა, სადაც მას თავს დაესხა ვიღაც ქალის მაძიებელი, ღვინით გალეშილი „ძმა-ბიჭებით“, რომელთანაც ეგნატეს სერიოზული შეტაკება მოსვლია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსე მწერლის ტიპი, რომელიც ნინოშვილის ლიტერატურულ გმირთა შორის ტრადიციულად ყველაზე უფრო ფოტოგრაფიულ სახედ არის მიჩნეული. მის პროტოტიპად ითვლება ლანჩხუთის მცხოვრები მოსე ცინცაძე, რომელიც, ს. ჯორბენაძის გადმოცემით, ნინოშვილთან ერთად სწავლობდა და რომელსაც იგი, მაშასადამე, კარგად იცნობდა. მოსე ცინცაძე ხასიათით და ყოფა-ცხოვრებით ახლო სდგას მოსე მწერალთან, მაგრამ მათ შორის სრული მსგავსება მაინც არ არის. მოსე ცინცაძის ცხოვრებიდან აღებულია ისეთი მხარეები, რომელნიც დამახასიათებელია სოფლის ბიუროკრატიული მწერლის ტიპისათვის. სამაგიეროდ სრულიად გამოუყენებელია, ყოველ შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეცვლილია მისი მოწაფეობის პერიოდი.

ასევე შეცვლილნი არის მთელ რიგ დეტალებში როგორც ხასიათის, ისე შემდგომი ბედის მხრივ უნათლოშვილების პროტოტიპები — ძმები მოისწრაფიშვილები.

სინამდვილისა და რეალური მასალის უაღრესად ერთგული ნინოშვილი ხშირად ფაქტიურ მასალასაც იგონებს და თავის შემოქმედებაში „ახალ პოეტურ რეალობას“ და „მხატვრულ სინამდვილეს“ ჰქმნის პირადად ჩემ მიერ საგანგებოდ შეკრებილ მასალიდან, ირკვევა, რომ მოთხრობა „მონადირეში“ მოცემული სურათის მაგვარს სინამდვილეშიაც ჰქონია თურმე ადგილი.

„მონადირეში“, როგორც ვიცით, მშრომელი გლეხი ბეჟანი მიდის ღამით თავად-აზნაურთა ტყეში და ჰკლავს გარეულ ღორს. ტყის პატრონები უჩივლებენ სასამართლოში, რაც გაჩანაგებამდე მიიყვანს საწყალ გლეხს. სინამდვილეში, თურმე, ერთი თავადისა თუ აზნაურის ტყეში გლეხს მოუკლავს არა ღორი, არამედ ირემი. ტყის პატრონს ეჩივლა და შედეგად დაახლოებით იგივე ბედი სწვევია გლეხს, რაც საწყალ ბეჟანს. ირემზე ნადირობა ავტორს ღორზე ნადირობად შეუცვლია, რაც უფრო ბუნებრივი და რეალურია, რადგან გურიის ტყეებში ირემი ბევრად უფრო იშვიათი იყო, ვიდრე გარეული ღორი, და ავტორი მხატვრული თვალსაზრისით სავსებით მართებულად მოიქცა.

ავტორის მხატვრული შემოქმედებითი ოპერაციების საილუსტრაციოდ საკმაოდ უხვ მასალას იძლევა ისტორიული რომანი „ჯანყი გურიაში“, განსაკუთრებით საინტერესოა „ჯანყის“ იდეური ხელმძღვანელის — გიორგის პიროვნების საკითხი, როგორც ფიქრობენ, გიორგი არ უნდა იყოს რეალური, ისტორიული პიროვნება, რადგან „ჯანყი“-ს პერიოდში (1841 წ.), ამ საგანზე არსებული ცნობების მიხედვით, გარკვევით არა სჩანს გიორგის მსგავსი ერუდიციისა და თეორიული მომზადების პიროვნება, რომელსაც ასეთი თვალსაჩინო როლი ეთამაშოს ჯანყში. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი ისტორიულად არარეალური, გამოგონილი პირია, უკეთ , იგი თვითონ ავტორია. თავისი მსოფლმხედველობით და აზროვნების მეთოდოლოგიით იგი უფრო გვაგონებს 80-90-იან წლებში ჩამოყალიბებულ „მარქსისტულად მოაზროვნე“ რევოლუციონერს, რომელიც შესაძლებელია განგებ გამოიყვანა ავტორმა სამოღვაწეოდ 40-იან წლებში, როგორც ამას ფიქრობს ფ. მახარაძე თავის შრომაში: „ეგნატე ნინოშვილის დრო, ცხოვრება და შემოქმედება“ (1930 წ.). ამ შეხედულებას იზიარებს აგრეთვე სვ. ხუნდაძე თავის წერილში. იგი სწერს:

„უეჭველია, რომ ე. ნინოშვილმა შორეულ წარსულში აამეტყველა თავისი გმირი იმ პროგრამულ ენით, რომელსაც თვით ავტორი (ე. ნინოშვილი) ამუშავებდა თავისი პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობისათვის“ (ჟურ. „ქართული მწერლობა“, 1929 წ. № 11—12, გვ. 22).

მაშინაც კი, თუ დაუშვებთ, რომ გიორგი სინამდვილეში არ არსებული პირია, ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება ისტორიასა და ლოგიკას, ვინაიდან რაკი სინამდვილეში იყო ჯანყის რეალური ფაქტი გარკვეული პროგრამით და ტაქტიკით, ლოგიკურად უნდა დავუშვათ, რომ იქნებოდნენ ამ მოძრაობის როგორც ოპერატული ხელმძღვანელნი, ისე გიორგის დარად იდეოლოგიური სულის ჩამდგმელნიც. ამგვარი დაშვება, მხატვრული რეალიზმის პრინციპების მიხედვით, უფრო „რეალურია“ და ბუნებრივი, ვიდრე სინამდვილის რომელიმე ბრმა შემთხვევითობის აღწერა. ამ მხრივ აღსანიშნავია რომანის მეორე გმირი—სიმონა, რომელიც „გლეხობის გენერლის“, ბესიას მახლობელი მეგობარია და ჯანყის ერთერთი აქტიური მონაწილე. არსებული საბუთების მიხედვით, არც მას ყოლია პროტოტიპი, უნდა ვიფიქროთ, რომ იგიც გიორგის მსგავსად შექმნილი მხატვრული სახეა. ჩვეულებრივ-კი მას ზოგი სიმ. ჭყონიას, ზოგიც აბ. ბოლქვაძეს ადარებს, რომელთაც 1841 წლის აჯანყებაში სიმონასაებრ მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ. რაც შეეხება მის აზნაურულულ წარმოშობას ან აჯანყე-

ბის მხარეზე გადასვლას და გლეხობასთან მხარდამხარ ბრძოლას, ეს საკმაოდ ხშირი იყო, 1841 წლის აჯანყებაში.

ესევე შეიძლება ითქვას სხვა გმირების — შალიკაშვილის, ივანეს, პეტრიას სალოსისა და სხვათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბაკო შალიკაშვილი რომანის ერთ-ერთი საინტერესო და სიმპატიური გმირია. იგი ისტორული პირია, ოფიცერი, რომელიც შემდეგ აჯანყების მხარეზე გადავიდა და მნიშვნელოვან როლსაც ასრულებდა. მაგრამ რომანში მისი სახე საკმაოდ შეცვლილია, როგორც აჯანყებაში მონაწილეობის ფაქტების, ისე იდეოლოგიის მხრივ, რაც საფუძველს აძლევს ხუნდაძეს დაასკვნას, რომ:

„ამ ტიპის (იგულისხმება შალიკაშვილი. — კ. დ.) შექმნის დროს უეჭველია ავტორმა გადააჭარბა, როდესაც იგი რადიკალურ მოაზროვნედ გამოიყვანა". (ეგნატე ნინოშვილის თხზ. სრ. კრებ. ტ. I, გვ. 314).

აზნაური ივანე ...ძე ერთ-ერთი ტიპიური გაიძვერათაგანია აზნაურთა წრიდან. როგორც 1841 წლის აჯანყების მასალიდან ჩანს, ივანეს ტიპის თავად-აზნაური ბლომად ყოფილა მაშინ. მოყვრულად შენილბულნი ისინი დამანგრეველ მუშაობას ეწეოდნენ აჯანყებაში გლეხების მხარეზე და მოხერხებულ მომენტში სასიკვდილო ლახვარს სცემდნენ მოძრაობას. ზოგიერთი ივანეს პროტოტიპად სთვლის სახაზინო აზნაურს სიმონა ქარცივაძეს, რომელიც, აჯანყების მასალის მიხედვით, თვალსაჩინოდ ჰგავს ივანეს, მაგრამ, რათქმა უნდა, არა სავსებით.

ეგნატემ შეიძლება გამოიყვანა ზოგიერთი ფაქტი სიმონა ქარცივაძის ცხოვრებიდან, მაგრამ ეს ფაქტები მან თვალსაჩინოდ შეავსო, გადაამუშავა და წარმოგვიდგინა შენილბული გაიძვერა აზნაურის ტიპი. ასეთი ტიპები მრავლად „საქმიანობდნენ" გურიის 1841 წლის აჯანყების სინამდვილეში.

უაღრესად საინტერესო ტიპია აგრეთვე პეტრია სალოსი. იგი სინამდვილეში ვინმე პეტრია აბუსერიძეა, რომელიც მართლაც ცხოვრობდა ნინოშვილის დროს გურიაში პეტრია სალოსის სახელით. ეს გმირი ავტორის ფანტაზიამ 80-იან წლებიდან 1840-იან წლებში გადაიტანა და ასე ვირტუოზულად გამოიყენა თავის უკვდავ რომანში. აღსანიშნავია, რომ პეტრია სალოსი ხასიათით, პირდაპირობით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით და „ენა-კვიმატიანობით" თავისი კუთხის უაღრესად დამახასიათებელი ტიპია. ესევე შეიძლება ითქვას სხვა გმირებზედაც. ეს მაგალითებიც ცხადად მოწმობენ, რა ძლიერია ავტორის მხატვრული ძალა, რა თავისუფლად ჰფლობს იგი მასალას ამ თავის შედარებით ადრინდელ ნაწარმოებშიაც!

შეიძლება უფრო მეტი ფაქტიური მასალის მოყვანა, მაგრამ მოყვანილი ცნობებიც საკმაო დამაჯერებლობით ასაბუთებენ და ცხადჰყოფენ, რომ ნინოშვილი, თავის რეალურ სინამდვილისადმი უაღრესი ერთგულების მიუხედავად, არ არის „ბრმა შემთხვევითობისა" და უსახო, უფერული სინამდვილის „შეუფერავი" მხატვარი. პირიქით, იგი ჭეშმარიტი მხატვარია და რეალისტური სკოლის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი, რომელიც გვაძლევს უაღრესად ტიპურ და მაღალ-მხატვრულ ხასიათებს თუ სურათ-სახეებს, რის გამოც ასე ძლიერია მის მოთხრობებში სინამდვილის ილუზიისა და დამაჯერებლობის ძალა.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ანტონოვსკაია — „დიდი მოურავი“

„ბოსლიტიზდატი“, მოსკოვი, 1939 წ.

ანა ანტონოვსკაიას რომანი „დიდი მოურავი“ ქართულ ისტორიულ თემაზე მხატვრული ნაწარმოების შექმნის პირველი სერიოზული ცდაა რუსულს ლიტერატურაში.

მწერალი ქალის მიერ აღებული ეპოქა (XVI — XVII საუკუნეთა მიჯნა) უაღრესად საინტერესოა. მე-13 საუკუნიდან საქართველოს ფეოდალური მონარქიის აყვავების პერიოდის შემდეგ, საქართველომ განიცადა უდიდესი უბედურება: მონგოლთა გამანადგურებელი შემოსევა და ეროვნული მთლიანობის დაკარგვა. ის დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რომელსაც მტკიცე ხელით აწარმოებდნენ ქართველი მეფეები, დაწყებული გენიალური დავით აღმაშენებლით (გარდაიცვალა 1125 წ.) და გათავებული სახელგანთქმული თამარ მეფით (გარდაიცვალა 1212 წ.), არარაობად იქცა. ჯერ მონგოლების, მერე ირანელებისა და ოსმალების შემოსევის შედეგად, აგრეთვე კვლავ გაძლიერებული ფეოდალური უთანხმოების გამო, საქართველოს ერთიანი და მძლავრი სახელმწიფო დაქუცმაცდა რამდენიმე მოშუღლე წვრილ სამეფოდ. საქართველოს კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, რაც ესოდენ ბრწყინვალედ აყვავდა და გაიფურჩქნა შოთა რუსთაველის ეპოქაში, იმ დროს აღარ არსებობდა ხელსაყრელი სოციალ-პოლიტიკური პირობები.

კახეთის, ქართლისა და იმერეთის მეფეებს, რომ არაფერი ვთქვათ უფრო მომცრო მთავრებზე, აღარ შესწევდათ უნარი დიდ ირანსა და თურქეთთან საბრძოლველად. ხოლო ჩრდილოეთიდან უფროდაუფრო ხშირად ზვერავდნენ საქართველოს რუსეთის მეფეების პოლიტიკური აგენტები და დიპლომატები. 16 — 17 საუკუნეებში მოსკოვის სახელმწიფო მოუახლოვდა კავკასიონის ქედს, გამაგრდა თერგზე და იწყო წინსვლა სამხრეთისკენ.

ა. ანტონოვსკაიას მიერ ასახული ეს ეპოქა აღინიშნა შემდეგში ტრაგიკული ამბებით, ქართველთა დაძაბული და უთანასწორო ბრძოლით ირანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ, აგრეთვე შინაური განხეთქილებით. ქართველი მეფეების ცალკეული ცდები — აელაგმათ მსხვილ ფეოდალთა თვითნებობა და კვლავ შეექმნათ საქართველოს მძლავრი, მთლიანი მონარქისტული სახელმწიფო, მარცხით თავდებოდა. ჩამორჩენილი, რეაქციურად განწყობილი ფეოდალების წინააღმდეგ იბრძოდნენ აზნაურებიც, მომსახურე წოდების წარმომადგენლები. მაგრამ მათ ვერ შესძლეს მსხვილ ფეოდალურ მფლობელთა საბოლოოდ დამარცხება. თვით ქართველ მეფეთა საშინაო პოლიტიკაც ხშირად ვერ იყო თანმიმდევრული.

ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს წიგნი „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი“ შეიცავს ქართული ფეოდალიზმის კლასიკურ განსაზღვრას: „რეფორმამდელი დროის ქართველები ცხოვრობდნენ საერთო ტერიტორიაზე და ლაპარაკობდნენ ერთ ენაზე, მიუხედავად ამისა ისინი არ შეადგენდნენ, მკაცრად რომ ვსთქვათ, ერთს ერს, რადგან მათ ერთმანეთისაგან დაშორებულ სამთავროებად დაქუცმაცებულთ, არ შეეძლოთ ცხოვრება საერთო ეკონომიური ცხოვრებით, საუკუნოებით აწარმოებდნენ ურთიერთშორის ომს და ანადგურებდნენ ერთიმეორეს, წაკიდებდნენ რა ერთმანეთს სპარსელებსა და თურქებს. სამთავროთა ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ხანდახან ახერხებდა რომელიმე იღბლიანი მეფე, უკეთეს შემთხვევაში მოიცავდა მხოლოდ ზერელე-ადმინისტრატიულ სფეროს, სასწრაფოდ იმსხვრეოდა თავადთა კაპრიზებსა და გლეხობის გულგრილობაზე“.

ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ეს განსაზღვრა საფუძვლად დაედო „დიდ მოურავს“.

დაპირისპირებულ და მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა ფონზე ა. ანტონოვსკაიას რომანში გამოყვანილია გიორგი სააკაძის შესანიშნავი ფიგურა, რომელიც დაწინაურდა წვრილ-მემამულურ, აზნაურთა წრიდან. ამ გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და შესანიშნავმა სარდალმა თავბრუდამხვევ წარმატებას მიაღწია. იგი მცირე ხნით ქართლის მეფის ლუარსაბ მეორის მახლობელი გახდა და მალე სახელი გაითქვა არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. ის იყო საქართველოს ფეოდალური არის-

ტოკრატიის შეურიგებელი მტერი. რამდენადაც ცნობილია, მას მხარს უჭერდა არა მარტო აზნაურობა, არამედ გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილიც.

გიორგი სააკაძე ბევრს ნაციონალურ გმირად მიაჩნდა და შემდეგ მასზე თხზულებებსაც კი სწერდნენ (მაგ. იოსებ თბილელი, რომელმაც მასზე საინტერესო ... [illegible] ...). ფეოდალური საქართველოს რეაქციული ელემენტები კი სააკაძეს უწოდებდნენ „ეშმაკ-შობლოს მოღალატეს, რომელიც თითქოს ირანის შაჰ-აბაზს მიეყიდა.

საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა არ აპატიეს გიორგის მისი დროებითი კავშირი მუსულმანურ ირანთან. ეკლესიის მსახურებმა შემდეგში ბევრი იშრომეს იმისათვის, რომ ყოველნაირად გაეშავებიათ და დაემცირებიათ სააკაძე შთამომავლობის თვალში. საქართველოს კათალიკოსები ბესარიონი (1705 — 1724) და ანტონ I-ლი (1744 — 1788), რომლის ბრძანებით ნადგურდებოდა რუსთაველის პოემა და მათთან ერთად სხვა მრავალი, გიორგი სააკაძეს „ურცხვს“ და „ცბიერს“, „მეფისა და ხალხის მოღალატეს“ უწოდებდნენ. შაჰ-აბას პირველის მიერ 1622 წ. მოკლული მეფე ლუარსაბ მეორე კი „წმიდათა შორის“ იქნა ჩარიცხული.

ჩვენთვის უცხოა და მიუღებელია ხუცების ასეთი ცრუ შეხედულება, მაგრამ თვალსაჩინო პიროვნება დიდი მოურავისა, რომელიც შემდგომ თურქეთში მოჰკლეს, მაინც კრიტიკულად უნდა შეფასდეს. თუმცა გიორგი სააკაძე, ფეოდალებისაგან დევნილი ირანს გაიქცა, მაგრამ მაინც არ შეიძლება მრავალი მისი საქციელის გამართლება, აღსანიშნავია განსაკუთრებით მისი მეთაურობით 1615 წ. საქართველოში ირანელთა ჯარის შემოჭრა. აი ამიტომ ნამდვილ სახალხო გმირად დიდი მოურავის ჩათვლა შეუძლებელია.

ანა ანტონოვსკაიას თხზულებას დიდის ყურადღებით უნდა მოვეპყრათ. უდაოა, რომ მას უდიდესი მუშაობა ჩაუტარებია, სიყვარულით, გულდასმით და დიდის შრომით შეუსწავლია მრავალი ისტორიული და ისტორიულ-საყოფაცხოვრებო მასალა, რაც დღემდის თითქმის უცნობი იყო არაქართველ მკითხველისათვის. ყველაფერი ეს ქების ღირსია.

ცოცხალსა და მიმზიდველს ფორმაში ნიჭიერი მწერალი ქალი სწორ წარმოდგენას გვაძლევს იმ ეპოქის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა შეფარდებაზე, წარჩინებულთა გამყიდველობაზე, მომსახურე ელემენტების ბრძოლაზე ფეოდალურ თავადებთან, აზნაურთა ცდების შესახებ — გაერთიანებულიყვნენ გიორგი სააკაძის მეთაურობით. საკმაოდ მკაფიოდ არიან ასახული რომანში საქართველოს სოფლის სოციალური ფენები, მოცემულია გლეხობის ის დიფერენციაციაც, რომელიც უფრო მეტად ართულებდა სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლას.

უნდა აღინიშნოს, რომ „დიდი მოურავის“ ახალ, შესწორებულ გამოცემაში აღარ სჩანს ისტორიული გმირის იდეალიზების ცდა. ტრაგიკული წინააღმდეგობებით აღსავსე მისი სახე სისწორით არის მოცემული.

ა. ანტონოვსკაია წარმატებით გვიჩვენებს გიორგი სააკაძის არნახული აპატივმოყვარეობას და მის მედგარ და შეუპოვარ მოქმედებას სწორად დასახული მიზნების მიღწევისათვის.

კარგია, რომ ა. ანტონოვსკაია თავისი რომანის ახალ გამოცემაში ნაკლებ ყურადღებას აქცევს სასახლის სხვადასხვაგვარ ინტრიგებს, სატრფიალო გატაცებებს, წარჩინებულ ქართველ ქალთა მეტოქეობას და სხვ.

ზედმეტის ამბებით სუეტის დატვირთვა დიდად ვნებს ფსიქოლოგიურ მხარეს. გმირთა მრავალი მოქმედება და საქციელი არასაკმარისადაა მოტივირებული.

წიგნის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ მასში მრავალია მოქმედი პირი და ვრცლად არის გაშუქებული მცირემნიშვნელოვანი მოვლენები. მრავალი პერსონაჟი ზერელედ და სქემატიურადაა ასახული. ავტორი ვერ ასწრებს ზოგიერთი მათგანის სურათის დახატვას, დახასიათებას, მათ „წარდგენას“ მკითხველისათვის. ამიტომ მათ სათანადოდ ვერ იხსომებს მკითხველი: ა. ანტონოვსკაიას შეუკრებია საინტერესო მასალა და უცდია რომანში ისტორიული ხასიათის რაც შეიძლება მეტი ეპიზოდის ჩატევა. ამ გარემოებას რამდენადმე დაუტვირთავს ტექსტი.

მიუხედავად ამისა, რომანი დიდი ღირებულების შემცველია ცოდნის შეძენის მხრივ. უაღრესად კოლორიტულად არის ასახული მასში საშუალო საუკუნეების თბილისი, ქალაქიციხე და ქალაქი-ბაზარი. მკითხველის წინაშე ფართოდ იშლება ქალაქელი ხელოსნებისა და ვაჭრების თავისებური, უკვე წარსულში გადასული სამყარო.

ა. ანტონოვსკაიას მიერ მოხსენებული გეოგრაფიული სახელები ზუსტად შეესაბამებიან სინამდვილეს.

გამოგონილი არ არის არა მარტო გიორგი სააკაძე, არამედ თითქმის ყველა დანარჩენი პერსონაჟი. ისინი სავსებით რეალურ, კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებებს წარმოადგენენ. მაგალითად, ვერაგი ფეოდალი, თავადი შადიმან ბარათაშვილი მართლა იყო ლუარსაბ მეორის აღმზრდელი და მახლობელი, იარალი — სარდალი, ბააკა ხერხეულიძე ქ. ხერეფის მცველთა უფროსი და სხვ.

ა. ანტონოვსკაიას მოჰყავს მთელი რიგი ფრიად საინტერესო ცნობები მოსკოვ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, რაც დღემდის უცნობი იყო ბევრისათვის.

რომანის ძლიერი ადგილების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ბატალური ეპიზოდები-თურქებთან ბრძოლის აღწერა სავსებით ზედმიწევნითია, ის შეესაბამება ქართულ ისტორიულ წყაროებს.

საქმის დიდი ცოდნით გამოუყენებია მწერალს არა მარტო მრავალი ისტორიული მასალა, არამედ ძველი ქართული ლეგენდა-თქმულებების დიდი რაოდენობაც.

ავტორი ძველი ქართული ყოფის სერიოზულ ცოდნას ამჟღავნებს, მაგრამ ტექსტი გადატვირთულია მრავალი ქართული სახელწოდებით. ა. ანტონოვსკაია ამაოდ ხმარობს არაზუსტი რუსული ტრანსკრიპციით მრავალ ქართულ სიტყვას, ალბათ, მოთხრობისათვის მეტი „ადგილობრივი კოლორიტის“ მისაცემად. როგორც ეს უკვე აღინიშნა კრიტიკოსების მიერ, ხშირად ასეთი ლიტერატურული ხერხი გაუგებრობას იწვევს.

მაგრამ აღნიშნული ნაკლი არ ამცირებს ა. ანტონოვსკაიას სერიოზული ისტორიული რომანის უდაო ღირსებებს. ავტორი გვევლინება, როგორც კარგი ბელეტრისტი და მკვლევარი. რომანი დაწერილია ცოცხლად, მხატვრულად, იკითხება გატაცებით. სუჟეტი ოსტატურად და თანაზომიერად იშლება. სასურველია მხოლოდ, რომ მალე გამოვიდეს „დიდი მოურავის“ დასასრული.

ვ. გოლცევი.

ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გვ.

მხატვრული ლიტერატურა

პანტელეიმონ ჩხიკვაძე — ახალი ხმელეთი 3

ირაკლი აბაშიძე — ჯამბული (ლექსი). 23

გიორგი კაჭახიძე — შენი სარკმელი (ლექსი) 24

კარლო კალაძე — რომანი ლექსად 25

პარმენ ლორია — მევლუდ (ნაწყვეტი რომანიდან). 39

ლადო ასათიანი — ციხის სიზმარი (ლექსი) 63

იონა ვაკელი — შამილი (ტრაგედია) 65

ალფონს დოდე — წერილები ჩემი წისქვილიდან (თარგმანი ფრანგულით **გერონტი ქიქოძის** მიერ) 90

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დიმიტრი ბენაშვილი — ესთეტიკის საკითხები (წერილი პირველი) . . 108

ვ. იმედაძე — საბჭოთა პატრიოტიზმი 130

კარ. დონაძე — ეგნატე ნინოშვილი 151

ბიბლიოგრაფია

ვ. გოლცევი — ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“ 158

გადაეცა წარმოებას 3/IX-40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდათ 24/X-40 წ. ანაწყობის ზომა 7 × 12½. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 10. ქაღ. ზომა 70 × 108. მთავლიტის № УЭ 2622. შეკვეთის № 1540. ტირაჟი 4.000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

40-429/65

ფასი 2 მ. 50 კ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ